

02 (05)

8-516

# ନିର୍ଦ୍ଦେଶ ପଦ୍ମପାଠକ

ଭା. 1:2

ପାଠକ

1925

# წიგნის გეგმობაჲი

კერიოდული საბიბლიოთეკონომიო და  
..... საბიბლიოგრაფიო ოცბანო .....

P-119725

№ 1 რა 2

ამ ნომერს თან ახლავს დამატებად  
ტფილისის ბიბლიოთეკის ქართული წიგნების შეკრებულნი

ქ ა ტ ა ლ ო გ ი

ნაწილი პირველი (1921 — 1924)

ტფილისი

1925

წიგნის გეგმვა

სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სსსლთან არსებული საშინაო-  
თუკო და საშინაოტრადიო კაშინეცი.

---

---

სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სსსლთან არსებული საშინაო-  
თუკო და საშინაოტრადიო კაშინეცი

ნახუხისმგებელი რეკაქტორები: { ლ. რუხაძე  
ბ. ყუარულიშვილი

---

---

გამომცემელი: { საქართვ. შოლიცვანათლებლის შთაქარი საშინაოთუკო  
და საქართუკოს შროთუქსინონალურ კავშირთა საშინაო.

## რელაქციისაზნან

**მ**მ-VIII პარტ-ჟრილ ღზინ მიერ საკმარისათ გაშუქებულ იქმნა ის გარემოება, რომ ჩვენი ესოდენ დიდი მამულებით დაწყებული საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობა მშრომელ მასსაში უნაყოფოთ დარჩება, თუ სასკოლო სისტემას გვერდში არ ამოუყვებით რაციონალურ საფუძველზე აგებულ საბიბლიოთეკო საქმიანობაც.

ცხოვრებამ წამოგვიყენა გარდასაწყვეტად ისეთი საკითხები, როგორიც არის, მაგალითად: საწიგნო ფონდის გონიერი და მიზანშეწონილი განაწილება ჩვენი რესპუბლიკის ყველა ნაწილებში; დეცემალურ სისტემაზე უმეტყიველო გადასვლა; საბიბლიოთეკო ტექნიკის და აქტიურ მუშაობის ახალი მეთოდების შემოღება და სხ. ყველა ეს საკითხი თხოულობს ყოველმხრივს გაშუქებას. და ამ საკითხების განსჯაში მეტათ სასურველია მონაწილეობა მიიღოს ბიბლიოთეკართა ფართე მასამ, რადგან მათი გამოცდილება საუკეთესო არგუმენტად გამოდგება საკითხის ასე. თუ ისე გადასაწყვეტად.

ლენინის ლოზუნგის „წიგნი მასაში“ ცხოვრებაში გასატარებლად და სათემო ქობ-სამკითხველოების მოსაწყობად უნდა შეექმნათ ბიბლიოთეკართა სათანადო მომზადების კადრი.

მეორეს მხრივ, ჩვენი გამოცემლობა დღე-მოდამ მატულობს. ქართული ზეკვდითი ნაწარმოები საკმაოთ დავროვდა, გვემატება სულ ახალი და ახალი წიგნები. საჭიროა წიგნის ამ მასაში თავის გართმევა, მისი გადაარჩევა და დაჯგუფება საგნისა და შინაარსის მიხედვით. აუცილებელია წიგნების მუდმივი შეფასება და გადაფასება დღევანდელ მომენტის მიხედვით, რადგან ის, რაც ვარგოდა ორი-სანი წლის წინათ, შესაძლოა, გამოსადეგი აღარ იყოს დღევანდელ მომენტისათვის. ამასთანავე საჭიროა, მთელი ის ძველი ლიტერატურული განძი, ჩვენამდე რომ მოაღწია, აღნუსხულ და ბიბლიოგრაფიულათ დამუშავებულ იქმნას, რათა უკვალოთ არ გავიქრეს წინათაობის ეს კულტურული მემკვიდრეობა.

რუსეთსა და უკრაინაში საბიბლიოთეკონომიო-საბიბლიოგრაფიო საქმეს ემსახურება რამდენიმე მეცნიერული და პოპულიარული ხასიათის გამოცემა. ჩვენ ჯერჯერობით იმდენი ძალა არ შეგვწევს, რომ გამოვცეთ მეცნიერულიცა და პოპულიარულიც ცალცალკე. ამისათვის ჩვენს ჟურნალში თანაბრათ მოთავსდება სტატიები და რეცენზიები როგორც აკადემიური, ისე სავებით პოპულიარული ხასიათისანი. დიდ ყურადღებას მივატყვეთ ეგრეთწოდებულ სარეკომენდაციო სიებს, სადაც მკითხველს წასაკითხად ვურჩევთ ამა თუ იმ საგნის სადღისო მნიშვნელობის ლიტერატურას..

შესაძლოა, ჟურნალის პირველ ნომერში ვერ მოვახერხოთ ჩვენი პროგრამის სავებით განხორციელება, რადგან სპეციალური ხასიათის ორგანოს გამოცემა ძნელ საქმეს წარმოადგენს. მაგრამ თანდათან, სპეცებისა და კულტურულ ასპარეზზე მომუშავე ამხანაგების დახმარებით და აქტიურ მონაწილეობის მიღებით, უმკველია, დასახულს მიზანს მივაღწევთ.

ლ. რუხაძე.

## ჩვენი ამოცანები

**ს**ულთურულ-განმანათლებელ მუშაობის არცერთი დარგი ისე ჩამორჩენილი და უურადლებას მოკლებული არ არის ჩვენში, როგორც საბიბლიოთეკო საქმე.

იმ დროს, როცა თეატრსა და კულტურულ მუშაობის სხვა შტოებს აქვს მდიდარი ლიტერატურული წარსული, საკუთარი ტრადიციები და ჩამოყალიბებული მიმართულებანი, ჰყავსთ კადრი ძველი და გამოცდილ სპეცებისა, აქვთ სჯა, კამათი და ძიება უკეთესის მეთოდებისა, საბიბლიოთეკო საქმე მოკლებულია ყოველსავე ამას, მის გარშემო სრული გულგრილობა და სიჩუმე სუფევს.

და ეს იმ დროს, როცა საბიბლიოთეკო საქმე მთლიანად განიცდის სრულს ტრანსფორმაციას, როგორც ტექნიკურ და ორგანიზაციულ, ისე კულტურულ საქმიანობის სფეროშიც.

რადგან საბიბლიოთეკო საქმე მჭიდროთ არის დაკავშირებული წიგნის წარმოების ტექნიკასთან, ურიგო არ იქნება მოკლეთ გაეხსენოთ განვლილი ევოლუცია ერთისადა და მეორისაც.

ყველას მოეხსენება, თუ უძველეს დროში, სანამ ქალაქსა და სტამბას გამოიგონებდნენ, რა ძვირი ჯდებოდა წიგნის გამოცემა: ზოგიერთ წიგნის გამოცემად საჭირო იყო მთელი ფარა ბატენის გაწყვეტა ეტრატის გასაკეთებლად, ხოლო მის დაწერას ან გადაწერას ხშირათ ეწირებოდა მთელი სიცოცხლე.

რა თქმა უნდა, რომ ასეთის მსხვერპლით გამოცემულ წიგნს დაჰქანკალვდნენ და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, რადგან მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი იყო.

საშუალო საუკუნეებში მონასტრები, რომელნიც იმ დროის მწიგნობრობის უმთავრესი ცენტრები იყვნენ, წიგნების დასაცავად აშენებდნენ განსაკუთრებულ შენობებს, სადაც, თუ არ დიდის ნდობით აღჭურვილ პირს, სხვას არავის უშვებდნენ; ამასაც არ კმარობდნენ და თვითეულ წიგნს თავთავის ადგილს ჯაჭვით აბამდნენ.

**ამ ხანებში წიგნის გარეთ გატანაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.**

სტამბისა და ქალაქის გამოგონება ნამდვილი რევოლუცია იყო. წიგნი ამიერიდან შესაძინებლად გაიფიქრა და გამრავლდა. ამ გარემოებამ წარმოშვა და გაამრავლა პირველი საჯარო ბაბლიოთეკები, სადაც შეესვლებოდათ არა მარტო იშვიათ რჩეულთ, არამედ მკითხველთა მეტსა და მეტს კონტინენტს. მარა წიგნი, ჯერჯერობით მაინც, არც ისე იაფი და ადვილი საშოვარი იყო, რომ მის დაკარგვას ადვილათ შეჰლეოდნენ. ბიბლიოთეკარის როლი ახლაც იმდენათ მკითხველის ინტერესების დაკმაყოფილებაში არ გამოიხატებოდა, რამდენათაც თვით წიგნის დაცვაში.

მხოლოთ მე-XIX საუკ. დამლევს და ამ საუკუნის დამდეგს ბეჭდვითი ტექს-

ნიკა ისე საოკრათ განვითარდა, წიგნი ისე გაიფლდა და გამრავლდა, რომ შე-  
საძლებელი გახდა ყურადღების ცენტრად თვით მკითხველი გამხდარიყო, რო-  
მელსაც, თუ კი საჭიროება მოითხოვდა, წმირად წიგნის ინტერესიც ეწირებოდა.

ბუნებრივია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ტენზიურ  
მიღწევათა ავანგარდია, სადაც წიგნებისა და პერიოდიულ გამოცემათა ტირაჟი  
მილიონობით გამოიხატება, — გახდებოდა საბიბლიოთეკო საქმის ტრანსფორმა-  
ციის პიონერი.

აქ წარმოიშვა წიგნების ახალი ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია, დღეს რომ  
საერთაშორისოდ არის აღიარებული; პირველათ აქ წარმოისროლეს ლოზუნგი:  
„წიგნი — მკითხველისათვის და არა მკითხველი — წიგნისათვის!“ აქ, პირველათ,  
ბიბლიოთეკარი სტოვეს თავის ბიბლიოთეკის კედლებს, მიდის მეზობელ მასაში  
და მასში ეძებს მკითხველთა ახალახალ კადრს. აქ მკითხველთა მოსახილავად შექმ-  
ნილია მთელი სისტემა, რომელშიაც შედის მასის ყოველმხრივი შესწავლა, მისი  
სოციალური, პროფესიონალური და ეროვნული შემადგენლობის, ინტერესებისა და  
ფსიხოლოგიის გათვალისწინებით; ამერიკა შეიქმნა მავალითი წიგნის პროპაგან-  
დისა და მისი რეკომენდაციის, მკითხველის ინდივიდუალურ თვისებების და  
გემოვნების შესწავლისა და სხვა.

ამერიკამ უაღრესათ განვითარა წიგნებით მკითხველთა მომარაგების სის-  
ტემაც, ეგრეთ წოდებულ მოარულ ანუ მოძრავ ბიბლიოთეკების მეოხეობით: არ  
არის ქუჩა, არ არის ფაბრიკა ან რომელიმე დიდი საცხოვრებელი სახლი, რომ იქ  
არ იყოს გახსნილი წიგნების გასაცემი პუნქტი.

აქ არც პროვინცია არის მოკლებული ბიბლიოთეკების ყურადღებას; გან-  
საზღვრულ დროს მოარული ფორგონი-ბიბლიოთეკა დაიარება სოფლიდან —  
სოფლად, ფერმიდან — ფერმაში, სადაც მას მოუთმენლათ მოელიან, რადგან  
დარწმუნებულნი არიან, რომ წიგნები შერჩეულია ადვილობრივ მოსახლეობის  
გემოვნებისა და საჭიროების დიდის ცოდნით.

ამერიკის მავალითმა სხვა ქვეყნებში გაიტაცა, და საბჭოთა რუსეთისა და  
უკრაინის გამოჩენილი ბიბლიოთეკარნი გატაცებით ქადაგებენ ამერიკულ სა-  
ბიბლიოთეკო მეთოდებს. ამ ჟამად ხსენებულ რესპუბლიკებში საოკარი ინტენ-  
სიური მუშაობა სწარმოებს: გამართულია საბიბლიოთეკონომიო და საბიბლიო-  
გრაფიო თემებზე გაცხოველებული სჯა და კამათი; გამოცემულია მრავალი საბიბ-  
ლიოთეკონომიო სახელმძღვანელო და საბიბლიოგრაფიო მაჩვენებელი და სხვა.

ერთი სიტყვით, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ამ დარგში რუსეთისა და უკ-  
რაინის მოძრაობას — ვაოცდება იმ ინდეფერენტობით, რომელიც, მათთან შედა-  
რებით, სუფევს ჩვენებურ საბიბლიოთეკო საქმეში.

აღსანიშნავია აგრეთვე საბიბლიოთეკო ტენზიკის რადიკალური ცვლილებაც  
მთელს საბჭოთა კავშირში, საერთაშორისო საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციის  
დეციმალური სისტემის შემოღებით გამოწვეული.

სამწუხაროთ, ამ სფეროშიც ქართველი ბიბლიოთეკარები მოვიკოჭლებთ:  
ცალკე ამ სისტემის უტოლინარობით და ცალკე კიდევ საბიბლიოგრაფიო კლა-  
სიფიკაციისადმი საერთო გულგრილობით.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე დასმულია საბიბლიოთეკო საქმის სრული ტრანსფორმაცია, რისთვისაც საჭიროა ამ სფეროში სხვა ქვეყნის საქმიანობის შესწავლა და ახალი საბიბლიოთეკო მეთოდების შეგუება ჩვენს პირობებთან.

მარა ბიბლიოთეკონომიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბიბლიო-გრაფიო საქმეც: ყველას მოეხსენება ქართველი მკვლევარის, გინდა მასწავლებელის ან ბიბლიოთეკარის უმწეო მდგომარეობა, როცა მას საქმე აქვს ქართულ მასალასთან: არაგინ უწყის, რომელ დარგში რა მოგვეპოვება, რა არის ამ სფეროში ნაწერ-ნაბეჭდი ან რა ღირსებისა ყოველივე ეს.

ამ სფეროშიაც ძლიერ ცოტა რამ ვაკეთებულა. აღსანიშნავია მხოლოდ პროფ. ჯავახიშვილის მეთაურობით პეტროგრადელ სტუდენტთა ჯგუფის მიერ დამუშავებული „ქართული ბიბლიოგრაფია“, რომელიც ეხება 1852 — 1910 წ. წ. ქართულ პერიოდულ გამოცემათ; ვარდა იმისა რომ ეს ფრიალ საყურადღებო ნაშრომი ეხება მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს, თვით ეს წიგნი, სამწუხაროთ, უკვე ბიბლიოგრაფიულ სიიშვითებს წარმოადგენს. საყურადღებოა აგრეთვე ის პირველი ნაბიჯიც, სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის მიერ გადადგმული, რომელმაც პოლიტიკანთების მთავარმათეგლობის საფასურით შეადგინა ქართულ წიგნების შეერთებული კატალოგი. მარა ამ კატალოგს დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მის მერე, როდესაც ეს ძვირფასი მასალა დალაგდება სისტემატიურათ და გამოიკვება მთლათ ან დარგობლივ, სათანადო შეფასება-ანოტაციით.

ყველა ეს ამოცანები თხოულობენ დიდი ცოდნას, გამოცდილებას და კოლექტიურ შრომას.

საბიბლიოთეკონომიო და საბიბლიოგრაფიო საკითხებთან დაკავშირებული უნდა იყოს აგრეთვე საბიბლიოთეკო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებიც.

ივ. ციციშვილი.

## წიგნთა ათწილად კლასიფიკაციის შესახებ

უწინაოდ „Просвещение“ № 1-ში მოთავსებულია მ. კინწურაიშვილის სტატია „Библиотеки Тифлисполкома“, რომელშიაც დიდი ადგილი უკავია საბიბლიოთეკო საქმეში კლასიფიკაციის ათწილად სისტემის მნიშვნელობაზე ლაპარაკს.

აღსანიშნავია, რომ მ. კინწურაიშვილის მიერ წამოყენებული საკითხი მეტად დროული და საგულისხმიერია.

უნდა ითქვას, რომ ათწილად სისტემის შეფასებაში ჩვენ ცენტრებს მეტად ჩამოვრჩით. მოსკოვ-ლენინგრადსა და ოდესა-ხარკოვში კარგა ხანია შეწყდა მასიური გატაცება ათწილად სისტემით. მთელს 1924 წლის საბიბლიოთეკონომიო



ლიტერატურაში წითელ ძაფად გაელეზულია აზრი გადასინჯვისა არა მარტო ათწილად სისტემის ტაბულისა, არამედ რუსულ ენაზე დაწერილ იმ სახელმძღვანელოებისაც კი, რომლებითაც ჩვენი ბიბლიოთეკარები სარგებლობენ. ასევე მსჯელობდა პირველი საბიბლიოთეკო ყრილობა, როდესაც დაადგინა: მიმართოს რ. ს. ფ. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარ მართველობას, ათწილად კლასიფიკაციის ტაბულების გადასინჯვამდე, ათწილად სისტემასზე ბიბლიოთეკათა გადაყვანის შეჩერების წინადადებით; თვით ეს გადასინჯვა უნდა მიენდოს სპეციალ კომისიას, რომელშიაც უნდა შედიოდნენ სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენელი და ბიბლიოთეკარ-პრაქტიკოსები.

ჩვენი საბიბლიოთეკო ავტორიტეტების მიერ ხაზგასმულია დეციმალ სისტემის 2 უმთავრესი ნაკლი. ეს ნაკლია: არამეცნიერულობა და ბურჟუაზიულობა, მართლაც, მოათესება სულ სხვადასხვა განყოფილებებში ისეთ მონათესავე დარგებისა, როგორც არის ლიტერატურა და ენათმეცნიერება, საზოგადოებრივი მეცნიერება და ისტორია, აიხსნება მხოლოდ იმ დაქველმულ ფილოსოფიურ სისტემით, რომელსაც ათწილადი სისტემა ეყრდნობა. აი, ამ სისტემის გამო, ანატომია და ფიზიოლოგია მიეკუთნა დანართ მეცნიერებას და სპორტი და სა-აზარტო თამაში მოექცა ხელოვნებაში (ხაჯინა — „Об десятичной классификации“, „Книгознае“ № 2, 1924 г. стр. 6.). მიუხედავად იმისა, რომ ტაბულა გადასინჯულია აი ამ 4 წლის წინად ბრიუსელის კონგრესის მიერ, მასში სრულებითაც არ ასახულა საბჭოთა სინამდვილე, იმ დროს როცა რელიგიას დამოუკიდებელი განყოფილება აქვს მიკუთვნილი; ეს კი ხსენებულ კლასიფიკაციის ბურჟუაზიულ დახრის მაჩვენებელია.

ასევე მოიკოვლებენ ის სახელმძღვანელოები, რომლითაც დღეს-დღეობით სარგებლობენ ჩვენი ბიბლიოთეკები. ხაჯინას სიტყვით არც-ერთი ამ წიგნთაგანი მასიურ ბიბლიოთეკებში გამოსადეგო არ არის. მართლაც, ამ სახელმძღვანელოთა  $\frac{1}{4}$  გამოდგება მხოლოდ საბიბლიოგრაფიო მუშაობაში; ხოლო მათს გამოყენებას საბიბლიოთეკო საქმეში მათი 5-6 ნიშნიანი ფორმულები (შიფრი) — კეტერი აფერხებენ და აშორებენ მკითხველთა მასას არა მარტო კატალოგს, არამედ თვით ბიბლიოთეკასაც კი. ამას გარდა, ჩვენი სახელმძღვანელოები აქარწყლებენ ათწილად სისტემის იმ ღირსებას, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს ყველა ბიბლიოთეკების წიგნთა განყოფილებად ერთგვარ დაჯგუფებაში, რასაც ეყრდნობიან ათწილად სისტემის მომხრენი. ამის გამო ჩვენს ტფილისის ბიბლიოთეკებში, რომელნიც სხვა და სხვა სახელმძღვანელოებით სარგებლობენ, თქვენ იპოვით ლიტერატურას კომუნიზმის შესახებ შემდგენს ინდექსებით აღნიშნულს: 335.5, 335.5 კ. და 335.4.

რითღა გვიზიდავს ათწილადი სისტემა? -- მეტად მოხერხებულ ინდექსაციით, ე. ი. ფორმით. ამიტომაც შესაძლოა, რომ კომისია, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს რ. ს. ფ. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მიერ, ასევე მიუღებდა საკითხს: აიღებს ფორმას და ამოავსებს მას ახალ შინაარსით.

ათწილად სისტემის საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენს ბიბლიო-

თეკათა ცხოვრებასთან. ათწილად სისტემებზე გადაყვანა ჩვენის ბიბლიოთეკებისა დღეის საკითხია. ამიტომაც კარგი იქნება, ყველა ბიბლიოთეკარმა გაგვიზიაროს თავისი აზრი ამ საგანზე, და შევეტყობინოს თავის პრაქტიკის შედეგები წიგნთა ათწილად სისტემით კლასიფიკაციაში\*).

ე. გორინა.

## საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტთან არსებულ ქართულ დეციმალისტთა კოლეგიაში ჩემს მიერ შეტანილი იყო წინადადება, რათა პუბლიცისტიკა აღნიშნული ყოფილიყო ინდექს 304-ით და არა 323-ით, როგორც ეს არის საერთაშორისო ათწილად კლასიფიკაციის ცხრილში. მოსაზრება შემდეგია: ინდექსი 323 აღმნიშვნელია საშინაო პოლიტიკის. პუბლიცისტიკური ნაწარმოები კი შეიძლება ეხებოდეს არა მარტო საშინაო პოლიტიკას, არამედ საგარეოსაც და ყოველგვარ სოციალურ საკითხებს. ამისათვის მისი მოთავსება 323 ჯგუფში ნიშნავს ცნების შეტის-მეტ შეზღუდვას. ინდექს 304-ის შინაარსი კი შემდეგია: სოციალური საკითხები საერთოდ; კრიტიკა სოციალურ ორგანიზაციისა და სოციალური რეფორმების, პრაქტიკული სოციალური პრობლემების. ცხადია, პუბლიცისტიკის შინაარსს ეს ინდექსი უფრო გამოხატავს, ვინემ პირველი.

დეციმალისტთა კოლეგიამ უარყო ეს წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი შესწორებანი და დამატებანი დაარღვევს დეციმალურ კლასიფიკაციის საერთაშორისო ხასიათს. მისი საერთაშორისობა კი უდიდეს პრაქტიკულ უპირატესობას წარმოადგენს. ამისათვის ყოველგვარი შესწორებანი, რომელნიც მრავლად ესაჭიროება ამ სისტემას, უნდა იქნეს შეტანილი საერთაშორისო მისშტაბით, ე. ი. ბიბლიოგრაფთა საერთაშორისო კონგრესის მიერ.

რა თქმა უნდა, მართალია ისა, რომ ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციის პრაქტიკულ მხარეს უნდა მივაკუთნოთ ყოველთვის პრიმატი. მართალია ისიც, რომ მისი საერთაშორისო ხასიათი უდიდეს პრაქტიკულ დადებით მხარეს წარმოადგენს. მაგრამ ჩემი წინადადება სრულებით არ არღვევს ამ კლასიფიკაციის საერთაშორისო ხასიათს; ამ წინადადებით სრულებით არ იცვლება ძირითადი შინაარსი რომელსავე ინდექსისა. მით უფრო რომ, ის სრულებით არ ეხება კლასიფიკაციის პრინციპს, მის საფუძველს. მე შემაქვს კორექტივი მხოლოდ ერთ-ერთ სა-

\* ) რედაქცია, სთვლის რა სასარგებლოთ ამ თემაზე დისკუსიას—ათავსებს პატივცემულ ახ. ე. გორინას სტატიას; თუმცა თვით რედაქცია სასებითა სდგას ბიბლიოგრაფიის საერთაშორისო ათწილად სისტემის ნიადაგზე და მისი შინაარსის შეცვლა შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ ისე საერთაშორისო კონგრესის გზით.

კითხვის ინდექსაციისათვის, რომელიც გამომდინარეობს არსებულ ინდექსების სწორ განმარტებისაგან. იმავე დროს ეს სწორი განმარტება პრაქტიკულათ ძალიან გაუთვლილებს შრომას როგორც კლასიფიკატორს, ისე მკითხველსაც. ამხსათვის მე კვლავ ვაყენებ ამ საკითხს კოლეგიის წინაშე და დარწმუნებული ვარ, ამ განმარტების შემდეგ ეს კოლეგია მას დადებითად გადასწყვეტს.

6. ლორთქიფანიძე,

## ხმაშალლა კითხვა

(მეთოდოლოგია და მასალები)

1. რაგვარი ამოცანაა ჩვენი წინაშე?

ეს არ არის მხოლოდ ვიწრო პედაგოგიური ან სპეციალური, ბიბლიოთეკონომიური თემა. ეს თემა ცალკე აღებული. ისევე როგორც თვითონ წ.-კ.

უკოდინარობის ლიკვიდაციის საქმე, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და და უტრადლებას მოითხოვს მთელი პრესის მხრით. განსაკუთრებით მეტიპმეტად ესაქპრობება ავტოპრობების და მეტადრე ქართულ მწერლობის უტრადლება.

როგორც ვიცით, პოლიტგანათლების მთავარმმართველობის საწარმოვო გეგმის თანახმად, საქართველოში სამი წლის მანძილზე წერა-კითხვა უნდა ასწავლონ 369.076 წერა-კითხვის ტექნიკური არმკოდნე ქალსა და კაცს 18-40 წლოვანობისას. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ მოზრდილთა წერა-კითხვის სწავლების მეთოდოლოგია ჯერ მაინც და მაინც გაურკვეველი დარგია (რუსულსა და უცხო ლიტერატურაშიც). კერძოდ მოზრდილთა წ.-კ. სწავლების არც ე. წ. ამერიკული და არც ბევრითი მეთოდებია ქართულად ნაცადი და შესწავლილი. მაგრამ მეთოდური სიძნელენი და მომავალში მოსალოდნელი ტექნიკური დაბრკოლებანიც რომ არ იყოს და ლიკვიდაციის გამტარებელი პერსონალი ასე თუ ისე აკმაყოფილებდეს თავის დანიშნულებას, მაინც ეს დიდი კითხვა სდგება თავისთავად: გადაიტყვიან თუ არა ეს 369.076 მუშა და გლეხი მუდმივ მკითხველებად, ბეკდვითი ნაწარმოების მომხმარებლებად?

რასაკვირველია, არა კმარა ასეთი კითხვის გათვალისწინება. საკიროა ამთავითვე საკითხის გადაწყვეტა არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მომავალში, ე. ი. წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ, მოგველის პოლიტიკური და სხვა უფიცობის ლიკვიდაციის არაერთი კამპანია, არამედ იმიტომ, რომ ეს ძირითადი, „შესავალი“ კამპანია არ ჩავეფუშოს, რომ, პირიქით, მან საშვილი-შვილო კვალი დასტოვოს. და აქ ჩვენ პირველ რიგში ე. წ. „ხმაშალლა სამკითხველს“ უნდა მივმართოთ. ამ სახელწოდებით ამერიკიდან გადმონერგული, რუსეთში ის ხდება ფართო მასებში განათლების ვაგრცელების ერთერთ ბუმბერაზ

იარაღად და საშუალებად. ვიწრო დარგიდან, ბიბლიოთეკონომიიდან, აღებული — ეს სპეციალური საგანი ცოცხალ ინტერესს იზიდავს მთელ პრესაში, რადგანაც ხალხის კულტურულ წარმატებაში იგი თვალსაჩინო შედეგებს მიაღწევს.

„ხმამალ სამკითხველოს“ ნიშანში აქვს ამოღებული წერა-კითხვის არ-მცოდნე ან ნახევრად მცოდნე და, საზოგადოდ, წიგნისა და კითხვისაგან განზე გამდგარი „მდაბიო“ ხალხი, რომლისთვისაც წიგნი უცხო ხილია და რომელიც ხშირად შეგნებულად ერიდება წიგნს, როგორც „ქალღმერთს“ მცოდნეებისა და საერთოდ „ნასწაულების საქმეს“. ხმამალა კითხვა, პირველყოფლისა, უქეზებს მსმენელს წერა-კითხვის შესწავლის სურვილს, შემდეგ, ის დღითიდღე და შეუმჩინებლად აჩვევს და აყვარებს წიგნს, თანდათან უნერგავს მას ცოდნა-განათლებ-ბის შექმნის მუდმივ მოთხოვნილებას და, დაბოლოს, ხდის მას გონებრივ კულ-ტურის განუწყურელ მოზიარედ.

„ხმამალ სამკითხველოს“ მოსდევს კამათი, რომელსაც უაღრესი აღმზღე-ლობითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ინერტულ მასიურ მკითხველს ის აქტიურ მოქალაქედ ჰქმნის.

მაგრამ თავიდათავი საქმე სწორედ ის არის, თუ როგორ იქნება „ხმა-მალ სამკითხველო“ და კამათი დაყენებული. თავდაპირველადვე სამაგალი-თოდ უნდა იყოს მოწყობილი, თორემ ამაოა მისი იმედი.

განათლების ასპარეზზე მოღვაწე აუცილებლად უნდა გაეცნოს „ხმამალ სამკითხველოს“ მოწყობის პრინციპებს, რომ უტყუარი წარმოდგენა ჰქონდეს იმისა, თუ რა როლი და მნიშვნელობა აქვს მას წ.-კ. და საზოგადოდ მასიურ უეცობა-ინერტობის ლიკვიდაციაში.

მრავალჯნის დაკვირვებიდან გამორკვეულია, რომ ინტერესი წიგნების კითხ-ვისადმი თავდაპირველად იზადება განსაკუთრებით ბილეტრისტიკის წაკითხვი-საგან. ამიტომ „ხმამალ სამკითხველოსათვის“ შერჩეულია საგანგებოდ (ამერი-კაში, რუსეთში) საკითხავე მოთხრობები და იწერება ახალი. ქართველი ბელე-ტრისტი უნდა გაეცნოს ამ ლიტერატურას, — ეს, ჩვენის აზრით, მის ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს, იმიტომ რომ არცერთი დარგი არ მოითხოვს მისი ნიჭი-სა და შემოქმედებითი ფანტაზიის გაფურჩქნას ისე, როგორც ამ სამკითხვე-ლოებისათვის განუუთვნილი მხატვრული სახალხო ლიტერატურა.

## 2. ძირითადი დეზულება.

„ხმამალ სამკითხველოს“ თავის საკუთარი, ხანით მოკლე, მაგრამ ურ-ყევი და ღრმა იდეოლოგია და პრაქ-ტიკა აქვს. რუსეთის ცნობილი მეთოდისტები და პრაქტიკოსები „ხმამალ სამკითხველოს“ სამოქმედო გეგმას საფუძვლად უდებენ ლენინის აზრს პროლეტარულ კულტურის შესახებ, ახკომკავშირის სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა-ზე გამოთქმულს. პროლეტარული კულტურა არ არის რაღაცა გამოფარდნილი რომ ან და გამოგონილი ცალკე პირების მიერ, რომელნიც თავიანთ თავს პრო-ლეტარულ კულტურის სპეციალისტებად აღიარებენ. ეს სულ უაზრობაა. პრო-ლეტარული კულტურა უნდა იყოს კანონზომიერ განვითარებად მთელი იმ ცოდ-

ნისა, რომელიც შეიმუშავა კაცობრიობამ კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულეთა საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების უღელ ქვეშ. „მარქსმა შეიმუშავა კომუნისმისაგან მიმავალი კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა და კიდევ დაამტკიცა ეს მხოლოდ იმითომ, რომ ვასაოცარის სიღრმით შეისწავლა ეს კაპიტალიტური საზოგადოება და შეითვისა მთელი ის ცოდნა, რაც რო წარსულმა მეცნიერებამ შეჰქმნაო“,—ამბობს ლენინი.

აწმყო—კანონზომიერი განვითარებაა წარსულისა და მის შეცნობისათვის წარსულის შეცნობაა საქირო. ოქტომბრის მიღწევების, ახალ ცხოვრების, ახალ ზნე-ჩვეულების სრული შეგნებით ვაგება, ჯერონად შეფასება და, დაბოლოს, შეგუება შეუძლებელია, თუ ყველა ეს არ დაეუბრისპირეთ ძველს ცხოვრებას, ძველი კაპიტალისტური წესწყობილების ყველა უარყოფითი მხარეებს. ეს დაპირისპირება და ეს შედარება, რუს მეთოდისტების აზრით, აშკარა უნდა გახდეს მასიური მკითხველისათვის, როგორც ღღის სინათლე, წარუშლელ შთაბეჭდილებას და ვაგუნას უნდა ახდენდეს მის გრძნობასა და გონებაზე. სანამ ჩვენ.—ამბობს ცნობილი ბიბლიოთეკონომი ე. მედინსკი,— ვაეცნობდეთ ჩვენს ახალ მწერლებს ნიკიტინ-ს, აროსე-ს, ნევერო-ს, პოდსახე-ს, სერაფიმოვიჩ-ს, და სხვებს, რომელნიც ოქტომბრის მიღწევებსა და აწინდელ ყოფა-ცხოვრებას ვვისურათებენ, საქიროა ვაეცნოთ, ძველი კლასიკური მხატვრული ლიტერატურის საშუალებით, ძველი რუსეთი, ძველი რეჟიმიო\*). ეს არა კმარა. მშრომელთა ჩაგვრა და კაპიტალიზმის სიფილიდ მარტო რუსეთში კი არ იყო; უფრო საშინლად იყო და დღესაც არის გამძვინვარებული ჩვენზე „განათლებულ“ ქვეყნებში, რასაც საუცხოოდ ვვისურათებენ ზოლა და მოპასანი—საფრანგეთში, პოლენცი და კელერმანი—გერმანიაში, კონონიციკაია და სენკევიჩი—პოლონეთში, ჯეკ ლონდონი—ამერიკაში, მულტატული—პოლანდიაში და მრავალი სხვა უცხო ქვეყნების განთქმული მხატვრები. და დღეს რუს კლასიკოსებთან ერთად ამ მწერლების რჩეული ნაწერებიც იკითხება მთელი რუსეთის უფვალავ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოში. „ზმამალი სამკითხველოსათვის“ რუსულ ენაზე მოკლე ხანში გაჩნდა სპეციალური ლიტერატურა. ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯერჯერობით ზემოდ-დასახელებული ე. მედინსკის სამ ნაკვეთად გამოცემული ძვირფასი ქრესტომატია—„Промка Читальня“ \*\*), რომელიც, ჩვენი აზრით, ქართულად აუცილილებლად უნდა გადაითარგმნოს, რადგანაც ამ დარგში ჩვენ სულ არაფერი არ მოგვეპოება.

სკოლისგარეშე განათლების ერთერთი ძირითადი მიზანი—მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებაა. „ზმამალი სამკითხველო“ უმთავრესი ამოცანაც სწორედ ისაა, რომ მან თავიდანვე, პირველ დღეებიდანვე, ღრმად უნდა დააინ-

\* ) „Красный Библиотекарь“. 1924. № 2—3, გვ 54.

\*\* ) I ნაკვეთში თავი მოყოლა აქვს ძველ რუსულ კლასიკურ ნაწარმოებს; მე-II ნაკვეთში შედინა ევროპელი მწერლები, ხოლო III ნაკვეთი, რომელიც ამ ეამად უკვე გამოსული უნდა იყოს. შეიცავს ახალ რუს ბელეტრისტებს.

ტერესოს მასიური მსმენელი, მკიდროდ დაიკავშიროს ის და, შეძლებისდაგვარად, მუდმივ მოსიარულე წევრად გახადოს. ამისათვის „ხმამალალ სამკითხველოს“ აქვს უკვე ნაცადი მეთოდური საშუალებანი.

### 3. „ხმამალალი სამკითხველო“ ოზონი უკვე აღნიშნეთ, „ხმამალალ სამკითხველოს“ რუსეთში (და მით უფრო ამერიკაში) სკოლისგარეშე განათლების სფეროში დიდი ადგილი

უკავია. ინრავალი წერილი და გამოკვლევა იბეჭდება მის მოწყობისა და მეთოდის შესახებ სპეციალურ ჟურნალებსა და სახელმძღვანელოებში. ჩვენი მიზნისათვის—ქართველ მწერლებისა და წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მომავალ მომუშავეთა ინფორმაციისათვის — საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგადი წესები.

1. აღებული უნდა იყოს პატარა, ფართო მისისათვის გასაგები, უსათუოდ დამთავრებული მოთხრობა, რომ ნისი წაკითხვა შეიძლებოდეს ერთს საათში ან საათნახევარში. შეიძლება ამისათვის შემოკლებულ იქნეს დიდი მოთხრობა. ყოველ შემთხვევაში კითხვამ არ უნდა დაღალოს ან მოაწყინოს მსმენელი;

2. მოთხრობა უნდა იყოს ცოცხალი შინაარსისა (სიუჟეტით, მოქმედებით მდიდარი), რომ საესებით იპყრობდეს, იმორჩილებდეს, იტაცებდეს მსმენელის გულისყურსა და გრძნობას;

3. მოთხრობის თემა უნდა იყოს სოციალური; ჩვენი ცხოვრების რომელსამე საკუთრებოტო საკითხს ეხებოდეს ან უახლოვებოდეს მას;

4. წამკითხველმა აზრიანი, მკაფიო, მეტყველი კითხვა უნდა იცოდეს, რომ ინტონაციით შესაფერისი შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენელბზე. ცხადია, კარგ მკითხველსაც წინასწარი გაეარჯიშება ესაქიროება.

5. მსმენელთა შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 15—16 წევრს. პატარა წრეში კითხვის შემდეგ გამართული კამათი გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება, რადგანაც მასიური მონაწილე პატარა წრეში თავს უფრო გაბედულათ გრძნობს და სწორედ ამას უნდა გავუწიოთ დიდი ანგარიში.

6. სასურველია კრება ექსპრომტად იყოს ხოლმე შემდგარი\*). ეს ადვილია ქარხანაში, სალიკვიდაციო პუნქტში—მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, სოფელში—კვირაობით ქოხ-სამკითხველისთან. ყოველ შემთხვევაში, მას მოცილებული უნდა ჰქონდეს დემონსტრაციული მზადება და „კაზიონშინია“, რომ მოსული ძალდატანებას ან უხერხულობას არა გრძნობდეს. ორგანიზატორს აქ დიდი ტაქტი და სიფხიზლე ჰმართება.

7. ცოცხალ კამათის გამოწვევასაც დიდი ხერხი უნდა. თავჯდომარის ამორჩევა და ყოველგვარი ფორმალური მიმართებები („აბა, ამხანაგებო, რას იტყვი ან ვინ იტყვის“) უკუაღებულ უნდა იქნეს. ეს აფრთხობს მასიურ მონა-

\*1 მუდმივი აუდიტორია—თუ იგი თანდათან შეირჩევა—შეიძლება ცალკე იკრიბებოდეს და მაშინ ასეთი ხერხი (ექსპრომტი) აღარ იქნება საჭირო.

წილეს, ჰბადებს უხერხულობის გრძნობას, იწვევს უადგილო ხუმრობას და, ერთი სიტყვით, კამათს თავშივე ჩაპლუნვას. კითხვის დამთავრების უმაღლეს წამკითხველმა მოხერხებულმა, დინჯი ბასით უნდა ჩააბას საუბარში გაღვივებულ შთაბეჭდილებას ქვეშ მყოფი მსმენელები და შემდეგ ჩაერიოს, რომ მსჯელობას წესიერი მიმდინარეობა მიეცეს.

ეს მხოლოდ ზოგადი წესებია, და სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა აუდიტორიას (მუშების, გლეხების, ქალთა აუდიტორიას), ცხადია, სხვადასხვანაირათ უნდა მიუღდეს სხამალა კითხვისა და კამათის მომწყობი. მუშაობის დეტალურსაც თვით პრაქტიკა განუმარტავს.

#### 4. ქართულად საკითხავი მასალა.



შ. შ. ლ. ენაზე „სხამალაი საკითხველის“ რეპერტუარი საკმაოდ მდიდარია. ამას გარდა, ის უკვე პრაქტიკით „ნაცდია“. მაგრამ ადვილი არ არის

მზგავსი მასალის გამოჩვენა ქართულ ბელეტრისტიკიდან. ბევრ ძიების შემდეგ ჩვენ ამოვარჩიეთ ჯერჯერობით მხოლოდ ეს თხუთმეტიოდე მოთხრობა (ფრჩხილებში მოგვყავს საუბრის თემა(ც):

#### ა). — ძ ვ ე ლ ი რ ა ე შ ი მ ი.

1. შ. არაგვისპირელი. „ჩემი ბრალი არ არის, ლმერთო“. (საუბრის თემა: გლეხის დარბევა სოფლის „კულაკის“ მიერ; თანამედროვე წყობილება და კლასიური სასამართლო);

2. ლალიონი. (მამულაშვილი). „ბეჟუჟკას ზვედრი“ (თემა: მემამულეები; გლეხის მტარავალი კლასი; გლეხთა აჯანყებანი, როგორც კლასიური ბრძოლა, ამ მტარავლობის საწინააღმდეგოდ მიმართული).

3. დ. კონჭაძე. „სურამის ციხე“. (სათანადო შემოკლებით) (თემა: ბატონყმობა საქართველოში; დღევანდელი სოფლის საბჭოები);

4. ე. ნინოშვილი. „მოსე-მწერალი“. (შემოკლებით). (თემა: ძველი სოფლის გამყიდველი ხელისუფლება და ჯარში გაწვევა ხელმწიფისათვის ერთის მხრით, მეორეს მხრით — საბჭოთა სოფელი და წითელ არმიის უხენაესი დანიშნულება);

5. ა. ყაზბეგი. „ბერდია“. (თემა: ძველი თვითმპყრობელობის საწინელება; თავისუფალი საქართველოს საკუთარი, გლეხის შვილებისაგან შემდგარი ჯარი; მოკაეშირე, სამეურნეო აღმშენებლობაში დამხმარე რუსეთი);

6. შ. არაგვისპირელი. „არ გვინდა, არა!“ (თემა: სახალხო განათლების საქმე ძველსა და თანამედროვე ხანაში, წ.-კ. უკოდინ. ლიკვიდაცია და მრავ. სხვა ზომები);

7. დ. კლდიაშვილი. „შერისხვა“. (თემა: ხატზე გადაცემა და ცრუმორწმუნოების სხვა მაგალითები; სარწმუნოებრივი სიბნელე);

8. ე. ნინოშვილი. „მონადირე“. (შემოკლებით). (თემა ისეთივე, რაც § 1-ში)

9. ლალიონი. „ფირალი დავლაძე“. (შემოკლებით). (თემა: ყაჩაღობა, როგორც კული აღზრდის, საერთო გაუნათლებლობის და ძველი სოციალური წყობილების შედეგი);

10. ბ. კელერსანი. „მადარო ძია თომა“ (თემა: უმწეო მდგომარეობა მუშის ობლების საზღვარ-გარეთ; საბჭოთა დაზღვევის კანონები; საქარხნო სკოლები, მუშაკები და სხვა).

11. ჰ. სენკევიჩი. „ბარტეკ ძღვეამოხილი“ (თემა: მილიტარიზმი; კაპიტალისტურ ქვეყნებისა და ჩვენი ჯარის განსხვავება);

12. კ. პიუგო. „გავროში“ (შემოკლებით). (თემა იგივეა, რაც § 10-ში. ამახსენებთ: კაპიტალიზმი და უმუშევრობა; ჩვენი პიონერების იდეალი.)

13. ვ. გარსინი. „ნიშანი“ (იხ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება. 1904. № № 277-78) (თემა: მუშათა კლასის ბრძოლა უცხო ქვეყნებში; ორგანიზაციის საკითხები).

14. ვ. ვერსაევი. „ვარსკლავი“ (იხ. „ცნობ. ფურც.“ დამატ. 1903. № 161) (თემა: რევოლუციონერთა თავგანწირულება; ოქტომბრის რევოლუცია)

### ბ). — ა ხ ა ლ ი ც ხ ო ვ რ ა მ ბ ა .

სამწუხაროდ თანამედროვე ქართულ მწერლობაში თითქმის სულ არ მოგვეპოვება ისეთი მხატვრული ნაწარმოები, სადაც ახალი ყოფა-ცხოვრება იყოს დასურათებული. გვსურს ამ გარემოებას ქართველ მწერლების ყურადღება მივაქციოთ\*). იმ ორიგინალურ ბალეტრისტიკას, რომელიც დღემდე გამოვიდა (გ. ქუშიშვილისა და ი. გედევანიშვილის ნაწერებს გარდა), თითქმის არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვს. გარდა ამისა, ეს ნაწერები უფრო გარდამავალ ხანის სურათს გვაძლევენ, ვიდრე ახალ ყოფა-ცხოვრების მაგალითებს.

„Наша эпоха — е есть еще эпоха новой культуры, а только преддверие к ней“, ამბობს ლ. ტროცკი (იხ. Вопросы Быта). Покажите нам и самим себе прежде всего, что делается на фабрике, в рабочей среде, в кооперативе, клубе, в школе, на улице, в пивной, сумеите понять, что там делается, т. е. понять необходимую перспективу для осколков прошлого и зародышей будущего. Этот призыв относится в одинаковой мере и к беллетристам и к публицистам и к рабкорам и репортерам. Показывайте нам жизнь, какою она вышла из революционной печи“ (გვ. 36).

ვიდრე ჩვენი მწერლები კარგს ახალს მოთხოვნილებს მოაწვდიან ხალს, უნდა გამოვიყენოთ ის ნაწერები, რომელიც ჯერჯერობით დიბეჭდა, და წავუკითხოთ ჩვენს აღდგომის, იმიტომ რომ აქ ასე თუ ისე მაინც ქართული ცხოვრება აწერილი.

1. გ. ქუშიშვილი. „საავამდყოფოში“ (იხ. „ჩირალდანი“ 1924, № 6-17). (თემა: მუშის უმწეო მდგომარეობა ძველს დროში; საექიმო დახმარება საბჭოთა საავამდყოფოებში; კლასური უნიფიკაციის პერსპექტივა);

2. ი. გედევანიშვილი. „ძველი და ახალი“ (იხ. უფრ. „დროში“ 1923, № 2). (თემა: ჯარისკაცის მდგომარეობა მეუისა და საბჭოთა არმიებში; ჯარისკაცის უხედავი როლი რევოლუციაში.);

\*) შესაფერის რუსულ ბალეტრისტიკას, რომელიც აქ სახეში გვაქვს. მკითხველი შეძლებს მერხლებში უნდა გაეცნოს: „Красная Нива“, „Пржектир“, „Красная Новь“, „Красный Журнал для всех“.



3. ვ. ბარნოვი „ამჰქრის მშვენება“ (ამ მშვენიერ მოთხრობას ვათავსებთ ახალთა რიგში, რადგანაც თემა მისი ფრიად აქტუალურია-სქესობრივი საკითხი; შემდეგ: ფუქსავატი გაიძვრა მოხელეობა და პატიოსანი, მაგრამ გაუნათლებელი ხელოსანთა წრე; თვითგანვითარების აუცილებლობა);

4. ირემიძე, ნ. „დრამა“ (იხ. ჟუნალი „ჩენი გზა“ 1923. № 2) (თემა: ქალის უფლებრივი მდგომარეობა ძველსა და ჩვენს დროში; ახალი ყოფა-ცხოვრება);

5. ა. მაშაშვილი. „ობლი მანო“ (თემა: სოფლის პროლეტარიატი; შრომა, როგორც ცხოვრების მამოძრავებელი ძალა; კოლექტივიზმის იდეალი);

6. გ. ქუჩიშვილი „ყაყუჩას ქორწილი“ (იხ. „ჩირაღდანი“ 1924. № 3) (თემა: სოფლის ახალგაზრდობის განვითარებლობა; სალი გართობის, თვითგანვითარებისა და სწავლის საკითხობა).

„ხმამალა სამკითხველოში“ შეიძლება დიდის ინტერესით წაკითხულ იქმნეს აგრეთვე შემდეგი წერილები:

1. ცინცაძე, კოტე. „ჩემი რევოლიუციონური წარსული“ (იხ. ჟურნალი „მომავალი“. 1923. № 4)

2. ბაკურაძე, ვ. „სოსო ჯულაშვილი-სტალინი“ (იხ. „დროში“ 1924. № 6)

3. მახარაძე, ფ. „როგორ გავხდი მარქსისტი“.

4. კამოს ბიოგრაფია.

ფორმისა და მეტადრე შინაარსის მხრით ეს წერილები ბელეტრისტულ ნაწერებს მოგვაგონებენ, შეიძლება მათ მიეკუთვნნოთ და გამოიყენნოთ წასაკითხავად იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა აუდიტორია მომზადებული. ყველა ამ წერილების საუბარის თემა ერთი და იგივეა: რევოლიუციონერის დაუდგარი ცხოვრება; მისი ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე, თავგანწირულობა ზნობრივი იდეალისათვის და სხვა დამახასიათებელი თვისებანი. რევოლიუციონერი, როგორც ცხოვრების გარდაუქმნელი და სალი და მთლიანი პიროვნების იდეალი.

სკოლის გარეშე განათლების საშუალებათა შორის ხმამალა კითხვასა და მის მომდევნო კამათს პირველი ადგილი უკავია არა მარტო იმიტომ, რომ იგი წ.-ქ. გავრცელების ძლიერი ფაქტორია. მას კიდევ ერთი დაუფასებელი უპირატესობა და ღირსებაცა აქვს. საქმე ისაა რომ ჩვეულებრივად მორცხვი და მორიდებული მასიური მკითხველი პირველად აქ, პატარა წრეში, ამოიღებს ხოლმე ხმას. აქ სწავლობს ლაპარაკს, ეჩვევა სჯა-ბაასსა, იძენს ცოდნასა და შეუმჩნევლად პასიურისაგან აქტიურ, შეგნებულ მოქალაქედ იქცევა. კლუბი — ეს უუმნიშვნელოვანესი აღზრდა-განვითარების დაწესებულება — არსებითად მისთვის მეორე საფეხურია, „ხმამალა სამკითხველო“ კი-მოსამზადებელი კლასი, რომელიც კლუბს მომავალ აქტიურ წევრებს უმზადებს. და, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იქნება, თუ ამ გარემოებასაცას შევაფასებთ და სათანადოდ არ გამოვიყენებთ.

ჟურ. „წიგნის მეგობარი“ № 1.



P-119725

წ. დ ა ს კ ვ ა .

**ს** ხ ა დ ი ა ჩვენ რუსეთის მიერ უკვე გავ-  
ლეულ და ნაცად გზას უნდა დავადგეთ

— „ხმამაღალი სამკითხველო“ (და კამა-  
თი) ჯეროვან სიმბოლურად დაეყენოთ და — ეს უმთავრესი საქმეა — იგი წ.-კ.  
უტოდინარობის ლიკვიდაციის კამპანიას მჭიდროდ დაეუკავშიროთ.

თუ უტოდინარობის ლიკვიდაციისათვის ოთხ-ოთხი თვე არის ნაწილ-ნა-  
წილად განკუთვნილი, უნდა გვახსოვდეს, რომ არა ნაკლები დრო დასჭირდება  
წ.-კ. ცოდნის შენარჩუნება-გამკვიდრებისათვის მუშაობას, რომელსაც ჩვენ ვერას-  
გზით ვერსად წაუვუვალთ. ამიტომ პოლიტიკანათლების მთავარმართველობის მი-  
ერ განსაკუთრებით ლიკვიდაციისათვის გატარებულ დიდ მუშაობას გარდა აუ-  
ცილებლათ საჭიროა:

1. მომზადებულ იქნეს მასწავლებლების, სამკითხველოს გამგეების, ახკომ-  
კავშირელების წრეებიდან ხმამაღლა კითხვის პროფესიონალურ მცოდნეთა  
კადრი (მსახიობების და ავტობიოგრაფების დახმარებით და მონაწილეობით); დეკ-  
ლამაციას გარდა, ცხადია, ამათ წინასწარ შეთვისებული უნდა ჰქონდეთ წასა-  
კითხავ მოთხრობებთან დაკავშირებული თემები;

2. სალიკვიდაციო პუნქტებთან და ბიბლიოთეკებთან ეხლავე მოწყობილ  
იქმნეს „ხმამაღალი სამკითხველოები“;

3. გამოიცეს ქართულად ე. მედინსკის ზემოდ დასახელებული ქრესტომა-  
ტია — „Громкая Читалня“ და სხვა საჭირო მასალები;

4. გამოცხადებულ იქმნეს პრემიები საუკეთესო ორიგინალური მოთხრობე-  
ბისათვის, რომელშიაც ახალი ყოფა-ცხოვრება იქნება დასურათებული.

ვიმეორებთ: „ხმამაღალი სამკითხველოს“ საბოლოო მიზანია — წერაკითხვის  
ცოდნის შენარჩუნება-განმტკიცება, ქართულ წიგნის მომხმარებელთა გამარავ-  
ლება.

ბ.

## ქოხ-სამკითხველოები

ქოხ-სამკითხველო.

**ჩ** ვ ა ნ ი სიბნელე და უვიცობა უმთავრესი  
ხელშემშლელი პირობაა ჩვენი მეურნეო-  
ბის აღდგენის საქმეში. ჩვენი ხელისუფ-

ლება არის. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება და ის ყოველგვარ თავის საქმიანობას  
ამყარებს მუშათა და გლეხთა ფართო მასსებზე. მშრომელი მასსები კი  
მართვა-გამგეობაში ფართო მონაწილეობის მიღებას შესძლებენ მაშინ, როდენ-  
საც ამისათვის სათანადოთ მომზადებულნი იქნებიან. აქედან ბუნებრივია ის ღო-  
ნის ძიებანი, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მი-  
მართავენ ხოლმე, რათა მშრომელი მასსები გამოგლიჯონ ხელიდან იმ სიბნელეს

და უეცრობას, რომელიც ყოფილმა მთავრობებმა დაგვიტოვეს მძიმე მემკვიდრეობად. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ჩვენი სოფელი. ჩვენს სოფლებში, უმთავრეს შემთხვევაში, გლეხობა ცხოვრობს ძველებურათ; ვერ ხედავს, რა ხდება მისი საკუთარი ქობის, ან მისი სოფლის იქით. ის კმაყოფილება იმ ქორებით და ხმებით, რომელთაც მას აწვდის პირველი გამკვლევი ან მესობელი. მას არ შეუძლია კრიტიკულათ შეხედოს ამა თუ იმ ხმებს ან ქორებს, ვინაიდან მას არ შეუძლია, უცოდინარობის გამო, წაიკითხოს გაზეთი ან წიგნი და გაიგოს ჭეშმარიტი ამბები, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს ამა თუ იმ დარგის გასაუმჯობესებლათ ჩვენი მთავრობა, რა დადგენილებები და კანონები გამოიციემა ხოლმე მის მიერ, და სხ.

გარდა ამისა, აუარებელი საშუალებები არსებობს ამისათვის, რომ გლეხმა თავისი მეურნეობა გააუმჯობესოს, მოიყვანოს უკეთესი მოსავალი, მოაშენოს უკეთესი ჯიშის ფრინველი და პირუტყვი, მაგრამ ყოველივე ამას ცოდნა უნდა. ამ მხრივ კი ჩვენ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ძლიერ ბეჩავ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მაგრამ თუ ბევრი ცოდნა არის საქირო ამისათვის, რომ ჩვენი პატარა მეურნეობა გაავუმჯობესოთ; ვაცილებით მეტი ცოდნა არის საქირო იმისათვის, რომ თავი გაეართვათ ჩვენს გარშემო ყოველგვარ მოვლენებს, რომ გავხდეთ ნამდვილი მოქალაქე და მივიღოთ შეგნებული მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

ტყუილათ კი არ ამბობდა ამხ. ლენინი, რომ „ჩვენთვის საქიროა სწავლა, სწავლა და სწავლა“.

რაც უფრო განათლებული იქნებიან მუშები და გლეხები ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო ადრე შეესძლებთ ჩვენი მრეწველობის აღდგენას და სასოფლო მეურნეობის დაყენებას სათანადო სიმაღლეზე.

**რ ა ლ მ ნ ხ ს ი ბ ა ზ ე ს მ ი მ ა რ ტ ა ვ ს  
ს ა ბ ზ ო ტ ა ხ ე ლ ის უ მ ჯ ე ბ ა ს წ ა მ -  
ლ ა - გ ა ნ ა თ ლ ე ბ ის დ ა რ გ ზ ი მ ი ?**

**ს ა ბ ზ ო ტ ა** ხელისუფლება თავისი ძალ-ღონის უდიდეს ნაწილს ანდობებს იმას, რომ მომავალი ჩვენი თაობა არ დარჩეს უსწავლელი. ამისათვის არის, რომ მთავრობა ხსნის სკოლებს, საბავშვო ბაღებს, აშენებს სასკოლო შენობებს და აფართოებს ძველ სკოლის შენობებს, ინახავს სხვა და სხვა ტიპის საშუალო და უმაღლეს სკოლებს. ყველაფერი ეს ჩვენი მომავალი თაობისათვის, მისი სწავლება-მომზადებისათვის კეთდება. მაგრამ გარდა ამისა საბჭოთა მთავრობა არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოზრდილებშიაც სწავლა-განათლების შეტანას. ამ მიზნისათვის მთავრობას მთელი დაწესებულება აქვს, რომელიც მხოლოდ მოზრდილების სწავლა-განათლებისათვის ზრუნავს და რომლის მსგავსი დაწესებულება არცერთ მთავრობას არ ჰქონია და არც ამჟამათ აქვს. ეს არის პოლიტიკური განათლების მთავარსამართველი. ამ სამართლებელ მიზანი, როგორც ზემოთ ვსთქვით, არის მოზრდილთა სწავლა-განათლება, ამ მიზნით ის ხსნის და ინახავს მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორცაა: წერა-კითხვის უცოდინარობის-მომსპობი სკო-

ლები, წერა-კითხვის მკირე ცოდნის მომსპობი, სკოლები ქობ-სამკითხველოები, კლუბები, სახალხო სახლები და სხვა მრავალი.

ამჟამათ ხელის უფლება დიდ ყურადღებას აქცევს ქობ-სამკითხველოს. ის უნდა გახდეს მოზრდილთა განვითარების კერად, — ყველა მოზრდილ დასახლებულ ადგილებში. ყველა თემების ცენტრში უნდა იქნეს თითო ქობ-სამკითხველო. სოფლისა და ქალაქის დაახლოებების მიზნით, სოფელი კულტურულათ უნდა იქნას ფეხზე დაყენებული და ამ მხრივ უახლოეს და გადაუდებელ ამოცანად კომუნისტური პარტია ისახავს სოფლად ფართო კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოებას.

#### რა არის კობ-სამკითხველო

**კ**ობ-სამკითხველო არის პოლიტიკანმანათლებელი დაწესებულება, რომელიც აერთიანებს სოფლის მთელ პოლიტიკანმანათლებელ მუშაობას; ნ. კ. კრუპსკაიას სიტყვით—ეს არის ჯამი განათლების ყველა ტიპის დაწესებულებებისა. მისი მთავარი ნაწილი არის სამკითხველო, მაგრამ იმავე დროს ის კლუბიც არის. ცნობათა მაგიდაცა და უჯრედიც, რომლის ირგლივ თავს იყრის და ეწყობა: მოზრდილთა სკოლა, ექსკურსიები, წარმოდგენები და მრავალი სხვა პრაქტიკული წარმოებანი კულტურულ-განმანათლებელი ხასიათისა.

ქობ-სამკითხველო იკრებს თავის გარშემო სოფლის ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ ელემენტს და, რაც მთავარია—ქობ-სამკითხველო უნდა იყოს სოფლად კულტ-განმანათლებელი მუშაობის დასაყრდენი უჯრედი.

#### რას აქლვს გლესს კობ-სამკითხველო

**კ**ობ-სამკითხველოში გლესი და გლესის ქალი შეისწავლიან, თუ როგორ სჯობს მიწის დამუშავება, მეზოსტენობა. ქობ-სამკითხველოშივე გლესი და გლესის ქალი მიიღებს პასუხს და ცნობას ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე, ყოველგვარ დეკრეტების და დადგენილებათა გაშუქებას; იქვე შეისწავლიან წერა-კითხვას; იქვე იზონიან ახალ გაზეთსა და საინტერესო წიგნებს; ქობ-სამკითხველოში გაიგებენ, თუ რა სწერია გაზეთში ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ, საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშებისა და გლეხების ცხოვრების შესახებ, თუ როგორ იბრძვიან მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იქ, სადაც ჯერ კიდევ მდიდრები და მემამულეები უდგანან სახელმწიფოს სათავეში. ქობ-სამკითხველო გლესს აძლევს საშუალებას გონიერათ და მიზანშეწონილათ გამოიყენოს თავისუფალი დრო, დასვენების დრო, იმის მაგიერ, რომ ეს დრო მან დაკარგოს სამიკიტროში ლოთობაში, სადაც ხელიდან ეცლება როგორც ჯანმრთელობა, ისე უკანასკნელი ლუკმა-პურიც. ამ რიგათ, ქობ-სამკითხველოს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მშრომელთათვის. მხოლოდ ის უნდა იქნეს საამისოთ მოწყობილი.

**ქოხ-სამკითხველს ორ-  
ბანიზაცია**

**ყ**ველ სოფელში უნდა მოეწყოს ქოხ-სამკითხველთა. მას სათავეში უნდა ედგეს საბჭო, რომელშიაც შევლენ: ქოხ-სამკითხველთა გამგე, თითო წარმომადგენელი ა. ლ. კომკავშირის, ს. კ. პარტიის, ქალთა განყოფილების ადგილობრივ უჯრედებისაგან, განათლების მუშაკთა კავშირის რწმუნებული, მიწა-ტყის კავშირის რწმუნებული, ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენელი და გლეხთა წარმომადგენელი. საჭიროების დროს შეიძლება დაშვებულ იქნენ წარმომადგენლები სხვა დანიტერესებული ორგანიზაციებიდანაც, მაგრამ ძლიერ მრავალრიცხოვანი არ უნდა იქნეს საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეობს ქოხ-სამკითხველთა გამგე, აუცილებლათ ა. ლ. კომკავშირის ან ს. კ. პარტიის წევრი:

**ქოხ-სამკითხველს გამგე.**

**თ**უ ვა ვა ვა. უფარვისა, ის ვერ მოაწყობს კარგ ქოხ-სამკითხველს. ქოხ-სამკითხველთა გამგე უნდა იყოს პოლიტიკური ანბანის მცოდნე, კარგი ორგანიზატორი, მას უნდა ესმოდეს პოლიტიკანონათლებელი მუშაობა. მას დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა ქოხ-სამკითხველთა საქმიანობასა და მოწყობის სისწორისათვის. ის უნდა იყოს ხალისიანი ადამიანი, უნდა ესმოდეს ადგილობრივი ცხოვერების პირობები, რომ საჭიროების დროს მისცეს გლეხს სასარგებლო ცნობები და დარიგება. მანვე უნდა შემოკრიბოს და ჩააბას ქოხ-სამკითხველთა მუშაობაში საჭირო მომუშავენი:

**ქოხ-სამკითხველს კულტურული ძალები.**

**ქ**ოხ-სამკითხველს მუშაობაში უნდა იღებდეს მონაწილეობას სოფლის ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მოწინავე გლეხი და ქალი, მასწავლებელი, ექიმი, ფერწალი, აგრონომი, მოსამართლე, ვეტერინარი და სხვა. ყველა უნდა იღებდეს მონაწილეობას ქოხ-სამკითხველთა მუშაობაში, ყველა უნდა ეწეოდეს მისთვის შესაძლებელ საქმიანობას.

საჭიროა, რომ გლეხმა ნათლათ შეიგნოს ქოხ-სამკითხველთა აუცილებლობა, რომ აფასებდეს მას და მის მუშაობაში იღებდეს აქტიურ მონაწილეობას. ამისათვის აუცილებელია, რომ ქოხ-სამკითხველთა მუშაობა ატარებდეს პრაქტიკულ ხასიათს და ამისათვის მასთან უნდა მოეწყოს ცნობათა მაგიდა.

**ცნობათა მაგიდა.**

**ს**წობათა მაგიდაში გლეხმა უნდა მიიღოს პასუხი ყველა მისთვის საჭირო ბოროტო საკითხებზე. ცნობათა მაგიდამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხს მისი მეურნეობისა და ცხოვერების პირობების გაუმჯობესებაში. ცნობათა მაგიდა აძლევს საჭირო რჩევა-დარიგებას, უწერს განცხადებებს, აძლევს ცნობებს, აშუქებს მთავრობის დეკრეტებსა და დადგენილებებს, იღებს საჩივრებს თანამდებობის პირთა შესახებ და მიმართავს

მათ დანიშნულებსამებრ, აძლევს პასუხს გლეხს მაწათმოწყობის, მიწისარგებლობის, საგადასახადო, დაზღვევის, სასამართლოს, სასოფლო-სამეურნეო კრედიტისა და სხვა საკითხებზე.

ცნობების გაცემის დროს უნდა უარყოფილ იქნას ყოველგვარი ოფიციალობა. გლეხი, როდესაც ცნობის მისაღებად მოდის თავს უნდა გრძნობდეს თავის საკუთარ ოჯახში. კარგი, პრაქტიკული მნიშვნელობის ცნობა მოიყვანს ქოხ-სამკითხველოში მასიურ მკითხველს. ცნობით უნდა ვისარგებლოთ კომუნისტური პროპაგანდისათვის; ყოველი ცნობა უნდა შეიცავდეს ამ საკითხის კომუნისტურ გაშუქებას; ცნობებითავე ჩვენ შევისძლებთ გლეხის ჩათრევას გაზეთებისა და წიგნების კითხვაში. ცნობის გაცემის დროს უნდა დაეინტერესოთ გლეხი ამა თუ იმ საინტერესო წიგნით ან გაზეთით. გლეხისათვის საჭირო წიგნები უნდა ინახებოდეს იქვე არსებულ სამკითხველოში.

### სამკითხველო

**ს**ამკითხველო აგროვებს და ინახავს გლეხობისათვის საჭირო პოპულარულ წიგნებს. აერცვლებს წიგნისა და გაზეთის იდეას, ხელს უწყობს მკითხველს წიგნის შერჩევაში აწყობს ხმაშემაღლ კითხვებს და განმარტებებს, როგორც გაზეთისა, აგრეთვე საინტერესო წიგნაკებისა და სხ.

### წარეხვეტი მუშაობა.

**გ**არდა ცნობათა მაგიდისა და სამკითხველოში, რომლებიც აუცილებლათ უნდა იყოს ყველა ქოხ-სამკითხველოში, საჭიროა აგრეთვე, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, მოწყობილ იქნას სხვა და სხვა წრეები, მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო წრე, რომელიც შეისწავლის სასოფლო სამეურნეო საკითხებს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ბოსტანი, როგორ დამუშავდეს მიწა, როგორ მოვიშროთ თავიდან სხვადასხვა მავნეები, სარეველი მცენარეები, როგორ მოშენდეს ბაღი, როგორი მოვლაა საჭირო პირუტყვისათვის, ფრინველისათვის და სხვა მრავალი; საინტარულ-ჰიგიენური წრე, რომელიც ასწავლის ჰიგიენას შინაურ ცხოვრებისათვის, პირველი დახმარების აღმოჩენას-დაჭრის, დაწვის, გულწასვლისა და სხვა შემთხვევების დროს; კოოპერატიულ-ეკონომიური წრე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობას კოოპერატიულ გაერთიანებას; ქალთა შორის მუშაობის წრე; კორესპონდენტთა წრე; დრამატიული წრე; სასპორტო; მუსიკალური და სხვა.

ყოველისავე ამისათვის ქოხ-სამკითხველოს უნდა ჰქონდეს საჭირო თანხები და შესაფერისი შენობა:

### საპირი თანხები.

**ქ**ოხ-სამკითხველო ინახება სამაზრო აღმასკომის ხარჯზე, მათი ხარჯები გატარდება სამაზრო აღმასკომის ხარჯთაღრიცხვაში, მაგრამ ჩვენი მაზრების ბიუჯეტი უმეტეს შემთხვევაში ღარიბია და ვერ კისრულობს ქოხ-სამკითხველოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამისათვის ქოხ-სამკითხველოს საბჭომ თვითონაც უნდა ეძიოს ადგილობრივ შემოსავ-

ლის წყაროები, როგორც თვით დაბეგვრით, შეფების გამონახვით, ჟურნალ-გაზეთების გამოწერით, წარმოდგენების მოწყობით, და, ბოლოს, კოოპერატიულ დაწესებულებებსაც შეუძლიან მცირე დახმარების აღმოჩენა %/0-ლი ანარიცხის სახით და სხვა.

**ბინა ქობ-სამკითხველოსათვის.**

**ყ**ოველ ქობ-სამკითხველოს უნდა ჰქონდეს შესაფერი ბინა, ორი ოთახი მაინც. ძლიერ საჭიროა, რომ ქობ-სამკითხველო იყოს მოთავსებული თვალსაჩინო ადგილას, სოფლის შუა გულში. ყველა ქობ-სამკითხველოს შენობას უნდა ჰქონდეს წარწერა — „ქობ-სამკითხველო“.

**აღრიცხვა და ანგარიშიანობის საქმე.**

**ყ**ველმა ქობ-სამკითხველომ უნდა მოაგვაროს აღრიცხვა და ანგარიშის საქმე, უკანასკნელი არ უნდა ატარებდეს უსათუოდ ბუხგალტერის სახეს. საკმარისია სულ უბრალო ანგარიშის წარმოება. მუდამ უნდა ინიშნებოდეს შემოსული ფულები და ისა, თუ რაზე დაიხარჯა ის. უნდა სწარმოებდეს ყოველგვარი მუშაობის აღრიცხვა — უნდა იწესებოდეს, თუ რანაირი მუშაობა სწარმოებს და ვინ აწარმოებს მას, რამდენი კაცი ესწრება და როგორია მათი შემადგენლობა, რამდენ გაზეთს იწერს, რამდენი წიგნია ქობ-სამკითხველოში, რამდენი დადის ყოველ დღე ქობ-სამკითხველოში და სხვა.

აღრიცხვა და ანგარიშიანობა მოგვცემს საშუალებას შევისწავლოთ წარმოებული მუშაობა და განვივითაროთ ის მუშაობა მომავალში.

ლ. რუხაძე.

**სამკითხველოს როლი საბჭოთა აღმშენებლობაში**

**რ**ევოლუციამ დიდი ნაბიჯით წასწია წინ ჩვენი ცხოვრების სოციალიზაცია, რომლის საჭიროება და აუცილებლობა უკვე ნათელიყო კულტურულ განვითარების პროცესში.

თუ საბჭოთა მთავრობა ამდენ ყურადღებას აქცევს ცხოვრებაში კოოპერატიულ პრინციპის განხორციელებას, საერთო საცხოვრებელ ბინების მოგვარებას, საზოგადოებრივი სასადილოების მოწყობას,— მით უმეტეს, ღირსი არის იმისი ყურადღების სამკითხველოები, რომელნიც უნდა წარმოადგენდნენ საზოგადოებრივ სამუშაო კაბინეტებს, ინტელექტუალურ მუშაობის ადგილებს. საჭიროება ამისთანა სამუშაო ადგილებისა დიდი არის, რადგანაც, ბინის კრიზის გამო, არც პასუხისმგებელი მუშაკებს, არც უბრალო მუშებს, არც მოსწავლე ახალგაზრდობას, აღარც ინტელიგენციას შინ სათანადო პირობები ინტელექტუალურ მუშაობისათვის არა აქვს.

სათანადო ოთახების შოვნა ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში თუმცა ადვილი საქმე არ არის, — მაგრამ მაინც შესაძლებელია. უნდა ითქვას, რომ სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლისა და სახალხო სახლის სამკითხველო დარბაზთა გარდა, მხოლოდ კიდევ ამიერ კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს აქვს სათანადო ოთახი. სხვა ბიბლიოთეკებს აქვთ პატარა და ზნელი ოთახები (ყოფილი დუქნები), რომლებიც ვერ იზიდავენ ვერც მომუშავეს სამუშაოდ და ვერც წიგნების კითხვით დროს გასატარებლად. ჯერ-ჯერობით ისინი წარმოადგენენ საგანთო, ახალ ამბების შესატყობ ადგილებსა და მეტს არაფერს. ხოლო სამკითხველოს მუშაკთა და თანამშრომელთ ევალებათ მიიზიდონ ხალხი და შეაჩვიონ იქ მუშაობას. თვითთულმა სამკითხველომ უნდა შეიძინოს საკუთარი მუდმივი კონტინგენტი მკითხველთა და მეცადინეთა. თუ ამ მიზანს მიაღწევს სამკითხველოს გამგე, თავისთავად შეიძენს მოხალისე დამხმარეებს მკითხველთა შორის ოთახის მოწყობასა და დამშვენების საქმეში. თუ ამ მიზანს მიაღწევს — ეს ნამდვილი საქმით კომუნისმის პროპაგანდა არის, რომელიც, ლენინის სიტყვის თანახმად, მეტს უდრის, ვიდრე საპროგრამო სიტყვებისა და სარეგულირციო ლოზუნგების ქადაგება.

ბიქტორ ბროსე.

## წიგნი

**წიგნი** უდიდესი ფაქტორია კაცობრიობის ცხოვრებაში. წიგნებში დაგროვებულია საუკუნეების ცოდნა-გამოცდილება. კულტურული წინ-სვლა და განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, რომ წიგნებში არ იყოს აწერილი განვლილი საფეხურები.

ყოველი კულტურული მიღწევა, ყოველი გაუმჯობესება და აღმოჩენა უმაღლე წიგნებში აღიბეჭდება და ენახება სამუდამოთ მომავალ თაობებს. მათ აღარ სჭირდებათ თავიდან დაიწყონ კულტურულ განვითარების განვლა, არამედ შეუძლიათ მისი განგრძობა. უწინ კი, წერა-კითხვის გამოგონებამდე, აგრე არ იყო. «შორეულ პრეისტორიულ წარსულში ყოველი კულტურული მონაპოვარის შესანარჩუნებლად არსებობდა მხოლოდ ერთი საშუალება: ზეპირი გადაცემა ადამიანთა ერთისა და იმავე ჯგუფის მცირე რიცხოვან წევრთა შორის. რამდენი კულტურული გამოცდილება იკარგებოდა მაშინ, რამდენი უბრალო მიღწევები უნდა ხელ-ახლა აღმოჩინათ და განმეორებული დაემახსოვრებიათ ბერჯერ და ზედიზედ. ჩვენი ეხლანდელი წიგნები სხვა არა არის რა, თუ არ ადამიანის მეხსიერება გაზრდილი და გაფართოებული ტიტანიურ ზომამდე; ის აგროვეს და ინახავს ყველაფერს, რაც კი როდისმე უფიქრიათ და უგრძენიათ». (რ. ლოტცე).

ამიტომ წიგნი შეიქნა ჩვენი მუდმივი თანამგზავრი. კულტურული ადამიანი ყოველ ნაბიჯზე გრძნობს წიგნის საჭიროებას და მუდამ მიმართავს მას რჩევა-დარიგებისათვის. წიგნი საუკეთესო მეგობარია ჩვენი, მოუსყიდველი და მიუღვა-



მელი. აკენში თუ არა, სამი-ოთხი წლიდან უკვე წიგნს გვაძლევენ ხელში და საფლავის კარამდე ისაა ჩვენი ხელმძღვანელი და მასწავლებელი. ძველი ეგვიპტელები კი საიქიოსაც ატანდნენ წიგნს მიცვალებულს, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო გარდაცვლილის დამსახურება ამ სოფლად და დარბევბა, თუ როგორ მოქცეულიყო ღმერთების სამსჯავროში ოზირისის წინაშე და როგორ დაეცვა თავი.

რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობა, მით უფრო იზრდება წიგნის საჭიროება და მოთხოვნილება. განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20-ის დასაწყისიდან, საოცრად გაიზარდა ბეჭდვით სიტყვის გავლენა. ათიათასობით იბეჭდება და ერცელდება ყოველნაირი წიგნები კულტურულ ქვეყნებში. ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი ხომ მილიონებს აჭარბებს, განსაკუთრებით ინგლისში და ამერიკაში. ყოველ-დღიური პრესა, რომელშიაც მოთავსებულია ცნობები დედა-მიწის ყოველი კუთხიდან, რომელშიაც იპოვნით თვალსაჩინო მოვლენებს მრავალ ხალხთა მიმდინარე ცხოვრებიდან,—პრესა, რომელიც ელვის სისწრაფით ღებულობს რადიო-ცნობებს დედა-მიწის ყოველი კუთხიდან,—ნიადღარივით ელვა ქუჩებს, ქაჩხნებს, სრა-სასახლეებს და ავრცელებს ყოველ-დღიურ ამბებს მრავალ ხალხთა ცხოვრებიდან.

ამიტომ განუზომელია გავლენა ბეჭდვითი სიტყვისა, რომლის უმთავრესი წარმომადგენელი წიგნია. წიგნი მუდამ მეცნიერობას ემსახურებოდა, მაგრამ თვითონ ის სულ უკანასკნელად გახდა მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად. განათლებულ ქვეყნებში მაინც კარგა ხანია დაარსდა სამეცნიერო დაწესებულებანი, რომელთა მიზანია წიგნის ყოველ-მხრივი შესწავლა. ზოგიერთ უნივერსიტეტებში არსებობს განსაკუთრებული კათედრები და ლექციებს კითხულობენ წიგნის შესახებ. ბოლო დროს რუსეთშიაც დაარსდა ბიბლიოლოგიური ინსტიტუტი და სეროიოზულად მოჰკიდეს ხელი წიგნის შესწავლას.

საქართველო ამ მხრით ძრიელ ჩამორჩა. თუმცა მწიგნობრობა ჩვენში არსებობს მე-5 საუკუნიდან, მაგრამ წიგნის შესწავლა-გამოკვლევა ჩვენში ჯერ არ დაწყებულა. ქართულ ბეჭდვას მალე სამასი წლის ისტორია შეუსრულდება, მაგრამ ჯერ ეს ისტორია შეუსწავლელია. ერთი წელიწადია, რაც ტფილისში დაარსდა პოლიგრაფიული წარმოების საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, სადაც ახალგაზრდა მუშა-შეიკრდებს ასწავლიან ანბანის, წიგნის და ბეჭდვის ისტორიასაც.

უკანასკნელ დროს დაარსდა აგრეთვე საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი და წიგნების პალატა. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენშიაც იკიდებს ფეხს ინტერესი წიგნისადმი, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვას სეროიოზული სამეცნიერო საზოგადოების დაარსება, რაზედაც უკვე ლაპარაკია სათანადო წრეებში — მიუღველობაში მაქვს საზოგადოება „წიგნის მეგობარი“ — და აგრედვე დაარსება ბიბლიოლოგიური ინსტიტუტისა, ან ჯერ კაბინეტის, რომელიც შემდეგ ინსტიტუტად უნდა გადაკეთდეს.

### 3. კანიშვილი.

## რა წიგნები გვჭირია?

**ს**ხალი ცხოვრება წიგნსაც სულ ახალს მოგვთხოვს. წიგნის მხოლოდ რაოდენობის და გავრცელების ზრდა საქმარისი აღარ არის წიგნის საკითხის სწორი დაყენებისათვის, საჭიროა უკვე წიგნის რაობის და დანიშნულების გადასინჯვა.

ამ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში, ორი განსაკუთრებული მიზნით თვალყურს ვადევნებ ყოველს ჩვენში გამოსულ წიგნს და წერილს ბუნებგნობის ყველა დარგში, ფიზიკა-ქიმიამში, მათემატიკაში, პედაგოგიურ საკითხებში, ტექნიკაში, მეურნეობაში და მკურნალობაში. გავეცანი აგრეთვე ყველა წინად გამოსულ წიგნებს ამავე დარგებში. შეერთებული კატალოგის შედგენამ ხელთ მომცა მათი სიაც. აღმოჩნდა, რომ ტფილისსა და ქუთაისში 1911 წლიდან დღემდე გამოსულა ამ დარგებში 415 წიგნი და წიგნაკი, გარდა პერიოდულ გამოცემებში მოთავსებულ წერილებისა, რომელთა რაოდენობაც აგრეთვე საგრძნობია და საგულსხმიერო.

ცხოვრების სულ ახალი პირობები—ახალი სკოლა, ახალი მკითხველი, ცხოვრების სიმძიმის წერტის ახალ ადგილას გადატანა, ყველა ეს წიგნსაც სულ ახალს მოგვთხოვს, მიბლიოგრაფიასაც: უკვე არა მხოლოდ უნდა გავარჩიოთ, რაც უკვე გამოსულია, არამედ ისიც უნდა გავაშუქოთ, რისი გამოცემა გვესაჭიროება ყველაზე ადრე, რა მიზნით, რა შინაარსის და რა ხასიათის,

თუ ამ თვალსაზრისით გადავთვალთ ვემოაღნიშნულ 415 წიგნს, დაერწმუნდებით, რომ ბევრი მათგანი უკვე მოქველებულია, ე. ი. კვლარა სწვდება ჩვენს სინამდვილეს. მაგრამ არის მთ შორის მრავალი, რომელთაც ღირებულებაც დიდი აქვთ ჩვენთვის, მნიშვნელობაც, მხოლოდ სამწუხაროდ, თითქმის ყოველს მათგანს, სულ მცირე გამოჩაყლისის გარდა, ერთი და იგივე ნაკლი მოსდევს: თითქმის ყოველი მათგანი განზრახულია მხოლოდ ერთი რომელსამე კერძო საკითხისთვის, ან საერთო მუშაობის ერთი რომელსამე ცალკე დარგისათვის; მაგალითად, ჩვენი სკოლის ერთი რომელიმე წლის ერთი საგნისათვის, ან ჩვენი მეურნეობის ერთი რომელიმე მხარის კლვევისათვის, და ეს იმ დროს, როცა არ გვაქვს ჯერ არც ერთი წიგნი, რომელიც გვაძლევდეს ამავე საკითხების ზოგად გაშუქებას და მუშაობის საერთო აგეგმვას..

რუსეთსა და დასავლეთში, რაც უფრო მეტი წიგნი გამოდის, მით უფრო მეტი ახალი წიგნი მისდევს მას შედგად. ჩვენში კი სწორედ ამისი საწინააღმდეგო ხდება, ჩვენი ნივთიერი შევიწროვებულობის გამო. ყოველი ახალი წიგნის გამოცემით საგრძნობლად ვიკვიანებთ დანარჩენი, უკვე დამზადებული წიგნების გამოცემას. ამიტომ უნდა სახელმწიფო ზომსაღაროთ გვკონდეს გათვალისწინებული და აწონდაწონილი, რა და რა წიგნები გვესაჭიროება ყველაზე ადრე; რა და რა დარგში, რა ხასიათისა და რა შინაარსის.

გამონაკლისის უნდა შეადგენდნ მხოლოდ მეცნიერთა გამოკლვეანი და

ხელოვანთა ნაწარმოებნი. მათი შემოქმედების შეხლულდა ჩვენი კულტურული ზრდის შებოკვა იქნებოდა.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი ამისი აუცილებლობის უკეთ შესაგრძობად. აი, მაგალითად, რა მდგომარეობაშია ჩვენი დღევანდელი სკოლა მისი წინანდელი მუშაკების შეუთანხმებელი მეთაობის გამო:

**არიომეტრიაში** 1900 წლამდე ჩვენში გამოცემულია (საკუთარი და ნათარგმნი) 8 „ამოცანათა კრებული“ და 2 „კურსი“, 1900 წლიდან კი დღემდე 25 „ამოცანათა კრებული“ და 5 „სისტემატიური კურსი“, ე. ი. სულ 33 „კრებული“ და 7 კურსი; მასასადავად სულ გვექონია ამ საგნისათვის 40 სახელმძღვანელო მოწაფისათვის და არც ერთი მეთოდური დამხმარე წიგნი მასწავლებლისათვის, გარდა ერთი პატარა სახელმძღვანელოსი „მათემატიკა პაწიებისთვის“ (1923 წ.)

**ალგებრაში** გვაქვს 1895 წლიდან დღემდე (საკუთარი და თარგმნილი): 5 „ალგებრულ ამოცანათა კრებული“ და 7 „ალგებრის ელემენტარული კურსი“, ე. ი. სულ 12 სახელმძღვანელო მოწაფისთვის და არც ერთი მეთოდური წიგნი მასწავლებლისათვის.

ამნაირადვე **გეომეტრიაში**. 1888 წლიდან დღემდე გვაქვს 8 „ელემენტარული გეომეტრია“ (7 საკუთარი ან გადმოკეთებული და 1 თარგმნილი) და 4 „თვალსაჩინო გეომეტრია“, მათ შორის ერთი სამი ნაწილით, ე. ი. სულ 14 წიგნი მოწაფისთვის და არც ერთი მასწავლებლისათვის.

ამნაირადვე **ტრიგონომეტრიაში**აც, ფიზიკაში, ქიმიაში, არაყოცხალ ბუნებაში, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, ანატომია-ფიზიოლოგიაში, გეოგრაფიის ყველა დარგებში, კოსმოგრაფიაში.

**ფიზიკაში**, მაგალითად, უკვე 14 წიგნი გვაქვს მოწაფისთვის, (8 საკუთარი და 6 თარგმნილი) და თითქმის ამდენივე მზადდება ახალი გამოცემისათვის.

არც ბავშვთა მასწავლებლებზე ბევრად უკეთ მდგომარეობაში: ზოგი საგნისათვის რამდენიმე სახელმძღვანელო აქვს ერთსა და იმავე წლისთვის, ზოგისათვის კი არც ერთი. ამას გარდა რაც არის, ისიც გამოუსადეგარია დღევანდელი სკოლისათვის.

მაგრამ ამას ვილა დაეძებს? კიდევ რამდენი ამნაირივე „ამოცანათა კრებული“ და „სისტემატიური“ კურსი მზადდება გამოსაცემად და უკვე წარმოდგენილიცაა განსახილველად. სწავლის მეთოდებიც, სახეც, მიზნებიც იცვლება ძირფესვიანად, ეს უწყენები კი თითქმის იგივე რჩება, გარდა მეტრულ ზომებზე გადასვლისა. იმდენად რომ ზოგჯერ სათაურებიც კი ძველი რჩებათ, როგორც, მაგალითად, ტრიგონომეტრიის ყველა კურსებს, რომელთაც დღესაც „სწორხაზოვანი“ ტრიგონომეტრია ეწოდებათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც „ხაზი“ მხოლოდ „ყერა-სთვის იხმარება ჩვენს მეცნიერულ ენაში, линия-სთვის კი მისი წინანდელი ქართული სახელია აღდგენილი, წირი, ამ ცნების და ყერა-ს გასარჩევად.

რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ყოველი ჩვენი ავტორი განცალკევ-

ბულად მუშაობს, მათი წიგნების შეუფარდებლობა ერთმანეთთან და სკოლის წინსვლასთან წარმოუდგენელია, თითქოს ეს ავტორები სხვადასხვა სკოლისათვის და ქვეყნისათვის მუშაობდნენ.

ყველაზე უარესია ამ წიგნების ტერმინების სრული შეუთანხმებლობა და ამითი გამოწვეული ენის არეგ-დარევა. ჩვენს დღევანდელ სკოლაში თითქმის იმდენი სხვადასხვა ნაჩვევი ტერმინოლოგიაა ხმარებაში, რამდენიც ავტორი და მთარგმნელი ჰყავს ამგვარ საგნებს.

აგილოთ იმავე მათემატიკის და ფიზიკის მაგალითები. (ინ'ემ) მათემატიკურად არა სწორი „მოცულობაც“ ჰქვია, ტანიც, გარშეცულობაც, გარტეც, სიტეც, სატეც, ე. ი. 7 სხვადასხვა სახელი.

წილარს (ძრინს) ჰქვია აგრეთვე კიდევ: წილადი, ნაწევარი, ნაწილადი, ნაწილაკი, წილაკი, კუწი და კუწოვანი, ე. ი. სულ 8 სხვადასხვა სახელი. ამავე დროს თითქმის ყოველი ამ სახელთაგანი სულ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება—სხვა ავტორების მიერ. მაგალითად, კუწი ზოგან როგორც კორპუსკული იხმარება, ნაწილადი, როგორც частное, ნაწილაკი როგორც частница ანუ მოცულება, წილაკი ისევ როგორც კორპუსკული, ნაწევარი შემოღებულია უცხო ენების გრამატიკისათვის როგორც част (ber, de, la) და სხ. და სხ.

უიმისოდაც ძნელად შესათვისებელ ცნებას—плотность ექვსი სხვადასხვა სახელი აქვს სხვადასხვა ავტორების წიგნებში: სიმკვრივე, სიმჭირხნე, სისშო, სისქელე, სიმჭიდრე და სისშირეც კი, ზოგი ფიზიკის კურსში ხედება მოწაფეს ერთსა და იმავე წელს, ზოგი გეოგრაფიის შესწავლაში, ზოგი ბოტანიკაში ან კიმიიაში, ზოგი ფიზიოლოგია-ანატომიაში ან მათემატიკაში, ისე რომ ვინ და-აჯერებს ასეთ მოწაფეს, რომ ეს ცნება ერთი და იგივეა ყველა ამ საგნებისთვის?

ყველაზე უარესია ამ არეგ-დარევაში, როცა ტერმინებად უბრალო ხალხში ხმარებულ სალაპარაკო სიტყვებს იღებენ და ყოველი ავტორი მათ თავის საკუთარ მნიშვნელობას აძლევს. მაგალითად, „ტანი“ ხან ტანია (тело) ხან სიტევე (ин'ем), ხან კორპუსი, ხან ტორსი; „მოძრავი“ ხან მართლაც მოძრავია (подвижный), ხან ძრავა (двигатель), „სისქელე“ ხან მართლაც სისქელე (руч-тота), ხან სისქე (толщина), ხან სიმკვრივე (плотность), ხან კიდევ რამე ახალი. და ასე უასართულოდ ბევრს სხვა შემთხვევაშიც.

ცხადია, რომ მკვიდრი ქართული სიტყვების ასეთი არა შეთანხმებული და თავისუფალი გამოყენება მრავალი ახალი ცნებისათვის აღარიბებს თანდათან ჩვენს ენას. მეცნიერული ცნებების დასახელების ამნაირი „შეკამანდი“ კი არღვევს დღევანდელი მეცნიერების ცნებაგარკვეულობას, შინაგან თანწყობრიობას და მთლიანობას. იმის მაგიერ, რომ პირიქით, კიდევ უფრო ხაზი გაესვა ამ მთლიანობისთვის სიტყვიერი გამოსახვის მკვიდრო მთლიანობით და თანშეფარდებულობით, რასაც აუცილებლად ეწინებოდა ადგილი, ეს ტერმინები თანწყობრივ და მეცნიერულად რომ ყოფილიყო დამუშავებული ამ საგნების სპეციალისტების მიერ თვით ცნებები მკაფიო და ნათელია ბავშისთვის, მათი

დღევანდელი დაუმუშავებელი დასახელება კი აზუნდოვანებს და ფარავს ამ ცნებების არსს, რაც შეუძლებლად ქმნის ხალხისთვის ნამდვილი, მკაფიო ცოდნის მიღებას თავის საკუთარ ენაზე. ჩვენი დღევანდელი წიგნი აბრკოლებს და არა აადვილებს ქეშმარიტი ცოდნის ჩანერგვას ჩვენს ხალხში, რითაც უხილავი სამარე ეთხრება ჩვენს ახალ სკოლას. ასეთი მდგომარეობის მოსპობა აუცილებელია.

ტფილისი მოყენილია 1918 წლიდან ტერმინოლოგიის უჯრედებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მუშაობაში ერთი ძირითადი პირობა არაა დატული უმრავლეს შემთხვევაში: მუშაობის მკაცრად მეცნიერული თანწყობრიობა და შეფარდებულება სკოლის მოთხოვნილებასთან.

რ. ნიკოლაძე — პოლიექტოვისა

## ბიბლიოთეკონომიური ტერმინოლოგია

(შ რ თ ე ქ ტ ი)

**ა**ბს შემდეგ, რაც ტფილისის უნივერსიტეტი დაარსდა და ქართულ მეცნიერებასთან სამეცნიერო ნოშენკლატურასაც საძირკველი ჩაეყარა, თანდათან გამოქვეყნდა მრავალი სამეცნიერო ტერმინების კრებული — საენათ-მეცნიერო, საანატომიო, საფიზიკო, სამეანო, სატექნიკო, სადღესტატურო და სხ. ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ე. ი. როდესაც ჩვენში საბიბლიოთეკო მშენებლობამ გიგანტური ხასიათი მიიღო — ჯერი მოდგა აგრეთვე ბიბლიოთეკონომიურ ტერმინოლოგიაზეც, მისი დაქარბით დამუშავებაზე. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე 300-მდე სხვა და სხვა ტიპის ბიბლიოთეკაა, გვაქვს უკვე სპეციალური საბიბლიოთეკო ურნალი, პოლიტგანათლების მთავარმართველობა კიდევ ჰმართავს საბიბლიოთეკო კურსებს, მაგრამ არა გვაქვს საბიბლიოთეკო მოძღვრებისა და ტენხიკის შესახები ტერმინოლოგია. არსებულ ტერმინებისა და სიტყვების ხმარებაშიაც ჩვენში დიდი არეუ-დარევა შუაქვთ. შორს რომ არ ვიაროთ, თვით სიტყვა „წიგნთსაცავის“ მე-18 საუკუნის მნიშვნელობით ხმარობენ, როდესაც ცნება „წიგნთსაცავი“ ყველაფერს შეიცავდა: „библиотека“-საც, „книгохранилище“-საც, „каталожная“-საც და ალბად კიდევ სხვა რამეს. პრესაში და მწიგნობრობაში მთელ რიგ ბიბლიოთეკონომიურ ცნებების გამოსახატავად („старопечатная книга“, „заставка“, „название“, „оттиск“ და სხვ.) რამდენიმე სხვა და სხვანაირი, ხშირად გაუგებარი სიტყვაა ხმარებაში. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

რასაკვირველია, უადგილოა ტერმინოლოგიის საჭიროების ბევრი მტკიცება. ჩვენ გვსურს მხოლოდ მოვავონოთ ყველა ჩვენს ამხანაგებს — საბიბლიოთეკო და სამუხუშემო დარგში მომუშავეებს — და მათშორის პროვინციელ ბიბლიოთეკარებს, რომ სრული ტერმინოლოგიის შემუშავება ჩვეულმბრივად კოლექტიური საქმეა და კოლექტიური თანამშრომლება საჭიროა.

ქვემოლ მოტიანლ პირველად შედგენილ მოკლე სიაში ჩვენ შევეცადენით ჩვენი აზრით უფრო საჭირო და მნიშვნელოვან სიტყვებისათვის სოგვეყარა თავი. გვერდზე მიწერილი რუსული და გერმანული ეკვივალენტები—ეს სულ გამოუნაკლისად მხოლოდ საყოველთაო ხმარებით დაკანონებული ტერმინებია. თვითულ სიტყვის შემოღების დროს განსაკუთრებით ვხელმძღვანელობდით ტერმინოლოგიის ერთერთ მთავარ პრინციპით—საერთაშორისობით (რომანულ-გერმანულ ენობრივ სფეროში).

ეს სია ნაწილობრივად გადასინჯეს და სანიმუშოდ რამდენიმე სიტყვა\*) მოგვეცეს საქ. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა, პროფ. გ. ახვლედიანმა და სერგი გორგაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

მოეწოდებთ ყველა ჩვენს ამხანაგებს—ბიბლიოთეკარებს თხოვნით: ხელი შეუწყონ დაწკებულ საქმის დაბლოებას—გამოგზავნონ „წიგნის მეგობარის“ რედაქციაში თავიანთი წინადადებანი და მოსაზრებანი ტერმინების შესახებ და თვით ტერმინები, მიგვითითონ იმ ცნებებსა და სიტყვებზე, რომელნიც ამ პირველ სიაში, უეჭველია, გამოგვჩა.

საბოლოოდ დაგროვილი და სისტემატურად დალაგებული ტერმინოლოგიური მასალა წარდგენილ იქნება სამეცნიერო საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად.

1. ბიბლიოთეკონომია	Библистеконмия	Bibliothekonomie
2. საბიბლიოთეკო ტექნიკა	Библиотечная техника	Bibliothestechnik
3. საბიბლიოთეკო ხუროთმოძღვრება	Библиотечная архитектура	Bibliotheksbaukunst
4. საბიბლიოთეკო სტატისტიკა	Библиотечная статистика	Bibliotheksstatistik
5. წიგნით ვაჭრობა	Книготорговля	Buchhandel
6. წიგნის ქულბაქი	Книжный рынок	Buchmarkt
7. გამომცემლობა	Издательство	Verlagsbuchhandlung
8. ბიბლიოთეკა	Библиотека	Bibliothek, Bücherei
9. წიგნთსაცავი	Книгохранилище	Büchereisaal, Bücherraum.
10. სამკითხველო	Читальня	Leschalle
11. სამკითხველო დარბაზი, ოთახი	Читальный зал, чит. комната	Lesesaal, Lesezimmer.
12. წიგნების გასაცემი ოთახი (განყოფილება)	Комната (отделен.) выдачи книг	Ausleihe, Ausleiheraum.
13. საკატალოგო ოთახი (პროფ. ახვლედიანი)	Каталожная	Katalogszimmer, Katalogabteilung.
14. საკაზმავე (საყდო, სახლოსნო?)	Переплетная мастерск.	Buchbinderei.

\*) ტექსტში აღნიშნულია.

15. ქობი-სამკითხველო	Изва-читальня	
16. აკადემ. ბიბლიოთეკა	Академич. библиотека	(akademisches), wissenschaftliche Bibliothek.
17. საჯარო ბ.	Публичная б.	öffentliche B.
18. საქალაქო ბ.	Городская б.	Stadtbibliothek
19. სასოფლო ბ.	Сельская б.	Dorfbibliothek
20. ცენტრალ-სამაზრო ბ.		
21. ბიბლიოთ. ფილიალი	Филиальное отделение	Zweigabteilung, d- bibliothek, zweigbücherei.
22. ბიბლიოთეკის წესდება	Устав библиотеки	Lesetz d- Bibliothekk Statut- d- B-
23. სარგებლობის წესები	Правила пользования	Benutzungsreglement
24. თარო	Полка	Bücherbrett
25. მოძრავი თარო	Передвижная полка	Verstellbares Bücherbrett
26. წიგნების შკაფი	Книжный шкаф	Kücherschrank
27. ღია შკაფი	Открытый шкаф	Repositorium
28. მაგაზინი	Магазин	Magazin
29. მტვერსასუტი, მტვერ-სასუტი მანქანა (ს. გორგაძე)	Пылесос	Entstäuber, Staubsauger
30. სტამბა	Типография	Druckerei
31. სასტამბო ხელოვნება	Типографск. искусство	Buchdruckerkunst
32. ბეჭდვითი ნაწარმოები (პროფ. ახვლედიანი)	Произведения печати	Drucksachen, Druckschrift.
33. კატალოგიზაცია	Каталогизация	Katalogisieren, Katalogisation.
34. ქონების დავთარი *)	Инвентарная книга	Zugangsbuch, inventar
35. ანბანური კატალოგი	Алфавитный каталог	Alphabetischer Katalog
36. ფირფიტის კატალოგი (პროფ. გ. ახვლედიანი)	Карточный каталог	Zettelkatalog
37. სისტემატიური კატალ.	Систематич. каталог	Sistematischer Katalog, Realkatalog.
38. საგნობრივი კატალოგი	Предметный кат.	Schlagwortkatalog
39. ტოპოგრაფიული კატ.	Топографический кат.	Standortskatalog
40. ლექსიკონისებური კატ.	Диксионарный кат. („перекрестный“)	(ინგლის.: dictionary catalog)
41. კედელზე გასაკრავი კ.	Стенный кат.	Wandkatalod

\*) პროფ. ა. შანიძის მიერ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოღებული ტერმინი.

42. ალბომის სახის კ.	Альбомный кат.	
43. წიგნის სახის კ.	Книжный кат.	Bandkatalog (Buchka- alog)
44. ხელით ნაწერი კ.	Рукописный кат.	gesihiebenar Kat.
45. დაბეჭდილი კ.	Печатный кат.	gedruckter Kat
46. შერეობული კ.	Сводный кат.	Gesamtkafalog
47. საკატალოგო ფირფიტა	Каталожная карточка	Katalogszettel, Katalog- karte
48. ძირითადი ფირფიტა	Основная карточка	Urzettel, Hauptzettel.
49. დამხმარე ფირფიტა	Ссылочная (вспомога- тельная) карточка	Verweiszettel
50. თავი სიტყვა (სათაური- სა) (შთაფარი სიტყვა?)	Главное слово (загла- вия)	Stichwort, Schlagwort, (Ordnungsworf)
51. დრო, ადგილი გამოცე- მისა	Время, место издания	Zeit, ort. Ausgabe, Druckort, druckjahr
52. ფორმატი	Формат	Format
53. სათაური	Заглавие	Titel, Buchtitel
54. სათაურის ფურცელი	Заглавный лист	Titelbogen, titelblatt
55. სათაურის გვერდი (პროფ. გ. ახვლედიანი)	Заглавная страница	Titelseite
56. უკანა გვერდი	Оборотная страница	Rückseite
57. თავბატულობა (ს. გორ- გაძე)	Заставка	Ornament
58. ქვესათაური; მეორე სა- თაური (პროფ. ახვლე- დიანი)	Подзаголовок	Nebentitel
59. მიწაწერი	Приписка	
60. ჩანაწერი.	Запись	
61. სათაური; სახელი (ს. გორგაძე)	Название	Numer
62. ტომი	Том	Band
63. ნახევარ ტომი; ერგტომს (ს. გორგაძე)	Полутом	Halbband
64. (რვეული)	(Тетрадь)	Heft
65. ნაწილი	Часть	Teil
66. ნაკვეთი	Выпуск	Lieferung
67. წელიწდეული*)	Ежегодник	lahrbuch
68. თვეური	Ежемесячник	Monatschrift

\*) საენათმეცნიერო საზოგადოების ტერმინი.



69. კვირეული	Еженедельник	Wochenschrift
70. ორკვირეული	Двухнедельник	Zweiwochenschrift Halbmonatschrift
71. ყოველდღიური გამოცემა	Ежедневное издание	Tägliche Ausgabe
72. პერიოდული გამოცემა	Периодическое изд.	Zeitschrift
73. სტერეოტიპიული გამ.	Стереотипное изд.	Stereotypausgabe
74. ლითოგრაფიული გამ.	Литографическое изд	(Lithographieausgabe)
75. მეორე, მესამე გამ.	Второе, третье и т. д. издание	Zweite, dritte ausgabe
76. ფოლიანტი	Фолиант	Foliant
77. კვარტი	Кварт	Quart, Quartformat.
78. ოქტავი	Октав	Oktav
79. მცირე ოქტავი	Малый октав	Kleinoktav
80. ნახევ-ოქტავი	Полуоктав	Halboctav
81. მინიატურ-გამოცემა	Миниатюрное издание	Miniaturausgabe
82. ლილიპუტ-გამოცემა	Лилипут-издание	
83. თავი	Глава	Kapitel
84. სარჩევი	Оглавление	Inhaltsverzeichnis
85. საძიებელი	Указатель	Register
86. საგნობრივი საძიებელი	Предметный указатель	Sachregister
87. ანბანური საძიებელი	Алфавитный указатель	alphabetischer Regisf.
88. ქრონოლოგიური საძიებელი	Хронологический указатель	chronolog. Regist.
89. სახელთა საძიებელი	Указатель имен	Namenregister
90. წერილი	Статья	Aufsatz
91. ბროშურა	Брошюра	Broschüre
92. საცნობო; საცნობო წიგნი (პროფ. ახელედიანი)	Справочник	Nachschlagwerk
93. ენციკლოპედიური ლექსიკონები	Энциклопедические словари	Encyklopädien
94. ენობრივი ლექსიკონები	Словари (языков)	Wörterbücher
95. უცხო სიტყვათა ლექსიკონი	Словарь иностранных слов	Fremdwörterbüch.
96. ამონაბეჭდი	Оттиск	Abdruck, auszug.
97. ცალკე ამონაბეჭდი	Отдельный оттиск	Sonderabdruck, sonderauszug
98. ბეჭდვითი ნაწარმოები (პროფ. გ. ახელედიანი)	Печатные произведения	Druckschrift
99. იშვიათი გამოცემა	Библиограф. редкость	Seltenheit

100. ძვირფასი გამოცემანი	Редкие издания	Zimelien
101. რუკა	Карта	Karte
102. ნახაზი	Чертеж	Riss
103. ნახატი	Рисунок	Zeichnung
104. გრავურა	Гравюра	Gravüre
105. ძველნაბეჭდი წიგნი	Старопечатная книга	Wiegendruck
106. ინკუნაბული	Инкунабул	Inkunabel
107. ხელნაწერი	Рукопись	Handschrift, Manuskript
108. ხელთნუსხა	Автограф	Autograph
109. გრაგნილი	Свиток	Buchrolle
110. უნიკუმი	Уникум	Unikum
111. ანონიმი	Аноним	Anonym
112. ფსევდონიმი	Псевдоним	Pseudonym
113. ინიციალი	Инициал	Jnicial
114. კსილოგრაფია. კსილო- გრაფიული გამოცემა	Ксилография, ксилогра- фическое издание	Holzschnitt, Holzschnei- tausgabe
115. პაგინაცია	Пагинация	Paginieren, Seitenbeze- ichnung
116. სვეტი	Колонна	Kolonne
117. ექსლიბრისი	Ex Libris	Ex Libris, Exlibris
118. პაპირუსი (პაპირი?)	Папирус	Papyrus
119. ეტრატი	Пергамент	Pergament
120. ეკზემპლარი	Экземпляр	Exemplar
121. სავალდებულო ეკზემპ- ლარი ვეფხისტყაოსნის	Обязательный экзем- пляр	Pflichtexemplar
122. დუბლეტი, ტრიპლეტი	Дублет, триплет	Dublette, Triplette
123. პროსპექტი	Проспект	Prospekt
124. ყდა	Переплет	Einband
125. ზენაკრაფი*)	Крышка	Deckel
126. კანი; გასახვევი (პროფ. ახვლედიანი)	Обложка	Umschlag
127. წიგნის ყუა (ზურგი?)	Корешок	Büchrücken
128. წიგნის პირი	(Передний обрез)	Vorderschnitt
129. წიგნის კევი	Верхний обрез	Oberschnitt
130.	Нижний обрез	Unterschnitt
131. კიდე	Поле	Kand
132. ეტრატის ყდა	Пергаментн. переплет	Pergamentband
133. ხის ყდა	Деревянный переплет	Holzteinband
134. ტყავის ყდა	Кожанный переплет	Lebereinband
135. კოლენკორის ყდა	Коленкоров переплет	Kaliköeinband

136. ტილოს ყდა		Leineneinband
137. დაკაზმვა	Переплестать	Einbinden
138. შეკვრა	Брошюровать	Broschieren
139. შეკრული	Сброшюрованный	Broschiert, geheftet
140. კარტონი	Картон	Karton, Pappe
141. წიგნების გაცვლა	Обмен книгами	Buchtausch
142. საქალაქთაშორისო გაცემა	Междугородская вы- дача	Auswärtige Verleihung, Leihverkehr
143. საერთაშორისო გაცემა	Международная выдача	Ausländische Leihwer- kehr, Berleihung
144. წიგნების გაცემა	Выдача книг	Ausleihe
145. მოთხოვნის ბარათი	Требовательный лист. (карточка)	Wunschzettel
146. გაცემის თარიღი	Время выдачи	Datum
147. გაცემის დღე	День выдачи	
148. გაცემის (ყველი?) ვადა	Срок выдачи	Termin, Trist
149. ვადის გადაცილება	Просрочка	Prolongation
150. ფორმულარი მკითხველისა, წიგნისა	Формуляр читателя, книги	Formular d. Benutzers, d. Buches
151. რიგის ნომერი	Порядковый номер	Reihennummer
152. შიფრი	Шифр	Chiffre
153. სანიმუშო წიგნების სია	Рекомендательн. спи- сок	
154. წიგნის დღეობა	День книги	
155. დეციმალური სისტემა	Децимальная система	Dezimalsystem
156. ინდექსი	Индекс	Index
157. ინდიკატორი	Индикатор	Indicator
158. ფორმა (?)	Печатный лист	Druckbogen
159. შემავალი გამოცემანი	Текущие поступления	laufende Eingänge
160. მეყდღე, მკაზმავი	Переплетчик	Buchbider

ბიბლიოთეკარი გ. ბაქრაძე.

## როდის დაიგეგმა პირველად ქართული წიგნი?

ჩვენს წიგნთსაცავებში მოიპოვება ერთი წიგნი შედგეგის თავწარწერით: Dittionario Giorgiano e Italiano composto da Stefano Paolini con l'aiutor del M. R. P. D. Niceforo Irbachi, Giorgiano, Monaco di S. Baffilo Ad Vso de' Missionarii della Sagra Congregatione de Propaganda Fide in Roma, Nella Srampa della Sagra Congr. de Propag. Fide. C I D D C X X I X. Conlicenza de' superiori, ქართულად ეს თავწარწერა ნიშნავს: ქართული და იტალიური ლექსიკონი, სტეფანე პაოლინის შედგენილი წმ. ბასილის წესის ბერის ნიკიფორე ირბაქის, ქართველის. დახმარებით. სარწმუნეობის გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა სახმარებლად. რომში. სარწმუნეობის გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების სტამბაში. 1629. უფროსთა ნებართვით.

ამ წიგნის მესამე და მეოთხე ფურცელზე დაბეჭდილია იტალიურს ენაზე ამ საზოგადოების აგენტის (მმართველის) აქილ ვენერიოს პაპის ურბანო მერვისადმი მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია -- როდესაც პაპს მამა ნიკიფორე ირბაქის ხელით მოუყვამა საქართველოს მეფის წერილი, ის ყველასათვის გაუგებარი იყო, რადგან ისეთს ენაზე იყო ნაწერი, რომელიც არავინ იცოდა. ამ წერილთაგან გამოკვრიბეთ ასოები და ამნაირად გავაკეთეთ ლამაზი შრიფტიო. მაშინ გადაწყვეტილი იქნა მამა ნიკიფორეს დახმარებით, რომელმაც განმარტა რავდენიმე ათასი სიტყვა. დაგვებეჭდა ქართული ანბანი ზოგიერთი ლოცვებითურთ და წინამდებარე ქართულ-იტალიური ლექსიკონიო. ამ ლექსიკონის შედგენა ვენერიოს სტეფანე პაოლინისთვის მიუღწევია და მასაც იგი შეუდგენია საქართველოს მეფის მოციქულის ნიკიფორე ირბაქის დახმარებით, თანხმად ვენერიოს დარიგებისა. ამავე მიმართვაში მოხსენებულია, რომ მანამდე ქართული წიგნი სხვაგან არსად ყოფილა დაბეჭდილიო.

ამნაირად ქართულის წიგნის პირველად დაბეჭდვა დაკავშირებულია საქართველოს მეფის მოციქულის, ბერის ნიკიფორე ირბაქის რომში ყოფნასთან. აქ სარწმუნეობის გამავრცელებელს სასულიერო საზოგადოებას თავს უღწევია ქართულის შრიფტის გაკეთება. და თავის სტამბაში ორის წიგნის დაბეჭდვა. ერთი ამ წიგნთაგანი, რომლის თავ წარწერა ზევით მოვისენით, მოგვეპოვება ჩვენს წიგნთსაცავებში, ხოლო მეორე არსად მოიპოვება და ამიტომ გამოსარკვევია ვენერიოს პაპისადმი მიმართვაში მოხსენებული წიგნი-ქართული ანბანი ზოგიერთის ლოცვებითურთ დაიბეჭდა თუ არა და თუ დაიბეჭდა, რომელს წელს.

ამ კითხვის გამორკვევას და გადაჭრას მხოლოდ ზემოდ მოხსენებული სარწმუნეობის გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების და მისი ატამის საქმეების გაკნობა თუ შეგვაძლებინებს, და რადკან ამ საზოგადოების საქმეები ცო-

# DITTIONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI  
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi  
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARI  
della Sagra Congregazione de Pro-  
paganda Fide.



IN ROMA,  
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.  
CIDDCXXIX.

CON LICENZA DE' SUPERIORI.

ქართულ-იტალიური ლექსიკონი  
გამოცემული ქ. რომში 1629 წ.

(ნამდვილი ზომა).

ტად თუ ბევრად გაცნობილი აქვს მიქელ თამარაშვილს, ამიტომ მას უნდა მივმართოდ კითხვის გმოსარკვევად.

თამარაშვილის შრომის მიხედვით ნიკიფორე ირბაქი, რომელსაც რომში მიუტანია პაპის სახელზე თეიმურაზ მეფის წერილი, დაწერილი 20 ნოემბერს 1626 წ., ამ წლის დეკემბერში მისულა მესინაში, სადაც მას შეხვედრიან საქართველოსაქენ მიმავალი მისიონერები. მესინითგან ნიკიფორე ირბაქი წასულა ნეაპოლს, ხოლო იქითგან გამგზავრებული მადრიდის ისპანიის მეფისთვის თეიმურაზ მეფის წერილის მისართმევად. მესინაშიაც და ნეაპოლშიაც ნიკიფორე ირბაქი დარჩენილა რავდენსამე ხანს იქაურს ბერებთან ურთიერთობაში, ხოლო მადრიდში მას მოხდომია ძალიან ბევრს ხანს დარჩენა, რადგან ისპანიის მთავრობას არ დაუჯერებია საქართველოს მეფის მისი მოციქულობა, ვიდრე იგი არ დაურწმუნებიათ ამაში იქაურს ბერებს ნეაპოლელი ბერებისაგან ნიკიფორე ირბაქის ვინაობის შესახებ წერილის მიღების შემდეგ.

მადრიდითგან ნიკიფორე მისულა რომს. სამწუხაროდ თამარაშვილის შრომაში არ არის გამორკვეული თუ რომელს თვეში მივიდა. ჩვენის აზრით, ის უნდა მისულიყო რომს 1627 წლის არა უადრეს მარტისა. თამარაშვილი ერთს ადვილს ამბობს, რომ ნიკიფორე ირბაქი რომში ერთს წელიწადზე მეტს ხანს დარჩაო\*.) აქ ცხადია, თამარაშვილს უნდა ეთქვა, რომ ნიკიფორე რომში დარჩა ერთს წელიწადზე რავდენიმე თვით მეტს ხანსაო, რაც წელიწად ნახევარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა გამოდის, რომ ქართველი მეფის მოციქული მისულა რომს 1627 წლის ზაფხულის ერთ-ერთს თვეში.

თამარაშვილის თქმით, ნიკიფორე ირბაქის რომში დიდხანს დარჩენა უნაყოფო როდი ყოფილა. გარდა იმ საქმისა, რისთვისაც იყო მისული, დიდად შეუწყვია ხელი ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენისთვის, საცმაროდ შეუსწავლია იტალიური და მასთან ცოტა ქართული უსწავლებია სტეფანო პაოლინისთვის, რომელსაც ნიკიფორესთან ერთად შრომა გაუწყვია ლექსიკონის გამოცემისთვის. ნიკიფორეს დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე რომში ქართული სტამბის დაარსების საქმეში <sup>1)</sup>.

იგივე თამარაშვილი თავის ფრანგულად დაწერილ წინგში ამბობს: პაპის პასუხის მოლოდინში მყოფი საქართველოს მეფის მოციქული შეუღდა მამა თეატინელისთვის თავის ენის სწავლებას, სარწმუნოების გამავრცელებელ სასულიერო საზოგადოებას დაარსებინა სტამბა ქართული წიგნების საბეჭდავთ და იქ დააბეჭდინა ამ ენაზე ერთი პატარა ლოცვანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონიო.<sup>2)</sup>

თამარაშვილის ნათქვამითგან გამოდის, რომ ჯერ **პატარა ლოცვანი** დაბეჭდილა, შემდეგ ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ცხადია, თამარაშვილისაგან

\* იხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902. გვ. 95.

<sup>1)</sup> იხ. იქვე

<sup>2)</sup> იხ. L'Eglise Géorgienne des oridines jusqu'à nos jours. Paris. 1910 p. 505.

მოხსენებული პატარა ლოცვანი არის ის, რასაც აქელ ვენერიო ეძახის ანბანს **ზოგიერთი ლოცვებითურთ**, რადგან შექველია, რომ მიველ თამარაშვილს, (M. Tamarati) რასაც ამბობს ირბაქზე და მის ნამოქმედარზე, მის საბუთები უნდა ნახული ჰქონდეს რომის არქივში. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან გადაწყვეტილად ჩაეთვალათ ის კითხვა, თუ რომელი წიგნი დაბეჭდილა პირველად. ეს წიგნი ყოფილა **ქართული ანბანი ზოგიერთი ლოცვებითურთ**.

ახლა საკითხი ის არის, თუ როდის დაიბეჭდა ეს პირველი ნაბეჭდი წიგნი.

ჩვენ ვიცით, რომ ლექსიკონი, როგორც მის თავწარწერა მოწმობს, დაბეჭდილია 1629 წ., როდესაც ირბაქი აღარ იყო რომში. ამიტომ თამარაშვილის ნათქვამი, რომ ირბაქმა დააბეჭდინა ლექსიკონიო, უნდა ისე გავიგოთ, რომ ირბაქის მოუმხდებინებია დასაბეჭდათ ლექსიკონი. ეს უთუოდ ასეც უნდა ყოფილიყო და არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ლექსიკონის ბეჭედა შესრულებულიყევს ან დაწყებულყევს ირბაქის რომში ყოფნის დროს 1628 წელს და თავწარწერა კი დაბეჭდილიყევს 1629 წელს. ამის უარმყოფელი ერთი დიდი საბუთი ის არის, რომ ლექსიკონში, იშვიათია ისეთი ქართული სიტყვა, რომელშიც კორექტურული შეცდომა არ იყევს. ირბაქის რომში ყოფნის დროს რომ დაბეჭდათ წიგნი, უტყველია, ირბაქს გაასწორებინებდნენ ამონაბეჭდს და დაბეჭდილში იმდენი შეცდომა აღარ იქნებოდა.

მაგრამ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ პირველად დაბეჭდილს წიგნად ცნობილი წიგნი — ანბანი ზოგიერთი ლოცვებითურთ აგრეთვე დაბეჭდილიყევს ირბაქის რომითგან წასვლის შემდეგ. რომითგან კი წამოვიდა 1628 წლის დეკემბერში და წამოიღო პაპის წერილი თეიმურაზ მეფესთან, 2 დეკემბერს დაწერილი. მაშასადამე ირბაქის რომითგან წამოსვლის შემდეგ დაბეჭდილი წიგნი 1629 წლის დაბეჭდილი იქნება.

ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია. ამიტომ პირველად დაბეჭდილის წიგნის თარიღი სადავო იქნება 1628 და 1629 წელს შორის იმ დრომდე. ვიდრე ან თვით ნაბეჭდი წიგნი არ აღმოჩნდება, ან არ ვიპოვით უტყუარს და გადაჭრილს მოწმობას იმისას, თუ რომელს წელშია იგი დაბეჭდილი, რადგან ის რასაც მ. თამარაშვილი ამბობს არაფერს გვეუბნება გადაჭრით დაბეჭდვის წელიწადის შესახებ.

საბოლოოდ ამ კითხვის გადაჭრამდე კი ჩვენ უფრო დასაჯერებლად მიგვაჩნია, რომ ქართული ანბანი ზოგიერთი ლოცვებითურთ დაბეჭდილიყევს თვით ირბაქის ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით მის რომში ყოფნის დროს, სახელდობრ, 1628 წელს. ეს იმიტომ რომ ლექსიკონთან შედარებით ანბანი და ლოცვანი უფრო ადვილი მოსამზადებელი იყო დასაბეჭდათ და სულ მცირე ხნის სამუშაო იყო მისი შედგენა და დაბეჭდვა, რაიცა შეეძლო მოესწრო ნიკიფორე ირბაქს რომში ყოფნის დროს.

1628 წელზე ადრე კი, ე. ი. 1627 წელს, ამ წიგნის დაბეჭედა წარმოუდგენელია, რადგან იმ რაოდენსამე თვეს, რაც ამ წელს რომში ვაატარა, ნიკიფორე ირბაქი მოანდომებდა იტალიურის ენის შესწავლას, ქართულის ენის პაოლინისთვის სწავლებას, ქართულის შრიფტის შემუშავებას და სხვა სამუშაოს.

რაიცა შეეხება იმ კითხვას, თუ რომელი წელიწადი უნდა იქნას მიღებული ქართულის ბეჭდვის არსებობის სამასის წლის თავად, ამაზე ჩვენ ასეთის აზრისა ვართ. წიგნების ბეჭდვის დასაწყისს თარიღად უნდა მიჩნეულ იქნას ყოველსავე ევკს გარეშე მყოფი წელიწადი. ასეთი კია 1629 წ. ამ წელს დაბეჭდილი წიგნი ჩვენ თვალწინ გვაქვს, ხოლო წიგნი, რომელიც შესაძლებელია წინა წელშიც იყეს დაბეჭდილი, არა გვაქვს და არც გადაკრილი ცნობაა შენახული სადმე, რომ ნამდვილად 1628 წ. ყოფილიყვის დაბეჭდილი. ამიტომ ქართულის ბეჭდვის სამასის წლის არსებობის თავად უნდა ვივულოთ ჯერ-ჯერობით 1629 წელი.

დ კარიკაშვილი.

10 იანვარს 1925 წ.

## ქართული წიგნების უაქრთიგული კატალოგი და მათი რაოდენობა ტფილისში

**წ**არსული წლის მისის პირველ რიცხვებში საბიბლიოთეკო კაბინეტი შეუდგა დიდ-მნიშვნელოვან საბიბლიოგრაფიო შრომას და დაიწყო ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებულ კატალოგის შედგენა. ოთხი თვის მუშაობის შემდეგ უკვე გვაქონდა ხელში თხუთმეტ უმთავრეს ბიბლიოთეკის დამუშავებული მასალა.

ამ მასალის-და მიხედვით უკვე არის მომზადებული მთლიანი ანბანიური კატალოგი, საიდანაც ჩვენ შეგვიძლიან გავიგოთ, თუ რომელ სამკითხველოში მოიტეზნება ესა თუ ის წიგნი.

მუშაობის პროცესში გამოირკვა ტფილისის უმთავრეს ბიბლიოთეკების ქართული წიგნების საერთო რაოდენობა.

პერიოდულ გამოცემათა გამოკლებით, არის დაბეჭდილი ქართულ ენაზე 1924 წლის 1 ივლისამდე 7066 სხვადასხვა სათაურის ქართული წიგნი, მათს შორის 2661 გამოვიდა 1910 წლამდე, 3619— 1911-იდან 1920 დე და 786 სათაური არის დაბეჭდილი 1921 წლის შემდეგ, საბჭოთა მთავრობის დროს.

საერთო რაოდენობა ქართულ წიგნებისა ტფილისის ბიბლიოთეკებში არის დაახლოვებით 30 000 ცალი. ვამზობთ „დაახლოვებით“, რადგანაც ჯერ ჯერობით მასალა არის შეკრებილი მხოლოდ 15 უმთავრეს ბიბლიოთეკებში და შეიცავს 22.000 საკატალოგო კარტას. მხოლოდ ტფილისის დანარჩენ 40 ბიბლიოთეკაში, სადაც მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, იმყოფება დაახლოვებით 8.000 წიგნი. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წიგნთსაცავებში, რომელთაგან თვითეულს მოეპოება ძალიან ცოტა ქართული წიგნი. არ უნდა ქონდესთ, ისეთი ახალი სათაურის წიგნი, რომ უკვე არ იყოს მოთავსებული 15 უმთავრეს ბიბლიოთეკაში.



რასაკვირველია, ეს რიცხვი ყოველ დღე იცვლება, რადგანაც სულ ახალ-ახალი ქართული წიგნი იბეჭდება და ემატება ბიბლიოთეკებს.

და უნდა ითქვას, რომ ამ უმაღლესი უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული ბიბლიოთეკების შევსებას ქართულ წიგნებით.

შემდგენის ცხრილიდან შეიძლება გავიგოთ, თუ როგორ არის განაწილებული მთელი წიგნების რაოდენობა ცალკე ბიბლიოთეკათა შორის.

1. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგად. წიგნთ-საც.	4.340 წიგნი.
2. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.	3.815 "
3. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება.	2.915 "
4. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.	1.416 "
5. მუშათა ცენტრალური კლუბის ბიბლიოთეკა.	1.420 "
6. სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის სამკითხველ.	780 "
7. განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკა.	525 "
8. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.	698 "
9. ცეკავშირის წიგნთ-საცავი.	1.100 "
10. სახალხო სახლის ბიბლიოთეკა (ზუბალაშვილის სახ.).	705 "
11. წერეთლის სახელობის წიგნთ-საცავი.	863 "
12. ქართულ დივიზიის ბიბლიოთეკა.	763 "
13. პროფკავშირთა ბიბლიოთეკა ლენინის სახელობის.	403 "
14. ცენტრალურ პარტიულ კლუბის ბიბლიოთეკა.	230 "
15. ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.	168 "

სულ 20.211\*)

უქანასკნელ თვის განმელობაში, შეკრებულ მასალას მიემატა 2664 საქა-ტალოგო კარტაკი. საქართველოს მუზეუმის—1367 და სახელმწიფო არქივის—1297. როგორც ვხედავთ, პირველ რიგში დგანან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავი და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავი შეადგენს საქართველოში ქართულ ბეჭდვითი ნაწარმოებთა ყველაზე უფრო მთლიან კრებულს. სამწუხაროდ, აკლია უქანასკნელი 3 წლის გამოცემანი, რადგანაც საზოგადოებამ შექმნილია თავის არა ჰქონდა საშუალება და არცა უფლება სავალდებულო ეგზემპლარის მიღებისა იმ დროს, როდესაც ჯერ არ იყო დაარსებული საქართველოს წიგნთა პალატა. ამ წიგნთ-საცავში შეასრულა მისი უმთავრესი ფუნქცია ყველა ბეჭდვითი ნაწარმოებთა დაცვით. ამ წიგნთ-საცავის გამგის დავით კარიკაშვილის მიერ შედგენილი ქართული კატალოგი წარმოადგენს მთლიან სიას ქართულ წიგნებისას 1911 წლამდე. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ ღვაწლს საზო-

\*) აქ აღნიშნული წიგნების რაოდენობა განსხვავდება მ. გამწესებელის მიერ აღნიშნულ რაოდენობიდან, ვინაიდან აქ არის ნაჯულისმეფი სთაურთა რაოდენობა, იქ კი წიგნთა ეგზეპლარები;

გადგებისას ქართული ბიბლიოგრაფიის სფეროში. არსებობს კიდევ ერთი შესანიშნავი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. პეტერბურგში იყო დაწყებული და თითქმის შესრულებული დიდი მუშაობა ქართველ სტუდენტთა წრის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი, და იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი, ივანე ჯავახიშვილი. იმ წრემ დაიმუშავა ბიბლიოგრაფია ყველა წერილების, რომელნიც დასაწყისიდან 1910 წლამდე იყვნენ მოთავსებულნი ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

გ. ბროსე.

## წიგნი საბჭოთა საპარტიველოში

**მ** შ რ მ ე ლ ი ხალხის ეროვნული კულტურა სხვადასხვა მომენტებით ხასითდება. დედა-ენა, სკოლა, თეატრი, მშობლიური პრესა—ეროვნულ-კულტურულ განვითარების დამახასიათებელი ნიშნებია. ყოველი ხალხი, არსებობის განსაზღვრულ საფეხურზე, მისწრაფვის საკუთარი სახე გამოაჩინოს, ამოტივტივდეს, აკვალი გაავლოს“ კაცობრიობის ისტორიაში. იგი ქმნის „თავისებურ“ კულტურას, „საკუთარ“ ლიტერატურას, მუსიკას, სიმღერებს, მოკლეთ—სციდილობს დაიკმაყოფილოს ეროვნული წყურვილი

ყოველი ხალხის ეროვნული თავისუფლება განსაზღვრულ ფუძეს ეყრდნობა. ეს ფუძეა ეკონომიკა, ეკონომიური განვითარება, ეროვნული მეურნეობა. ხალხი, რომელსაც არ გააჩნია წარმოება-მრეწველობა საკუთარ მიწა-წყალზე, შეუძლებელია თავისუფალი იქნეს მეზობელ ხალხების, ეკონომიურად დაწინაურებულ სახელმწიფოების ზეგავლენისაგან. პოლიტიკური დამოუკიდებლობა ემყარება ეკონომიურ დამოუკიდებლობას, ეროვნული კულტურის განვითარება—ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას. ეს უბრალო კეშმარიტებაა.

მეორე პირობა — ხალხის მშვიდობიანობაა. ომიანობა, ნაციონალური შეუღლი, მოსაზღვრე ქვეყნებთან სისტემატიური ბრძოლა ხელს უშლის ეკონომიურ აღმშენებლობას, მაშასადამე — აფერხებს ეროვნულ კულტურის წარმატებასაც. ესეც აქსიომაა, საყოველთაოდ ცნობილი დებულებაა.

საქართველოს მშრომელი ხალხის ცხოვრებაში სწორედ გასაბჭოების შემდეგ შეიქნა შესაძლებელი ეროვნულ-კულტურული ნაყოფიერი მუშაობა. ქართველ მუშას და გლეხს არ აწუხებს ფიქრები ომის შესახებ. მშრომელი მასსა ჩაბმულია საკუთარ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, ეწევა დაუღალავ საქმიანობას სახელმწიფოებრივ მშენებლობის ყოველ სფეროში.

ჩვენც ვხედავთ, რომ საქართველოს ეროვნული კულტურის ხტობამალი მაგრდება, მტკიცდება. ამის დასაბუთება ძნელი არაა. აუარებელი ფაქტიური მასალა მოწმობს იმ გარემოებას, რომ საქართველოს „სულიერი კულტურა“ დაადგა აღორძინების სწორ გზას, შეიქმნა მისი შემდეგი განვითარების ნაყიერი ნიადაგი. შეიძლება მრავალი მაგალითების მოყვანა. ყველაზე უფრო საინტერესოა

„წიგნის თვალსაზრისი“. ქართული წიგნის მდგომარეობის გათვალისწინება უსათუოდ მრავალმეტყველობს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკასზე.

ერთი მეცნიერი ამბობდა: მითხარით, რამდენ საპონს ხარჯავს ხალხი, და გამოგიკვლევთ მის კულტურულ დონესო. ყოველ პოლიტიკოსსაც შეუძლია ანალოგიურად ილაპარაკოს: მომეციოთ ცნობა ხალხის ეროვნულ წიგნების შესახებ და გეტყვით, რამდენადაა დაცული მისი თავისუფალი შემოქმედებაო.

დღესაც მრავალია ჩვენს ქვეყანაში ურწმუნო თომას ტიპები. მათ არ სჯერათ არც ქართული წიგნის ბაზრის ზრდა, არც მისი მომავალი. რა გაეწყობა, „სინდისის საქმეა“. ერთი რამ ამთავითვე ცხადია: მენშევიკების დროს ქართული წიგნის მდგომარეობა, საერთოდ წიგნის მრეწველობის საქმე ასჯერ ცუდ პირობებში იყო, ვინც ეს არის დღეს. მენშევიკებმა დაახლოებით სამ წელს იბატონეს. ამ ხნის განმავლობაში ქართულ ენაზე გამოიცა სულ რამოდენიმე ათეული სახელწოდების წიგნი, მათს რიცხვში — უმთავრესად ნათარგმნი სახელმძღვანელოები. პოლიტიკური ქართული ლიტერატურა, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა. თვითნოე ყორღანია და მისი მიმდევრებიც არ მალავდნენ ასეთ სავალალო მდგომარეობას. 1920 წ. დასაწყისში, მასწავლებელთა შესახებ მოხსენებაში, ყორღანიაშვიტმა განაცხადა: „ჩვენ არ გავაჩნია არა მარტო სკოლებისა და მასწავლებლების საქმეო რიცხვი, არ გვაქვს სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. პოლიტიკურ და სამეცნიერო წიგნების შესახებ ხომ ზედმეტია ლაპარაკი“—ო.

როგორია დღევანდელი მდგომარეობა? საბჭოთა ხელისუფლება უკვე დაახლოებით სამი წელია არსებობს. ისტორიულ თვალსაზრისით ეს უმნიშვნელო დროა. მაგრამ დიდად მნიშვნელოვანია და საგულისხმო ის შედეგები, რომლებიც მიღებულია ქართული წიგნის აღორძინების საქმეში.

ტფილისში არსებობს მრავალი საგამომცემლო ორგანიზაციები. მათი საქმიანი მუშაობა სწარმოებს უმთავრესად ქართული გამოცემის სასარგებლოთ. აი სტატისტიკური ცნობებიც:

ბ. კ. პ. ცეკას საავტ. საპროპაგანდო განყოფილება. გამომცემლ იქნა:

წ. წ.	ქართულ ენაზე		რუსულ ენაზე	
	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი
1921	9	31.500	5	7.500
1922	17	32.500	2	2.500
1923	38	64.500	1	2.000
1924	39	137.000	7	18.000

(ოქტ-მდე)

ამ რიგად, გამოიცა: ქართულ ენაზე 103 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, რუსულ ენაზე — 15; ტირაჟი: ქართულ გამ. 265.5000 ცალი, რუსული — 30.000. სულ — 118 სახელწ. 295.000 ც.

სახელმწიფო გამოცემლობა:

წ. წ.	ქართულ ენაზე		რუსულ ენაზე	
	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი
1921	16	95.200	4	4.250
1922	35	184.100	10	24.000
1923	109	687.000	17	39.000
1924 (ოქტ-მდე)	76	197.200	1	4.000

გამოიცა აგრეთვე სხვა ენებზე: 1921 წ. 3 სახელწ., 1850 ექზემპლიარი, 1922 წ.—7 სახ.—10.100; 1923 წ.—7 სახ.—11.000. მაშასადამე, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებიდან დღემდე სასელგამის მიერ გამოცემულ იქნა: ქართულ ენაზე—236 სხვადასხვა სახელწოდება, 1.163.500 ცალი. რუსულ ენაზე—32 სახ.—71.250 ც. დანარჩენ ენაზე—17 სახელწ.—22.950 ც. სულ—285 სახელ., 1.267.700 ცალი.

პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო

წ. წ.	ქართულ ენაზე		რუსულ ენაზე	
	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი
1921	—	—	—	—
1922	—	—	—	—
1923	14	13.760	1	1.000
1924 (ოქტ-მდე)	26	155.500	1	2.000

სულ გამოიცა: 42 სახელწ. 169.260 ცალი.

ც ე კ ა ვ შ ი რ ი

წ. წ.	ქართულ ენაზე		რუსულ ენაზე	
	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი
1921	—	—	—	—
1922	2	5.5000	—	—
1923	5	12.500	2	2.200
1924	5	14.500	1	1.000

სახელწ. — 15, ტირაჟი — 35 700

საქციონერო გამომცემლობა „წითელი წიგნი“: დაარსდა 1923 წლის თებერვალში. გამოიცა ქართულ ენაზე: 57 სახელწ. — 126.000 ც. რუსულ ენაზე — 34 სახელწ. 174.000 ც. სულ: 91 სახელწ. — 300.000 ცალი.

“ამიერ-კავკასიის კოოპერატიული წიგნის ამხანაგობა, (Заккнига) — ახალი საგამომცემლო ორგანიზაცია. გამოსცა ქართულ ენაზე 3 სახელწ, ტირაჟი — 11.000. რუსულ ენაზე — 13 სახელწ. ტირ. 30.000.

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტი: გამოიცა ქართულ ენაზე 14 სხვადასხვა სახელწ. — 29.000 ცალი. რუსულ ენაზე — 14 სახელწ. 36.000 ც. სალ. — 28 სახელწ. 65.000 ცალი.

ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა 1923 წ. გამოსცა ქართულ ენაზე 9 სახელწ. 38,500 ცალი.

საქ. პროფ. კავშირების საბჭომ გამოსცა 18 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი, 23,500 ც. რუსულ ენაზე 11 სახელწ., 18.200 ც.

უფო. ქ. შ. წ. კ. მ. საზოგადოების მეურ გაპოკემულ იქნა 21 სხვა და სხვა სახელწ, ქართული წიგნი, 64.500 ცალი.

ახ. ლ. კ. კავშირი.

წ. წ.	ქართულ ენაზე		სხვა ენებზე	
	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი	სახელწოდების რაოდენობა	ტირაჟი
1921	1	30.000	—	—
1922	6	1.000	—	—
1923	17	25.000	—	—

მაშასადამე, კომკავშირის მიერ გამოცემულ იქნა 24 სხედასხვა სახელწოდების წიგნი ქართულ ენაზე: 56.000 ტ.

აღნიშნულ საგამომცემლო ორგანიზაციების გარდა არსებობენ აგრეთვე კერძო და საზოგადოებრივი წერილი გამომცემლობანი ბათუმში, სოხუმში და სხ. აშკარაა, მათ მიერ გამოცემული წიგნების რაოდენობაც უნდა შენელო არაა, სამწუხაროდ, ამჟამად ფაქტიური მასალების უქონლობის გამო აქ შეუძლებელი ხდება მათი მუშაობის შესახებ საფუძვლიანი საუბარი.

აღენუსსოთ საერთო ჯამი. გამოიცა ქართულ ენაზე: 537 სხედასხვა სახელწოდების წიგნი, 1.978.760 ცალი რუსულ ენაზე — 124 სახელწ. 357.650 ცალი. დანარჩენ ენებზე 17 სახელწ. 22.950 ცალი ამ რიგად, სულ გამოცემული იქნა 678 სხედასხვა სახელწოდების წიგნი, 2.251.360 ცალი

საბჭოთა საქართველოში 32 თვის განმავლობაში (1921წ, თებერვალი — 1924წ. ოქტ.) მარტო ქართულ ენაზე გამოიცა წიგნები და ბროშურები დაახლოებით ორი მილიონი ეგზემპლარი. დემოკრატიულ საქართველოში, ამავე ხნის განმავლობაში — 32 თვეში (1918წ, მაისი — 1921წ, იანვარი) მენშევიკურ ხელისუფლების მიერ გამოცემულ იქნა მხოლოდ 193 სახელწოდების წიგნი, 560.000 ცალი, მაშასადამე დაახლოებით ხუთჯერ ნაკლები.

თანამედროვე ქართული წიგნის ბაზარი არც სიმშვილს განიცდის და არც წყურვილს. წიგნის ამდენი რაოდენობა. ქართულ ენაზე არ ახსოვს საქართველოს ისტორიას. მართალია, მოზრდილი ნაწილი ნათარგმნი ლიტერატურაა. ეს ასე ხდება ყოველი ხალხის ცხოვრებაში, როდესაც ეროვნული კულტურული რენესანსი პირველად იმართება წელში- მაგრამ არც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე საქალაო მდგომარეობასთან. ვინც თვალ ყურს ადევნებს ქართულ წიგნის მოძრაობას, ადვილად შეამჩნევს, რომ ნათარგმნი ლიტერატურა უკანასკნელ ხანებში კლებულობს ჩვენს განკარგულებაში არსებულ ცნობების მიხედვით, 1921წ, ნათარგმნი ლიტერატურა გამოცემულ წიგნების მთელი რაოდენობის 69% -ს წარმოადგენდა. 1922წ. — 57% -ს. 1923წ. — 55% -ს 1924წ. — 46% -ს ცხადია. ნორმალურ კულტურულ მუშაობის პირობებში ნათარგმნი წიგნების პროცენტი ძალზე დაეცემა, გაიზრდება ორიგინალურ გამოცემათა პროცენტი. ამის ნიშნები უკვე არის.

ვიმეორებთ, ქართული წიგნის ბაზარი ხელმოკლეობას არ გრძნობს. პირიქით, იგი საკმაოდ გაბერილია. ვერ ინელვებს ქართულ გამოცემათა ვადაპარბებულ მოწოდებას. ჩვენი ძირითადი ამოცანაა წინასწარობის დამყარება წიგნის მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის.

ქართულმა წიგნმა ვაზა გაიკაფა მხოლოდ საბჭოთა საქართველოში. ეს არის მშრომელთა ხელისუფლების სწორი ეკონომიურ პოლიტიკის პრაქტიკული შედეგი...

გ. მუშიშვილი.

## საქართველო. პროფკავშირთა საბჭოს გამომავლობა

პროფესიონალური ლიტერატურა ქართულ ენაზე ძალზე ღარიბი იყო. თუ ჩვენ მოგვეპოვებოდა თითო-ორი ბროშურა საერთოდ მუშათა მოძრაობის შესახებ, სამწუხაროდ, მისი ერთი შტოს — პროფესიონალური მოძრაობის — შესახებ თითქმის არავითარი წიგნი ყოფილა გამოცემული ქართულ ენაზე. ჩვენი მუშების ფართე მასები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას გასცნობოდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრაქტიკას თუ თეორიას, მის სხვადასხვა ფორმებს და მიმართულებებს.

საქართველო. პროფკავშირთა საბჭოს ამ მხრივ მუშაობის ფართე ასპარეზი გადაეშალა და, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა (უმთავრესად კი ნივთიერი ხელმოკლეობა) ეს ნაკლებად საკმაოდ გამოასწორა.

დღეს ქართულ ენაზე ჩვენ მოგვეპოვება უკვე საკმაოდ მდიდარი პროფესიონალური ლიტერატურა, დღეს ქართველ მუშას საშუალება აქვს ახლო გაეცნოს საერთაშორისო პროფკავშირებისა და მეტის აქტივობით ჩაებას ამ სახის მუშაობაში.

პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობა თვალყურს ადევნებდა პროფესიონალურ და ყოველსავე საყურადღებო შრომას, სადაც შესაფერად იქნებოდა გაშუქებული მუშათა მოძრაობა და მისი სხვადასხვა ფორმები, ქართულად ბეჭდვდა.

სამწუხაროდ, ჩვენ ცოტა რამ მოგვეპოვება ადგილობრივ პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ, რომელიც საერთოდ რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის ნაწილს შეადგენს.

პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობამ მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება და თავის მხრივ მიიღო ზომები ადგილობრივ პროფკავშირების გაშუქებისათვის, მისი პოპულარიზაციისა და ფართო მასებისათვის გაცნობისათვის. გამომცემლობის ღონისძიებათა შედეგად უნდა ჩაითვალოს ამხ. პრესის წიგნი: „პროფესიონალური მოძრაობა საქართველოში“. ეს არის პირველი ნაბიჯი. დღეს-დღეობით გამომცემლობას მიზნად აქვს გამოსცეს წიგნი, სადაც გაშუქებული იქნება პროფკავშირების წინა საფეხურები, მისი წინანდელი ხასიათი. ამისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს მის განკარგულებაში არსებული არქივი, რომლის სისტემაში მოყვანა და დამუშავება ახლო მომავლის საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ყოველი წიგნის ცალკე განხილვა და მის ღირსება-ნაკლებობაზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა. საქირთა ალინიშნის მხოლოდ საერთოდ ნუსხა პროფკავშირთა საბჭოს მიერ გამოცემულ წიგნებისა; ჩვენ აქ განვებ ვსტოვებთ პარტია ბროშურებს და უფრო დღიურ საკითხების. შესახებ გამოცემულ წიგნებს. ალინიშნათ მხოლოდ იმ წიგნებს, რომელშიც მოცემულია საერთოდ თანამედროვე მუშათა მოძრაობის და კერძოდ პროფკავშირების საფუძვლები, ძირითადი მიმართულებანი. პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობამ სულ დღემდე გამოუშვა:

1) ორგანიზაციის პრინციპები—ჩეკინისა; 2) მსოფლიო ინდუსტრიის მუშაკები—ჩეკინისა; 3) იაპონიის პროფმოდრაობის მოკლე მიმოხილვა—ნოსაკისა; 4) რევოლუციონერ პროფკავშირების პირველი კონგრესი—ლოზოესკისა; 5) კრებულ კავშირების ეკონომიურ მუშაობის შესახებ—ქართულ და რუსულ ენებზე; 6) პროფესიონალური მოძრაობა რუსეთში—ანტოშკინის; 7) ზუბატოვობა და გაპონობა—აინზაუტის; 8) რა არის დამზღვევი კასა—ბიხოესკის; ეს ბროშურა აღსანიშნავია მით, რომ იგი სრულიად მდაბიო და გასაგები ენით უხსნის მუშა-მკითხველს დამზღვევი კასის მნიშვნელობას, მის დანიშნულების და დახმარების მიღების წესებს. 9) კრებული შრომის კანონების შესახებ—გოდამბრელიძის; 10) შრომის სანიტარული დაცვა—გოდამბანისა; (რუსულ ენაზე); 11) ღვინინი და პროფესიონალური მოძრაობა—გირინისის; 12) შრომის ტექნიკური დაცვა—განესკისა (რუსულ ენაზე); 13) პირველი მაისი (რუსულ და ქართულ ენებზე) ი. ვარდინისა, 14) პროფესიონალური მოძრაობა საბჭოთა რუსეთში—პისანცკისა, 15) პროფმოდრაობის თეორია, პრაქტიკა და ისტორია—ჩეკინისა; 16) ნაკვლევები თანამედროვე ტრედუნიონიზმიდან—ჩეკინისა; 17) კოლექტიური ხელშეკრულებანი—ტრაბტენბერგისა; 18) ისტორია მუშათა მოძრაობისა ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში—არკ. ა.—ნ; 19) დამზღვევი კასები—ელბ. ჭიანისა; 20) პროფმოდრაობა რუსეთში—გრინეიჩისა; 21) მიმდინარეობათა ბრძოლა მსოფლიო პროფმოდრაობაში—ლოზოესკისა; 22) პროფმოდრაობა რუსეთში—ლომსკისა; 23) პროფკავშირები ახალ გზებზე—ტომსკისა; 24) კომუნისტების ამოცანები პროფმოდრაობაში—ლოზოესკისა; 25) კრებული წერილებისა და მოგონებათა ანბ. ლენინზე; 26) რა არის საწარმოო კავშირი—გირინისისა; 27) პროფესიონალური ავადმყოფობანი მუშათა კლასისა—ბაქრაძისა; 28) საერთაშორისო პროფმოდრაობა—ლოზოესკისა; 29) პროფესიონალური კავშირები 1923—1924 წლებში; 30) პროფმოდრაობის ანბანი—ჩეკინისა.

აღნიშნულ გამოცემებს უნდა დაემატოს აგრეთვე პროფკავშირთა საბჭოს მიერ გამოცემული პროფკავშირების ყველა ყრილობისა და კონფერენციების დადგენილებები და რეზოლუციები.

პროფკავშირთა საბჭო მუშათა კლასის გაჯანსაღების სერიოზულ ყურადღებას აქცევს და ყოველსავე ზომებს ღებულობს ამ იდეის პოპულიარიზაციისათვის. ერთ ერთი საშუალება ამ პოპულიარიზაციისა არის შესაფერი ლიტერატურის გავრცელება.

ამ ვაზალ პროფკავშირთა საბჭო უკვე შეუდგა აღნიშნულ ლიტერატურის გამოცემას. უკვე გადათარგმნილია და მიცემულია დასაბეჭდად რამოდენიმე ბროშურა. ერთ-ერთ ნაკლად პროფკავშირთა გამოცემლობის საქმეები უნდა ჩითვალოს პოპულიარულ ბროშურების გამოცემლობა სანიტარულ-განმანათლებელ დარგში. დღე-ღამეობით ეს ნაკლიც გამოისწორების გზაზე დაყენებული. გამოცემლობის შეკეთათ უკვე დამზადებულია მთელი რიგი ბროშურებისა, რომლებიც სულ მოკლე ხანში გამოვა.

გამოცემულ წიგნების სიიდან სჩანს, რომ ქართულ ენაზე უკვე საკმაოდ



მოზრდილი და მრავალ ვეროვანი ლიტერატურა მოგვეპოვება. დღეს საქართველოს მუშათა კლასს სრული საშუალება აქვს გაეცნოს მუშათა საერთაშორისო მოძრაობის სხვადასხვა სახეს და სულიერადაც, ისე როგორც ორგანიზაციულად, დაუკავშირდეს საერთაშორისო პროლეტარიატს.

შ — ი.

## ჩვენი სამხედრო ლიტერატურა

**ღ**არსული წლის 15 დეკემბერს დაარსდა ქართული სამხედრო საერ-  
დაქციო საგანმომცემლო კოლეგია.

დღიდან თავისი არსებობისა კოლეგიამ დაბეჭდა და გამოსცა:

- |   |   |
|---|---|
| 1. ქვ. ჯარის ბრძოლა.  | } თარგმნ. ი. გედევანიშვილის მიერ  |
| 2. ტ ა ნ კ ე ბ ი.   |   |
| 3. ქვ. ჯარის საბრძოლო სამსახური   |   |
| 4. საგარნიზონო წესდება.   |   |
| 5. ხიშტით ბრძოლა.   |   |
| 6. დასტურლამა საჩვენებელ ასეულე-<br>ბთან მეცადინეობისათვის.   | } თარგმნილი ვლ. ცაგარელის მიერ  |
| 7. ლუისის ტყვიამფრქვევი.  |   |
| 8. ფეოდოროვის ავტომატი.   |   |
| 9. სახელმძღვანელო სამხედრო ვალ-<br>დებულთა აღრიცხვისათვის.  | თარგ. გ. ჯაშის მიერ   |
| 10, 11, 12. ტაქტიკა, სახელმძღვანელო<br>სამხედრო სკოლებისათვის. სამი<br>წიგნი: შესავალი, ქვ. ჯარი და<br>არტილერია. | შედგენილი ალ. გედევანიშვილის,<br>ლავ. სლინკოს და ლევ. გარსია-<br>შვილის მიერ. |
| 13. ლაშქროსნული შევსებანი.  | } შედგენილი ალ. გედევანიშვილის<br>მიერ.                                       |
| 14. ასეულის ნაწილების ტაქტიკური<br>მომზადება.   |   |
| 15. ტაპოგრაფია  | } თარგმნილი ი. გედევანიშვილის<br>მიერ.  |
| 16. ტელეფონი  |   |
| 17, 18, 19. სამხედრო სამეცნიერო საპოლიტიკო კრებული „წითელი გუშაგი“  | შედგენილი შ. მიქელაძის მიერ.  |

№ № 1, 2, 3.

20. პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარების ძირითადი ელემენტების ტა-  
ბულა.

21. „ქოთაო“-ს ტაბულა ფერადებით.

იბეჭდება და უახლოეს ხანაში გამოვა:

1. დასტურლამა „ქოთაოს“ საწინააღმდეგო ზომების მისაღებად.

2. საველე არტილერიის ამუნაცია.

3. სახელმძღვანელო მეთაურებთან მეცადინეობისათვის.
4. ტაქტიკა-ჯარის სპეციალი გვარობანიუ
5. 1902 წ. ნიშუშის 3 დიუმიან ზარბაზნის ლაფეტი.
6. ტელეგრაფი.
7. 3 დიუმიან ზარბაზნით შეიარაღებულ ბატარეებით სროლის წესი.
8. ჰიპოლოგია.
9. ტაქტიკა -- ცხენოსანი ჯარი.
10. მოკლე სახელმძღვანელო კლევეა-ძიების წარმოებისათვის.
11. სამხედრო ბეგარა.
13. წერილები სროლის ხელოვნებაზე.

ამას გარდა გამზადებულია სტამბისათვის ათამდე ცალკე გამოცემა.

ამ გეგარად, სარედაქციო კოლეგიამ 9 თვის განმავლობაში დაბეჭდა და დაურთო სამხედრო ერთეულებს 21 ცალკე გამოცემა, 14 ცალკე გამოცემა იბეჭდება და დაურიგდება ერთეულებს უახლოეს ხანაში და გამზადებულია დასაბეჭდად ათამდე ცალკე გამოცემა.

ამათში, რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი გამოცემებისა თარგმნილია რუსულ ენიდან, მაგრამ არის ორიგინალური ნაწარმოებიც, როგორც, მაგალითად, ტელეფონი, ქვ. ჯარის ტაქტიკა და სხვა.

ყველა ხეშო დასახლებული გამოცემების გარჩევასა და შეფასებას ჩვენ დღეს არ შეუძლებით, რადგანაც ეს შორს წაგვიყვანს. საერთოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნული ნაწარმოების გამოცემით, მიუხედავად ზოგიერთი მათი ნაკლისა, სარედაქციო კოლეგიამ დიდი განძი შეიტანა ქართველ მშრომელი ხალხის კულტურის საღაროში.

აღსანიშნავია კიდევ ისიც, რომ კოლეგიამ გამოსცა პირველად ქართულ ენაზე ისეთი აუცილებელი საჭირო გამოცემანი, როგორიც არის „პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარების ტაბულა“, „ქვ. ჯარის ტაქტიკა“ და „ტელეფონი“, „ქვ. ჯარის ტაქტიკის“ შედგენა სარედაქციო კოლეგიამ მიანდო ამისათვის საგანგებოდ არჩეულ კომისიას. თუ აღნიშნული ნაწარმოები არ არის მოკლებული ზოგიერთ ნაკლს, რომელიც თითქმის აუცილებელია პირველ ცდაში, როგორც არის „ქვ. ჯარის ტაქტიკა“. სამაგიეროდ იგი საკმარისათ სრულია და, რაც უმთავრესია, იგი შეიცავს ქვ. ჯარის ტაქტიკის თითქმის ყველა უკანასკნელ მიღწევას. ამას, კი ჯერჯერობით მოკლებულია ტაქტიკის რუსული სახელმძღვანელოებიც კი. საქმე ის გახლავსთ, რომ რუსულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოები დაძველებულია და მხოლოდ ამჟამად იბეჭდება და ნაწილობრივ გამოვიდა კიდევ ახალი სახელმძღვანელო.

„ტელეფონის“ გამოცემით კოლეგიამ დიდი დახმარება გაუწია არა მარტო სამხედრო უწყებას, არამედ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებასაც, რომელმაც საგრძნობი ნაწილი ამ გამოცემისა უკვე შეიძინა, რადგანაც ქართულ ენაზე ასეთი სრული ნაშრომი არ მოიპოვება.

ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ორი გამოცემა კოლეგიისა, რომლებიც,

ჩვენის ასრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათს გვერდით სპაამოულებლოც ჩავლა ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს „სამხედრო ტენიური ლექსიკონი“ და სამხედრო კრებული „წითელი გუშაგი“.

ყოველმა ქართველმა იცის, როგორ ავფრებებს ჩვენს კულტურულ მუშაობას ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინების უქონლობა.

რასაკვირველია, შეუდგა თუ არა მუშაობას, კოლეგიაში მწვავედ იგრძნო ეს შეფერხება.

სარედაქციო კოლეგიის პირველ სხდომაზე დაისვა საკითხი სამხედრო ტენიური ლექსიკონის დამუშავების შესახებ და იგი მაშინვე შეუდგა ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას.

სარედაქციო კოლეგია ა/წ. იანვარშივე შეუდგა ლექსიკონის დამუშავებას და მხოლოდ აპრილში დაამთავრა იგი და წარადგინა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში შესამოწმებლად და დასტურისათვის.

ვისაც უმუშავია ამ დარგში, ის ადვილათ წარმოიდგენს იმ სიძნელეს, რომელიც გადალახა ამ მუშაობაში კოლეგიამ და კერძოდ კოლეგიის წევრმა ელ. ცაგარელმა, რომელსაც უმთავრესად დააწვა ლექსიკონის შედგენის სიმძიმე.

აღნიშნული ლექსიკონი შეიცავს ექვს ათასზე მეტს ტერმინს, უკვე გადასინჯულია და მოწონებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ, ამ ჟამად უკვე იბეჭდება და უახლოეს დროში დაურედადება ერთეულბს.

სამხედრო კრებულის გამოცემა იმდენად დიდი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას მისი გამოცემის ისტორიიდან.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სამხედრო საქმე ამ ხანად ისე განვითარდა და თანდათან ვითარდება კიდევ, რომ თუ სამხედრო პირმა დღითი-დღე თვალყური არ ადევნა მის წინსვლას, მეტად უკან ჩამორჩება და საქმეს ვერაფერს არგებს. ამის გარჯა, ისეთ ცოცხალ საქმეში, როგორც არის სამხედრო საქმე, დიდი მნიშვნელობა აქვს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ პერიოდულ გამოცემაში. მართალია, რუსულ ენაზე საქმარისია ამ გვარი გამოცემანი. მაგრამ მათი სარგებლობა, სამწუხაროდ, ყველა სამხედრო პირს არ შეუძლიან, რადგანაც ზოგიერთი მათგანი მეტადრე ჩვენი ახალი წითელმეთაურებიდან, მოისუსტებენ რუსულ ენაში. ამის გამო საჭირო იყო ქართულ ენაზე სამხედრო კრებულის გამოცემა.

პირველად აზრი სამხედრო კრებულის გამოცემის შესახებ დაებადათ ამხ. ი. ტალახაძეს და ი. გედევანიშვილს. მოახსენეს ამის შესახებ სარდლობას. ამხ. ს. პუგაჩოვმა მოუწონა ეს აზრი და დაადასტურა იგი.

სარედაქციო კოლეგია ა/წ ივნისის პირველ რიცხვებში შეუდგა თავის გამოცდილ თავმჯდომარის ი. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით კრებულის გამოცემას უკვე გამოსული სამხედრო კრებულის სამი ნომერი.

კრებული „წითელი გუშაგი“ დაბეჭდილია კარგ ქალაღზე და ლამაზი ყდით არის გამოცემული. კრებული დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ განყოფილე-

ბაში მოთავსებულია სამხედრო ხასიათის წერილები, სადაც გაშუქებულია ბევრი, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული, სადღეისო საკითხები.

მეორე განყოფილება პოლიტიკურია. აქ უმთავრესად გაშუქებულია პოლიტ-განვითარების მიზანი და მეთოდები მისი მუშაობისა.

მესამე განყოფილება გეოცნობს ჩვენი წითელი ჯარის ყოფაცხოვრებას. კრებულში იბეჭდება უმთავრესად ორგანიზალი ნაშრომები, თუმცა თარგმანიც არის მოთავსებული.

კრებულში მონაწილეობას იღებენ: ამხ. ამხ. ს. პუგაჩოვი, ბ. კუზნეცოვი, ი. ტალახაძე, ალ., ი. და ნიკ. გედევანიშვილები, თენგიზ ჯღერტი, ვ. გეორგაძე და სხვანი. საერთოდ კრებული შინაარსიანია და სრული ჟურნალია.

სამწუხაროდ ერთერთ წერილში მარქსისტული მსოფლმხედველობა მტკიცედ არ არის დაცული, რაც ასუსტებს საერთო შთაბეჭდილებას.

ავტორი ამ წერილისა ამბობს ომის რაღაც „უცვლელ კანონებზე“, თუმცა თვითონვე დასძენს, რომ „ყოველ ერს, ნამეტნავად დიდ ერს, შეუძლიან ბევრი რამ შეიტანოს ამ კანონების გასავითარებლად და შეუფარდოს იგი (ე. ი. უცვლელი კანონები, ლ.) თვის შინაურ, ეკონომიურ და სოციალურ პოლიტიკასო“. ამ გვარად, უცვლელი კანონების „განვითარება“, და მათი შეფარდება,“


ე. ი. შეცვლა, თვით ავტორის აზრითაც შესაძლებელი ყოფილა.

საერთოდ კი, ვიმეორებთ, კრებული მეტად შინაარსიანი და სრული ჟურნალია და, რაც უმთავრესია, იგი სცდილობს დააკმაყოფილოს ჩვენი მეთაურების სადღეისო მოთხოვნილებანი. ჟურნალი მოისუსტებს მხოლოდ ჩვენი წითელი ჯარის ყოფა-ცხოვრების დასურათებაში.

იმედს უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგენისათვის ამ პატარა ნაკლსაც გამოისწორებს და წარმატებისაკენ წინ წაევა.

ლეგალი.

## ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკაში

 ბიბლიოთეკებში საკმაოდ დიდი განძია—წიგნების სახით. ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ყველა ბიბლიოთეკების, მათს რიცხვში ვიწრო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების, გამოკვლევა. მაგრამ წიგნების უმთავრესი ნაწილი აღმასკომის 9 ბიბლიოთეკაშია მოთავსებული. საკმაოდ დიდი განძია სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლშიაც.

ამ წერილში ჩვენ აღმასკომის 9 ბიბლიოთეკის შესახებ ვილაპარაკებთ — ეს ბიბლიოთეკებია: წერეთლისა, შაუმიანისა, ლენინისა, სტალინისა, სუხიშვილისა, ზუბალაშვილისა, პლესანოვისა, რუსთაველისა და ტროცკის სახელობის ბიბლიოთეკები.

1924 წლის 1-ლ იანვრისათვის ამ ბიბლიოთეკებში წიგნები ენების მიხედვით შემდეგნაირად იყო დაყოფილი. \*)

ბ ი ბ ლ ი თ ე კ ე ბ ი	წიგნის რაოდენობა 1 იანვრისათვის				
	ქართულ ენაზე.	სომხურ ენაზე.	რუსულ ენაზე.	ევროპ. ენაზე.	ს უ ლ
1. წერეთლის სახელობის . . . . .	1596	—	4883	—	6476
2. შაუშიანის „ . . . . .	18	7220	12100	1180	20518
3. ტროცკის „ . . . . .	—	—	—	—	—
4. ლენინის „ . . . . .	374	387	4229	—	4990
5. სტალინის „ . . . . .	593	1087	8164	70	9914
6. სუხიშვილის „ . . . . .	805	—	1031	—	1836
7. ზუბალაშვილის „ . . . . .	900	716	13992	—	15608
8. პლუხანოვის „ . . . . .	354	164	2953	—	3471
9. რუსთაველის „ . . . . .	217	—	3475	129	3821
<b>ს უ ლ</b>	4857 7,3%	9574 14,3%	50827 76,3%	1379 2,1%	66637 100,0%

ამაირად წიგნების დიდი უმრავლესობა რუსულ ენაზეა (76,3%), შემდეგ სომხურზე (14,3%) და ქართულზე (7,3%). ევროპიულ ენაზე წიგნების უმნიშვნელო ნაწილია (2,1%).

ცხადია, რუსული წიგნის ასე დიდი რიცხვი იმით აიხსნება, რომ მისი მდგომარეობა ყოველთვის უკეთესი იყო დანარჩენ წიგნებთან შედარებით.

საერთო რიცხვი წიგნებისა, როგორცა სჩანს, 66637-ს უდრის. ამ რიცხვში არ შედის, სხვათა შორის, ტროცკის ბიბლიოთეკა და სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკა.

რამდენი წიგნი იქმნა შექმნილი 9 თვის განმავლობაში?

\*) აღმასკომის სტატგანათლების მასალებიდან.

9 თვის განმავლობაში (1-ლ ოქტომბრამდე) შექმნილი წიგნების რაოდენობა.

ბ ი ბ ლ ი ო ტ ი ე კ ე ბ ი	ქართულ ენაზე.	სომხურ ენაზე.	რუსულ ენაზე.	დანარბ.	ს უ ლ
1. წერეთლის სახელობის . . .	209	—	265	—	474
2. შაჰმიანის „ . . .	35	285	372	—	692
3. ლენინის „ . . .	184	41	543	—	672
4. სტალინის „ . . .	209	187	366	—	763
5. სუხიშვილის „ . . .	356	283	—	—	645
6. ზუბალაშვილის „ . . .	277	39	44.1	—	757
7. პლებანოვის „ . . .	88	40	867	—	995
8. რუსთაველის „ . . .	131	—	223	—	354
9. ტროცკის „ . . .	759	14	168	19	960
<b>ს უ ლ</b>	2248	606	3439	19	6312
	35,6	9,6	54,5	0,3	100

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტი რიცხვი წიგნებისა რუსულ ენაზეა (54,5%), შემდეგ ქართულზე (35,6%) და სომხურზე (9,6%).

მაკრამ თუ მხედველობაში მივიღებთ წიგნების იმ რიცხვს, რომელიც იანერის პირველიათვის გეკონდა ენების მიხედვით, და მათ შევუჯარდებთ ენებისავე მიხედვით 9 თვის განმავლობაში შექმნილ წიგნების რიცხვს, მაშინ დაინახავთ შემდეგს:

ბიბლიოთეკებში იანერის- თვის იყო წიგნები	9 თვის განმავ- ლობაში შექმ- ნილია	1000 წიგნზე მო- დის შექმნილი
ქართულ ენაზე	4,857	2248
სომხურ „	9574	606
რუსულ „	50827	3439
ევროპიულ „	1379	—
დანარჩენ „	—	19
<b>ს უ ლ</b>	<b>66637</b>	<b>6312</b>
		<b>94,72</b>

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ თვითეულ 1000 წიგნზე შეძენილია ქართულ ენაზე — 462 წიგნი, რუსულზე — 63 წიგნი, ხოლო სომხურზე — 67 წიგნი. სულ საერთოდ, ენის განუჩეველად, ყოველ 1000 წიგნზე შეძენილია 94 წიგნი.

ქართულ წიგნს, როგორც ვხედავთ, ყურადღება ჰქონია მიქცეული, თუმცა უყურადღებოდ არც სხვა კატეგორიაა დატოვებული.

9 თვის შემდეგ, ე. ი. 1-ლ ოქტომბრისთვის, ტფილისის ბიბლიოთეკებში შემდეგი სურათი ვადაიშლება ჩვენს თვალწინ:

ჩუო პირველ ოქტომბრისთვის წიგნები ენების მიხედვით

ზიგლიოტჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰჰ	ქართულ ენაზე.	სომხურ ენაზე.	რუსულ ენაზე.	ევროპ. ენაზე.	დანარჩენ ენ.	ს უ ლ
1. წერეთლის სახელ.	1805	—	5148	—	—	6953.
2. შაუშიანის „	53	7505	12972	1180	—	21210
3. ლენინის „	558	428	4676	—	—	5662
4. სტალინის „	802	1274	8531	70	—	10677
5. სუხიშვილის „	1161	283	1037	—	—	2481
6. ზუბალაშვილ. „	1177	755	14433	—	—	16365
7. პლენანოვის „	442	204	3820	—	—	4466
8. რუსთაველის „	348	—	3698	129	—	4175
9. ტროცკის „	759	14	168	—	19	960
<b>ს უ ლ</b>	7105	10463	53983	1379	19	72949
	9,7	14,4	74,0	1,9	0,0	100

ამნაირად, წიგნების რაოდენობის მიხედვით, რიგი ისევე ძველი რჩება: პირველი ადგილი უჭირავს რუსულ წიგნებს (74,0%), მეორე სომხურს (14,4%). მესამე ქართულს, (9,7%). რუსული წიგნების რიცხვი 76,3%-იდან 74,0%-მდე ჩამოვიდა, სომხური წიგნების რიცხვი 14,3%-იდან 14,4%-მდე ავიდა, ხოლო ქართულ წიგნების რიცხვი 7,3%-დან 9,7%-მდე გაიზარდა.

როგორია წიგნების მოძრაობა ბიბლიოთეკებში? ამ კითხვებზე გვიპასუხებენ შემდეგი ცხრილები:

გაცემული წიგნების რაოდენობა ენების და ბაზლ. მიხედვით ამ წიგნის განმავლობაში.

ბ ი ზ ლ ი ო . თ ე კ ე ბ ი	ქართ. ენებზე	სომხურ ენებზე	რუსულ ენებზე	ევროპ. ენებზე	ს უ ლ
1. წერეთლის სახელობის . . . . .	722	—	1327	—	2049
2. შაჰმიანის „ . . . . .	2	1944	1563	20	4529
3. ლენინის „ . . . . .	211	109	862	—	1182
4. სტალინის „ . . . . .	294	637	776	2	1709
5. სუხიშვილის „ . . . . .	1130	—	326	—	1456
6. ზუბალაშვილის „ . . . . .	232	217	5755	—	6204
7. პლესანოვის „ . . . . .	—	—	—	—	*)
8. რუსთაველის „ . . . . .	103	—	1103	—	1206
<b>ს უ ლ</b>	2694	3907	11712	22	18335
	14,7	21,3	63,9	0,1	100

როგორცა ვხედავთ, გაცემულ წიგნებში 63,9% რუსული წიგნებია, 21,3% სომხური და 14,7% ქართული.

მეტრე თვეზე გაცემული წიგნების რიცხვი თითქმის ყველა ენებზე თანაბრად კლებულობს. უნდა ვიფიქროთ, რომ გაცემულ წიგნების საერთო რიცხვის იანვართან შედარებით თითქმის 50%-ით დაკლება სექტემბერში იმ გარემოებით აიხსნება, რომ ამ თვეში წიგნები ბიბლიოთეკებიდან არ მიჰქონდათ ქალაქიდან გასულ მოსწავლეებს, რომლებიც აბონენტების საერთო რიცხვის 61,4%-ს შეადგენენ და მუშა-მოსამსახურეთა ნაწილიც ჩვეულებრივ შეგზულებაში იყო.

\*) პლესანოვის ბიბლიოთეკას არ წამოუდგენია ხელის მომწირლებისადმი გაცემული წიგნების განაწილება ენების მიხედვით. აქ გაცემული წიგნების რაოდენობა 883 უდრის.



გაცემული წიგნების რაოდენობა ენების და ბიბლ. მიხედ. სექტემბრის  
განმავლობაში.

ბ ი ბ ლ ი თ ე კ ე ბ ი	ქართულ ენაზ.	სომხურ ენაზ.	რუსულ ენაზ.	ევროპ. ენაზ.	ს უ ლ
1. წერეთლის სახელობის . . . . .	106	—	685	—	791
2. შაუშიანის „ . . . . .	2	1019	1062	21	2104
3. ლენინის „ . . . . .	100	51	682	—	1033
4. სტალინის „ . . . . .	231	508	626	—	1365
5. სუხიშვილის „ . . . . .	627	—	233	—	860
6. ზუბალაშვილის „ . . . . .	—	201	1633	—	1834
7. პლესხანოვის „ . . . . .	88	72	776	—	936
8. რუსთაველის „ . . . . .	117	—	641	—	758
<b>ს უ ლ</b>	1271 13,1	1851 19,2	6538 67,5	21 0,2	9681 100

როგორც ცხრილიდანა სჩანს, ყველაზე მეტი რიცხვი წიგნებისა წაკითხულია  
რუსულ ენაზე, (67,5%) შემდეგ სომხურზე (19,2%) და ქართულზე (13,1%).

რაც შეეხება აბონენტებს, უნდა ითქვას, რომ ზოგი ბიბლიოთეკა ჯერაც  
ვერ ახერხებს აბონენტების სრულ აღრიცხვას სოციალურ მდგომარეობის მიხედ-  
ვით.

პირველ ოქტომბრისთვის ბიბლიოთეკებში აბონენტთა რიცხვი შემდგენა-  
ირად იხატება.

1. ოქტომბრის თვის დარჩენილი აბონენტების დანაწილება სოციალური მდგომარეობის მიხედვით


ბიბლიოთეკები	პირველ ოქტომბრისათვის დარჩენილი							
	სოციალური მდგომარეობა							
	მოსწავლე	მუშა-მისამ.	ვლენები	ვაჭრები	ხელოვნების	თანა-პროფ.	ღანა-რჩენი	სულ
1. წერეთლის სახელ.	231	137	—	10	12	—	—	390
2. შაუშიანის	615	103	—	2	16	—	4	740
3. ლენინის	72	89	3	1	1	4	26	196
4. სტალინის	179	44	2	4	6	12	16	263
5. სუბიშვილის	267	39	—	—	—	—	—	306
6. ზუბალაშვალის	545	774	—	3	30	—	—	1352
7. პლესანოვის	398	65	—	—	—	1	24	488
8. რუსთაველის	90	62	—	1	6	—	18	174
<b>სულ</b>	<b>2397</b>	<b>1313</b>	<b>5</b>	<b>21</b>	<b>61</b>	<b>17</b>	<b>88</b>	<b>3912</b>
	61,4	33,7	0,1	0,5	1,6	0,4	2,3	100

როგორცა ვხედავთ, მკითხველებში ყველაზე მეტი რიცხვი მოდის მოსწავლეებზე (61,4%), შემდეგ მუშა-მოსამსახურეებზე (33,7%), დანარჩენი კატეგორიები მკითხველებისა ერთობ უმნიშვნელოა.

მ. კინწურაშვილი

## კირველი ქართული ექსპვირიანი საბიბლიოთეკო პურსები

**ს**ოლიტ-განათლებლის მთავარ-მართველობის ერთ დიდ საზრუნავ-თაგანია საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესება საქართველოში. ამ მიზნის განსახორციელებლად მის შიერ მიღებულია მთელი რიგი ზომებისა. დარსებულია სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან ისეთი აკადემიური ორგანო, როგორცაა საბიბლიოთეკონომიო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი; იმავე სა-



პირველი კართული საბიბლიოთეკო კუბის ხელმძღვანელი და მსმენელი

ბლთან მოწყობილ იქმნა საბიბლიოთეკო კურსები და საძირკველი ჩაეყარა პირველ პერიოდულ საბიბლიოთეკონომიო-საბიბლიოგრაფიო ჟურნალს. განზრახულია აგრეთვე სრულიად საქართველოს ბიბლიოთეკართა ყროლობის მოწვევა და კვლავ კურსების გამართვა პროვინციულ ბიბლიოთეკართათვის და სხ.

საბიბლიოთეკო კურსების მოწყობა სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის მიერ — პირველი საქმე არ არის: 1921 და 1923 წ. წ. კურსებმა მოგვცეს ას ბიბლიოთეკარამდე, მარა ამ ასს კაცში ერთიც არ ერია ქართული ენისა და მწიგნობრობის მცოდნე. ამ გარემოებას შედეგად მოჰყვა: პირველი, ის რომ რუსული ენის უცოდინარი ქართველი მშრომელი მასსა მოკლებული იყო მცოდნე ბიბლიოთეკარის ხელმძღვანელობას და მეორე მხრივ, ქართული წიგნი ნაკლებ შევიდა მასაში, რადგან მას არ უყვდა ბიბლიოთეკარების სახით მცოდნე და მოსიყვარულე პრობაგანდისტები. ამ უკანასკნელ გარემოებას მიეცა დიდი ყურადღება და ამისათვის ქართული ლიტერატურის სხვა და სხვა დარგის ბიბლიოგრაფიას კურსების პროგრამაში დაეთმო დიდი ადგილი. თვით კურსებისა და მის პროგრამის შეფასებას სხვა დროს დაეუბრუნდებით. ამ ჟამად ჩვენს წერილს აქვს მხოლოდ ინფორმაციის ხასიათი.

1924 წ. მკათათვის პოლიტ-განათლების მთავარ-მართველობის მიერ მოწვეულმა თათბირმა, შემდგარმა ცეკას, ტეკას, პროფკავშირთა საბჭოს, თბილისის აღმასკომის და სხვათა წარმომადგენელთაგან — დაამტკიცა ქვემოთ მოყვანილი ექვს-კვირიანი კურსების პროგრამა და ლექტორთა სია, აგრეთვე კურსების ხარჯთაღრიცხვა, ათას მანეთისაგან შემდგარი. ამასთანავე პოლიტ-განათლების მთავარ-მართველობის დასახმარებლად თბილისის პოლიტგანმა და პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილ ალუთქვეს ხარჯებში დახმარება, თითულმა ოთხას-ოთხას მანეთით. სათანადო მომზადების შემდეგ კურსები გაიხსნა ოქტომბრის 5-ს, ხოლო დასრულდა ნოემბრის 16-ს. მოგვყავს კურსების პროგრამა და ლექტორთა სია:

#### შესავალი ლექციები. 4 საათი.

1. საბიბლიოთეკო საქმის ამოცანები საბჭოთა აღმშენებლობაში და მისი ადგილი სხვა კულტურულ-განმანათლებელ ორგანოთა შორის. ლექტორი **ნ. ქურიძე**. 1 საათ.
2. სხვა და სხვა ბიბლიოთეკის ტიპი და მათი განსაკუთრებული ამოცანები. ლექტორი **ვ. ბროსე**. 1 საათ.
3. წიგნისა და ბეჭდვითი საქმის ისტორია. ლექტორი **პ. ჭანი-შვილი**. 3 საათ.
4. საბიბლიოთეკო საქმის რაციონალური ორგანიზაცია საქართველოში. ლექტორი **ი. ციციშვილი**. 1 საათ.

#### ს ა ვ ა ნ ბ ი

1 რიგნი წა მისი ცოდნა (17 საათი) ლექტორი შალვაშვილი.

1. წიგნის ანალიზი და ანოტაცია . 8 საათ.
2. წიგნი კითხულობის თვალსაზრისით . 1 საათ.

3. ბიბლიოთეკის წიგნობრივი შემადგენლობა, მისი შევსება და გაწმენდა 2 საათ.

## II ქართული წიგნის ცოდნა (35 საათი)

1. ქართული წიგნის რაოდენობა და შემადგენლ. ლექ. ვ. ბროსხე 3 საათ.
2. ქართული წიგნისა და ბეჭედიანი საქმის ისტორია საქართველოში. ლექტორი დ. კარიჭაშვილი 2 "
3. პერიოდიულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ლექტორი დ. კარიჭაშვილი 10 "
4. ქართული აქტუალური მნიშვნელობის სიტყვა-კაზმული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ლექტორი ა. თორაძე 10 "
5. საისტორიო მწერლობის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ლექტორი ვ. ეგნატაშვილი 4 "
6. პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ლექტორი ი. თალაკვაძე 6 "

## III საბიბლიოთეკო ცოდნა (27 საათი).—ლექციათ 5. ლიტერატურა.

1. საინვენტარო დეფარე 2 საათ.
2. კატალოგიზაცია. 4 "
3. კლასიფიკაცია საზოგადოთ და დეციმალური სისტემით კერძოთ, კატეგორიის ნიშნების მოხმარით. 14 "
4. წიგნის დამუშავება, დაკაზმვა და თაროზე დალაგება 2 "
5. წიგნის გაცემა, აბონემენტი. წიგნისა და მკითხველის ფორმულიარი. 4 "
6. წიგნის ჰიგიენა. საბიბლიოთეკო შენობა და მისი მოწყობილობა. 1 "

## IV საბიბლიოთეკო პრინციპული და სტატისტიკა —(3 საათი).

1. შტატი, მისი ცენზი და მოვალეობა. 1 საათ.
2. სტატისტიკა, საბიბლიოთეკო მუშაობა და ანგარიში. ლექტორი: პ. კურ 2 "

## V პედაგოგიური და მასთან პედაგოგის პედაგოგი (18 საათი). ლექციათ 2. ვ. ა.

1. მკითხველის შესწავლის საშუალებანი: ანკეტები, მკითხველის ფორმულიარები, საბიბლიოთეკო კარტაკები, კითხვა-პასუხის ყუთები.
2. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა: 1) მკითხველთა მოზიდვა, 2) წერა-კითხვის უკოდინარებთან და მცირე მკოდნებთან მუშაობა, 3) ხმამალა კითხვა, 4) კითხვის ხელმძღვანელობა, 5) წიგნების რეკომენდაცია, 6) მკითხველთა წრეები, 7) ავტოკომპანიები, 8) ცნობის მისაწვდენი მუშაობა, 9) კუთხეების მოწყობა, 10) წიგნის რეკლამა და პროპაგანდა, 11) ლოზუნგები, 12) გაზეთის მოხმარება, 13) შეფობა, 14) პლაკატები, 15) გამოფენები, 16) რეკ-სიები, შედგენილი

- მკითხველის მომზადებისა-და მიხედვით, 17) რევოლუციური დღესასწაულები. 15 ცალ.
3. მოძრავი ბიბლიოთეკები, კოლექტიური ამონენტი და ქობ-სა-მკითხველოები. 2 "
4. მკითხველის მიერ წიგნის უხეშათ ხმარებასთან და მის დაუ-ბრუნებლობასთან ბრძოლა. 1 საათ.

#### VI საზავლო და სასჯალო ნიშნითაქუა. 9 საათი.

1. საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების თავისებურობა. ლექ-ტორი: მიშინა 5 "
2. ქართული საბავშვო და საქაბუკო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. ლექტორი: დვინიაშვილი 4 "

#### VII პოლიტ-ღაღა. ლექტორი: ი. ზეცაძე

აღნიშნულ 119 სალექციო და სასემინარო საათს გარდა მსმენელები ყოველდღიურად ასრულებდნენ სამი საათის განმავლობაში პრაქტიკულ მუშაობას სხვა და სხვა საუკეთესო ბიბლიოთეკებში. მსმენელთა შემადგენლობა წარმოგზავნილ იყო ხუთი დაწესებულებისგან: სახელდობრ: პროფკავშირთა საბჭოს, პოლიტგანათლების მთავარ მართველობის, ტფილისის პოლიტგანის, ქალთა განყოფილების და ახალგაზრდა კომკავშირისგან.

პირველად კურსებს მეტათ ბევრი მსურველი მოაწყდა. მარა მიმღებმა კომისიამ 75 კაცზე მეტის მიღება ვერ სცნო შესაძლებლად; კურსების გამგეობა იძულებული იქმნა ამის შემდეგ კიდევ მიეღო 7 კაცი, სხვა და სხვა ორგანიზაციების მიერ წარმოგზავნილი. ამგვართ, კურსების აუდიტორიაში დასაწყისში ითვლებოდა სულ 82 კაცი. კურსების გამგეობის მოლოდინისაგან, ამ რიცხვს თანდათან ჩამოშორდა შემთხვევითი ელემენტი. და ეგზამენებზე გამოცხადდა მხოლოდ 74 პირი.

გარდა სავალდებულო პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისა, გამოცდების დაინიშნა უმთავრესს საგნებში, როგორც არის: საბიბლიოთეკო ტექნიკა და საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის დეცინალური სისტემა; საბიბლიოთეკო აქტიური მუშაობა და პოლიტ-ცოდნა. გამოცდებს დაესწრენ. ლექტორთა და ასისტენტთა გარდა, წარმომადგენელი: პოლიტ-განათლების მთავარ-მართველობისა, პროფკავშირთა საბჭოს, კულტ-განყოფილების და ტფილისის პოლიტ-განისა.

როგორცა ვსთქვით, გამოცდებს დაესწრო 74 კაცი, დაასრულა 60-მა, ამათს რიცხვში: ქალია 41, კაცი 19, პარტიული 15, უპარტიო 45, ქართველი 56, სხვა ტომის 4. დიდი უმრავლესობა საშუალო სკოლაში კურს-დამთავრებულია. უნდა აღინიშნოს მამენელთა მეტათ სერიოზული განწყობილება კურსებში: როგორც ლექციებსა და სემინარებს, ისე პრაქტიკულ სამუშაოებს ყველა ბევრითად ესწრებოდა და გულმოდგინეთ მუშაობდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კურს-დამთავრებულნი, როგორც თეორიულ, ისევე პრაქტიკულ დარგში კარგის მომზადებით არიან გაშვებულნი. ხოლო მათი პერსონალური დაფასება შესაძლოა მხოლოდ რაოდენიმე სტაჟისა და თითოეულის უნარისა და საერთო განვითარების მიხედვით.

იმედია, სათანადო ორგანიზაციები თავის საჭიროებისათვის გამოიყენებენ იმ კვალიფიკაციურ ძალას, რომელიც მოგვცა კურსებმა. მართალია, დაგვიანებით, მარა ჩვენშიაც ისევე, როგორც სხვაგან, საბიბლიოთეკო საქმე აღიარებულია სპეციალობად, რომელსაც სჭირია დიდი ცოდნა და მომზადება და ამერიკიდან მაინც ბიბლიოთეკართა კადრი შეესებულნი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმის სპეცებით.

კურსების გამგე ივ. ციციშვილი.

## ამიარ პავასისიის პუბლიცისტურ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გუშაოვა.

ამიარ კავასიის კომუნისტურმა უნივერსიტეტმა დააჩსების დღიდან უდიდესი ყურადღება მიაქცია წესიერ აკადემიურ ბიბლიოთეკის შექმნას, რასაც მონადრომა შესაფერი ღონისძიება. მასში უკვე ითვლება (1924 წ. 1-ლ სექტემბრამდე) 42.544 ცალი [10.000 სათაურის], რომელთა შორის 3000 ქართულია (200 სათაურის). შემდეგი ცხრილიდან დავინახავთ, თუ როგორაა განაწილებული აღნიშნულ წიგნთა რიცხვი ათწილადი სისტემის განყოფილებების მიხედვით.

0	1	2	3	4	5	6	7	8	9	სულ
საერთო განყ.	ფილოსოფია	სარწმუნოება	საზოგადოებრივი	ენათ მეცნიერება	სწრაფმეცნიერებ.	დართული მეცნიერებანი	სელოვნება	ლიტერატურა	ისტორია გეოგ.	42.544
1226	1152	659	19.812	556	6.892	1.288	513	4.339	6.204	

ა. კ. უ. ბიბლიოთეკა შეიცავს მარქსისტული ლიტერატურის მთლიან და ძვირფასს კოლექციას მთელს ამიერ-კავასიაში. წიგნთა ასეთი მასის დამუშავება მოითხოვდა ბევრ თანამშრომელთ, ბიბლიოთეკაში კი 24 თანამშრომელი, ითვლება. ყველა წიგნი იკაზმება. წიგნებით შევსება სწარმოებს სათანადო კომისიების გვეშის და სიების მიხედვით. წიგნების ნაწილი გადაკემულია სამეცნიერო კაბინეტებში.

ტენიკის თვალსაზრისით ა. კ. უ. ბიბლიოთეკა აწარმოებს ფრიად საინტერესო ცდას წიგნების დალაგებით თაროებზე ათწილადი სისტემატიურ კატალოგის მიხედვით, თუმცა საბიბლიოთეკო ლიტერატურაში გავრცელებული არის აზრი, რომ დიდ აკადემიურ ბიბლიოთეკებს შეუძლიანთ ათწილადი კატალოგის ხმარება, მაგრამ წიგნების დალაგება კი უფრო მოსახერხებელია-საინვენტარო ნომრების მიხედვით. სისტემატიურ დალაგებას აწარმოებდნენ მხოლოდ პატარა და საშუალო ბიბლიოთეკები. ყოველ დღე სალამოს ოთხ სათიდან 10 საათამდე სტუდენტთა განკარგულებაშია კარგათ მოწყობილი სამკითხველო. წიგნთა გაცემაც სწარმოებს სალამოზით. 1923 წლის აპრილის პირველიდან 1924 წლის ივნისის პირველამდე (ზაფხულის გამონაკლისით) ბიბლიოთეკას ყავდა 16.755 მკითხველამდე და გაცემული იყო 21.864 წიგნი (საშუალოდ ყოველ დღეს 67 მკითხველი და 88 გაცემული წიგნი).

გაცემულ წიგნთა შორის პირველი ადგილი უჭირავს პოლიტ-ეკონომიურ ლიტერატურას. (მე-3 განყ.—40 %). მეორე ადგილი ლიტერატურას და კრიტიკას (მე-8 განყ.—24<sup>0</sup>/<sub>100</sub>), მესამე ადგილი მათემატიკას და ბუნების მეტყველებას. (მე-5 განყ.—20 %). დანარჩენ განყოფილებებისათვის რჩება 16<sup>0</sup>/<sub>100</sub>.

საბიბლიოთეკო წრე აწარმოებდა პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას მკითხველთა და თანამშრომელთა შორის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღსანიშნავია გამოფენები ახალი წიგნებისა, რომელნიც იცვლებოდნენ ყოველ 4—5 დღის განმავლობაში.

16. მაისს ბიბლიოთეკამ იკისრა სოფელ მცხეთის ბიბლიოთეკის შეფობა და შესწირა მას 70 წიგნი.

გ. ბელოზნიოვ.

## რა ვნახეთ დილოში

პატარა შენიშვნა ს. დიდშის სამკითხველოს შესახებ

**ს**წიგნით უკანასკნელ კვირადღეს სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის საბიბლიოთეკო ინსტრუქტორთან ერთად ვავემგზავრე დილოში სამკითხველოს დასათვალისწინებლად. მიუხედავად იმისა, რომ კვირა დღე იყო, სამკითხველო დაკეტული დაგვხვდა. ადგილობრივი მთავრობის წყალობით კარი გავვიღეს და შევეყვანეს. რადგანაც სამკითხველო თეატრის შენობაში არის მოთავსებული, გავიარეთ თეატრის დარბაზი, რომელიც ძალიან მოგვეწონა (ძალიან კაი სასოფლო თეატრი მოუწყვიათ). გვაჩვენეს სამკითხველო და დავრწმუნდით, რომ მას შერჩენია სამკითხველოს მხოლოდ და მხოლოდ სახელი. არც ერთი სკამი, არც ერთი მაგიდა მკითხველთათვის. წიგნები რალაც ორფეხა ფიკარზე ყრია უთავბოლოდ. კატალოგისა და მაგის მზგავრამეებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ოთახი თუმცა ბნელი არ არის, მაგრამ



სამკითხველსათვის საჭიროა ისეთი დარბაზი, რომ პირდაპირ ქუჩიდან ჰქონდეს შესავალი. ისეთ ბნელ კიბეზე გაგვატარეს, რომ შეუდღეს უსინათლოდ საშიში იყო კისერი არ მოგვეტეხა.

კითხვაზე — როდის არის სამკითხველო ღია, გვიპასუხეს: „ხანდახან“. — აძლევს თუ არა წიგნებს მსურველებს? „რაც საინტერესო წიგნი იყო, ყველა გაცემულია, მაგრამ დაბრუნებულ წიგნების მიმღები არაფერია“. — ვანა სამკითხველოს გამგე არა ჰყავს? „ორი, მაგრამ პირველ გამგემ ჯამაგირის სიმკერის გამო (9 მანეთი) სამსახურს თავი დაანება და მეორეს ჯერ იმ ცხრა მანეთსაც არ აძლევს, რადგან თანამდებობაზე ჯერ დამტკიცებული არ არის“.

ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი აქტიური მუშაკები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცივენ და ჩვენი შემდეგი ნახვის დროს ბიბლიოთეკარი დამტკიცებელი იქნება და სამკითხველოს კულტურული მუშაობა არ ჩამოურჩება თეატრისას. თუ საჭირო იქნება საქმით ან რჩევით დახმარება, მზადა ვართ ხელახლად გავემზავროთ დილმისკენ..

გუია ბერულავა.

## ძირითად ქსელის ბიბლიოთეკართა გუზაგონის მოხსენაგათა და დისკუსიების ჯამები.

(ქობ-სამკითხველოების, თემ-ბიბლიოთეკების და მოძრა-ბიბლიოთეკების გამო):  
საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკართა პირველი ყრილობა. 1924 წ. 1—8 მაკათვეს.

**ს** ა ბ ზ ო თ ა კავშირის ბიბლიოთეკართა პირველმა ყრილობამ ვ. ი. ლენინის ლოზუნგით ჩაიარა: „წიგნი მისაში“. შეერთებულ ყრილობათა სხდომებზე და სექციების მომეტებულ მუშაობაშიც უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ძირითად ქსელის ბიბლიოთეკებს, მათის საჭიროებისა და პერსპექტივების განსჯას; გამოითქვა აზრი, რომ მეტი ყურადღება უნდა მიეპყრას ქობ-სამკითხველოებს, თემ-ბიბლიოთეკებს, რათა გახადონ ისინი სოფლის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ცენტრად. აღიარეს, რომ საჭიროა მეტი მოძრაი ბიბლიოთეკები, მეტი შეკავშირება ყველა ტიპის ბიბლიოთეკებისა წიგნის მძლავრი ფონდის შესაქმნელად; მეტი ბიბლიოთეკების გამგენი, მეტი პოლიტგანმანათლებელი სოფელში და სოფლის ბიბლიოთეკარების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. აი უმეტესად რაზედ ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის ძირითად ბიბლიოთეკების აქტიური და მასიური მომუშავენი.

სასოფლო ბიბლიოთეკებში მუშაობის შესახებ ნ. კ. კრუსკაიას მოხსენების მიხედვით, ავღიტ-პრობის, სახ. გან. კომ.-ის და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა გამოკვლევამ ცხად-ჰყო უმწეო მდგომარეობა კულტურულ სფეროში. რიცხვი ორგანიზაციებისა, რომელნიც სოკლად კულტურულ მუშაობას ეწევიან, მცირეა, იმათს მუშაობას ბევრი ნაკლი აქვს, განსაკუთრებით მოზრდილ-

თა შორის სკოლის-გარეშე მუშაობას, რომელიც მოითხოვს, როგორც მეტოლოლოგიურს, ისე ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ ხასიათის საფუძვლიანად შესწორებას.

მე-VIII პარტყროლობამ მიაქცია დიდი ყურადღება ბიბლიოთეკათა მუშაობას სოფლად და დაადგინა: თვითველ თემს მიეცეს ოთხი პოლიტგანმანათლებელი: ქობარი (ქობ-სამკითხველოს გამგე), თემ-ბიბლიოთეკის გამგე, ლიკვიდატორი და თემ-ორგანიზატორი, რომელნიც შეთანხმებით მუშაობით უნდა მტკიცედ დაადგნენ უცოდინარობის ლიკვიდაციის გზას და ნათლად აუხსნან გლეხობას კულტურულ-განმანათლებელი მნიშვნელობა ქობ-სამკითხველოებისა და თემ-ბიბლიოთეკებისა. ეს არის საშუალება თემის კულტურულ ცენტრის შექმნისათვის, მაგრამ ეს ერთი ცენტრი არა კმარა: საჭიროა მიყრუებულნი, მივარდნილი სოფლებიც გაეაშუქოთ, ის სოფლები, რომელნიც ძალიან დაშორებულნი არიან ცენტრებს.

ეს ამოცანა უნდა აღასრულოს მოძრავ ბიბლიოთეკებმა.

რა არის მოძრავი ბიბლიოთეკა?

მოძრავი ბიბლიოთეკა არის წიგნთა მცირერიცხოვანი კომპლექტი (50-300 წიგნადე), რომელიც ეძლევა განსაზღვრულ დროთი (2 ან 3 თვით), ემსახურება მუდმივის მკითხველების ჯგუფს და თავის მუშაობის სტატისტიკა დამოუკიდებლად მიჰყავს.

ეს განსაზღვრა გვაძლევს მოძრავ ბიბლიოთეკების მარტო საერთო პრინციპების შეგნებას, და მოძრავ ბიბლიოთეკებით მუშაობის დროს ზოგ-ზოგი ფუნქცია შეიძლება შეიცვალოს იმ წრისა და პირობების მიხედვით, რომელშიაც მიმდინარეობს მუშაობა. მოძრავ ბიბლიოთეკების უმთავრესი ამოცანა და მიზანია: მიყრუებულ-მივარდნილ დაბა-სოფლებს მიაწოდოს წიგნი. ყველაზე მეტ მოქნილობას იჩენს მოძრავი ბიბლიოთეკა, ეგრედ წოდებული „წიგნის ჩანთა“ (ეს არის მცირერიცხოვან კარგად შერჩეულ წიგნების კომპლექტი, რომელსაც ბიბლიოთეკა ჰგზავნის განსაზღვრულ ვადით იმ ადგილებში, სადაც მოძრავ ბიბლიოთეკების დაარსება შეუძლებელია სხვა და სხვა მიზეზების გამო). რაც უნდა პატარა იყოს მოძრავი ბიბლიოთეკა, იგი მაინც ბიბლიოთეკაა და თხოულობს აუცილებელ უზრალ მოწყობილობას ე. ი. ბინას და საბიბლიოთეკო ანგარიშებს. ნ. კ. კრუპსკაიას აზრით, მოძრავი ბიბლიოთეკების პუნქტები, ეგრედ წოდებული „წითელი კუთხეები“, უნდა იყოს გაფანტული დაბა-სოფლებში თემ-ბიბლიოთეკების ცენტრის დახმარებით. „წითელი კუთხეები“, რომელნიც არიან ქობ-სამკითხველოების წინამორბედნი, მკვიდროდ არიან შეკავშირებულნი თავის იდეურ და ლიტერატურულ ბაზასთან—თემ-სამკითხველოებთან. თემ-ქობ-სამკითხველოების საშუალებით წითელ კუთხეებში ფართოთ უნდა შემოიქრას „თანამედროეობა“.

ქობ-სამკითხველოს გამგემ, რომელთანაც თავს უნდა იყრიდეს მოძრავ ბიბლიოთეკების მუშაობის ცნობები, უნდა აირჩიოს შესაფერი მოძრავ-ბიბლიოთეკათა გამგეები (სოფლის კომსომოლისტები, შინ დათხოვნილი წითელ-არმი-

ელები და სხვა.); დროგამოშვებით მიაწოდოს მათ წიგნები იმ მკითხველებს კულტურულ და სოციალურ შემადგენლობის მიხედვით, რომელთაც მოძრავი ბიბლიოთეკა ემსახურება. ლიკვიდატორმაც უნდა მქიდრო თანამშრომლობა გაუქმის ქობ-სამკითხველების გამგეს და ახალ-ახალი მკითხველები უშოგოს ხოლმე მოძრავ ბიბლიოთეკებს, რაც იძის მოვალეობას შეადგენს.

ასეთია საერთოდ მოძრავ ბიბლიოთეკებით მუშაობა სოფლად.

ქობ-სამკითხველოებში და წითელ კუთხეებში გლეხის ქალების მისახიდავად უნდა გაიმართოს ხოლმე ხელ-საქმის საღამოები და სხვა და სხვა გასართობი კრებები.

თემის ბევრ მომუშავეთ, რომელნიც, ემყარებოდნენ რა განვლილ მუშაობა-გამოცდილებას, ნ. კ. კრუპსკაის მოხსენების გამო წამოაყენეს შემდეგი სურვილები:

1) რადგან გლეხთა ფართო მასისთვის შესაფერი წიგნები არ არის, საჭიროა მათი გამოცემა.

2) სასურველია ქალაქის ბიბლიოთეკების შეფოტა სოფლის ბიბლიოთეკებზე.

3) საჭიროა პერიოდიული კრებები სოფლის ბიბლიოთეკების მომუშავეების ერთმანეთში თავ-თავიანთ გამოცდილების გასახიარებლად.

4) რაც შეიძლება მეტი საბავშვო წიგნები.

5) კარგი იქნება, გამოიცეს საგლეხო კრესტომატია.

6) აუცილებელია დიწყოს საგაზეთო კამპანია, რომ მიიზიდონ ქალაქის ბიბლიოთეკების გამგენი სოფლად მუშაობისათვის.

კიდევ მოძრავ ბიბლიოთეკებზე (ამხ. სმუშკოვას მოხსენებების გამო).

რადგან ჩვენს ამოცანად და მიზნად დავისახეთ ბიბლიოთეკათა ქსელის გაფართოვებ-გავრცელება ყველგან, ორგანიზაციულ მუშაობას წინ უნდა გამოვარკვიოთ, უფრო რის გაფართოვებაა ხელსაყრელი: სტაციონალური, თუ მოძრავი ბიბლიოთეკებისა. მოძრავ ბიბლიოთეკების მუშაობა უკვე ნათლად გვაჩვენებს მის უპირატესობას მასიურ და მეტადრე შეუგნებელ მკითხველებთან მუშაობის დროს.

მოძრავ ბიბლიოთეკის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ წიგნების მცირე რიცხვით ნაყოფიერთ დააკმაყოფილო მკითხველთა უმეტესი რიცხვი, მათი სოციალური მოთხოვნილების დი კულტურულ-პოლიტიკურ განვითარების გათვალისწინებით.

ამ გვარად, მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაობა, სტაციონალურ ბიბლიოთეკასთან შედარებით, უფრო ნაყოფიერია და ამასთანავე ყიართიანიც. გარდა წიგნების ქონების დაზოგვისა მუშაობა მოძრავ ბიბლიოთეკით მოითხოვს მინიმალურ ხარჯს, როგორც მოწყობის, ისე მომუშავეთა დაკმაყოფილების მხრით, რადგან მოძრავ ბიბლიოთეკებში ხშირად მოხალისენი მუშაობენ უფასოთ.

მოძრავი ბიბლიოთეკების (მომეტებულათ ქალაქებში) შევსება უნდა სწარმოებდეს ორ წყაროდან: თეით. ბიბლიოთეკიდან, რომელიც მოძრავ ბიბლიო-

თეის ბაზა, და დაწესებულებიდან, რომელსაც ეს მოძრავე ბიბლიოთეკა ემსახურება.

მოძრავ ბიბლიოთეკების უპირატესობის განხილვას შემდეგ, ყრილობამ დაადგინა, რომ წერილი ბიბლიოთეკების დაარსება სასარგებლო არ არის; ბევრათ ნაყოფიერი და ხელ-საყრელია ამა თუ იმ სტაციონალურ ბიბლიოთეკას, თან მოძრავ ბიბლიოთეკების ფონდის გაძლიერება.

ბ. რუდენკო.

## მ კ მ ი

სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის დეკომალისტთა კოლეგიის სხდომა იმ სადღაოსაკითხების გადაწყვეტად, რომელნიც წამოიჭრენ პრაქტიკაში საერთაშორისო ათწილად კლასიფიკაციის განხორციელების დროს.

**ს** ხ ლ მ მ ა შესდგა 1924 წლის დეკემბრის 16. თავმჯდომარეობდა ი. ციციშვილი, მდივნობდა ლ. იაგორაშვილი. დაესწრნენ: ბ. ბროსე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ჯოჯუა და შ. ბერიძე.

1. მოისმინეს: აშხ. ნ. ლორთქიფანიძის მოხსენება პარტიულ ლიტერატურის და საერთოდ ლენინიზმის და კომუნიზმის ლიტერატურის ინდექსაციის შესახებ, რომელთაც საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო პრაქტიკაში შემდეგი შიფრები აქვთ: ა) 335.5 ბ) 335.5კ. გ) 335.4, დ) 329.

1. დადაგინეს: ა) შიფრი 335.5კ. სრულიად უარყოფილ იქნას, რადგან ასოთი აღნიშვნა ან ასოს ჩამატება შიფრში ეწინააღმდეგება ათწილად კლასიფიკაციის ძირითადს პრინციპს.

ბ) უარყოფილ იქნას შიფრი 335.4, რადგან იგი აღნიშნავს კომუნიზმს მხოლოდ მარქსამდე.

გ) მიღებულ იქნას სწორ შიფრად 335.5 მარქსიზმის თეორიის, ლენინიზმის და კომუნიზმის ლიტერატურის და მოძღვრების აღსანიშნავად.

დ) შიფრის 329 ხმარება ჩაითვალოს სწორად, კომუნისტურ პარტიის და სხვა პარტიულ ლიტერატურის განსაზღვრის დროს (სადაც შევა ოქქემები, პროგრამები, მოხსენებების ანგარიშები და სხვა). ვინაიდან პარტიულ ლიტერატურას აქვს განსაზღვრული პოლიტიკური და არა ეკონომიური ხასიათი და არის ქვეგანყოფილება 32 განყოფილებისა (პოლიტიკა-32), მოთავსება მისი 335.5 ქვეგანყოფილებაში, რომელიც არის ნაწილი 33 განყოფილების (საეკონომიო მეცნიერება), მიუღებელია.

II. მოისმინეს: მოხსენება აშხ. ლ. იაგორაშვილისა იმპერიალიზმის ინდექსაციის შესახებ, რომლისათვისაც საერთოდ ხმარობენ შიფრს 325 და 338.

II. დადაგინეს: თუმცა საკითხები იმპერიალიზმისა დაკავშირებულია წარმოების საკითხებთან, მაგრამ მაინც შიფრი 338 მიუღებელია; იგი დაკულ უნდა

იქნეს მხოლოდ წარმოების საკითხების და სხვა და სხვა ქვეყნების ეკონომიურ გეოგრაფიის განსაზღვრის დროს. იმპერიალიზმის პოლიტიკისათვის კი იქნეს მიღებული შიფრი 325, როგორც კოლონიისა და საკოლონიო პოლიტიკის, ისევე ემიგრაციისათვისაც.

III. მოისმინეს: აშ. ე. ჯოჯუას მოხსენება მესამე ინტერნაციონალის და ახალგაზრდა კომ. კავშ. ინტერნაციონალის ინდექსაციის შესახებ, რომელნიც ჩვეულებრივ აღინიშნებიან შემდეგის შიფრებით: 335.5, 329, 331.91 და 327.

III. დაადგინეს: ზემოდ-მოყვანილ ლიტერატურის აღსანიშნავად მიღებულ იქნეს სწორ შიფრად 327, რადგან ამ ლიტერატურას კავშირი აქვს საერთაშორისო პოლიტიკასთან. შიფრი 331.91 უნდა იხმარებოდეს მხოლოდ პროფ-ინტერნის აღსანიშნავად. შიფრი 335.5 და 329 ამ შემთხვევაში ჩაითვალოს შეუფერებლად.

IV. მოისმინეს: აშ. ბ. ბროსეს მოხსენება ქართულ ფილოლოგიის, ქართულ ლიტერატურის ინდექსაციის შესახებ და ქართულ ენისა და კერძოდ ქართველ ეროს აღმნიშვნელ დეტერმინანტების შესახებ.

IV. დაადგინეს: 1) ჩაითვალოს მიუღებლად ინდექსი 499.9621 და 899.962.1, აგრეთვე დეტერმინანტები 99.962.1(=99.962.1) შემდეგის მოსაზრებით: ინდექსი 499 მალაურ და პოლინეზიურ ენების გამოხატელობა, რაც შეეხება ინდექსს 499.9, დობრჟინსკის მიხედვით, მისით აღნიშნავენ იმ ენებს, რომელნიც გაერთიანებულნი არიან არა ხალხოსნობით, არამედ სხვა მომენტით.

ინდექსის 499.962.1 ხმარების დროს ჩვენ ქართულ ფილოლოგიას ვათავსებთ ზემოდ-მოყვანილ ენათმეცნიერების დარგთა შორის, რაც შეუფერებელია და გამოხატავს ინდექსის შეცთომით დამუშავებას.

2) რადგან ენათა კლასიფიკაცია საღაო საკითხს წარმოადგენს თვით მეცნიერებაშიც, მით უფრო ძნელია მათი უღაო ადგილის ფიქსაცია. უფრო მისაღებია შიფრი 491.6 და მისი ქვეგანყოფილები თანახმად იაფეტურ ენასთან ქართულ ენის ნათესაობის ჰიპოტეზისა; ამგვარად ზემოდ-აღნიშნულ შიფრის ფართეთ გავგებით შეიძლება აღინიშნოს კულტურ ენებთან ერთად ქართველთა მოდგმის ენებიც.

3) პრინციპალურათ მიღებულია: დეტერმინანტი 916 საქართველოს ენებისათვის, (=916) — ქართველი ერის და ტომებისათვის, ინდექსი 891.6 — ქართულ ენათა ლიტერატურისათვის და 491.6 — ქართულ ფილოლოგიისათვის. ამ საკითხის შესახებ საჭიროა ურთიერთობა დაიქირონ ბრიუსელისა და მოსკოვის საბიბლიოთეკონომიო ინსტიტუტებთან.

4) საბიბლიოთეკო პრაქტიკისათვის იხელმძღვანელონ შემდეგი უღაო ინდექსით: 49 — ქართულ ენათმეცნიერებისათვის, 89 — ქართულ ლიტერატურისათვის. რაც შეეხება რუსულსა და სხვა ენებს, შიფრები იხმარებოდეს ჩვეულებრივი და საერთოდ მიღებული, ესე იგი: 491.7 და 891.7 — რუსულ ენათმეცნიერებათა და ლიტერატურისათვის, 891.5 და 491.5 — სპარსულ, სომხურ, ოსურ ლიტერატურისა და ფილოლოგიისათვის.

თავმჯდომარე ივ. ციციშვილი.  
მიღიანი ლ. იაგორაშვილი.

### III — ჩვენს გიგლიოთაქავის აქტიური მუშაობა.

## საბიბლიოთეკო მუშაობა 1-ლ ქართულ მსკოლელ დივიზიაში

**დ**ღეს დღეოთ ქართულ საჯარო ბიბლიოთეკებში რაიმე აქტიურ საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოება, ქართულ წიგნების სიმცირის გამო, მეტათ ძნელია.

ეს ნაკლი განსაკუთრებით ჯარის ბიბლიოთეკებში აბრკოლებს მუშაობას, რადგან აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მკითხველ მასასთან, რომელსაც მხოლოდ მასიურ პოპულარული ლიტერატურა ესაქიროება, ე. ი. ლიტერატურა, რომელიც ყველახედ უფრო მცირედ მოიპოება ჩვენში. დღემდე ქართულ დივიზიას არ ქონდა საშუალება შეეძინა ეს მცირედი ნაწილიც, რადგან წიგნებით მას ზოსკოვი ამარაგებდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ქართ. დივიზიის ნაწილების ბიბლიოთეკებში ქართული წიგნები მხოლოდ 10—15% შეადგენდა. მიუხედავად ამ დიდ ნაკლისა, ამ 3 $\frac{1}{2}$  წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა საბიბლიოთეკო მუშაობის მიღწევისა. პირიქით, თანდათანობით თვალსაჩინოთ ემჩნეოდა ინტენსივობის ზრდა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი ა/წ მისსა და იენისში გამართული ჯერ დივიზიის და მერმედ არმიის საბიბლიოთეკო გამოფენებია, სადაც მრავალი სხვა და სხვა სახის ექსპონატები და დივარამები, ქართულ დივიზიის მიერ წარმოდგენილი, საკმაოდ ძლიერად მეტყველებენ თავის სასარგებლოთ. წმინდა მათემატიკურმა გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ქართულ დივიზიაში ბიბლიოთეკების ინტენსივობის კოეფიციენტი უდრის 9, იმ დროს როდესაც თფილისის გარნიზონის ბიბლიოთეკების (რომელშიც უმთავრესათ კ. წ. დ. ა. რუსულ ნაწილების ბიბლიოთეკებიდან შესდგება) ინტენსივობის კოეფიციენტი უდრის დაახლოებით 14. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ბიბლიოთეკათა პირობების განსხვავებას, მაშინ ცხადი ხდება ჩვენი ბიბლიოთეკების მუშაობის მაქსიმალური აქტუალობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს აქტუალობა უფრო მეტად გაიზრდება, რადგან დღეს უკვე წიგნების მომარაგება ხდება თვით დივიზიის საბიბლიოთეკო სექციის მიერ, რომელიც ლეზულობს ამისათვის სათანადო თანხას. საბიბლიოთეკო სექციამ უკვე შეიძინა 40—50 ცალი თითქმის ყველა ამ უკანასკნელ წლებში გამოცემულ ქართულ წიგნებისა და მომავალშიაც განზრახული აქვს ბიბლიოთეკების მომარაგება ამ მხრივ აწარმოოს.

ლ.

## პირველ კვ. ლევიონის აპტიურ საბიბლიოთეკო მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

**პირველ** კვ. ლევიონის ბიბლიოთეკამ თვისი არსებობა სამი წლის წინად დაიწყო, როდესაც ქართული წიგნები ძალიან ნაკლებად იყო ბაზარზე და მათს შესაძენად დივიზიის საშუალებაც თითქმის სრულიად არ მოეპოვებოდა რის გამოც იგი სულ რამოდენიმე ათეული წიგნით შეუღდა იმ დიდ საქმეს, რომელსაც აკისრებდა მის მოვალეობა. ქართველი ჯარის 85-90<sup>ლ</sup> სოფლის გლეხობაა რომლის ცოდნაც 2-4 კლასს არ აღემატება. მეტწილი წერაკითხვის მკოდნეა. ცხადია, რომ ბიბლიოთეკაში ჯარისკაცების ჩასათრევად და წიგნის კითხვის ხალისის აღსაძვრელად საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა ქართულ პოპულარულ ლიტერატურის საკმაო რაოდენობა და შემდეგ კი სხვა და სხვა წესები მათს გასაერცლებლად. მაგრამ, როგორც ზევით აღენიშნეთ, პირველ ხანებში ქართულ წიგნების რაოდენობას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მით უმეტეს რომ ბიბლიოთეკას ჰყავდა 300—400-მდე მკითხველი, ქართული წიგნი-კი არ აღემატება 100-ს. თავიდან ასაკილებლად იმ უხერხულობისა, რომელსაც ქმნიდა აღნიშნული გარემოება, ბიბლიოთეკის დაარსების პირველ დღიდანვე შეეუღდექით მასიურ ხმამაღალ კითხვის მოწყობას; მასალა კითხვისათვის დაეყავით რამდენსამე ხანად; პირველი კითხვები უოვედ ახალ მსმენელებთან იწყებოდა ბატონყმობის ხანიდან, მაგალითად: „სურამის ციხე“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხ. შემდეგ გარდამავალ ხანიდან ნინოშვილის ნაწარმოები: „გოგია უიშვილი“, „განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“ და შემდეგ კი ზოტიკეს „ახალი ტალღებიდან“. და ამ რიგით თანდათანობით ვუახლოვდებოდით ახალ ლიტერატურას. კითხვების მოსაწყობად არ გვექონდა არავითარი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, რის გამოც ჩვენ თვითონ გვიხდებოდა რამოდენიმე საცდელ კითხვის ჩატარება.

ზევით აღენიშნეთ, რომ ახალ-გაწვეულთა დიდი უმრავლესობა სოფლის გლეხებია, რომელნიც სრულიად არ არიან გონებრივ მუშაობას მიჩვეულნი. მათ ყაზარმაში მრავალი ახალი შთაბეჭდილების მიღება და გადამუშავება უხდებოდა, რაც ჩვენგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, რათა ხანგრძლივი კითხვებით არ მოგვექანცა მათი გონება და ამით ზიანი არ მოგვეტანა საქმისათვის. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ხმამაღალი კითხვა ასეთ მსმენელთა შორის არ უნდა გრძელდებოდეს ნახევარ საათზე მეტს. მასალა უნდა იყოს პატარა და ადვილი გასაგები; მოსაწყენი ადგილები (მაგ. ბუნების აღწერა და სხ., რაც სოფლის გლეხისთვის ახალი არ არის) უნდა გამოტოვებულ იქნას და კითხვა უნდა სწარმოებდეს ისეთი მოთხოვნებისა, რომელნიც მეტ გავლენას მოახდენენ მათს გრძნობაზე. დიდი მოთხოვნა, რაც უნდა დიდათ საინტერესო იყოს, არავითარ დადებით შედეგს არ იძლევა, მით უმეტეს მოთხოვნის შეწყვეტა და შემდეგ

გაგრძელება სრულიად არ არის მიზანშეწონილი. კითხვის დროს ყოველი გაუგებარი სიტყვები და წინადადებები უნდა იქნას განმარტებული და ახსნილი, შემდეგ კი იმართებოდეს საუბარი, მსმენელების აქტიურ მონაწილეობით, წაკითხულზე შეხედულების გაზიარების და წაკითხულთან სხვადასხვა მოგონებების დაკავშირების სახით. ასეთ კითხვებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც იმ მხრივ, რომ წიგნების ნაკლულოვანების დროს ერთ წიგნით 25-30 მსმენელს ვაკმაყოფილებდით, ისე იმ მხრივ, რომ წითელარმიელი ეჩვეოდა წაკითხულ წიგნის გარჩევას და ცხოვრების სინამდვილესთან მისი შინაარსის დაკავშირებას.

დღეს კი, როდესაც ჩვენი ბიბლიოტეკა ქართულ წიგნების ნაკლულოვანებას აღარ განიცდის, ხმამაღალი კითხვები უმთავრესად წერაკითხვის უტოლინარებისათვის იმართება და მიმართულია იქითკენ, რათა მსმენელში გავავლიძოთ წიგნებისადმი სიყვარული, რაც არანაკლებ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა მოსაწყენ და გაუგებარ მოთხრობებით არ შევავლოთ წიგნი. ხმამაღალი კითხვის მწარმოებელმა უთუოდ უნდა იცოდეს მასის ფსიქოლოგია და მისი ცოდნა აუცილებლად უნდა აღმატებოდეს მსმენელთა ცოდნასაც, რათა საუბარი და შეკითხვები შესაფერად იქნეს გაშუქებული. მასაში წიგნის გასავრცელებლად ბიბლიოთეკას ქონდა სხვა საშუალებებიც: სარეკომენდაციო სიები; გამოფენები, ზეპირი პროპაგანდა და სხვა.

### ბიბლიოთეკა, პოლიტსაათი და წამები.

პოლიტსაათისათვის ბიბლიოთეკა წინასწარ ამზადებს მასალას. თანახმად არსებულ საწარმოო გეგმისა, ამზადებს სარეკომენდაციო სიებს, აწყობს გამოფენას და აწვდის ამ რიგად პოლიტწრეებს აუცილებელ საჭირო მასალას. ასეთსავე დახმარებას უწევს იგი კლუბთან არსებულ სხვადასხვა წრეებს. რაც შეეხება ლეგიონის სკოლას, მას ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევს; ზეპირი აგიტაცია, რომელიც სწარმოებს წიგნის გასავრცელებლად, მიმართულია სკოლის სასარგებლოდაც, ვინაიდან წერა-კითხვის უტოლინარ წითელ არმიელში იწვევს რა ბიბლიოთეკა წიგნის კითხვის სურვილს, აიძულებს მას რათა დაჩქარებით შეისწავლოს წერა-კითხვა. წითელარმიელი ხედავს წიგნების გამოფენებს, ხედავს, რომ სხვა მისი ამანაგები კითხულობენ მას და ისიც სცდილობს, რომ მათ არ ჩამორჩეს. ხმამაღალი კითხვები ჯარისკაცთა შორის იწვევს დიდ სურვილს კითხვისას. და ყოველივე ეს, ცხადია, ხელს უწყობს სკოლის მუშაობას. თვით მასწავლებლობას კი ბიბლიოთეკა აწვდის მეთოდურ სახელმძღვანელოებს და სხვადასხვა მასალას სკოლის შესახებ, და სხვ.

### ბიბლიოთეკა და ლენინის კუთხეები.

ლენინს აქვს სულ 12 ლენინის კუთხე ასეულებისა სპეციალურ გუნდებში, რომელთაც ყავთ თავისი გამგე—წითელარმიელები და რომელთა საშუალებითაც ბიბლიოთეკა აწარმოებს მუშაობას თვით ყაზარმის კედლებში. ლამაზად მოწყობილ კუთხეში სდგას მაგიდა ჟურნალ-გაზეთებისათვის, სადაც ყოველთვის ყველა ად-



გილობრივი გაზეთი მიდის. აქვე მოწყობილია ხმა-მაღალი კითხვა, არის ცნობის ყუთი და სხ. კუთხეს ეძლევა, კოლექტიურ აბონემენტის სახით, 20-25 წიგნი. ამ წიგნებს კითხულობს 100% მკოდნე წითელ-არმიელებისა, და მერე იცვლება ახალი შემადგენლობით. ლენინის კუთხეების მუშაობა ამ მხრივ დიდ ნაყოფს იძლევა, რადგან იგი ტანტებზე მოსვენებულ წითელ-არმიელებს უშუალო სამსახურს უწევს. კოლექტიურ აბონემენტით ეძლევა კუთხეებს უბრალო ბროშურები, რომელიც. რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ აკმაყოფილებს წითელ-არმიელს, ეს უკანასკნელი შემდეგ ძალა-უნებურათ ხდება წევრად ბიბლიოთეკისა, სადაც მას უწევინ შემდეგში სისტემატიურ ხელმძღვანელობას. და ამ რიგათ კოლექტიური აბონემენტები ერთი საუკეთესო გზაა ბიბლიოთეკისა და წითელ-არმიელთა შორის.

როგორც ხმა მაღალი კითხვები, ისე წიგნთა გამოენა და კოლექტიური აბონემენტები აუცილებელი გზაა წითელარმიელთა ბიბლიოთეკებისათვის და ესენი უთუთ უნდა იქნას გამოყენებელი, თუ გვინდა, რომ ბიბლიოთეკამ ნაყოფიერი მუშაობა აწარმოოს.

## ა ნ გ ა რ ი უ ბ ი

საბიბლიოთეკო წრის მუშაობისა 1923 წ. ნოემბრიდან 1924 წლის მანამდე.

**წ** არსულ წლის ოქტომბრის 13 განათლების მუშაკთა სახლთან და-არსდა ბიბლიოთეკართა წრე.

უბნებისა და პროფკავშირთა ბიბლიოთეკიდან ჩაეწერა 30 კაცი. წრის საქმიანობის გეგმაში შედიოდა ბიბლიოთეკის მუშაკთა პროფესიონალურ კვალიფიკაციისა და პოლიტ-ცოდნის გაცნობა. წრის მეცადინეობა ხუთშაბათობით სწარმოებდა. ერთ ხუთშაბათს რომ ბიბლიოთეკის საკითხებზედ მსჯელობდნენ, მეორე ხუთშაბათს მსჯელობის საგანი იყო პოლიტ-ცოდნა. და ესე თვეში ორჯელ ბიბლიოთეკის საკითხებზედ იყო მსჯელობა, ორჯელ-კი—პოლიტ-ცოდნაზედ. წრე თვითმოქმედების საფუძველზედ იყო აგებული, ამიტომ წრის ხელმძღვანელნი (პ პირისაგან შემდგარი კოლეგია) თავიანთ შორისვე იყვნენ არჩეულნი. აგრეთვე მომხსენებლებადაც თვით წრის წევრნი გამოდიოდნენ, რომელნიც მოვალენი იყვნენ ჯერით გაეკეთებინათ მოხსენებები, რადგან წრის აზრი ისიც იყო, რომ მისი წევრნი კრებებზე თავისუფლათ გამოსვლას შესჩვეოდნენ.

უნდა ითქვას, რომ წრე სპეციალურ საბიბლიოთეკო მასალას უკეთ ითვისებდა. პოლიტ-ცოდნაში კი საქმე უფრო სუსტათ მიდიოდა: მთელი ხნის განმავლობაში მოასწრეს მხოლოდ პოლიტიკური ეკონომიის დამუშავება. წლის ბოლოს ხელახლად იყო დაყენებული საკითხი სპეციალური ხელმძღვანელის შესახებ და დაადგინეს მისი მოწვევა წრეში სამეცადინოდ.

წრის მუშაობას ჩვეულებრივათ ესწრებოდა 18-20 კაცი. წრის მეცადინეობის დამაბრკოლებელი იყო ერთი გარემოება—მეცადინეობის გვიანი დრო. პოლიტ-

განათლების ბიბლიოთეკარებს ბიბლიოთეკების დატოვება მ საათზე ადრე არ შეეძლოთ, დალაღვაც იჩენდა ხოლმე თავს, რადგან ბიბლიოთეკებში 6 საათის განუწყვეტელ მუშაობას შემდეგ, მაშინვე უხდებოდათ მეცადინეობა.

საანგარიშო ხანში 19 სხდომა მოხდა. მოხსენებები შემდეგს საგნებზე იყო მოსმენილი:

1) საბიბლიოთეკო საქმე მოსკოვსა და როსტოვში. გარჩევა „საბიბლიოთეკო კრებულისა“, კრუპსკაიას რედაქციით რომ გამოდის.

2. ხლბეცევიჩი—„შესწავლა მკითხველთა ინტერესებისა.“

3. ბონდარსკი—„ბიბლიოგრაფიული ათწილადი კლასიფიკაცია.“

4. კოვალევსკი—„ათწილადი კლასიფიკაცია.“

5. ათწილადი სისტემა კლასიფიკაციისა, პრაქტიკულ მუშაობასთან შეფარდებული.

6. მუშაობა საბავშვო ბიბლიოთეკებში და საუბნო ბიბლიოთეკების საბავშვო განყოფილებებში (თეორიული ნაწილი).

7. თბილისში არსებულ, ლენინარსკის სახელობის, საბავშვო ცენტრალურ-ბიბლიოთეკაში მუშაობის შესახებ.

8. გარჩევა ჟურნალ „წითელი ბიბლიოტეკარი“-სა.

9. საბონენენტო გადასახადი და საწინდარი.

10. წიგნების სიძვირის შესახებ.

11. წიგნების დაკარქვასა და წახდენასთან ბრძოლა.

12. კეტერის ტაბულების მიხედვით თაროებზე წიგნების დალაგებისა და მისი ქართულ ენაზე გადათარგმნის შესახებ.

13. ბიბლიოთეკებიდან უვარგისი წიგნების გამორიცხვის შესახებ.

14. საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს (ბიულეტენის) გამოცემის შესახებ.

15. საბიბლიოთეკო წრისა და საბიბლიოთეკო კაბინეტის ურთიერთ-შორის დამოკიდებულების შესახებ.

16. წითელ არმიის საბიბლიოთეკო გამოფენაში სამოქალაქო ბიბლიოთეკების მონაწილეობის მიღებაზედ.

მოხსენებებთან დაკავშირებულია პრაქტიკული მუშაობანი:

ა) საგაზეთო მასალის თეიური სისტემატიზაცია.

ბ) შემუშავებულია ინსტრუქცია წიგნების გამორიცხვისათვის.

გ) ანკეტის შემუშავება იმის შესახებ, თუ ბიბლიოტეკარები როგორ უკუბრუნებენ კეტერის სისტემას (გატარებულს საბიბლიოტეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის მიერ).

დ) წრის წევრნი ვარჯიშობდნენ წიგნთა კლასიფიკაციაში.

ე) პოლიტ-ცოდნაში მეცადინეობდნენ ხმამაღლა კითხვით და ცალკე საკითხების გარჩევით.

ამას გარდა იყო მოსმენილი ერთი მოხსენებაც: „განსაზღვრა პოლიტიკური ეკონომიისა.“

## რუსთაველის სახელობის გიგლიოთეკაში

**რ**უსთაველის სახელობის სამკითხველოში სწარმოებს მუშაობა ახალ კატალოგზე. ამ მუშაობის დროს აღიძრა საკითხი, თუ რა სახე მიეცეს კატალოგს: კარტაკული, თუ ახალი, ბლოკნოტური, როდესაც თვითნაირი წიგნი თითო ფურცელზე იწერება, რის შემდეგ ეს ფურცლები ბლოკნოტებად იკრება. თუმცა ეს სახე კატალოგისა ნაკლებ არის ცნობილი, ვიდრე კარტაკული კატალოგი, მაგრამ მაინც ეს უფრო მოსწონთ მკითხველებს, რადგანაც ასეთ ბლოკნოტის გასინჯვა უფრო მოსახერხებელია და ამავე დროს მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ცალკე ბლოკნოტების ხმარებით. ამიტომ კატალოგის ეს უკანასკნელი სახე ხმარებაში შემოღებულ იქნა.

პრ:

## IV. ქ რ ო ნ ი კ ა

**საბიბლიოთეკო კურსები.** 1924 წლის 21 დეკემბერს დასრულდა სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებული საბიბლიოთეკო-საბიბლიო-გრაფიო კურსები. — კურსების დასრულების დღეს დაესწრნენ და მიესალმნენ კურსდამთავრებულთ: საქარ. პოლიტ-განათ. მთავარმმართველობის თავმჯდომარე, მისივე მოადგილე, თბილისის პოლიტ-განათლების გამგე, თბილისის კომიტეტის წარმომადგენელი და სხვები.

კურსდამთავრებულთა სახელი და გვარები: ავალიანი ე., ავალიშვილი რ., ავალიშვილი ქ., აზმაიფარაშვილი ლ., ბაქრაძე ე., ბარათაშვილი ნ., ბახტაძე ვ., ბაციკაძე გ., ბერულავა გ., ბოკუჩავა ა., ბორჩხაძე მ., ბურძღვა ნ., გვაზავა პ., დათიკაშვილი ქ., დარახველიძე თ., დათუნაშვილი თ., დეციძე თ., დემერიშვილი ო., დიასამიძე თ., დონაძე ზ., დოლონაძე ი., დოლაბერიძე თ., დუმბაძე შ., დუმბაძე-შავგულიძისა ნ., ენუქიძე ვ., ვახვახიშვილი ე., თარხნიშვილი ე., თევდორაძე ი., თორაძე ა., თოდრია ე., თულაშვილი ე., თუმანიშვილი მ., იაკობიშვილი მ., იოსიძე გ., კაკაბაძე გ., კალანდაძე ო., კალაძე მ., კაჭარავა ვ., კლდიაშვილი ა., მაკეივი ა., როსტრაზ პ., პუშოვი ე., ჟუჟუნაძე ე., სვანი ვ., სირანიანც ა., ქუჩუკაშვილი ნ., შალამბერიძე გ., ჩაჩიბაია ზ., ციციქოშვილი დ., ციციშვილი ე., კინციშვილი ვ., კინცაძე თ., ხახიშვილი ს., ხომასურიძე ა., ხოსიტაშვილი ქ., ხიზანაშვილი ნ., ჭანჭიშვილი ს., ჭეიშვილი ე., ჭლიქაძე გ., ჯაფარიძე თ. სულ 60 კაცი.

❦

**ღიხუპტი დეცემალურ სისტემის გარშემო.** 1924 წელს, დეკემბრის 19-ს განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო წრის მიერ მოწყობილი იყო დისპუტი ათწილად კლასიფიკაციას გარშემო. მომხსენებლად და დამცველად საერთაშორისო ათწილად კლასიფიკაციისა გამოვიდა ამხ. გორბაჩოვი, თანამომხსენებელი იყო მოწინააღმდეგე ამ სისტემისა ამხ. მ. კანი. მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნ. ლორთქიფანიძემ და ვ. ბროსემ. იყო აგრეთვე ბევრი შეკითხვა, რაიც ამტკიცებს, რომ დამსწრეთ საკითხი აინტერესებდათ, თუმცა ეს საკითხი მთლიანად მაინც არ ამოუწურიათ.

❦

**მოხსენება მეცნიერულ კლასიფიკაციაზე.** განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო წრემ განიძრახა და მოკლე ხანშიც მოაწყობს მოხსენებას მეცნიერულ კლასიფიკაციის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი წარმოიშვა დეკემბრის 19 დისპუტზე, როდესაც საკითხები დეცემალურ სისტემის გარჩევის დროს საესებით ვერ ამოსწურეს, რასაც მოითხოვდნენ დამსწრენი.

❦

ბანათლემის მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო წრის მიმდინარე მუშაობა. ხსენებულ განათლების მუშაკთა სახლის საბიბლიოთეკო წრეში ახლა მიდის მუშაობა; მხატვრული ლიტერატურა აქვსთ გარჩევის საგნად. უკვე არჩევენ ივანოვის ნაწარმოებთ.

### აბ

**ტფილისის პოლიტ-განათლების ბიბლიოთეკები.** ტფილისის პოლიტ-განათლების განკარგულებაში არის ცხრა ბიბლიოთეკა. ეს ბიბლიოთეკები ემსახურება, როგორც ქალაქის ცენტრს, ისე განაპირა რაიონებს. ხსენებულ ბიბლიოთეკებში უკვე სრულდება გადამუშავება საერთაშორისო ათწილად სისტემაზე. ბიბლიოთეკები ვაჭმენდილია კომისის მიერ უფარვის ლიტერატურისაგან.

### აბ

**ბიბლიოთეკები და ქობ-სამკითხველოები ტფილისის მაზრაში.** ამჟამად ტფილისის მაზრაში არსებობს ათი ბიბლიოთეკა, რომელთაც თბილისის პოლიტ-განი აწვდის ახალ-ახალ კომპლექტს ლიტერატურისას სხვადასხვა ენაზე, ადგილისა და მოთხოვნილების მიხედვით.

ხსენებულ მაზრაში არსებობს 50 ქობ-სამკითხველო. ტფილისის პოლიტ-განმა დაუზღავა ამ ქობ-სამკითხველოებს ხუთ-ხუთი მან. ლენინის კუთხის მოსაწყობად და ოც-ოცი მანეთი შენობის შესაკეთებლად. ლიტერატურის მიწოდებაც წესიერათ სწარმოვებს. თუმცა იყო ეროვნებათა უმცირესობის ლიტერატურის კრიზისი, მაგრამ ესეც დაძლეულია, რადგან პოლიტ-განმა მიიღო საჭირო ლიტერატურა აზერბაიჯანიდან.

### აბ

**მ შ რ ი ა :** გურიაში ამჟამად 52 ბიბლიოთეკა-სამკითხველოა. 12 მათგანი საკმაოდ დიდია და თვითფულში ირიცხება 2-3 ათასი წიგნი.

ლიტერატურით მომარაგება ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა დაწყებულია რიგიანათ; ოთხ საავენტოს საშუალებით გურიაში ვრცელდება 3,000-მდე ცალი გაზეთი.

### აბ

**სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია საბიბლიოთეკო დარგში.** „ბიბლიოთეკამ, რომელიც საკლებო მუშაობის ნაწილს შეადგენს, მთელი მოქმედება კლუბის საერთო გეგმას უნდა დაუმორჩილოს, კლუბისა და მისი წრეების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს და მიაწოდოს მათ შესაფერი ლიტერატურა და სახელმძღვანელოები.

„ამა თუ იმ კლუბის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარდა ბიბლიოთეკათვის მიზნად უნდა ისახავდეს აგრეთვე მეშუებისათვის თავიანთ წარმოებაში სამსახურის გაწევას: მოპრავ ბიბლიოთეკის მოწყობით, წიგნების რეკომენდაციით, გარეკანთა და სხვადასხვა საკითხების შესახებ, ახლად მიღებულ წიგნების სიის გამოფენით.

„მოზრდილებთან მუშაობასთან ერთად, მუშათა ბიბლიოთეკები უნდა იღებდნენ აგრეთვე შესაფერ კლიტერატურას კლუბის წევრთა და საერთოდ მუშათა ბავშვებისათვის. ასეთი სახის მუშაობა დღემდე უყურადღებოთ იყო დატოვებული“.

აღ

**საპარტიველოს წიგნის მატიაწე.** საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ წიგნის პალატა კარგა ხანია შეუდგა საქართველოს წიგნის მატიაწეს მასალების მოგროვებას და გამოშვებას. ამ მატიაწეში შევა ყველა წიგნი, საქართველოს ტერიტორიაზე 1917 წლიდან 1924 წლის 31 დეკემბრამდე გამოცემული. მატიაწეს გამოცემა შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ ს. ს. რ. კავშირებმა გადასწყვიტეს ასეთი მატიაწე შემუშავებული და გამოცემული ყოფილიყო ერთი გეგმით. ეს გეგმა უკვე მიღებულია და დადასტრებულია. ასე რომ ხსენებული საქართველოს წიგნის მატიაწეც ამ ხანებში გამოვა ახლად შემუშავებულის გეგმით.

აღ

**ქმტარის ცხრილი ქართულ ენაზე.** პირველ მსროლელ დივიზიის პოლიტიკანათლებამ გადასცა ამხ. კაქარაეას ქართულ ენაზე მის მიერ შედგენილი კეტარის ცხრილი გასასწორებლად და შესავსებლად, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვა. ეს ცხრილი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბიბლიოთეკაში, როგორც წიგნების თარიღებზე დაწყობის, ისე კატალოგის შედგენის დროს. აქამდე ბიბლიოთეკარს მუშაობა უზღებოდა რუსულ კეტერთ, რომელსაც ქართული ასოები და სიტყვის მარკვლები აქლია.

აღ

**პოლიტ-განათლების მთავარსამართველოს გამოცემლობის მიერ გამოცემა შემდეგი წიგნები:** 9 იანვარი—1905—1295. სახელმძღვანელო მუშათა კლუბებში 20 წლის იუბილეს ჩასატარებლად.

ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო — კრებული. იმევე გამოცემლობის მიერ დამუშავებულია და გამოსაცემია შემდეგი წიგნები: ბერდნიკოვი და სვეტლოვის — პოლიტ-კოდნა (სრული კურსი). სინათლისაკენ ნაწ. 2—ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი მოზრდილთათვის. ინსტრუქციების კრებული ქობ-სიმკითხველოსა და სოფლის კლუბებისათვის. ბსენბულ გამოცემლობის კურნალი „მნათობი“ მე-7—8 დეკემბრის ნომერი უკვე გამოვიდა. იანვრის ნომერი კი გამოვა იანვრის ბოლო რიცხვებში.

აღ

**იმევედებ და მალე გამოვა სახელმწიფო გამოცემლობის შემდეგი წიგნები:** საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის დაკვირვებანი. 2) ფ. მახარაძის ნაწერების 2 ტ. 1905 წ. 3) ა. წერეთელი—თხუხულებანი. 4) პედაგოგიური კურსები სახლში. 5) მაქეაარიანი — მუცლის ღრუს ქირურგია. 6) ვ. ი. ლენინი — მოკლე ბიოგრაფიული აღწერა. 7) თაბუქაშვილი—განთიადი 1 ნაწ. 8) თურქული ანბანი. 9) ჩხენკელი „ბუნება“ 2 ნაწ. 10) ახალი ლიტერატურული ქრესტომატია 1 და 2 ტ. 11) ლენინის საათი სკოლაში (სალიტერატურო სექციისა). 12) კურ-

ნალი „ორკვირული“ № 1 (სახკანკომისა), 13) არსენა ოძელაშვილი და მისი ცხოვრება (სალიტ. სექცია). 14) მათემატიკური ტერმინოლოგია. 15) ხარაბაძე — „ტრიგონომეტრია“.

### ცც

**სამპარტივალოს პროფ-კავშირთა კულტ-განუყოს მიერ იბეჭდება და გამოვა შემდეგი წიგნები:** ლომაური—მალარია ანუ ციებ-ცხელება საქართველოში. ზინოვიევი—საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა (სიტყვა წარმოთქმული საკავშირო პროფკავშირთა მე-VI ყრილობაზე).

ლენინი—სიტყვები და წერილები პროფ-მოძრაობის შესახებ.

ფეხბურთი—ფიზკულტურის ბიბლიოთეკა.

**ამათ გარდა ხსენებული გამომცემლობა გამოსცემს ფიზკულტურის ბიბლიოთეკისთვის მ. პატარიძის-მიერ გადმოკეთებულს შემდეგ წიგნებს: 1) რბენი, 2) ხტომი და 3) ტყორცა.**

### ცც

**ცეკაპაშვირის გამომცემლობა ბეჭდავს და მოკლე ხანში გამოვა შემდეგი წიგნები:** ბერიტაშვილი — ხილის და ბოსტნეულის გაჩილა-გახმობის სახელმძღვანელო.

აგრ. ლამბაშიძის—კვირტზე ხეხილის მყნობა.

ხსენებულ გამომცემლობის-მიერ მოკლე ხანში გამოიცემა:

მეშჩერიაკოვი—თანამედროვე კოოპერაცია.

ა. ერქომაიშვილი—კოოპერატიული აპარატის გაუმჯობესება სოფლად.

ტუგან-ბარანოვსკი—კოოპერაციის სოციალური საფუძვლები.

შიო მღვიმელი—რჩეული საბავშვო ლექსების კრებული.

ცეკაპაშვირის გამომცემლობა აგრეთვე გამოსცემს სისტემატიურათ საკოოპერაციო ორ-კვირეულ ჟურნალს „კავშირს“.

### ცც

**საკაი წერეთლის რჩეული ნაწერების გამოცემა.** სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს და ამ ახლო მომავალში გამოვა აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების პირველი ტომი — პროზა. დამზადებულია გამოსაცემად აგრეთვე სამი ტომი — პოემები, დრამები და ლექსები.

### ცც

**სანდრო შანშიაშვილის ნაწერები.** გამოდის სანდრო შანშიაშვილის ნაწერები სამ ტომად.

### ცც

**მანათი ნინოშვილის თხზულებანი.** მოვიდა ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს საგანგებო ლექსიკონი, ვრცელი ბიოგრაფია და კრიტიკული წერილი.

### ცც

**პოლა ლომთათიძის ნაწერების გამოცემა.** მწერალთა ერთი ჯგუფი შეუდგა ქოლა ლომთათიძის ნაწერების შეგროვებას, რომლის ბეჭდვა დაიწყება ახლო მომავალში. ნაწერები გამოვა ორ ტომად.

არჩ. ჯაჯანაშვილის ნაწერების გამოცემა. გამოვიდა და იყიდება არჩ. ჯაჯანაშვილის (გარდელი) ნაწერები—მოთხრობები და პიესები.

»C

შახვების ავტორობის საკითხი. ახლო ხანში გამოვა ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნი: „ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი“, რომელიც იქნება პასუხი მის. ხანდუკელის წიგნზე ყაზბეგის შესახებ.

»C

ჯონ-რიდი. გამოვიდა ცალკე წიგნად გ. ტაბიძის პოემა: „ჯონ-რიდი“.

»C

უოტ-უიტმანის ლექსები ქართულად. დაიწყო თარგმნა ინგლისურიდან უოტ-უიტმანის ლექსებისა, რომელიც ცალკე წიგნად გამოვა.

»C

სომეხ-პოეტის ოვ. თუმანიანის ნაწარმოებნი ქართულად. დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ი. გრიშაშვილის მიერ ნათარგმნი სომეხ-პოეტის ოვანეს თუმანიანის ლექსები, მოთხრობები და პოემები, მთარგმნელის წინასიტყვაობით.

»C

ძარბაველ პოეტების და მწერლების ნაწარმოებთა გადათარგმნა სომხურ ენაზე. ერევანში იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა ქართველ პოეტების და მწერლების რჩეულ ნაწარმოებთა თარგმანების წიგნი სომხურ ენაზე. წიგნში მოთავსებული იქნება ქართველი ცნობილი მწერლები, დაწყებული ძველი დროიდან.

»C

სასანიტარო განათლების ლიტერატურა. ჯანმრთელობის კომისარიატი შეუდგა სასანიტარო განათლების შინაარსის წიგნებისა და ბროშურების გამოცემას გლახთა შორის გასაერყელებლად.

»C

ალ. წულუჭიძის ნაწერები. სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ალ. წულუჭიძის ნაწერების ბეჭდვას. ნაწერები გამოვა რ. კალაძის რედაქტორობით.

»C

საბავშვო ლექსები. დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად მიშქარაღის საბავშვო ლექსთა კრებული.

»C

„თეატრი და ცხელოვნება“. განახლდა სათეატრო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა.

»C

უწინააღმდეგარსი „ხელოვნება“. ხელოვნების მუშაკთა კავშირმა „ხელოვნების დროის“ ნაკლად დაიწყო გამოცემა ყოველკვირეულ სახელოვნო-სათეატრო ჟურნალ „ხელოვნების“-ა ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა იანვრის პირველ რიცხვებში.



## VI. ბიბლიოგრაფია\*)

### ლ. დ. ტროსხის წერილი\*\*)

**Р** 3.2.5 თ.3.0.ს ღიდათ საჭიროა კარგი საბიბლიოგრაფიო ჟურნალი. მისი შექმნა — განსაკუთრებით ძნელი საქმეა.

ასეთი ჟურნალი უნდა იყოს ლიტერატურის გამცნობი და მრჩეველი ყველა იმ მკითხველისა, ვისაც ასეთი რჩევა ესაჭიროება. ხოლო ეს-კი უმრავლესობასა სჭირია. რეცენზია ხომ ლიტერატურის ყველაზე მეტათ პასუხისმგებელი დარგია. რეცენზია ჰგულისხმობს ავტორის მიერ საგნის ზედმიწევნით ცოდნას კარგი გაგებას, თუ ამა თუ იმ წიგნს რა ადგილი უკავია სხვა წიგნებს შორის; და იმის მასვე მოეთხოვება უაღრესი კეთილსინდისიერება.

ჩვენთვის საჭიროა წიგნის შესახებ ორი-სამი გაკერით ნათქვამი აზრი კი არა, არამედ ისეთი სიტყვა, რომელიც გაგვაცნობს თვით წიგნს. ზოგჯერ ახჯობია მკითხველს ემცნოს უბრალო დაწვრილებითი სათაური წიგნისა ორიოდ ციტატის დართვით, ვიდრე დაიწეროს დილეტანტური და ნაკლებათ დამარწმუნებელი დაფასება.

ღიდათ სასურველია, თქვენი ჟურნალი შეიქმნეს რეცენზენტების აღმზრდელ ორგანოდ, დაუნდობლათ სდევნოს ამ დარგში ზერელობა, დაუდევრობა და ის სპეციფიური ნათლიმამობა, რომელსაც, სამწუხაროდ, რეცენზიის საქმეში მეტად ხშირათა ვხედავთ.

ნება მომეცით ამ რამდენიმე სიტყვით თქვენს დაწყებულ საქმეს ჩემი თანაგრძნობა გამოუცხადო და ვუსურვო მას სრული წარმატება.

ლ. ტროცკი.

1924 წ. 18/ვ

\*) კოპულარიაზიკის მიზნით ყველა წიგნს გაკეთებული აქვს დეციმალურ სისტემის შიფრი: რედ.

\*\*\*) წერილი მიწერილია „Книга о книгах“-ის რედაქციისადმი.

## 0 (საერთო განყოფილება)

01.  
(ბიბლიო-  
გრაფია)

Грузинская библиография. Указатель к статьям и материалам в грузинской периодической печати (1852 — 1910). Языкознание, Этнография, География, Археология, История, Народная словесность, и Древняя литература.

ქართული ბიბლიოგრაფია. ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852 — 1910) მოთავსებულ სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი. ენათმეცნიერება, ეთნოლოგია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება და ძველი მწერლობა. Петроград. 1916 VIII + 160 გვ.

ეს წიგნი შეიცავს ერთ ნაწილს იმ დიდი შრომისა, რომელიც შეუსრულებია პეტროგრადის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ი. ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ეს წრე არსებობდა და მუშაობდა 1908 — 1913 წ. წ. და შეუდგენია თითქმის სრული ბიბლიოგრაფია ქართულ პერიოდულ გამოცემათა დღიდან მისი დაარსებისა 1910 წლამდე. გაცილებით მეტი ნაწილი ამ დიდი და მეტად საჭირო ნაშრომისა (ახალი ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები, სახალხო განათლება და სხ.) ჯერაც გამოუცემელია და შეადგენს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის საკუთრებას.

მეტია იმაზედ ლაპარაკი, თუ რა დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ასეთ სრულ ბიბლიოგრაფიას ჩვენი წარსულის მკვლევართათვის და საზოგადოდ ყოველი სერიოზული ჟურნალისტისათვის. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს ერთი ნაწალია გამოცემული. რომლის რედაქცია ეკუთვნის განსვენებულ ი. ყიფშიძეს. წიგნს დართული აქვს მისივე წინასიტყვაობა და შეიცავს სრულ ბიბლიოგრაფიას შემდეგი დარგებისას: I—ენათმეცნიერება (1—8 გვ.), II—ეთნოგრაფია (9—23 გვ.), III—გეოგრაფია და მოგზაურობანი (24—32 გვ.), IV—არქეოლოგია, პალეოგრაფია და წარწერები (33—42 გვ.), V—სამოქალაქო ისტორია (42—69 გვ.), VI—საეკლესიო ისტორია (69—76 გვ.), VII—ხალხური სიტყვიერება. მასალები (76—95 გვ.), VIII—ხალხური სიტყვიერება. გამოკვლევანი (95—97 გვ.), IX—ძველი მწერლობა (97—106 გვ.), ავტორთა, მთქმელთა და მთარგმნელთა საძიებელი (107—120 გვ.), საგანთა საძიებელი (121—155 გვ.); დამატება (156—160 გვ.).

ბიბლიოგრაფია შედგენილია შემდეგი სისტემით: ჯერ დასახელებულია ავტორი, შემდეგ სტატიის სათაური. შემდეგ დასახელებულია ორგანო, რომელშიაც დაბეჭდილია დასახელებული წერილი, წლის და ნომრის აღნიშვნით. ყოველ ასეთ ბიბლიოგრაფიულ ცნობას თან ახლავს რიგის ნომერიც. მაგ. ერისთავი, რაფ. აზრი სრულის რუსულ-ქართულის ლექსიკონის შედგენაზე. ივ.1888. № 144 [39. ივ. = ივერიას.

ამ წიგნში მოთავსებულია სულ 2462 ასეთი ცნობა. დამატებაშიც 98 ცნობა, რომელიც ეკუთვნის პირადადათ რედაქტორს, ასე-რომ ხელთა გვაქვს 2560

**ბიბლიოგრაფიული ცნობა.** ეს დაუფასებელი განძია. მაგრამ რამდენი ასეთი ცნობაა დამუშავებული და გამოუცემელი აწყევია რუსეთის აკადემიის განჯინებში?

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, ძველი ყალიბის შრიფტით, რომელიც ხელნაწერს მიუახლოვდება. ღირს 1 მან. 50 კაპ., მაგრამ გასასყიდად აღარ იშობება.

## რ ა უ ნ დ ა წ ა ვ ი კ ი თ ხ ო თ ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე ო ს ა მ ქ ი ს შ ე ს ა ს წ ა ვ ლ ა დ .

02.  
(საბიბლ.  
საქმე)

**ს ა კ ა მ ა თ ო** არ არის ის საკითხი, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისთვის „ცოდნა და უნარი“ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. ცხადია, რომ წიგნი ყველაზე ეკონომიური საშუალებაა ცოდნის შესაძენად. ჩვენს დროში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს შევიძინოთ წიგნები საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. საკითხია მხოლოდ, რა წავიკითხოთ ამ დარგში და როგორის წესით? ქვევით აღნიშნულ სიაში, ჩვენის აზრით, მოყვანილია ზრდიად აუცილებელი მასალა; მხოლოდ კითხვის წესი კი უნდა ეთანხმებოდეს ბიბლიოთეკაში მუშაობის წესს.

უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, იბადება საკითხი საერთოდ თანამედროვე შეზღუდულების შესახებ განათლებაზე და კერძოდ ბიბლიოთეკის ამოცანებზე. აქედან აუცილებელია გაცნობა ლენინისა, კრუჰსკაისი, ტროცკისა და ლუნაჩარსკის თხუზულებათა.

ბიბლიოთეკარის მუშაობის შემდეგი ნაბიჯი უნდა გამოიხატებოდეს მასში, რომ წიგნების უბრალო გროვა გადააქციოს წესიერ ბიბლიოთეკად, სადაც ადვილათ და სწრაფათ შეგვეძლება ვიპოვნოთ საჭირო წიგნები და ისეთი ლიტერატურა, რომელიც აშუქებს საჭირო საკითხებს. აუცილებელია აგრეთვე ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლების და სახელმძღვანელოების ცოდნა და მოხმარებაც.

საბიბლიოთეკო ტექნიკის დაძლევისათანავე ბუნებრივია წამოიჭრება საკითხი მკითხველთან მუშაობის მეთოდების შესახებ, მაშასადამე, საჭიროა ცოდნა და გარკვევა პოლიტიკურ-განათლების საკითხებშიაც.

ქვემოთ მოყვანილ მასალას დამუშავება ახალ მკითხველს მისცემს ცოდნის პირველ კონცენტრს.

**Вольжгальский, Ал.** Как образовывать избу-читальню и вести работу в ней. На помощь деревне и школе. М. 1923 г. 336 стр.

პატარა ბროშურა, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია და იძლევა პასუხს თანამედროვე კითხვებზე.

02. **Невский, В.** Нормальный каталог полковой красноармейской библиотеки. Изд. Выш. Военного редакц. Сов. 186 стр.

ეს კატალოგი დანაწილებულია რუბრიკებად წიგნთა კლასიფიკაციის მიხედვით, რომელთა ფარგალშიაც წიგნები გარკვევით იძლევა ცნობებს

ღირსშესანიშნავ კითხვებზე. ამნაირი წესი ბიბლიოთეკარს უადვილებს წიგნთა რიცხვის შევსებას, მის გაცნობასა და მოხმარებას. ასეთი წესით შემდგარ კატალოგს დართული აქვს სამეცნიერო-პოპულარულ შინაარსის წიგნთა საანბანო მაჩვენებელი.

02. Хавкина, Л. Б. Руководство для небольших библиотек. С рисунками, образцами бланков и алфав. ук. М. 1918 г. 246 стр.

ამ წიგნში მარტივად და ნათლად იხატება როგორც ტენიკის მნიშვნელობა საბიბლიოთეკო საქმეში, ისე კიდევ ყველა სახე საბიბლიოთეკო მუშაობისა. („Кр. нов“. გამოდის ახლათ).

- Наглядное пособие по библиотечной технике. Изд. Ц. К. Ж. Д. „Гудок“ М. 1924 г. 54 стр.

ეს პატარა წიგნაკი საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკარს, ადვილად გაერკვეს საბიბლიოთეკო ტენიკაში იმ აუარებელი ნახატების წყალობით, რომელნიც ჰხდინან მას ნამდვილ პოპულარულ სახელმძღვანელოდ.

02. Борович. Пути сближения книги с читателем. Опыт методол. культур. раб. в биб-ке. Изд. „Труд“, 103 стр.

უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს მკითხველთან მუშაობას და კითხვით ხელმძღვანელობას, რასაც საფუძვლად უდევს „წიგნის შესწავლა“ და მითხველის გადაყვანა საფეხურიდან-საფეხურზედ. ეს წიგნი დიდის ყურადღების ღირსია.

02. Сборник статей по библиотечной работе. Вып. I под. ред. П. К. Крулской. Изд. „Красная Новь“. Г. П. П. М. 1923 г. 123 стр.

სტატიათა კრებული საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ ნაწ. I-II და III. მაღალ ღირსების სახელმძღვანელოა, რომელიც ეხება ბიბლიოთეკის პოლიტ-განათლების მუშაობის სხვა და სხვა საკითხებს, ყურადღებით აშუქებს როგორც წიგნების რიცხვთა შევსების საკითხს, ისე საბიბლიოთეკო კამპანიების ჩატარების საშუალებებს, წიგნების შესწავლის მეთოდებს, საბიბლიოთეკო წრეების გამართვის წესებს და სხ. წიგნი აუცილებელია ყველა მასიურ ბიბლიოთეკებისათვის.

02. Виленкин. Политпросвет — работа в общественной библиотеке. Сборник статей. Кострома. 1923 г. 39 стр.

ამ წიგნში ნათლად გარკვეულია მეთოდოლოგია და დანიშნულება პლაკატისა, გამოფენისა და პროპაგანდისა, აგრეთვე აქტიურ მუშაობის სხვა და სხვა სახეებისა.

02. Рабочая библиотека Сборник методических статей Изд. В. Ц. С. П. С. М. 1924 г. 73 стр.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, ხუთი სტატიისაგან შემდგარს, რომელიც შეიცავს საბიბლიოთეკო მუშაობის მხარეებს. ამ კრებულში პოლიტიკური მომენტის საფუძვლით დატულია. ძირითადი აზრი ამ კრებულისა — კომუნისტურ აღზრდის ქადაგებაა.

01. **Полян, И.** Указатель художественной литературы на социальные темы. Изд. „Красн. Новь“ Г. П. П. М. 1923 г. 88 стр.  
შეიძლება გამოიყენოს ცნობებისათვის მომზადებულმა ბიბლიოთეკარმა და წრის ხელმძღვანელმა.
02. **Доблер и Слуховский.** О работе с передвижными библиотеками. Госизд: П 1922 г. 39 стр.  
წიგნი მაჩვენებელია მოძრავი ბიბლიოთეკის ყოველნაირ ტექნიკისა და პერეფისი სახელმძღვანელოა ამ გვარ მუშაობის დროს.
02. **Медынский, Е. И.** Метод групповых чтений художественных произведений с беседами на социальные темы. Госизд. М. 1924 г. 81 стр.  
ერთადერთი ნამუშევარია, რომელიც წარმოადგენს ხმამაღლა კითხვის ქრესტომატიას. ყოველ მოთხოვნას დართული აქვს სასაუბრო კითხვები. წიგნი აუცილებლათ უნდა იქონიოს ყოველმა ბიბლიოთეკამ.
02. **Херсонская, Н. Л.** Работа в детской библиотеке. П. 1923 г. 116 стр.  
ეს წიგნი პირველი ბავშვებთან მუშაობის საკითხის გაშუქებაში და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნილებებს. ავტორის აზრით, საბავშვო ბიბლიოთეკა უნდა იყოს საკლუბო მუშაობის ცენტრად. წიგნი კონსპექტიურია და აქვს საპროპაგანდო ხასიათი საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაობისათვის.
335. **5 к. Троцкий, Л.** Ленинизм и библиотечная работа. Изд. „Красная Новь.“ М. 1924 г. стр.  
სიტყვა წარმოთქმული ბიბლიოთეკარების ყრილობაზე.
37. **Ленин И. (В. Ульянов).** Социалистическая революция и задачи просвещения (статьи и речи). Изд. „Красн. Новь.“ М. 1923 г. 85 стр.  
სიტყვებისა და სტატიების კრებული სახალხო განათლების შესახებ. სიტყვები წარმოთქმული იყო 3-4 წლის წინად, მხოლოდ იმდენათ ცოცხალი და დროულია, რომ დღესაც არ დაჰკარქევიათ მნიშვნელობა.

ე. გორინა.

Г. Г. Ковалевский И Ю. А. Иванов-Меженко. Практическое руководство по библиотечному делу. М. „Мысль“, 1923. стр. 201.

ყურადღებებს. დღითი-დღე იზრდება ჩვენში მოთხოვნილება საბიბლიოთეკო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოება ამ დარგში არცერთი სახელმძღვანელო, ასე რომ ქართველი ბიბლიოთეკარი იძულებულია რუსულ ლიტერატურას მიმართოს. ხოლო ამ უკანასკნელში მეტად გავრცელებული სახელმძღვანელო

ბ ი ბ ლ ი ო მ ა რ ა ფ ი ა, როგორც ერთადერთი და მასთანავე ყველაზე უფრო მიზანშეწონილი საშუალება წიგნების ფართოთ და კოლექტიურათ გამოყენებისა, თან-და-თან იპყრობს ჩვენი საზოგადოების

02.

არის ზემოდ აღნიშნული კოვალესკის და ივანოვ-მეჟენკოს წიგნი, რომელიც შეიცავს შესავალს, სადაც გარკვეულია ბიბლიოლოგია და ბიბლიოთეკონომია, როგორც მეცნიერული დისციპლინები. და ორ ნაწილს: 1) საბიბლიოთეკო ტენიკა და მე-2ა ბიბლიოგრაფია საბიბლიოთეკო საქმეში. წიგნის დანიშნულების მიხედვით მეტი ადგილი პირველ ნაწილს უნდა ჰქონოდა დათმობილი, რადგან ბიბლიოთეკის პრაქტიკულ ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო საბიბლიოთეკო ტენიკის ფართო განხილვა. წიგნში კი მეორე საკითხი უფრო დაწვრილებით არის გარკვეული, ვინემ პირველი. ამასთანავე, ზოგი მეტის-მეტად მნიშვნელოვანი საკითხი პირველ ნაწილსა ბუნდოვანათ არის გარკვეული. მაგალითისათვის ავიღოთ საინვენტარო დავთარი. უპირველეს ყოვლისა ზოგიერთი გრაფები და მათი დალაგება არ არის საბიბლიოთეკო დავთრისათვის შესაფერისი. სრულებით ზედმეტია, მაგალითად, გრაფები „რედაქცია“ და „თარგმანი“, იმავე-დროს არ არის გრაფები „გვერდების რიცხვი“ და „ტომი“, რომლებიც საბიბლიოთეკო მატერიალურ წიგნისათვის უფრო მეტ საჭიროებას წარმოადგენს. რაც შეეხება დალაგებას, გრაფა „შიფრი“ ბოლოში უნდა ყოფილიყო მოქცეული გრაფა „შენიშვნების“ წინ, რადგან აქ ის უფრო ადვილათ შესაშინეია, ვინემ თავში, საინვენტარო ნომერთან ერთად. გარდა ამისა, საინვენტარო დავთარში ჩაწერის მე-15 წესში ნათქვამია, რომ თუ რომელიმე წიგნი გამოირიცხა ბიბლიოთეკიდან, მის ნომერს იკავენს სხვა წიგნი, მაგრამ თუ როგორ ხდება ამ ნუშერაციის გადამსაგადმოსმა და სახელდობრ რომელ რიგზე მყოფი წიგნი იკავენს მის ნომერს, ძალიან ბუნდოვანათ აქვს ახსნილი. თვით წესიც ჩვენ არ მიგვაჩნია მიზან-შეწონილად, რადგან არე-დარევის შეიტანს დავთარში და მასთანავე არ გვექნება საშუალება ბიბლიოთეკაში შემოსულ წიგნთა რაოდენობის გაგებისა, ბუხპალტრული ოპერაციების გარეშე.

მეტის-მეტად ბუნდოვანათაა აგრეთვე გარკვეული კატალოგი. იმისათვის, რომ კატალოგიზაციის წესებს გაეცნოს ბიბლიოთეკარი, ამ უკანასკნელმა ჯერ უნდა შეისწავლოს წიგნის მე-2 ნაწილი, სადაც დაწვრილებით არის გარკვეული საბიბლიოგრაფიო კატალოგოგრაფიის წესები და მერმედ აქედან თვითონ უნდა ამოარჩიოს ზოგიერთი წესები საბიბლიოთეკო კატალოგიზაციისათვის.

შემოკლებულია აგრეთვე თავი, სადაც განხილულია თაროებზე წიგნების დალაგების წესები. განსაკუთრებით მოკლეთაა განხილული სისტემატური დალაგება. იმავე დროს ავტორი ამ დალაგებას ურჩევს თითქმის ყველა ბიბლიოთეკებს, რასაც, აქვე უნდა შევნიშნოთ, არ ვეთანხმებით. სისტემატური დალაგებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც მკითხველები დაშვებული არიან თაროებთან; სხვა შემთხვევაში ეს მეტის-მეტად უხერხულია, განსაკუთრებით დიდ ბიბლიოთეკებში, როგორც ახლად შეძენილ წიგნების დალაგების დროს, აგრეთვე რევიზიისათვისაც.

წიგნის მე-11 ნაწილი შესდგება ორ დიდ განყოფილებისაგან: 1) კატალოგოგრაფიისა და 2) ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციისაგან. წიგნში ყველაზედ უფრო საყურადღებოა ამ ნაწილის მე-2 განყოფილება. აქ ისტორიულათ და კრიტიკულათ

განხილულია სხვა და სხვა მიმართულებანი საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციაში; განსაკუთრებით ფართოთ და დაწვრილებით განხილულია ათწილადი კლასიფიკაცია, მისი რაობა, ისტორია და უპირატესობანი.

ამ წიგნს ჩვენ უმთავრესათ ამ წილისათვის ეურჩევთ მკითხველს. წიგნის ბოლოში დართული აქვს საერთაშორისო ათწილად კლასიფიკაციის ცხრილი, რომელიც, ჩვენის აზრით, რუსულ ენაზე დღეს გავრცელებულ ცხრილთა შორის, ყველაზედ უფრო უახლოვდება ბრიუსელის „მანუელს“.

ბ. ლ.

Штейн, В. А. — Библиотечная статистика. Опыт руководства по статистике для общеобразовательных библиотек. С предисл. Л. Б. Хавкиной. Труды государственного Румянцевского музея; вып. IV  
Госиздат. 1923 г. 27 стр.

მუშავებული საკითხთაგანია ჩვენს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. ბევრ შემთხვევებში, მოგროვილი სტატისტიკური მასალების დამუშავება არა ხდებოდა და რჩებოდა სრულიად ნედლ მასალად. ამავე დროს კი მეცნიერული დამუშავება სტატისტიკური მასალებისა ნათლათ და მკაფიოთ გამოხატავს ამა თუ იმ ბიბლიოთეკის მუშაობას და ინტერესს მკითხველისას ამა თუ იმ დარგისა ან წიგნისადმი, რაც აცხოველებს როგორც საბიბლიოთეკო, ისე სასტატისტიკო მუშაობასაც.

შტეინის წიგნი უნდა გახდეს ყველა ბიბლიოტეკარისათვის აუცილებელ სახელმძღვანელოდ სტატისტიკაში, მით უმეტეს, რომ ამ საკითხში უკეთესი წიგნი არა გვაქვს.

გ. ბალუაშვილი

„Красный библиотекарь“. Журнал библиотечной теории и практики, под редак. И. С. Дамевского, М. И. Слуховского и М. А. Смушковой. Издат. „Красная новь“.  
Г. П. П. М. 1924 г.

მიანიბასა და წრეების მუშაობაში, შეკავშირება საბიბლიოთეკო მუშაკთა, წამო-

ს ა კ მ ა ო თ გარკვევით და გასაგებათ დაწერილი წიგნი ბიბლიოთეკის მომუშავეს საშუალებას აძლევს გაეცნოს ყველა დარგის ბიბლიოთეკის სტატისტიკას, სახლში წიგნის გაცემიდან დაწყებული სამკითხველოსა და მოძრავ ბიბლიოთეკამდე გათავებული, რაც წიგნს დიდს ღირებულებას აძლევს.

02.

ს ბ ბ ლ ი ო თ ე მ ა ო თეორიისა და პრაქტიკის ჟურნალის გამოცემა საბიბლიოთეკო საქმეების ერთ უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ბიბლიოთეკების არაჩვეულებრივმა გამოავლენამ წამოაყენა საკითხი საპეციალურ ორგანოს შექმნისა, რომლის მოვალეობაში შედის საკითხების ყოველმხრივი გაშუქება, დახმარება ყოველ-დღიურ საქმეებში, დახმარება საბიბლიოთეკო მუშაკთა, წამო-

02 (05)

ყენებულ საკითხებზე ცნობის მიწოდება და სხ. ასეთი ორგანო რომელიც ყველა ამ საკითხებს განმარტავს, არის „წითელი ბიბლიოთეკარი“. ჟურნალი აშუქებს მასთან ერთად მუშაობას და ყოფა-ცხოვრებას საბიბლიოთეკო მუშაყებისას; ამა-საც აქამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

ჟურნალის ბოლოს მოთავსებულია ახალი წიგნების ბიბლიოგრაფიები და რეცენზიები, რომელნიც მკითხველთა ფართე მასისათვის მისაწოდონი

გ. შალუაშვილი

025-4  
(ბიბლიოგ-  
კლასიფ.)

Б. Н. Добржинский — Деся-  
тичная классификация П.  
„Книжный Уголок“ 1924. г. стр.  
244.

საერთაშორისო ათწილადი კლასიფიკაცია თანდათან იკიდებს ფეხს ჩვენს ბიბლიოთეკებში. თითქმის ყვე-  
ლანი გადავიდნენ ამ სისტემაზე. ეს, რა თქმა  
უნდა, დიდი ნაბიჯია ჩვენს საბიბლიოთეკო  
ცხოვრებაში. კლასიფიკაციის ცენტრალიზაციით დროისა და ენერჯის დიდ ეკონომიას მივაღწევთ. ამ ცენტრალიზაციის მიღწევა საერთაშორისო მასშტაბით, ყველა ბიბლიოთეკარების, ბიბლიოგრაფების და აგრეთვე შეგნებულ მკითხველების სა-  
ერთო მისწრაფებას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენში ამის ერთ-ერთი ხელის  
შემშლელი არის ის გარემოება, რომ დღემდე ბრიუსელის საერთაშორისო საბიბ-  
ლიოგრაფიო ინსტიტუტის მიერ გამოიმუშავებული ათწილად კლასიფიკაციის სრული  
ცხრილის (Manuel du Répertoire bibliographique universel) თარგმანი არ მოგვე-  
პოება არც ქართულ და არც რუსულ ენებზე. ორიგინალიც, რომელიც ბევრ  
ბიბლიოთეკარებისათვის გაუგებარია, ამ ეამდე მთელ კავშირში იშვიათ საშო-  
ვარ ბიბლიოგრაფიულ რარიტეტს წარმოადგენს. ამის გამო ჩვენ გვიხდება ხელ-  
მძღვანელობა სხვა და სხვა ბიბლიოგრაფების და ბიბლიოთეკარების მიერ,  
Manuel-ის მიხედვით შეფუთვნილ ცხრილებით, სადაც ავტორებს ხშირათ თავიანთი  
საკუთარი განსაზღვრა და აგრეთვე ახალი ინდექსებიც შეაქვთ. ასეთი შესწორე-  
ბანი და დამატებანი. უმეტეს შემთხვევაში, მიუღებელია და წარმოადგენს სა-  
ხელმძღვანელოს ნაკლს. ამისათვის როდესაც ჩვენ ამა თუ იმ კლასიფიკაციის  
ცხრილის შეფასებას მივუდგებით, უნდა განვიხილოთ ის მანუელთან შეფარდე-  
ბით. მაგრამ უბედურებაც ის ვახლავსთ, რომ ეს მანუელი, როგორც აღვნიშ-  
ნეთ, არ მოგვეპოება, ამიტომ იძულებულნი ვართ შეფასება მოვანდინოთ სხვა  
და სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით. თუ ესა თუ ის ინდექსი სხვა და  
სხვა ცხრილებში ერთნაირათ არის გადმოცემული, მაშინ უნდა ვითვქროთ, რომ  
დედანთან სწორია, ხოლო უკეთუ ინდექსი სხვა და სხვა ალგას სხვა და სხვა  
გვარათ არის გამოსახული, მაშინ საეჭვოა. ასეთ შემთხვევებში უნდა მიმეპართოთ  
აგრეთვე ლოგიკურ წყობის განხილვას.

ასეთი საზომით გვსურს განვიხილოთ ახლა მეტათ გავრცელებული დობ-  
რუინსკის საკლასიფიკაციო სახელმძღვანელო. ავტორს, მიუხედავად წინასიტყვა-  
ობაშიც გამოთქმულ სურვილისა, საკმარისათ შეგარვია თავისი საკუთარი დამატე-



ბანი და განმარტებანი, რომელთა შორის მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: I, II და III მუშათა ინტერნაციონალი ავტორის მოთავსებული აქვს 331 ჯგუფში, სხვა სახელმძღვანელოებში კი მოთავსებულია 327 ჯგუფში. არსებითად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი უფრო მართალია (თუმცა არც ეს არის საესებით სწორი), რადგან ქვევანყოფილება 32 გამოხატავს პოლიტიკას. მუშათა ინტერნაციონალი კი წარმოადგენს, უმთავრესათ, მუშათა საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციას. ინდექსი 331 კი უნდა გავიგოთ როგორც მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის, შრომის მდგომარეობის, აღმნიშველი. აქ მოთავსდება პროფესიონალური მოძრაობა და პროფინტერნი.

დობრჟინსკის ომი აღნიშნული აქვს ინდექს 355-ით. არც ეს არის სწორი. ომი საერთოდ წარმოადგენს პოლიტიკას. შეიძლება ის წიგნში განხილულ იქნეს პოლიტიკურ თვალსაზრისით, მაშინ მისი ალაგი მე-327-ე ჯგუფშია ე. ი. საერთაშორისო პოლიტიკაში. ინდექსი 355 კი წარმოადგენს ომს, განხილულს სამხედრო ხელნაწილის თვალსაზრისით, მაგალ. სტრატეგია, ტაქტიკა; არმიის ორგანიზაცია და სხვ.

დიდი შეცომაა აგრეთვე ისტორიული მატერიალიზმის მოთავსება, მე-901-ში ე. ი. ისტორიის ფილოსოფიაში, იმ დროს როდესაც ჩვენ გვაქვს სოციოლოგიის ინდექსი — 301. მარქსისტულ ისტორიის ფილოსოფიაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საეკვოა იმპერიალიზმის ინდექსიც — 325. ამ შიფრით აღინიშნება კოლონიალური პოლიტიკა და მიგრაცია (ემიგრაცია და იმიგრაცია). სხვა სახელმძღვანელოებში არ არის იმპერიალიზმი ასეთ ინდექსით აღნიშნული. აქ საკითხი ისმის, თუ რამდენად შეიძლება კოლონიალურ პოლიტიკის ფარგლებში მოთავსდეს იმპერიალიზმი.

დამატებათა შორის შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს დამატება რუსეთის პოლიტიკურ პარტიების შესახებ, რომელიც მანუელში არ არის. მისაღებად აგრეთვე ავტორის მიერ რჩევა, რომ პოლიტიკური პარტიების დაწვრილებით ინდექსის წინ წაიღვდეს ადგილის დეტერმინანტი. მაგ. რუსეთის კომუნისტური პარტია 329 (47) 143, გერმანიის კომუნისტური პარტია 329 (43) 143., რადგან პარტიების ჯერ სახელმწიფოების და მერმედ მიმართულებების მიხედვით დაყოფა უფრო მიზანშეწონილია.

შეცომათა შორის არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ უბეში შეცომათა საქართველოს დეტერმინანტის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის გეოგრაფიული დეტერმინანტი არის (47.922). დობრჟინსკის კი ქუთაისის გუბერნია გამოუყვია ცალკე და აღვნიშნავს (47.921)-ით, თითქოს საქართველოს ტერიტორიის ყველაზე უფრო უდავო ნაწილი რჩება საქართველოს გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, ავტორის უეცრობას უნდა მიეწეროს. შეიძლება ბევრმა ეს პატარა შეცომაოდ ჩასთვლოს. ცხადია კი, რომ აღნიშნული შეცომაა ზერელობას მოწმობს.

წიგნის დადებით მხარეთა შორის უნდა აღვნიშნოთ ისა, რომ ინდექსაცია

შედარებით დეტალურად არის გადმოცემული. აგრეთვე ფართოთ არის მოცემული განმარტება მრავალ ინდექსებისა. ამას გარდა, ცალკე თავებდა არის გამოყოფილი მთავარი ჯგუფები, რაც კლასიფიკატორის მათს მონახვას უადვილებს.

5. ლ.

05.

უ უ რ ნ ა ლ ი „ მ ნ ა თ ო ბ ი “ № № 1, 2, 3, 4, 5, და 6. საქ. პოლიტიკანათლების მთავარ სამმართველოს გამოცემა.

უ კ ვ ე რ თ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ა, რ ა ც ს ა ქ რ თ. პოლიტიკანათლების მთავარსამმართველოს გამოცემლობით გამოდის ყურნალი „მნათობი“. „მნათობი“-ს პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წ. მარტის პირველ რიცხვებში, ახლა-კი ე. ი. ა. წ. დეკემბერში

იბეჭდება და გამოვა ყურნალის მე-7—8 ნომერი. დღევანდელ პირობებში ეს უსათუოდ დიდი მიღწევაა. სულ რაღაც 10 თვის განმავლობაში რვა დიდტანიან წიგნის გამოცემა, ცხადია, განსაკუთრებული უნარიანობისა და შრომის ნაყოფია. „მნათობი“-ს ხელმძღვანელების მიზანი იყო სერიოზულ სქელტანიან ყურნალში მიეცათ საზოგადოებრივი ცნობების სრული სახე. სწორედ ამიტომ პირველ ნომრიდანვე საზოგადოებრივი ცნობების ყველა ნაწილებს მიქცეული ჰქონდა სათანადო ყურადღება. პოეზიას, პროზას, კრიტიკას, თეატრს, სახვითი ხელოვნებას, ფილოსოფიას, მეცნიერებას, მუშათა მოძრაობას, ბიბლიოგრაფიას, რუსეთის და უცხოეთის ლიტერატურას—აქ ყველას თავისი ადგილი აქვს დამოუბილი. მეცნიერულ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მარქსიზმის თეორიულ საკითხების გარჩევას; განსილულია აგრეთვე ქართული კულტურის და ისტორიის საკითხები. გამოტოვებული არ არის არც ევროპის დიდი მეცნიერების ნაამგარის მიმოხილვა და სხ.

„მნათობი“-ს განსაკუთრებულ დამსახურებას კი შეადგენს ისა, რომ მან პირველ ნომრიდანვე თავის ფურკლებზე საკმაო ადგილი დაუთმო ქართულ პროზას. ჩვენი მხატვრული ლიტერატურა ძალიან მდიდარია ლექსებით, დღეს ჩვენში ძალიან ბევრი ლექსები იბეჭდება, მაგრამ კარგი მოთხრობა კი თითქმის უცხოა ქართველ მკითხველისათვის. ეს ნაკლი „მნათობ“-ში შევსებულა. მიხეილ ჯავახიშვილის თანამშრომლობა ამის საუკეთესო თავმდებია. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მწერლების მიღწევაიცი. მშენიერი იყო, მაგ., დემნა შენგელიას რომანი „სანავარდო“, თუმცაღა ამავე ავტორმა სუსტი მოთხრობა მოათავსა მეექვსე ნომერში. მეცნიერულ ხასიათის წერილებიდან განსაკუთრებით ხაზგასმულია: დებორინის წერილი ლენინის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის შესახებ და სარგის კაკაბაძის ისტორიული ხასიათის წერილები და აკადემ. ნიკო მარის პატარა გამოკვლევა. აქვე უნდა დავასახლოთ მოსე გოგობერიძის წერილები აინშტაინის რელატივიზმის თეორიის შესახებ, რომელიც შემდეგში ცალკე წიგნდაც გამოვიდა. არ შვიძლება მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ ამ მონათვა-



ფიგურას, რომლების ბეჭედა დაწყებულია ჟურნალში: მაჩაბელი და ყაზბეგი ყოველთვის საინტერესო თემა იქნება ქართველ მკითხველისათვის.

ახლა რამოდენიმე სიტყვა ჟურნალის გარეგნობაზე.

„მნათობა“ განსაკუთრებული კულტურა შექმნა ჩვენს ჟურნალისტიკაში. თავისი გარეგნობით და ტექნიკით მას შეუძლია თვით საუკეთესო ევროპულ ჟურნალებსაც კი გვერდში ამოუდგეს. ევროპული ჟურნალისტიკის სტილით შესრულებული რეპორაჟჟიკები, რომლებიც ყველა ნომერში ბლომად მოიპოვება, ერთი-ათად ალამაზებს ისედაც კონტა ჟურნალს.

რასაკვირველია, ჟურნალს სუსტი მხარეებიცა აქვს. მასში არ არის დაცული ერთი სახე: ჩამდვილ მხატვრულ ნაწარმოების გვერდით მოთავსებულია უფარ-

გისიც, მაგრამ ეს ჟურნალისტიკის სპეციფური ნაკლი კი არ არის, არამედ ნაკლია ჩვენი მწერლობის თანამედროვე მდგომარეობისა საერთოდ.

როგორცა ვთქვით, ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა წ.-წ. მარტში. აპრილის ბოლო რიცხვებში მას უკვე მეორე ნომერი მოჰყვა. მეორე ნომერს დიდი პროგრესი ემჩნეოდა პირველთან შედარებით და ეტყობოდა, რომ საქმე მკვიდრ ნიადაგზე იდგა. მესამე ნომერი გამოვიდა ივნისის პირველ რიცხვებში. მეორე ნომრის კულტურა აქაც დაცულია: ისეთი შერჩეული მასალები, როგორც შენგელაის რომანია, პაოლო იაშვილის პირველი ლამაზი მოთხრობა, მის. ჯავახიშვილის „ევაკი“, გალ. ტაბიძის ლექსი „აღმოსავლეთი“, ვასო გორგაძის ლექ. „ლენინ“, ერეზბურგის „ყალიონი“, ბაირონის კლასიკური მისტერია „კაინი“, მოსე გოგიბერიძის „რელატ. თეორიის კალ. საკ“. მონაგრაფია მაჩაბელზე, ს. კაკაბაძის წერილი. საქართველოს წარსულიდან და რიანანოვის მოხსენება მარკს-ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობის შესახებ და, დაბოლოს, ქართველი ხალხის ერთ დაკარგულ გენიოსის — პიროსმანის რეპორაჟჟიკები. ამაზე მეტის მოცემა არცერთ ჟურნალს შეუძლია, სულ ერთია, დაიბეჭდება იგი თფილისში, თუ ბერლინში. მე-4 ნომერი, რომელიც ივლისში გამოვიდა, უსათუოდ ცოტათი ნაკლები იყო მის წინა ნომერზე. მეოთხეზე უკეთესი არც მეხუთე ნომერი ყოფილა, რომელიც სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოვიდა და რომელშიაც — არ ვიცი რა მოსაზრებით — ფართო ადგილი დაეთმო ე. წ. ახალგაზრდა ფულტურისტებს... ხალხი, რომელიც შემოქმედების მაგივრად კორიანტულს და „პრინციპიალურ გაბითურებას“ ეწევა, ცოდნისა და განათლების მაგივრად

უეცობას ან სხვისი დანაწერის გამოყენებას თაყვანსა სცემენ, რასაკვირველია, ვერცერთ სერიოზულ ჟურნალს დიდ სამსახურს ვერ გაუწევს. ერთი ასეთი ავტორი მე-5 ნომერში ათავსებს დიდს რიხით დაწერილ წერილს, რომელიც გერმანულ ექსპრესიონისტულ მხატვრობას ქებათა-ქებას შეასხამს.

როგორ შეიძლება თქვენ წერილი დასწეროთ კოკოშკას შესახებ და არცერთი კოკოშკას ნახატი საკუთარი თვალთ არ გენახოსთ! რებროდუქცია? თქვენ, შეიძლება, რაფაელის და რემბრანტის შესახებ რაიმე წარმოდგენა იქონიოთ რეპროდუქციის საშუალებით, მაგრამ ექსპრესიონიზმი ხომ უამრავ ქრელ ფერების მხატვრობაა! ნუ თუ სიმონ ჩიქოვანის თვალგმა რებროდუქციაზე ეს უთვალავი ფერები დაინახეს!!!.

„მნათობი“-ს მეექვსე ნომერი გამოვიდა ოქტომბრის 7 ე. ი. დიდი რევოლიუციის 7 წლის თავზე. სწორედ ეს ჩინებულთ დალაგებული ნომერი რუსეთის რევოლიუციის სადღესასწაულო ნომერი იყო.

უკვე გამოვიდა „მნათობის“ მე 7-8 ნომერი და ამით დამთავრდა ჟურნალის მუშაობა 1924:

N. N.

დეკემბერი 1924 წ.

05.

„დ.ო.შ.-ა“ ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი № 2, № 24 გვ. ფასი 50 კ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი. მოხზაბათი, 31 დეკემბერი 1925 წ. (?)

რ. მ. მ. რ. მოხდა, რომ „დროშის“ რედაქციამ უკვე 1925 წლის დეკემბრის 31 გავეთენა ჯერ კიდევ იანვარში?

სხვაფრივ ჟურნალი კარგ შთაბეჭდილებასა სტოეებს შინაარსითაც და გარეგნობითაც. აქ წარმოდგენილი არიან შემდეგი მწერლები: ალ. არსენიშვილი: ქართული

პროზის ანალები; ტოციან ტაბიძე: ახალი მცხეთა (ლექსი); ს. კლდიაშვილი: 1921 წელი (მოთხრობა); პ. იაშვილი: სამი ტკივილი (მოთხრობა); ს. შანშიაშვილი: მკედელი ზაქრო; რანი ოდელი (ლექსები); ი. ტ.—თებრო (მოთხრობა); კ. ნაირაძე: არსენა (ლექსი); ვ. გაფრინდაშვილი: ზამთარი (ლექსი); გ. ლაგამარ: ქალაქი (ლექსი თარგ.); გრ. რობაქიძე: ყაზბეგის საკითხი (კრიტიკული წერილი); გ. ლეონიძე: ქართული თეატრის ქრონიკები.

ალ. არსენიშვილი თავის „ანალებში“ გაცერით ენება წარსული წლის ქართულ პროზაიკებს. ავტორს ახასიათებს სხარტლი გამომქმები; მისი მოკლე დახასიათებანი ინტერესით იკითხება.

გრ. რობაქიძე „ყაზბეგის საკითხში“ ტყაჩეს აძრობს საწყალ ზანდუკელს; რომელიც ჯერ ეახ: კოტეტიშვილმა გაანადგურა. ზანდუკელის „კანდინერი, მაგრამ უსუსური და ყოველ სერიოზობას მოკლებული დასკვნები ამ საკითხში მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს“. ასეთია გრ. რობაქიძის აზრი. გ. ლეონიძე

საინტერესო ცნობებს იძლევა ქართულ თეატრის ისტორიიდან. ველით სრულ გამოკვლევას.

ჟურნალი ცულ ქალაღღზეა დაბეჭდილი და სურათებიც ცულდათაა გამოსული. ფასი 50 კ. — ძვირი.

დ. ლ.

## ქართული ჰაერიოღული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

05.

**გაზეთები:** „საქართველოღ გაზეთი,“ „ქართული გაზეთი,“ „თფილისის უფაზანი“ და „საქაღისის მხარეთა უფაზანი.“

**ზარღმოცემაა,** ვითომ ერეკლე მეფის ზროს, მეთერამეტე საუკუნის გასულს, ტფილისში იბეჭდებოღა რაღაც გაზეთის მსგავსი ფურცლები, რომელთაც ეწოღებოღა **„ლოპორტი თუ უწუება და ბრძანება.“**<sup>1)</sup> ამ ფურცლებში მოთავსებულნი ყოფიღან მეფის ბრძანებანი, სნეა და სხეა ამბები და განცხადებანი.

**საქართველოს გაზეთი.** რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში, პირველი ქართული გაზეთი დაარსღა 1819 წელს<sup>2)</sup>. ამ გაზეთს ერქეა **საქართველოს გაზეთი.** მისი პირველი ნომერი გამოვიღა 8 მარტს 1819 წ. გაზეთი იყო კვირეული. ტანით იყო საწერი ქალაღდის თაბახის ზომისა და ჰქონღა ოთხი გვერდი. ამ წლისა ჩვენ გაშინჯული გვაქვს მოელი კოლექცია, შემღგარი 43 ნომრისაგან, რომელიც ინახეღა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, 1820 წლისა კი მხოლოდ ერთი ნომერია (მეოცე), რომელიც ინახეღა წ.საზოგადოების წიგნისაცემში.

**საქართველოს გაზეთის** გამოცემის შესახებ წინასწარ გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი განცხადება:

„სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მსკოგრებთა ამის ქვეყანისათა მოგავალის მარტის თვის პირველის რიცხვითგან წინადაღებულ“<sup>3)</sup> არს, რომელ გამოიცემოდენ თფილისსა შინა ბუნებითსა ქართულსა ენასა ზეღა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოღებღა **საქართველოს გაზეთი.**

„გაზეთსა ამას შთაწერილ“<sup>4)</sup> იქნებიან შემღგომნი მუხლნი:

<sup>1)</sup> იბ. კ. ზ. ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე. ტფ. 1909. გვ. 11.

<sup>2)</sup> გრ. ყიფშიძე და ზ. კიკინაძე მის დაარსების წღად სრულიად უსაფუძვლოდ სიღვიან პირველი—1817 წელს, მეორე—1818 წელს. გრ. ყიფშიძე გვარწმუნებს, რომ მას თათის თვალთ უწახავს საეკლესიო მუზეუმში 1818 წლის საქართველოს გაზეთის №25, მარიაშობისთვის 22 გამოსული, და თან მოჰყავს მისი შინაარსი. ყიფშიძის შეცთომა აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას 1819 წლის გაზეთის № 25 რატომღაც 1818 წლისად მიუღია. იბ. *Периодическая печать на Кавказе. Типогр. 1901, გვ. 24.* და კ. ზ. „ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე“ ტფ. 1909. გვ. 12 და 17.

<sup>3)</sup> ე. ი. განძრახულ.

<sup>4)</sup> ე. ი. მოთავსებულ.

„ა. სახელთა<sup>7)</sup> ბოძება და ჯილდო მოხელეთა, რომელნიც მსახურებენ საქართველოსა და სხვათა აქაურთა სამულობელოთა შინა სამხედროსა და სამოქალაქოს სამსახურსა შინა.

„ბ. საკუთარნი<sup>8)</sup> მმართველობის განწყებანი და დადგინებანი, რომელნიცა ეკუთვნიან<sup>9)</sup> ამ ქვეყნის დამყარებას<sup>8)</sup> და კეთილ-მდგომარეობას<sup>9)</sup>.

„გ. სხვადასხვანი საქართველოს და თანმესამძღვრეთა<sup>10)</sup> მისთა ადგილთ ამბანი, რომელნიცა საზოგადოების საკუთარის<sup>11)</sup> ყურადღების ღირსნი არიან.

„დ. ცნობანი ახალთათვის პოვნილებათა<sup>12)</sup> ანუ დაწყობილებათა, რომელნიცა შეეხებიან ნაწილსა სხვადასხვათა ხელოვნებათასა.

„ე. გამოკრებიანი ჟურნალთა და გაზეთთაგან, რომელნიც გამოიცემიან რუსეთსა შინა, რომელთაცა თვის ჰაზრისამებრ ძალუძთ<sup>13)</sup>, რომელ მისცენ საკუთარი<sup>14)</sup> კმაყოფილება მკითხველთა.

„ვ. გაზეთი ესე გამოცემულ იქნება მომავლის ჩუკ<sup>15)</sup> წლის იანვრის თვემდის. თვითოს კვირაში თვითო დაბეჭდილი ფურცელი.

„ზ. ამა გაზეთის გამომცემთ იმედი აქვსთ, რომელ ყოველივე უფალნი ამის მიღებასა ზედა ხელისმომწერი სრულის ზომით კმაყოფილიქმნიებიან ვითარცა გულსმოდგინებითის გამორჩევითა საწადელთა და შესაქცევთა მუხლთა მიერ, ეგრეთვე მისის წარმართებით და სარწმუნოს თავის დროზე წარგზავნით.

„ნუგეშისცემენ ეგრეთვე თავთა თვისთა ამა იმედითა, რომელ იგინი ვერჰპოვებენ ნაკლულევიანებასა მათ შორის, რომელთაც სწადსთ მიღება ამისი, შესაძლებელ არს თქმა, პირველისა და ჩინებულისა გამოცემისა ესოდენ განშორებულს ქვეყანასა ადგილთა მათგან, სადაცა ადრით ჟამითგან არსებს<sup>16)</sup> განათლება და სადაცა ყოველს წელს გამოიცემიან რაოდენნიმე ასნი ამის მსგავსნი გაზეთნი და ჟურნალნი.

„რიცხვი ამ გაზეთზე ხელისმომწერთა აღმოაჩენს, თუ რაოდენ შორს განვრცელდება აქაურთ მცხოვრებთ წადილი, რათა დაახლოვონ თავნი თვისნი ჩვეულებათა შინა ერთა თანა ადრით ჟამითგან განათლებულთა.

„ამა მიზეზისა გამო მოსაწერი ფასი დანიშნულ არის ფრიალ ზომიერი. სრულიადის ორმოცის ფურცლის აქა თბილისსა შინა გამოცემისათვის ორი რუბლი

<sup>7)</sup> ე. ი. თანამდებობათა.

<sup>8)</sup> ე. ი. განსაკუთრებულნი.

<sup>9)</sup> ე. ი. შეეხებიან.

<sup>10)</sup> ე. ი. გამაგრებას.

<sup>11)</sup> ე. ი. კეთილმდგომარეობასა.

<sup>12)</sup> ე. ი. მოსამძღვრეთა.

<sup>13)</sup> ე. ი. განსაკუთრებულის.

<sup>14)</sup> აღმოაჩენათა.

<sup>15)</sup> ე. ი. შეუძლიათ.

<sup>16)</sup> ე. ი. განსაკუთრებულნი.

<sup>17)</sup> ე. ი. 1820.

<sup>18)</sup> ე. ი. არსებობს.

ვერცხლის ფული და სხვათ ქალაქთა და ადგილთა მცხოვრებნი წარსავზაენელად ფურცელთა ამით მისცემენ ერთსა აბაზსა სრულის დროსათვის. ეს თეთრის ფული ძვილ საკმაო არს სასყიდლად საჭიროს ქალაქისა, ფასის მიცემისათვის დასაბეჭდავად და წარგზავნისათვის მათისა ფორტითა და ამისთვის საჭირო არს სრული რიცხვი თეთრისა ამა გაზეთისათვის დანიშნული შემოტანილ იქმნას ჟამსავე ხელისმომწერისა.

„დასასრულ ამისა გაზეთის გამოცემენ საჭიროდ ჰრაცხავენ ამის წინათვე გამოცხადებას, თუ გარდა ყოვლისა მოლოდებისა რიცხვი ყოველთა საზოგადოდ ხელისმომწერთა მას დრომდის, ესე იგი პირველს მარტამდის, არ განვრცელდება“<sup>17</sup>) ხუთას კაცამდის მაინც, მაშინ იგინი იძულებულ იქმნებიან, რომელ შემოტანილი ჟამსა ხელისმომწერისასა თეთრი დაუყოვნებლად თვითოეულს კაცს უჟანვე დაუბრუნონ, რადგან უმცირეს ამისა რიცხვი ვერ შეადგენს საჭიროსა ამის გაზეთის გამოცემისათვის თეთრსა“.

ამ განცხადებითგან ჩანს, რომ გაზეთის გამოცემა განუზრახია არა ერთს, არამედ რაოდენსამე პირს, შეიძლება, მთელს წრესაც. იმედი ჰქონიათ 500 ხელის მომწერლისა მაინც და ამის მიხედვით წლიურ (ათის თვის) ხელმოსაწერ ფასად დაუდგენიათ ორი მანეთი ტფილისისათვის და თერთმეტი აბაზი ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის.

გაზეთის პირველი ნომერი 1 მარტის ნაცვლად გამოვიდა 8 მარტს 1819 წლისა. საინტერესოა ვიცოდეთ, ხელისმომწერთა რიცხვმა მიაწია თუ არა გამოცემელთა მიერ აუცილებლად გამოცხადებულს რიცხვამდე. ამის დასახსნად გამოცემები იძლევიან გაზეთის მესამე ნომერში შემდეგის განცხადებით:

„ვადა ქართულის გაზეთის მისაღებლად ხელისმომწერისა თუმცა მარტის პირველს შესრულდა, მაგრამ რიცხვი ხელისმომწერთა დიხს შორს იყო იმ დიდებულს ოეთრის რიცხვზე, რომელიც იქვეა გაზეთის გამოცემით პირველს განცხადებაში. ამის გამო სრულიად შეუძლებელი იქმნებოდა დაწყება გაზეთისა მის გამოცემისა, თუ არ ენებებინა მის ყოვლად სამღვდელთგან სომეხთა არხი-ეპისკოპოსს ნერსესს მიღება თავის ზედა საკუთარისა თანაშემწეობისა და მოწოდება მრავალთა მიღებისათვის მისისა.“

„საშუალობითა მისის ყოვლად სამღვდელთგანათა მხოლოდ სომეხთა სამღვდელთ ხელი მოუწერიათ უმეტეს ასის გაზეთის ფურცლის აღებასა ზედა.“

„გაზეთისა ამის გამოცემითა თავისის მხრით ჰსწაღთ, რათა აჩვენონ მცხოვრებთა საქართველოსათა, რომელ საქმესა ამას შინა უძღვინს მათ არა სიხარბე ვეცხლის მოყვარებისადმი, არცა საკუთარნი სარგებლობანი მათნი, არამედ მხოლოდ სარგებლობა თვით მცხოვრებთათვის ამის ქვეყნისათა და ამისთვის არ მიხედეს მათ ნაკლებვანებასა ხელისმომწერთასა და იწყეს გამოცემა ქართულის გაზეთისა, თუმცა დაეხარჯოსთა მათ რაოდენიმე საკუთარი თეთრი თვისი სხვადასხვა სახნართა ნივთთა ზედა, რომელნიც საჭირო არიან ჟამსა დაბეჭდვისა მისისასა. იგინი აუწყებენ რა ამას საზოგადოებასა, სთხოვენ მოყვა-

<sup>17</sup>) ე. ი. მიაწევს.

რთა სიტყვიერისა სწავლისათა, რათა მისცენ მათ ქართულსა ენასა ზედა სხვადასხვანი ცნობანი, მოთხრობანი ყურადღებისა ღირსთა საგანათათვის, რომელნიც უოველნივე კმაყოფილებით მოხსენებულნი იქმნებიან გაზეთსა ამას შინა“.

სამწუხაროდ, მინც არ აცხადებენ გამომცემელნი, თუ რაედენამდე მიაწია მათი გაზეთის ხელისმომწერთა რიცხვმა. ვინ იყვნენ ეს გამომცემელნი ან რედაქტორი და თანამშრომელნი—ამის შესახებ არც თვით გაზეთი იძლევა ცნობას და არც რომელიმე სხვა წყარო.

1819 წლის განმავლობაში გაზეთში იბეჭდებოდა: ცენტრალი მთავრობის ბრძანებანი და განკარგულებანი (მანიფესტები, უკაზები და ბრძანებანი მოხელეთა დანიშნის, დაჯილდოების, გადაყენების, აღმოყვანის, გადაყენების, გამორიცხვის და დათხოვნის შესახებ), ადგილობრივი მთავრობის და სამართებლო და სამოსამართლო დაწესებულებათა განკარგულებანი და განცხადებანი (კანონების ასრულების აუცილებლობის შესახებ, ღერბის ქალაქის ხმარების შესახებ, სხვადასხვა საეკლესიო წესების შესახებ, იჯარით გაცემის შესახებ, სამხედრო ადგილის დაჭერის მსურველთა გამოწვევის შესახებ, სასამართლოში დაბარების შესახებ, ვალში ყმისა და მამულის გაყიდვის შესახებ, გაქცეულთა და დამალულთა მოძებნის შესახებ და სხვ.), შინაური ამბები, უცხოეთის ამბები (როგორც პოლიტიკური, ისე სხვაგვარი, მაგალ. სწავლა-განათლების შესახებ), კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ, შერთული ამბები (სხვადასხვა არაჩვეულებრივი ამბები), მოთხრობები (მაგალ. ქალი მარიაში, იშვიათი ცოლი, მოხუცებული — პალო ლებრუნისა), ღირსსახსოვარი მოთხრობანი და სიტყვანი იმპერატორის პეტრე დიდისანი.

ენა გაზეთისა მძიმეა და არაბუნებრივი. ეტყობა, მწერლები, როდესაც თავისით სწერდნენ რასმე, ჯერ რუსულად გამოთქვიამდნენ თავიანთ აზრს და მერე სთარგმნიდნენ ქართულად. თარგმნა კი რუსულის სიტყვების პირდაპირ გადმოღებასა და რუსულის კონსტრუქციის დატოვებაში მდგომარეობდა.

#### ქართული გაზეთი.

საქართველოს გაზეთი 1820 წელსი გამოდიოდა რაედენსამე თვეს ამ სახელით. შემდეგაც სახელი შეუცვალეს და დაარქვეს ქართული გაზეთი. რამ გამოიწვია ასეთი სახელის შეცვლა—არა სჩანს, რადგან ჩვენ შეგვეხედრია ამ წლის საქართველოს გაზეთი მხოლოდ ერთი ნომერი (მეოცე). ხოლო ქართული გაზეთი ორი ნომერი (მეორმოცე და მეორმოცდაექვსე). ამ ნომრებში კი სახელის შეცვლის შესახებ არაფერია ნათქვამი. ჩვენს აზრს გაზეთის ერთის სახელის მეორე სახელით შეცვლას—ვამყარებთ შემდეგს საბუთებზე: როგორც ვარგენობით (შრიფტით, ტანით და ქალაქლით), ისე შინაარსით ქართული გაზეთი ისეთივეა, როგორც საქართველოს გაზეთი. აქვს გარდა, როგორც ერთის გაზეთის, ისე მეორე გაზეთის ნუმერაციის მიხედვით. გამოდის, რომ ორივე გაზეთი წლის დასაწყისითგან ერთსა და იმავე დღეს გამოდიოდნენ და ამნაირად ორი ერთნაირი გაზეთი არსებულა, თუ მთელის წლის



გამეცლობაში არა, 22 მაისამდე მაინც, როდესაც არის გამოცემული „საქართველოს გაზეთის“ № 20. ეს დაუჯერებელია. ორის ქართულის გაზეთის არსებობა ტფილისში 1820 წ. წარმოუდგენელია. ამ გარემოებათა მიხედვით ერთად-ერთი ახსნა იმ მოვლენისა, რომ წლის პირველ ნახევარში „საქართველოს გაზეთი“ ჩანს, ხოლო წლის მეორე ნახევარში — „ქართული გაზეთი“ და თან ამ მეორე გაზეთის ნუმერაცია გულისხმობს მის გამოცემის წლის დასაწყისში იმავე დღიდან, რა დღესაც გამოიცა პირველი ნომერი პირველის გაზეთისა, არის ისა, რომ შუა წელში გაზეთის გამოცემლებს თავიანთ გაზეთისთვის უნდა დაერქვითოთ **ქართული გაზეთი** ნაცვლად **საქართველოს გაზეთისა**, ხოლო ნუმერაცია გაზეთისა განეგრძოთ.

**ქართული გაზეთის** გარეგნობა შეიცვალა მხოლოდ 1821 წელს მით, რომ თავში დახატულია წმიდა გიორგი ცხენზე მჯდარი<sup>18)</sup>. რიცხვების აღსანიშნავად იხმარება არაბული ციფრები ასოების მაგივრად და ნომრის აღსანიშნავად იხმარება ლათინური ასოები № ნაცვლად რუსულის ასოებისა №. თვით გაზეთის სახელი **ქართული გაზეთი** საგანგებოდ ამოჭრილია განსხვავებული შრიფტით.

გამოდიოდა თუ არა **ქართული გაზეთი** 1822 წ. შემდეგ წლებში — ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. გრიგოლ ყიფშიძე, არ ვიცით, რა საბუთით, ამბობს, რომ ეს გაზეთი გამოდიოდა 1825 წლამდეო<sup>19)</sup>.

### ტფილისის უწყებანი

**მ** ს ა მ ე ქართული გაზეთი არის **ტფილისის უწყებანი**, რომელიც გამოიცა 1828 წელს<sup>20)</sup>, ივლისის თვეში. გამო-

დიოდა კვირაში ერთხელ, ტანით უფრო გრძელი და განიერი, ვიდრე **საქართველოს გაზეთი**. ამ გაზეთის თავში იქ, სადაც მოთავსებულია სახელი **ტფილისის უწყებანი**, ამ ორის სიტყვის შუა გამოხატულია წმინდა გიორგი, ცხენზე მჯდარი, რომელსაც გარშემო მოვლებული აქვს ჩარჩო, შემდგარი ერთმანერთზე გადაბმული რუსეთის საიმპერიო ლერბებისგან (ორთავიანი არწივებისგან). ამ ჩარჩოს ზეითიდან აღვია საიმპერატორო გვირგვინი, ხოლო ქვეითიდან მასში ჩახატულია ნიკოლოზ პირველის სახელის ინიციალი, ამ ინიციალის ქვეშ ორთავიანი არწივი გვირგვინით.

ჩვენ შეგვხვდრიდა მხოლოდ ერთი ნომერი 1828 წლისა, სახელდობრ № 19, ნომბრის 7-ისა და ერთიც 1832 წლისა, სახელდობრ № 1, იანვრის 12-ისა. ამას გარდა, 1875 წლის „დროების“ № 50-ში დაბეჭდილია 1832 წლის № 2—12 აპრილის 26-ისა. 1832 წლის გაზეთის ტანი ძალიან დაბატარავებულია — საწერ ქალაღის ნახევართაბახია და სათაურიც უბრალო აქვს; წმინდა გიორგი აღარ

<sup>18)</sup> ამ ნახატის ბრაღია, რომ ზ. ჰიქინაძე ამბობს ვითომ 1821 წელს გამოდიოდა არარსებული გაზეთი წმინდა გიორგი (იხ. ჰ. ზ. „ქართული სტამბა“ და ვახტანგ მეექვსე“ ტფ. 1909. გვ. 17).

<sup>19)</sup> Период. печать на Кавказе, Тифл. 1901 გვ. 25.

<sup>20)</sup> გრ. ყიფშიძის ტქმით, გაზეთი დაარსებულია 1820 წ. (იხ. Перюш, печ. на К. გვ. 25)

არის. 1829, 1830 და 1831 წლის ნომრები ჯერ-ჯერობით არსადა ჩანან, მაგრამ თქმა იმისი, ვითომ ამ წლებში გაზეთი არ ყოფილა გამოცემული, არ შეგვიძლიან.

ზემოხსენებული სამის ნომრის შინაარსის მიხედვით, გაზეთს „ტფილისის უწყებანა“-ში იბეჭდებოდა: 1) უმაღლესნი ბრძანებანი, 2) შინაგანნი ცხოვრებანი, რომლებშიც შედიან რუსეთის ამბებიც (აქვეა ცნობები კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ლაშქრობისა), 3) სამზღვარგარეთნი ახალნი ამბავნი (პოლიტიკური და სალაშქრონი), 4) აწინდელი დროის ისტორია, 5) ბიბლიოგრაფია, 6) განცხადებანი და 7) ფულის კურსი ტფილისსა შინა. გაზეთი იზინჯებოდა ცენზურაში, რაიცა ჩანს იქიდან, რომ 1828 წლის ნომერს ბოლოში აწერია: დაიბეჭდა ბრძანებითა; 1832 წლისას: ნებაართულ არს დაბეჭდვად.

ვინ იყო გაზეთის რედაქტორი — ამის შესახებ ხსენებული სამი ნომერი არავითარს ცნობას არ იძლევა.

### სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებანათანი

1832 წელში გაზეთთან ერთად გამოდის მისი დამატება სახელად: სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებანათანი. ეს დამატება გამოდიოდა ორს

კვირაში ერთხელ. ტანით ცოტა ნაკლებია თვით გაზეთზე და შესდგება 24 გვერდისაგან. ჩვენ შეგვხვედრია მხოლოდ <sup>21)</sup> ნომერი (1—5). ამათგან № 5-ს აკლია ორი ფურცელი (115 — 118 გვ.). ამ ხუთს ნომერში მოთავსებულია შემდეგი მასალა:

1. მოთხრობები: უინევა <sup>22)</sup> და ელენა.
2. ლექსები: მთვარე — ა-სი, მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს საზღვართა შინა — სენატორის გიორგი ერისთავისა, თოვლი — დ. მა-სი, მელოდია, ღიშპანური სიმღერა — თარგ. რუსულით.
3. ანექდოტები ანუ ღირსსახსოვარნი შემთხვეულობანი და აღელვორი: ალექსის სარკე, თარ. დ. მაჩ — სა.
4. ლიტერატურის ასტორია: მოკლე განხილვა საქართველოს ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა — ს. დოდაევისა.
5. მოწერილი ს-პეტერბურლიდამ ტფილისს ძმასთან და პახუხი ტფილისილამ — ს — ისა.

<sup>21)</sup> ინვილო ჯანაშვილის სიტყვით, სულ გამოუსულა ექვსი ნომერი (იხ. „დროება“ 1875 წ. № 54, ფელეტონში — სადლომონ დოდაევი).

<sup>22)</sup> საინტერესოა ამ მოთხრობის ისტორია რუსულ-ქართულ მწერლობაში. მოთხრობა ქართულად, შექველია, რუსულითგან არის გადმოთარგმნილი. რუსულად კი ალბად ერთერთი გეროპული ეწითგან არის ნათარგმნი, 1858 წ. ი. კერესელიძემ ეს მოთხრობა ცოტად ენაშუცულილი დაბეჭდა თვის ეურნალს „ცისკარში“ (მეათე წიგნში) როგორც საკუთარი მოთხრობა. ხოლო ამ საუკუნეში ჩვენ შეგვხდა ეს მოთხრობა — რუსულს ენაზე დაბეჭდილი მერვეკოვსკის თხზულებათა შორის, სახელწოდებით Лиюньв силнее смерти.

7. კრიტიკა: შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველთათა, რომელიც დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832 წელსა—ს. დ.—ისა.

8. ქართული ისტორია: მეფობა ირაკლი მეორისა—ს. დ.—ისა.

9. განცხადებანი.

როგორც ამ ჩამონათვალი მასალითგან ჩანს, უმთავრესი თანამშრომელი ყოფილა სოლომონ დოდაშვილი, რომელიც ხელს აწერს ან სრულიად რუსულის დაბოლავებთ—ს. დოდავი, ან სახელისა და გვარის ინიციალებს—ს. დ., ან მარტო სახელის ინიციალს—ს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბევრი უსახელო წერილიც იმისი უნდა იყოს. ამნაირად, გამოდის, რომ დამატება მთლად ს. დოდაშვილის შრომით დგებოდა. უეჭველია, ესევე დოდაშვილი უნდა ყოფილიყვის თვით გაზეთის რედაქტორიც.

ს. დოდაშვილი ერთი შესამჩნევ პირთაგანია მეცხრამეტე საუკუნის პირველის ნახევრისა. იმას სწავლა ჰქონდა მიღებული პეტერბურგის უნივერსიტეტში. ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორია კარგად ჰქონდა შესწავლილი. დოდაშვილმა შეადგინა და გამოსცა 1830 წ. ქართული გრამატიკა. ამზადებდა რუსულ-ქართულ ლექსიკონს. ამბობენ, ვითომ მას ჰქონია შედგენილი და 1827 წ. დაბეჭდილი რუსულს ენაზე **ლოლიკა**, რომელიც თურმე ძალიან მოწონებული და სასწავებლებში სახელმძღვანელოდ მიღებული ყოფილა. პეტერბურღში ს. დოდაშვილი დაახლოვებით ყოფილა ბატონიშვილებთან და იქ მცხოვრებ ბერს იონა ხელაშვილთან, რომლის დახმარებითაც უნივერსიტეტში იხრდებოდა. საქართველოში რომ წამოსულა კურსის გათავების შემდეგ, იონა ბერი დაჰპირებია ფულს ტფილისში სტამბის დასაარსებლად და წიგნების საბეჭდავად. მართლაც დოდაშვილმა დააარსა სტამბა 1827 წელს, რისთვისაც ფული მიიღო იონა ხელაშვილისაგან. ამას გარდა, მას ჰქონდა პეტერბულითგან სხვა დავალებაც—პროპაგანდა გაეწია შეთქმულობის მოსაწყობად რუსთა ხელისუფლების წინააღმდეგ და საქართველოს ვასათავისუფლებლად. ეს დავალებაც შეასრულა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო შეთქმულობის შობადებაში. შეთქმულობა 1832 წ. გასულს (დეკემბერში) აღმოჩენილ იქნა და სხვათა შორის ს. დოდაშვილი ჯერ დატუსათულა. შემდეგ დასჯილ იქნა რუსეთში გადასახლებით. ის დასახლეს ეიატკაში, სადაც სამსახურში შევიდა და სიკვდილამდე დარჩა.

არ ჩანს, გაზეთი **ტფილისის უწყებანი** და მისი დამატება ს. დოდაშვილის დატუსალების გამო დაიკეტა, თუ უფრო ადრე.

#### აკაკასიის მხარეთა უწყებანი

**მ**ოთხე ქართული გაზეთი, რომელიც ჩვენ შეგვედრია, არის კვირეული გაზეთი—**აკაკასიის მხარეთა უწყებანი**.

გამოდიოდა 1845 წ. მისი რედაქტორი იყო პლ. იოსელიანი. იმ ნომრის მიხედვით, რომელიც დატულია წ.-კ. საზოგადოების წიგნთსაცავში (№ 11 მარტის 11-ისა), შინაარსით ბევრით არ განსხვავდებოდა წინანდლის ქართულის გაზე-

თებისაგან. ტანით იყო ერთი საბეჭდები პატარა თაბახი, ოთხად დაკეცილი. გამოცემა ყოფილა ოფიციალი და შეადგენდა *Зак. Вестник*-ის დამატებას. არა ჩანს, რაედენ ხანს უარსებია.

გრ. ყიფშიძე ამ გაზეთის არსებობას არ იხსენიებს და ამბობს მხოლოდ, რომ, როგორც ჩანს 1845 წლის *Зак. Вестник*-ში დაბეჭდილის ფალავანიშვილის ნეკროლოგივან, ამ წელს უნდა არსებულებოდა ამ ფალავანიშვილის რედაქტორობით გამოცემული გაზეთი **მახარობელი** (იხ. *Период. печать на К. გვ. 26—27*). ხსენებულს ნეკროლოგში არაფერი სწერია—რა ისეთი, საითგანაც ასეთი დასკვნის გამოტანა ყოფილიყოს შესაძლებელი. ამ ნეკროლოგში არის ესეთი ადგილი: *Издаваемый с начала настоящего года на грузинском языке Вестник есть исключительно его занятие и плод его собственных трудов... Редакция лишилась в нем и сотрудника и переводчика на грузинский язык*<sup>23</sup>). როგორც ხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი ფალავანიშვილის რედაქტორობაზე და გაზეთის **მახარობელზე**. ნეკროლოგში მოხსენებული *Вестник* არ არის ქართული **კავკასიის მხარეთა უწყებანი**, რომელიც მართლა გამოდიოდა 1845 წელს *Закавказский Вестник*-ის რედაქტორის, პლატონ იოსელიანის, რედაქტორობით და რომელშიაც თანამშრომლობდა ფალავანიშვილი. ცხადია, გრ. ყიფშიძეს სიტყვა *Вестник* გადაუთარგმნია ქართულად **მახარობლად** და დაუსკვნია ამ სახელის მატარებელი გაზეთის არსებობა და ფალავანიშვილის მისი რედაქტორობა.

**მ ა მ ა რ ა მ ა მ ა მ ა** საუქუნის პირველ ხა-  
**ც ი ს ქ ა რ ი** ხევარში რომ გაზეთმა ფეხი ვერ მოი-  
კიდა საქართველოში, მეორე ნახევრის და-

საწყისში სცადეს ჟურნალის გამოცემა. დრო შესაფერი იყო იმიტომ, რომ საქართველოს ადგილობრივი მთავრობა კავკასიის მეფის ნაცელის, ვორონოვის, სახით ახლა თანაგრძობას უწყევდა ქართულს მწიგნობრობას და კიდევაც აძლევდა დახმარებას ქართულის წიგნების საბეჭდოდად. ასეთის გარემოებით ისარგებლა გიორგი ერისთავმა და გამოთხოვა ნებართვა და სუბსიდია ყოველთვიურ ქართული სიტყვიერებითი ჟურნალის დაარსებისათვის. ამ ჟურნალს სახელად ეწოდა **ცისკარი**. გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოდიოდა ორის წლის (1852 და 1853) განმავლობაში. თვითული ნომერი წარმოადგენდა საშუალო ტანის წიგნაკს და გამოდიოდა თავთავის დროზე ყოველ თვეს. 1854 წ. ჟურნალი აღარ გამოსულა, უეჭველია, იმიტომ რომ მთავრობამ მოუსპო სუბსიდია. მხოლოდ 1857 წელს ივანე კერესელიძემ განაახლა ამ ჟურნალის გამოცემა. განახლებული **ცისკარი** ამ წლიდან შეუწყვეტლად გამოდიოდა 1875 წლამდე.

ჟურნალში გიორგი ერისთავის ხელში—1852 და 1853 წლების განმავლობაში და ივანე კერესელიძის ხელში—1857—1875 წლების, დაიბეჭდა:

1. **ლექსები**: თვით რედაქტორებისა—გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძისა და მრავალი ცნობილის და უცნობის პოეტისა: ალ. ჭავჭავა-

<sup>23</sup>) იხ. *Зак. Вестник*, 1845 წლ. № 15.

ძისა, ნ. ბარათაშვილისა, გრ. ორბელიანისა, ილია ქაჯავაძისა, აკაკი წერეთლისა, რ. ერისთავისა, ალ. ორბელიანისა, ვახტ. ორბელიანისა, მამია გურიელისა, დ. ბერივეისა, ბარბარე ჯორჯაძისა, დიმ. მაგალობელივისა, გიორგი ორბელიანისა, დ. მაჩაბლისა, ლუკა ისარლოვისა, ანტ. ფურცელაძისა და ბეგერის სხვისა. ამ ლექსებში ურევია უცხო ენებიდან ნათარგმნი ლექსებიც—პეშკინისა, ლერმონტოვისა, დერჟავინისა, კოზლოვისა, შილერისა, გეტესი, ვოლტერისა, ბერანესი, ბაირონისა.

**2. მოთხრობები:** გრ. რჩეულოვისა, რ. ერისთავისა, თაზივეისა, დ. ციციშვილისა, ალ. ორბელიანისა, ი. ბერიძისა, პავლე თუმანოვისა, ზაალ ხითაროვისა, ზ. ერისთავისა, დანიელ კონჭაძისა, ლ. არდაზიანისა, ანტ. ფურცელაძისა და სხ. აგრეთვე უცხო მწერლების მოთხრობათა თარგმანები, მაგალ.: მარლინსკისა, კარამზინისა, კამენსკისა, ლერმონტოვისა, პუშკინისა, შჩედრინისა, ვიქტორ ჰუგოსი, ოკტავე ფელიცი, ბერნარისა, ბოკოარისა, მარმონტელისა, ბელლინისა, ჟანლისისა, დიკენსისა, მარიონ დელორმისა, დემარსანისა, ბორნისა და ბევრის სხვისა, რომელნიც არ არიან მოხსენებულნი მთარგმნელთაგან.

**3. დრამატული თხზულებანი:** გიორგი ერისთავისა, ივ. კერესელიძისა, გარდანქეშელისა, კ. ბერძენოვისა, გრ. რჩეულოვისა, აკაკი წერეთლისა, რ. ერისთავისა, ი. ელიოზიშვილისა და თარგმანები: შექსპირისა, შილერისა, გეტესი, კორნელისა, მოლიერისა, სოლოგუბისა, ტურგენევისა.

**4. ძველი მწერლობის ნაწარმოებანი:** საბა ორბელიანისა, მეფე თეიმურაზ პირველისა, მეფე თეიმურაზ მეორისა, ვახტანგ მეფისა, დავით გურამიშვილისა, სოლ. ლეონიძისა, ბეს. გაბაშვილისა, იესე ოსეშვილისა.

**5. საისტორიო და საარქეოლოგიო თხზულებანი:** ომან ხერხეულიძისა, დიმ. ბაქაძისა, თეიმურაზ ბატონიშვილისა, ალ. ორბელიანისა, მ. ყიფიანისა, ი. კერესელიძისა, ბარბარე ჯორჯაძისა, პლ. იოსელიანისა, ალ. გარსევანიშვილისა, ანტ. ფურცელაძისა და სხვ., აგრეთვე თარგმანები მარი ბროსეს, გრანოვსკის, პლოენის და დუბროვინის ნაწერებისა.

**6. საისტორიო მასალა:** სხვადასხვა სიგელები, საისტორიო ძეგლები და მიწერმოწერანი.

**7. ეთნოგრაფიული წერილები, ლეგენდები, თქმულებანი:** ალ. ორბელიანისა, ზ. ერისთავისა, კ. ბერძენოვისა, ი. ელიოზიშვილისა.

**8. გამოჩენილი კაცების ცხოვრება:** ლაფონტენისა, შექსპირისა, გარიბალდისა, იოანე გუტენბერგისა, იოანე ლუსისა, მაჰმადისა.

**9. სამეურნეო წერილები:** ლინის დაყენებაზე, მიწის შემუშავებაზე, საქონლის მოვლაზე, ვაზის და ხეხილის მოშენებაზე—ზ. მამაცაშვილისა, იოსებ მამაცაშვილისა, დ. ხიმშიაშვილისა, ი. კერესელიძისა, პლ. ციციშვილისა, ს. გურგენიძისა, ნ. პაულისა, ე. მაღალაშვილისა.

**10. წერილები ბუნების მეცნიერების შესახებ:** რაჩევსკისა, გ. დიდებულისა, ანტ. ფურცელაძისა, ი. კერესელიძისა და სხვათა.

**11. პუბლიცისტიკა:** მსჯელობა ქალებზე, სასწავლებლებზე და სწავლაზე,

თეატრზე, სხვადასხვა ჩვეულებებზე, ბანკებზე, საარჩევნო ცენზის ყრაზე და სხვ.

**13. პოლემიკა**, რომლის საგანი იყო ცისკრის ჟურნალის და მის თანამშრომლების დაცვა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ჰკილავდნენ ჟურნალს საზოგადოთ ამ რომელსამე მის თანამშრომელს.

მთელი ეს მასალა დაბეჭდილია ოცდაერთის წლის გამავლობაში უსისტემოდ და სრულებით შემთხვევით. ზოგიერთი განყოფილებისაგან ამ ხნის განმავლობაში ორი-სამი წერილი თუ მოიპოვება. მომეტებულ ნაწილად მასალა მდარება: აუარებელი მოღვესებებითგან სულ რაღვდენიმე თუ იყო ნამდვილი პოეტი. ყოველი წიგნის მკითხველი ცდილობდა ლექსის დაწერას და იმის დაბეჭდვას **ცისკარში**. მოთხრობის მწერალნი, ორიოდეს გარდა, უნიკოები იყვნენ. ხშირად უცხო ნაწარმოებს ტლანქად და წინდაუხედავად აქართულებდნენ მომჭმედის პირების და გეოგრაფიული ადგილების სახელების გაქართულებით. ჩვეულებრივი იყო, რომ ქართველი მწერალი სთარგმნიდა უცხო ნაწარმოებს და აწერდა თავის სახელს ავტორის მოუსხენებლად, ხანდახან იმასაც არ ისენიებდა, რომ თხზულება ნათარგმნი იყო. რედაქტორი გაურჩევლად ბეჭდავდა ყოველნაირ წერილს, მეტადრე თუ იგი წარდგენილი იქნებოდა იმისთანა პირისგან, რომელსაც ასე თუ ისე შეეძლო შეედა მოეტანა **ცისკრისთვის** თავის გავლენით ხელის მომწერლებზე. ხშირად ცუდს მდგომარეობაში ჩაყარდნილა რედაქტორი, როდესაც რომელიმე პასუხსაგები წერილი გადაუციათ დასაბეჭდად, რადგან წერილის დაბეჭდვით აწყენიებდა თანამშრომელთა და მკითხველთა ერთს ნაწილს, არდაბეჭდვით—აწყენიებდა ავტორს და მკითხველთა მეორე ნაწილს. ასეთი იყო ის შემთხვევა, როდესაც რედაქტორმა დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი, რომელშიც ჭავჭავაძე არჩევდა რევავ ერისთავის მიერ ნათარგმნს კოზლოვის „შეშლილს“. ამ წერილმა მთელი აყალმაყალი გამოიწვია. ათამდე სხვადასხვა თანამშრომელმა და მკითხველმა სასტიკი პროტესტი გამოუცხადეს ილია ჭავჭავაძეს რევავ ერისთავის ნათარგმნის უსამართლოდ გაკილეისთვის და სხვა მწერალთა უმართებულოდ მოხსენებისათვის. პროტესტის გამომცხადებლებმა თავის მხრით დაიწყეს ჭავჭავაძის ენის და აზრების გაკილევა და აღიარეს, რომ ჭავჭავაძემ არ იცის ქართული ენა, რომ ის მეტად უზრდელია და ზოგიერთს მეცნიერებაში (მაგალ., თეორეტიკაში) სულ უმეცარია. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრებებმა ამ პროტესტებს შესაფერი პასუხი გასცეს და განმართა დაუსრულებელი პოლემიკა, რაც ილია ჭავჭავაძემ 1863 წელს თავის ახლად დაარსებულს ჟურნალს **საქართველოს მოამბეში** გადაიტანა.

მიუხედავად მრავალის ნაკლულებანებისა **ცისკარმა** იარსება დიდხანს, რასაც ხელი შეუწყო რედაქტორის ენერგიამ და ერთგვარმა ტაქტიკამ, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ არ ეწყენინებია არავისთვის. ივანე კერესელიძე გადაგებული იყო თავის ჟურნალზე როგორც იმით, რომ პირადის მეცადინეობით შოულობდა ხელისმომწერლებს, ისე იმით, რომ ჟურნალისთვის თვითონ სწერდა ყოველნაირს წერილებს. იგი სთხზავდა და სთარგმნიდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს, კრიტიკულს და ბიბლიოგრაფიულს წერილებს, სამეურნეო, სამეცნი-

ერო, საისტორიო და საეთნოგრაფიო წერილებს, პუბლიცისტურს და პოლემიკურს წერილებს, დაიარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სწერდა სამეგზავრო წერილებს.

მაგრამ დროთა განმავლობაში ქართველი მკითხველი საზოგადოება იზრდებოდა და მწიფდებოდა, იგი ჟურნალისაგან მოითხოვდა იმაზე მეტს, რასაც ცისკარი აძლევდა. ამან გამოიწვია ახალი ჟურნალების დაარსება — ჯერ საქართველოს მოამბისა (1863 წ.), შემდეგ მნათობისა (1869 წ.) და კრებულისა (1871 წ.). მართალია, ცისკარმა ამოიკამა ყველა ესენი, მაგრამ თითონაც თან ვადაჰყვა 1875 წ. ორის ნომრის გამოცემის შემდეგ.

ახლანდელის თვალსაზრისით ცისკარს ბევრი ნაკლებოვანება ჰქონდა, მაგრამ მისი დამსახურება ექვს გარეშეა. ქართველმა გაუფიქრებელმა საზოგადოებამ, რომელიც ხედავდა საქართველოს სრულს მოსპობას პოლიტიკურად, ნუგეში ჰპოვა ქართულის ენის და მწერლობის აღორძინებაში. ყოველნაირად შერიგებულმა რუსეთის რეჟიმთან და ყოველს განსაკუთრებულ ეროვნულ უფლებაზე გულადებულმა შესაძლებლად სცო თავის ენის და ლიტერატურის დაცვა და განვითარება. იქამდის მივიდა საქმე, რომ ყველაფერში ლოიალმა და მთავრობის მორჩილმა აღიარა ქართული ენის ჩაგვრა და მოითხოვა ქართული ენის, ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის ქართულს ენაზე მოწყობა სასწავლებელში. მეორე მხრით ცისკარი თავის მიერ მიწოდებულის სალიტერატურო მასალათ თავის გულუბრყვილო მკითხველებს აძლევდა ქეშმარიტს ესთეტიურს საამოვნებას და უხსნიდა გონებას.

#### საქართველოს მოამბე.

1863 წ. ილია ჭავჭავაძემ გამოსცა საკუთარი ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი საქართველოს მოამბე. ეს ჟურნალი საკმაოდ მოზრდილის ტანისა იყო და თავთავის დროზე გამოდიოდა. მახლობელ თანამშრომლებად ი. ჭავჭავაძეს ჰყავდნენ ნ. ლოლობერიძე, ვ. თულაშვილი, დავით ყიფიანი და გ. ჩიქოვანი. ამთ გარდა ბევრნი სხვანი, რომელთაც არ აკმაყოფილებდა ცისკარი, თანამშრომლობას დაჰპირდნენ. ჟურნალში იბეჭდებოდა ყოველნაირი ნაწერები, პოლიტიკური შინაარსის ნაწერებს გარდა.

ჟურნალის მასალა გაცილებით უფრო შერჩეული და საინტერესო იყო, ვიდრე ცისკრისა. იბეჭდებოდა მოთხრობები თვით რედაქტორისა — გლეხის ნამბობი (ჯერ კიდევ დაუშთავრებელი) და კაცია ადამიანი, ი. ბერიძის მოთხრობა უცნაური ნიშნობა და ნათარგმნი მოთხრობები — ვიქტორ ჰუგოს საბრალონი და ლერმონტოვისა — ჩვენი დროების გმირი; ლექსები ილია ჭავჭავაძისა, ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანისა; კომედია-პოემა შეშლილი გ. ერისთავისა და მისივე ნითარგმნი გრიბოედოვის კომედია უბედური კჷუსიანაჲ; გაბრიელ რატიშვილის მოგზაურობა რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს — მცირედი რამ მოთხრობა რისიხისა; ცხოვრება გამოჩენილი პოლიტიკური მქადაგებელი მღვდლის გავაცცისა; პოლიტიკო-ეკონომიური წერილები ბასტიასი და პრუდონისა; სამე-

ცნეო წერილი ასტრონომიის შესახებ მიტჩელისა; სულხან ბარათაშვილის საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილის თარგმანი; კირაკოზ განძაკეცის ისტორიის ნაწყვეტი; ჩრდილოეთ-ამერიკის ცხოვრების აღწერილობა; პედაგოგიური წერილები ზალცმანისა და ბელინსკისა; საგრამატიკო წერილი დავით ყიფიანისა, სამზავრო წერილი პ. ნაკაშიძისა, სადაც ვაკვერით არის მოხსენებული პოლონელთა 1863 წლის აჯანყება; წერილი სომხური ენის წარმატების შესახებ ილია ოქრომჭედლიშვილისა; სხვა და სხვა წერილები, სადაც ლაპარაკია შინაურს ცხოვრებაზე და ქართულს მწერლობაზე, ცისკარზე და მის ნაკულღოვანებაზე; სხვა და სხვა ამბები რუსეთისა და უცხოეთისა.

ყველა წერილები საკმაოდ საინტერესო არიან და სიამოვნებით იკითხებიან. ენა საკმაოდ სუფთა და ადვილად გასაგებია. თუ რამე ნაკლი აქვს ეურნალს იმ მხრით, რომ ჩვენის ქვეყნის შინაური ცხოვრება არ არის საცემბით და ყოველმხრით განხილული და გასაჯილი. ეს უნდა მიეწეროს, რასაკვირველია, არა რედაქციას, არამედ მაშინდელს საცენსურო პირობებს, რომელთა წყალობით ეურნალში ხმა არ არის აღმოღებული, მაგალ., იმისთანა მოვლენაზე, როგორც იყო ბატონყემობა, რომელიც ახლო ხანში უკვე მოსპობილი იყო რუსეთში და ახლო ხანშივე უნდა მოსპობილიყო ჩვენშიც.

ეურნალმა იარსება ერთს წელიწადს.

მიმართულებით ეურნალი იყო ნაციონალ-ლიბერალური.

## მ ნ ა თ ო ბ ი

**1869 წ.** წელს დაარსდა ყოველთვიური სალიტერატურო ეურნალი **მნათობი**. მისი რედაქტორი ღ გამოცემელი იყო ნიკოლოზ

ავალიშვილი. ეს ეურნალი გარეგნულადაც და შინაარსითაც უკეთესი იყო მაშინდელს ცისკარზე. იარსება ოთხს წელიწადს (1869—1872 წ.). ამ ხნის განმავლობაში ეურნალში დაიბეჭდა:

1. **მოთხრობები** ანტ. ფურცელაძისა და ს. მგალობლიშვილისა და თარგმანები სერვანტესისა, როსსელისა და შჩედრინისა.
2. **ლექსები** ა. წერეთლისა, მ. ფაზელისა (გურიელისა), ი. ბაქრაძისა, ნ. მ. ლომოურისა, გ. ქალაღიძელისა, ნინო ორბელიანისა, გ. წყალტუბელისა, გ. ორბელიანისა და სხვ. აგრეთვე თარგმანები ბაირონისა.
3. **დრამატიული თხზულებანი**: 1. ერისთავისა, ანტ. ფურცელაძისა, ა. ცხვედაძისა, ვ. ბარათაშვილისა, გ. თარხან-მოურავისა და თარგმნები მოლიერი-სა, შექსპირისა, ალფიერისა, შილერის, კორნელისა.
4. **საისტორიო წერილები**: ალ. ორბელიანისა, დ. ბაქრაძისა, გ. წყალტუბელისა (იოსელიანისა), გ. ცხვედაძისა, გამრეკელისა, ინგილო ჯანაშვილისა
5. **საისტორიო მასალა**.
6. **ეთნოგრაფიული წერილები** ინგილო ჯანაშვილისა.
7. **პედაგოგიური თხზულება** კომბისა (ბავშვების მოვლა).
8. **სამეურნეო წერილი**—ჩინეთის მეურნეობა.



9. ბუნების მეცნიერების დარგის თხზულება—ლუკმა პურის ისტორია მასესი

10. პუბლიცისტური წერილები, რომლებიც შეეხებოდნენ სწავლა-განათლებლას, ქალებისთვის უფლებათა მინიჭებას, ბატონ-ყმობის გადაეარდნას, გზებს, ბოგირებს, შრომას, საზოგადო საქმეების წარმოებას, ცხოვრების გაუმჯობესებას და სხვ.

11. მსჯელობა ენის წარმოების და მის მნიშვნელობის შესახებ მ. ქიქოძისა.

12. მსჯელობა. თეატრის მნიშვნელობის შესახებ და წარმოდგენის რეცენზიები.

13. პოლემიკა. „ცისკართან“, „დროებასთან“ და „კრებულთან“.

მიმართულებით ჟურნალი იყო ნაციონალ-ლიბერალური.

### კ რ ა ზ უ ლ ი

ს რ უ ლ ე ბ ი თ ა მ ა რ თ ლ ე ბ ს თ ა ე ს ს ა ხ ე ს , რ ა დ გ ა ნ ე ს ჟ უ რ ნ ა ლ ი ი ყ ო ს ხ ე ა დ ა ს ხ ე ა წ ე რ ი ლ ე ბ ის დ ა თ ხ ზ უ ლ ე ბ ა თ ა

კრებული, რომელიც არ გამოდიოდა განსაზღვრულ ვადაზე. 1871 წ. გამოვიდა ხუთი წიგნი, 1872 წ. შვიდი წიგნი და 1873 წ. ათი წიგნი პატარა ტანისა. ხშირად რავდენიმე წიგნი ერთს წიგნად გამოდიოდა. კრებულის რედაქტორ-გამომცემელი იყო გიორგი წერეთელი, ხოლო უმთავრესი თანამშრომელი— ნ. ნიკოლაძე, რომელიც ატარებდა სკანდელის ფსევდონიმს. პოლიტიკა აქაც არ იყო გაქაჭანებული, მხოლოდ ლიტერატურულ-სამეცნიერო წერილები და თხზულებანი იბეჭდებოდა.

სამის წლის განმავლობაში კრებულში დაიბეჭდა:

1. მოთხრობები და რომანები: ილია ქაქუცავაძისა—გლახის ნამზობი და მგზავრის წერილები; ნ. სკანდელისა—მელაღუმე; გ. წერეთლისა—ჩვენი ცხოვრების ყვეფილი და მგზავრის წიგნები; რაფ. ერისთავისა—სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან; თარგმნები გოგოლისა—რაზედ მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან და შინელი; ერკმან-შატრიანისა—დალოცვილი ძველი დროება; სეიფტისა—გულივერის მოგზაურობა; ეყენ სუსი.—მიმომავალი ურია; ჟორე ზანდისა—პიერ ჰუგენენი.

2. ლექსები და პოემები: ილია ქაქუცავაძისა, ა. წერეთლისა, ალ. ქაქუცავაძისა, ნ. ბარათაშვილისა, მ. ფაზელისა (მამია გურიელისა), გ. ქალაღიდელისა (ქიქაქიძისა), ლერმონტოვისა (მ. ფაზელის ნათარგმნი „დემონი“).

3. დრამატული თხზულებანი: გ. წერეთლისა—ჯიბრი; გ. ერისთავისა—დავა; ა. წერეთლისა—სცენები საპატიმროში; მოლიერისა—სკაპენის ცუდლუტმა (აკაკის თარგმანი); შექსპირისა—მეფე ლირი (თარგმანი ილია ქაქუცავაძისა და ი. მაჩაბლისა).

4. საქართველოს ისტორია: გ. გორისელისა (გ. წერეთლისა)—საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველად, საქართველოს ისტორიის სურათები, გვართა ბრძოლა საქართველოში.

5. საქართველოს ისტორიის მასალა: მორიგი ლაშქრობის განჩინება მეფე ერეკლე მეორისა, განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა ეახტანგ ბატონი-შვილისა, გრიგოლ დადიანის განაჩენი, ხეესურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით.

6. მსოფლიო ისტორიის შესახები წერილები: ნ. სკანდელისა—ახალი საფრანგეთი და ნაპოლეონ III-ის ცხოვრება; ნ. ცხევედაძისა—მეთექვსმეტე საუკუნე; ბორნესი—გლეხკაცების ომი გერმანიაში (თარგმანი).

7. ქართული ლიტერატურის ისტორიის მასალა: წერილები ნ. ბარათაშვილისა.

8. მზავრის წერილები: ნ. სკანდელისა—სხვათა შორის; ადეველისა—მზავრის შენიშვნები.

9. გამოჩენილი კაცების მოღვაწეობა: იოსებ მაძინისა, ჰანრი როშფორისა, იოანე ლუსისა.

10. სახალხო სიტყვიერება: ლექსები, გამოცანები, ანდაზები.

11. სამეცნიერო წერილები: დოქტორ კრუპოვისა—კაცობრიობის სულის ავადმყოფობაზე; საზრდო და მისი მნიშვნელობა.

12. ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა—გ. გორიელისა (წერეთლისა).

13. სახალხო სიტყვიერების გარჩევა: მ. პეტრიძისა—არსენა.

14. კრიტიკული და პოლემიკური წერილები ნ. სკანდელისა.

15. პუბლიცისტური წერილები, რომლებიც შეეხებოდნენ ჩვენს ახალგაზრდობას; ქალების მისწრაფებას უფლებათა შესაძენად, სწავლა-განათლებას და კერძოდ ჩვენში უნივერსიტეტის საჭიროებას, ერობის შემოღებას, ბანკებს, სამშობლო ენის დაცვას. ამ საგანზე სწერდნენ ნ. სკანდელი, გ. წერეთელი, ს. მესხი, აკაკი წერეთელი, მ. პეტრიძე.

ჩამოთვლილი წერილები და თხზულებანი მათ ავტორებიანად საკმაო თავდებობას იძლევიან, რომ ჟურნალი უნდა ყოფილიყო საინტერესო და სასარგებლო. სამწუხაროდ ვერც ამ ჟურნალმა გასძლო ბევრს ხანს და მოისპო სამის წლის არსებობის (1871—1873) შემდეგ.

მიმართულებით ჟურნალი იყო ნაციონალ-ლიბერალური.

## ი ვ ე რ ი ა

1877 წ. ილია ჭავჭავაძემ გამოსცა ყოველკვირეული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი ივერია. ამ ორგანომ გაზეთის სახით იარსება ორს წელიწადს (1877 და 1878 წ.), შემდეგ გადაკეთდა ჟურნალად, რომელიც 1879 წ. გამოვიდა ათს წიგნად, 1880 წ.—ოთხს წიგნად, შემდეგ წლებში კი თორმეტ-თორმეტ წიგნად. 1886 წელს ივერია გადაკეთდა ყოველდღიურს გაზეთად. ჩვენ აქ მოვიხილავთ ამ ორგანოს გაზეთად გადაკეთებამდე.

ივერია აღარაფრითა ჰგავდა მის წინად არსებულს ჟურნალებს. ჰქონდა

სრული ჟურნალის პროგრამა და გამოდიოდა თავთავის დროზე, მხოლოდ ხანდახან თუ ორი ნომერი გამოვიდოდა ერთს წიგნად. ივერიის შინაარსი საქმად მდიდარი იყო და მასალაც კარგათ შერჩეული. უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ჟურნალში დაბეჭდილის წერილებისა და თხზულებებისა იყო სუფთა და მართებული ენა. ეს იმიტომ, რომ რედაქცია მკაცრად ადევნებდა თვალყურს დასაბეჭდს მასალას და კოველს ენის უმართებულობას ასწორებდა. პროგრამის სითართოვის მიხედვით ჟურნალს ჰქონდა ერთი ნაკლი,—არ იყო მასში ბუნებისმეტყველებისა და ზოგიერთი სხვა მეცნიერების დარგის წერილები. უმთავრესი ადგილი ეჭირა კაზმულ სიტყვიერებას, ისტორიას და პოლიტიკას. ვიდრე განუთად გამოვიდოდა, ბლომად იბეჭდებოდა კორესპონდენციები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ადგილობრივი ცხოვრების აღწერილობით.

1877 წლიდან 1885 წლამდე, ცხრა წლის გამაღობაში, ჟურნალში დაიბეჭდა შემდეგი თხზულებანი და წერილები:

1. **მოთხრობები და რომანები:** ილია ჭავჭავაძისა, უცნობისა, შაქროსი (ზ. გულისაშვილისა), ლ. ცაველისა (ნ. ლომაურისა), ეკ. გაბაშვილისა, ს. მგალობლიშვილისა, ბაქარ ქართლელისა (დიმ. ყიფიანისა), ალ. შირიანაშვილისა, გრ. ყიფშიძისა, ალ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა), ან. თუმანიშვილისა, ალფ. დოდესი, კატრელისა, დომნისა, ებერისა, ჟორჯ ზანდისა, ტურგენევისა, ლორენცო-ბენონისა, მარმოლისა, ოლივერ გოლდშმიტისა, მურარეისა, სუნდუციანცისა, ბუვისი, შალევისა, კლარეტისა, ლარრასი, კ. რიდელისა, დრუენინისა, ლეონ კლადელისა, გარშინისა, კოპესი, ჩერნისა.

2. **პოემები და ლექსად დაწერილი თხზულებანი:** ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, რ. ერისთავისა, ანტ. ფურცელაძისა, ი. ბაქრაძისა, კ. დანიანისა, ავქს. ცაგარლისა, არჩილ მეფისა, ოპოჩინინისა, პუშკინისა, ბაირონისა.

3. **ლექსები:** ი. ჭავჭავაძისა, ალ. ჭავჭავაძისა, ქსენისპირელისა (გრ. ორბელიანისა), ი. ოქროაშვილისა (ბაქრაძისა), გიორგი ორბელიანისა, ნ. დ—ისა (დადიანისა), რ. ერისთავისა, მ. ჯორჯაძისა, ვახტ. ორბელიანისა, ვლ. მიქელაძისა, უძწიფარიძისა (გრ. ვოლსკისა), სილოვანისა (ს. ხუნდაძისა), ავქს. ცაგარლისა, ი. დ—ისა (დავითაშვილისა), ცახელისა (პარმენ თვალტრელიძისა).

4. **ხცენები:** რ. ერისთავისა, პ. ანჩისხატელისა (უმიაშვილისა), ი. ჯ—ისა, გ. ყ—ისა, ს. მგალობლიშვილისა.

5. **დრამატული თხზულებანი:** რ. ერისთავისა, აკ. წერეთლისა, ავქს. ცაგარლისა, დ. ერისთავისა, ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა), მოლიერისა, ბალზაკისა, ბომარშესი, სუნდუციანცისა, ემილ დე-ვირარდენისა, მატიბანასი.

6. **ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილები:** დ. ჩუბინაშვილისა, დ. ბაქრაძისა, პ. უპიკაშვილისა, ნ. დადიანისა, პ. იოსელიანისა, ი. სვიმონიძისა, თ. ჟორდანიასი, ნ. ზიზანაშვილისა, ი. ოქრომჭედლიშვილისა, თათარბან დადიშკელიანისა, პეტრებურჯელი სტუდენტისა (ს. ხუნდაძისა), მ. ჯანაშვილისა, არტურ ლეისტისა, ალ. ცაგარლისა, შერბინინისა.

7. **საქართველოს ისტორიის მასალა:** საქართველოს ცხოვრება ნ. დადი-

ნისა, სოლომონ მსაჯულის წერილი, მიწერ-მოწერა სულხან ორბელიანისა და ბესარიონ გაბაშვილისა, ანტონ კათოლიკოსის წერილები, დელავალეს მოხსენება საქართველოს მდგომარეობის შესახებ, პეისონელის მოთხრობა საქართველოსა და სპარსეთში არეულობის შესახებ, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მე-XVIII ს. რეინექსისა, თავად-აზნაურთა გვარების აღწერა, ტფილისის აღება ალა-მამადხანისაგან 1795 წ. გალუსტ შერმაზანოვისა, სომხის მეისტორიე არაქელის ნაწერებითან გამოკრებილი ცნობები საქართველოს შესახებ, ძველის მწერლების ცნობები კავკასიაზე, ნამშობი არტემ არარატელისა საქართველოს მდგომარეობაზე მე-XVIII-ე საუკ. დამლევს, ცნობები ქართულ ენაზე დაწერილ ისტორიულ თხზულებათა შესახებ (წინასიტყვაობა—ქართლის ცხოვრების II ტომისა, თარგმნილი მ. ჯანაშვილის მიერ).

8. **ლიტერატურის ისტორიის შესახები წერილები:** ნ. მივარელიშვილისა, თ. ჟორდანიასი, დ. ბაქრაძისა, დ. ჯანაშვილისა.

9. **პუბლიცისტური წერილები:** ილია კაეკვაძისა, გ. ზდანოვიჩისა, გ. თუმანიშვილისა, რენანისა.

10. **სახალხო სიტყვიერება:** ხევსურული ლექსები, ფშავური ლექსები, სახალხო ლექსები (სხვადასხვა პირთაგან შეკრებილები).

11. **ლინგვისტიკური წერილი:** პ. მირიანაშვილისა—არიულ ენათა ჯგუფი და ქართული ენა.

12. **გამოჩენილი კაცების ცხოვრება:** ლეონ გამბეტასი, კოლუმბისა.

13. **საპედაგოგიო წერილები:** ი. გოგებაშვილისა, თელაწყაღელისა, ტარასოვისა და სხვ.

ამას გარდა ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა შინაური მიმოხილვა, უცხოეთის მიმოხილვა და რუსეთის მიმოხილვა. შინაურს მიმოხილვაში საუბარი იყო ხოლმე ქართველი ერის უკანჩამორჩენილობაზე, ქართველი საზოგადოების ნაკლულოვანებაზე, მეურნეობის და ვაჭრობის განვითარების საჭიროებაზე, სწავლა-განათლებლაზე, სკოლების პროგრამის შეუფერებლობაზე, ქართული ენის ჩაგვრაზე, ერობის შემოღების საჭიროებაზე, ლიტერატურაზე, თეატრზე, მუსიკასა და სიმღერა-გალობაზე, ბანკებზე, თავად-აზნაურთა და სამღვდლოების კრებებზე და მათ მოქმედებაზე და სხვ.

უცხოეთის მიმოხილვაში იწერებოდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე და პოლიტიკურ ამბებზე. ხანდახან რომელიმე ქვეყნის ისტორიის რომელიმე ეპოქა ან რომელიმე მოძრაობა იყო ხოლმე ცალკე წერილების საგნად (მაგ. საბერძნეთის აღორძინება, სლავინთა ქვეყნების ეროვნული განვითარება აესტრიაში და სხ.) რუსეთის მიმოხილვაში იწერებოდა იქაური ცხოვრების შესამჩნევი ამბები. აგრეთვე უნდა მოვიხსენიოთ კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული წერილები, რომელნიც არ იყვნენ ხშირნი.

ჟურნალის მიმართულება იყო ნაციონალ-ლიბერალური.

## ი მ ე ლ ი

**1880 წ.** შესდგა ჯგუფი ყმაწვილთა კაცებისა, რომელთაც განიძრახეს ახალის ეურნალის გამოცემა ხალხის ინტერესების დასაცევად. ჯგუფმა თავის განძრახება გაახორციელა 1881 წ., როდესაც დაიწყო გამოცემა ყოველთვიურის საპოლიტიკო და სალიტერატურო ეურნალის იმედისა. ეურნალის რედაქტორად და გამომცემლად იყო მიხეილ გურგენიძე. ლიტერატურაში სრულებით უცნობი პირი. ეურნალმა იარსება ორს წელს და დაიხურა მესამე წელს, მესამე ნომრის გამოსვლის შემდეგ. ამ ხნის გამავლობაში ეურნალი ხშირად უწესოდ გამოდიოდა, ე. ი. დაგვიანებით და რაედენიძე ნომერი ერთად. მიმართულებით იმედი არაფერს ახალს არ წარმოადგენდა, ასე რომ მკითხველი დიდს განსხვავებას აერ დაინახვდა იმედსა და ივერიას შორის გარდა იმისა, რომ ივერია უფრო დარბაისლური იყო.

მის არსებობის გამავლობაში იმედში დაიბეჭდა:

1. მოთხრობები: შაქროსი, გ. კრელაშვილისა, მიხ. ასათიანისა, დავ. დათოშვილისა, ქ. მაქაერაიანისა, დ. ქართველიშვილისა, იაგორ ანდლულაძისა, ს. მგალობლიშვილისა, ყბედისა, ი. ქაჯაიასი და ბერენსისა.
2. ლექსები: მიხ. ასათიანისა, გ. კრელაშვილისა, დ. ქართველიშვილისა, ს. ნასიძისა, ალ. მირზაშვილისა, გობრონ ლიხელისა, თეოფილე კანდელაკისა, კოლხიდელისა, ალ. მირიანაშვილისა, დ. ანტონიძისა, პარდაკინისა, ყულისკარელისა, პ. კრეჭიაშვილისა, გემისა, გლეხისა, მორიელისა, კვალითელისა, სანდროისა, გიორგისა, ნესტორ ყუბანიეშვილისა, ანტ. ფურცელაძისა, ალალო თუთაევისა.
3. საისტორიო წერილები მ. ჯანაშვილისა
4. კრიტიკული წერილები: სტ. კრელაშვილისა და ნ. ხიზანაშვილისა.
5. პუბლიცისტური წერილები: მიხ. გურგენიძისა, დ. აბდუშელიშვილისა გრ. ყიფშიძისა, ნ. ხიზანაშვილისა, რომელთა საგანი იყო ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, სწავლა-განათლება, სასამართლოები, მამულიშვილობა.
6. კორესპონდენციები: სხვადასხვა ქალაქებთგან და სოფლებთგან აღდგომობრივ ცხოვრების შესახებ.
7. შინაური და უცხოეთის ცხოვრების ამბები.
8. სახალხო ხიტყვიერება.
9. ბიბლიოგრაფიული წერილები.
10. ორიოდ სამეურნეო წერილი.

## მ ო ა მ ბ ე

**1894 წ.** ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ეურნალის მოამბის გამოცემა. რედაქტორად მოწვეულ იქნა ალექსანდრე ჭყონია, გამომცემლად კი ოფიციალად გამოცხადებულ იქნა ნ. ლოლობერიძე. ნახევარ-წლის შემდეგ ნ. ლოლობერიძის მაგიერ გამომცემლად ოფიციალადვე გამოცხადებულ იქნა ამხანაგობის თავმჯდომარე ალექსანდრე ჯაბადარი. ის

გარემოება, როცა ქურნალის გამომცემელი იყო ამხანაგობა, რომელსაც მშენებრივი სტამბა ჰქონდა, იმედს იძლეოდა, რომ ქურნალი ნივთიერად უზრუნველყოფილი იქნებოდა და მის საქმე კარგად წავიდოდა. ეს იმედი გამართლდა. ქურნალი გამოდიოდა წესიერად თეთავის დროზე, საკმაოდ დიდის ტანისა და შინაარსითაც საკმაოდ მდიდარი იყო. მასალა იმეძღებოდა გარჩევით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მთელი სარედაქციო კომისია. ურადღებდა ჰქონდა მიქცეული ენის სისწორეს და მართებულობას.

ქურნალი გამოდიოდა თორმეტის წლის განმავლობაში: 1894 წლიდან 1905 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ქურნალში დაიბეჭდა აუარებელი რიცხვი წერილებისა და თხზულებათა, სახელდობრ:

1. მოთხრობები. რომანები, ესეივნები და ამბები: შ. არაგვისპირელისა (დედაბრიშვილისა), ნ. არბოელისა (ლომაურისა), ვ. ბარნოვისა (ბარნაველისა), ეკ. გაბაშვილისა, დუტუ მგვრელისა (დიმ. ხოშტარისა), იროდიონ ედროშვილისა (ხოხიტაშვილისა), ია ეკალაძისა (ცინცაძისა), ივ. ზურაბიშვილისა, ანასტ. ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, ლალიონისა (არსენ მამულიაშვილისა), ს. მგალობლიშვილისა, მელანოისი (ნ. ნათიძისა), ისონ ნიკოლაიშვილისა, ეგნატე ნინოშვილისა (ინგოროყვასი), რევაზ ფაგლენიშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, ვ. მალაქიაშვილისა და სხვათა; აგრეთვე ნათარგმნები უცხო ენებიდან: დე-ამიჩისა, ალგრენისა, ბელდამისა, ბიორნსონ-ბიორნსტენისა, ბუვიესი, გარშინისა, გუსეილდერისა, გეთესი, გოგოლისა, გომულიცკისა, გორკისა, გრიბოდოვისა, დანილევსკისა, დიკენისა, დიოლადუასი, ალ. დოდესი, დიოლი კონანისა, ედვარდისა, ევისა, ერკმან-შატრიანისა, ვახოვისა, ზოლასი, კოროლენკოსი, პიერ ლოტისა, მოპასანისა, ნემოევსკისა, პოტაპენკოსი, სენკევიჩისა, კარმენ სილვასი, მარკ ტვენისა, ჩხოვისა, პერბარტისა, ვილჰელმ ფონ-პოლენცისა, დოსტოევსკისა და სხვათა.

2. ლექსები და პოემები: გრ. აბაშიძისა, ა. წერეთლისა, ლ. ახოზაძისა, ბაჩანისი (ნ. რაზიკაშვილისა), განდგვილისა (დომინიკა ერისთავისა), იროდ. ედროშვილისა (ხოხიტაშვილისა), ვაჟა-ფშაველასი (ლუკა რაზიკაშვილისა), შ. მღვიმელისა (ქუჩუკაშვილისა), თ. რაზიკაშვილისა, ვ. რუხაძისა, ანტ. ფურცელაძისა, ავქს. ცაგარლისა, ცახელისა (თვალჭრელიძისა), ილია ჭავჭავაძისა, ვ. ჭალადიდელისა (ქოჩაქიძისა); აგრეთვე თარგმნილები უცხო ენებიდან: ბაირონისა, ლერმონტოვისა, ნანდონისა, ჰეინესი, ვიქტორ ჰუგოსი.

3. დრამატული თხზულებანი: ახიანისა (ნ. დონდაროვისა), ვაჟა-ფშაველასი (ლ. რაზიკაშვილისა), ანტ. ფურცელაძისა, ავქს. ცაგარლისა, ივანე აფხაზისა; აგრეთვე უცხო ენებიდან თარგმნილები: ბარეტისა, ბიორნსონ-ბიორნსტენისა, ეგრიპიდესი, ესხელისა, ზულდერმან-ჰერკმანისა, მოლიერისა, შექსპირისა, ვიქტორ ჰუგოსი, ბასკო რობერტოსი, იბსენისა, ქემალბეგისა, შილერისა.

4. ხალხური სიტყვიერება: ხალხური ლექსები, სხვადასხვა პირთაგან ჩაწერილები, ხეცურული ლექსები, სხვადასხვა პირთაგან ჩაწერილები, გურული ქალ-ვაიანი, გურული ლექსები, თუშური ლექსები, მეგრული ანდაზები.

5. საისტორიო და საარქეოლოგიო წერილები: ბორზოდინისა, ექ. თაყაიშვი-

ლისა, ლუკა ისარღიშვილისა, ს. გორგაძისა, პოტოსი, ნ. ურბნელის (ხიზანაშვილისა), დ. კარიჭაშვილისა, ა. ფრონელისა (ყიფშიძისა), არ. ქუთაიელაძისა, პ. ცხელიოვლისა (კარბელაშვილისა), ივ. ჯაფარიშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ალ. სოლოღაშვილისა, ალ. ხახანაშვილისა; აგრეთვე, ბოლოს, საბერძნეთის ძველი ისტორია.

6. **საისტორიო მასალა:** სიგელები, გუჯრები, მეფეთა და ბატონიშვილთა წერილები, უცხოელთა მოგზაურობანი საქართველოში, უცხო მწერალთა ცნობანი საქართველოს შესახებ.

7. **ეთნოგრაფიული წერილები:** ლადო აღნიშვილისა, ივ. ბუჭურაულისა, ვაჟა-ფშაველასი (ლ. რაზიკაშვილის), ნინო ზურაბიშვილისა, ი. კარგარეთელისა, ი. კახელისა, მ. კვლენჯერიძისა, ალ. მირიანაშვილისა, თ. სოხოკიასი, ალ. ხახანაშვილისა, ნ. ჯანაშაისი, მ. კოვალეცკისა.

8. **საღიგესტიკო წერილები:** ქ. დღაშვილისა, ივ. მარგაინისა, გრ. ყიფშიძისა, პ. ჭრაიასი, პოტენზისი.

9. **საბუნებისმეტყველო და საექიმო წერილები:** ა. კლდიაშვილისა, მ. მანასენისა, ვ. მოსეშვილისა, გ. ბადრიძისა, ფორსტიესა, ფლამარიონისა.

10. **საფილოსოფიო წერილები:** ს. გორგაძისა, ფ. პატრიშვილისა (გოგიჩაშვილისა), გიუოსი, ა. კირსანოვისა.

11. **სამეურნეო წერილები:** ქ. გოგელიასი, ეგნ. იოსელიანისა, ვ. პეტრიაშვილისა.

12. **წერილები საერო განათლების შესახებ:** ლ. ბოცვაძისა, ი. გოგებაშვილისა, ნ. ზურაბიშვილისა, თ. სახოკიასი, ი. ჩარექიშვილისა, ნ. ჯანაშაისი.

13. **კრიტიკული წერილები:** ალ. სარაჯიშვილისა, კიტა აბაშიძისა, ნ. ნიკოლაძისა, გრ. ყიფშიძისა, არჩილ ჯორჯაძისა.

14. **ბიბლიოგრაფიები:** გაბრიელ ეპისკოპოზისა, დ. ყიფიანისა, გრ. ორბელიანისა, ჩარლზ პარნელი, ს. ჰექსლისა.

15. **წერილები კანონმდებლობის შესახებ:** გრ. გველესიანისა, ალ. ჭყონიასი, გ. გრძელიშვილისა.

16. **პუბლიცისტური წერილები:** ი. გოგებაშვილისა, ე. ვაშაქიძისა, ივ. ზურაბიშვილისა, ნ. კაკასიძისა, ლალისა (გ. ლახნიშვილისა), გ. მაიაშვილისა (ზდანოვიჩისა), ნ. ნიკოლაძისა, ნ. ყორღანიასი, ნ. უბრძნელისა (ხიზანაშვილისა), ა. ფრონელისა (ყიფშიძისა), ფხასი, ალ. ჭყონიასი ი. ფანცხავასი, არჩილ ჯორჯაძისა, ფ. გოგიჩაიშვილისა.

17. **საპოლიტიკო წერილები:** ი. კაკაბაძისა, ნ. ნიკოლაძისა, სენებოსისა.

18. **მწერლობის ისტორიის შესახებ:** პ. უშიკაშვილისა, ალ. ხახანაშვილისა, მ. ბოლქვაძისა, სვ. ქვარაინისა.

მიმართულებით ჟურნალი იყო ეროვნულ-დემოკრატიული.

აპაკის კრებული

1897 წელს ენკენისთვიდან აკაკი წერეთელმა დაიწყო გამოცემა ყოველთვიურის კრებულისა, რომელსაც სა-

ხელად უწოდა აკაკის კრებულს. თავდაპირველად მას განძრახული ჰქონდა ებეჭდა კრებულში მხოლოდ თავისი საკუთარი ნაწერები, უკვე გამოქვეყნებულები, თუ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებლები, და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებნი: ზღაპრები, ლექსები, ლეგენდები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები და სხვ. მართლაც, 1898 წლის გასულამდე ის ახორციელებდა ამ განძრახვას, 1899 წლითგან კი გამოითხოვა ნებართვა ებეჭდა სხვათა ნაწერებიც. ამასთან კრებულის ბეჭედა და რედაქცია გადაიტანა ქუთაისს. ქუთაისში კრებული იბეჭდებოდა მთელის 1899 წლის განმავლობაში. ხოლო 1900 გამოვიდა მხოლოდ ოთხი ნომერი და შემდეგ აღარ გამოსულა.

სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებთ კრებულში დასაბეჭდად აკაკის აწვდიდნენ შემდეგი პირები: ე. გვარამაძე, ე. ებანოძე, ნ. ჯანაშია, გრ. აფშინაშვილი, სოიკო მერკვილაძე, ი. ჭიჭინაძე, ნ. მალრაძე, თ. შთაერიშვილი, ივ. გომელაური, ივ. ბუქურაული, ივ. ლალიაშვილი, გ. შატერაშვილი, ალ. მაჩაბელი, მ. როსტომაშვილი, ნ. სტურუა, ნ. მაჭავარიანი, ნ. ქავთარაძე, თ. ძველიაი, დ. ავალიანი, ს. გაჩეჩილაძე, ზ. ჩხიკვაძე, მერაბიშვილი, ქართველი ოსებში და სხვ.

გარეშე მწერალთა ნაწერები, რომელნიც კრებულში დაიბეჭდნენ, იყვნენ: საისტორიო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო წერილები ზ. ჭიჭინაძისა, მ. ჯანაშვილისა, ალ. ბარამიძისა, ი. ლაზარესძისა, ს. ქვარიანისა, ვინმე მესხისა; მოთხრობები თ. ხუსკივაძისა, დ. მაჩანელისა, დ. კამკამიძისა, ს. ქვარიანისა; ლექსები სილოვანისა, კოხიძელისა, დ. თომაშვილისა; დრამატული თხზულებანი მეველესი, ს. გაჩეჩილაძისა, ან. ქანდარისა; კრიტიკული წერილები ხომელისა (რამანოზ ფაცხავასი), ე. წ-ისა (წერეთლისა); ე. წ-ისა (წერეთლისა); ს. ქვარიანისა. ამას გარდა კიდევ დაიბეჭდა საისტორიო პირთა მიწერმოწერა და სხვ.

## მ ო ზ ე ა უ რ ი

1901 წ. ივანე როსტომაშვილმა დააარსა ყოველთეიური ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი მოგზაური. ჟურნალი გამოდიოდა თვიურად, ხშირად ორ-ორი ნომერი ერთს წაუგნად, საშუალო ტანის წიგნაკებად. შიგ იბეჭდებოდა მრავალი მოკლე-მოკლე წერილი, რომელნიც შეეხებოდნენ საქართველოს ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას და გეოგრაფიას. საისტორიო წერილები წარმოადგენდნენ ისტორიის რომელიმე ხანის ეპიზოდურ მოთხრობას ან რომელიმე ისტორიული პირის მოღვაწეობის აღწერილობას, საარქეოლოგიო წერილები — სხვადასხვა ეკლესიების, მონასტრების, ციხეების და სხვა ნაშთების აღწერილობას და მათ წარწერების წაკითხვას, საეთნოგრაფიო — საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, ქალაქების და სოფლების მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების და ცხოვრების აღწერილობას და სახალხო სიტყვიერების, საგეოგრაფიოინი — საქართველოს სხვადასხვა ნაწილის გეოგრაფიულს აღწერილობას. ეს წერილები ხშირად დასურათებულნი იყვნენ. ამას გარდა ჟურნალში იბეჭდებოდა ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები და სიტყვიერებული ნაწარმოებნი — ლექსები, პოემები, მოთხრო-



ბები და ღრამები, რომელთა შინაარსი იყო ისტორიული ამბები ან ისტორიულ პირთა მოღვაწეობანი. ჟურნალის დამატებად ორი მთლიანი საისტორიო თხუ-ზულემა დაიბეჭდა: საქართველოს სახალხო ისტორია (არ ჩანს, ვისია) და საქართველოს საეკლესიო ისტორია ილია ფერაძისა.

უმთავრესი მშრომელი თვით რედაქტორი ივანე როსტომაშვილი იყო. თანამშრომლობას უწევდნენ: ზაქ. ჭიჭინაძე, იუსტინე აბულაძე, ილია ფერაძე, ინგილო ჯანაშვილი (დიმიტრი), ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი), ვინმე მესხი (მღ. ივანე გვარამაძე), კ. გვარამაძე, მ. გობეჩია, ი. მარუშიძე (შოსე ჯანაშვილი), მ. ლასურაძე (იგივე შოსე ჯანაშვილი), ალ. ხახანაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ტ. ართემიძე, თ. რაზიკაშვილი, მ. ჩოგავაძე, კოტე მესხი, ალ. ტატუნაშვილი, გ. ელგანდაშვილი, ვ. მალაქიაშვილი, ს. ქვარიაანი. ალ. კვერკველაძე, კ. ანთაძე, ე. გუგუშვილი, ი. მარგინი, არ. დარეჯანაშვილი და სხვ.

აღნიშნულ პროგრამას ჟურნალს ასრულებდა მხოლოდ წელიწად-ნახევარს. შემდეგ რედაქციამ გააფართოვა მისი პროგრამა და 1902 წლის ენკენისთვითვან დაიწყო საპედაგოგო, სამეურნეო და საზოგადოებრივი წერილების ბეჭედაც.

ჟურნალმა იარსება სულ ოთხს წელს და :905 წელს გადაკეთდა კვირეულ გაზეთად, სულ ახალის პროგრამით და ახალის რედაქციით.

დ. კარიჭაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

ზ. ჭ. — ქართული მაზეთის ასი წლის ისტორია. გამოცემა ვ. ტყეშელაშვილისა. ტფილისი. 1916 წ. 64 გვ. ფასი 10 კაპ.

წ. კი მაზეთის მაგვარი „ლეპორტი“-ო.

ქართულ პერიოდულ გამოცემებს შორის (დასახელებული აქვს 30-ამდე ასეთი გამოცემა) ავტორი ასახელებს არარსებულსაც, როგორც არის, მაგალითად, „წმიდა გიორგი“ (იხ. ამის შესახებ დ. კარიჭაშვილის წერილი ქართული ჟურნალ-მაზეთების შესახებ ამავე ნომერში).

ავტორი, მისთვის ნაჩვევი წესით, დაწვრილებით მოგვეთხრობს, რაც კი გაუგია და იცის ამა თუ იმ გამოცემის, მისი ინიციატორის, რედაქტორის და სხ. შესახებ. ხ. ჭიჭინაძის ამ ნაშრომსაც მისთვის ჩვეულებრივი ნაკლი აქვს, მაგრამ დღემდის ქართულ ენაზე სხვა შრომა ჩვენი ჟურნალ-მაზეთების შესახებ არ გავაჩნდა. საკვირველი კია, — რატომ ზაქარიას მეტმა არავინ „მოიცალა“ ამ საქმისათვის!..

პ. კანიშვილი

ქართული მაზეთის ისტორიის ავტორი იწყებს 1817 წლიდან, როცა გამოსულა „ქართული მაზეთი“, თუმცა გვარწმუნებს, რომ ჯერ კიდევ 1763 წ. გამოდიოდა ოფიციალური ორგანო „ბრძანება და უწყება“-ო და 1778

07(=9)  
(09)

087. 1.

## ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა

**რ** 3 მ ნ საბავშვო ლიტერატურის ისტორია მხოლოდ მას შემდეგ იწყება, რაც საყმაწვილო ჟურნალები გამოიცა. მათს შორის ზოგიერთს მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენ საბავშვო ლიტერატურისა და საზოგადოების წინაშე.

ამ ისტორიის თარიღი 1884 წლით აღინიშნება. მაგრამ არ გვენოთ, ამ წლამდე ბავშთა სამეფო ისე ყოფილიყოს მიტოვებული, რომ სრულებით არაფერი გამოეცეს ბეჭდვის მაშინდელ მესვეურებს.

გამოცემებს თუმცა აღვიდა ჰქონდა, მაგრამ ისე მცირე იყო რაოდენობის მხრივ და შინაარსის მხრივაც ბავშვთათვის ისეთი შეუფერებელი, რომ მათში მხოლოდ სანიმუშოთ თუ მოვისენიებთ ზოგიერთს.

1880 წლამდე ბავშვთათვის ცალკე გამოცემებს შეხვდებით უფრო ანბანს, შედგენილს პედაგოგებისა და სხვათა მიერ. და აგრეთვე ნათარგმნ მოთხრობებსაც. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი წიგნები: „ანბანი და სასარგებლო წურთენანი ყმაწვილთათვის“ — იარგმანი რუსულიდან, სათაური მსხვილი შრიფტით. ამას მოსდევს კორპუსით: „მოვედით, შეილნო, ისმინეთ ჩემი; შიში უფლისა გასწავო თქვენ“ (ფსალ. XXX, 12)<sup>1</sup>, გამოცემული 1868 წელს.

მისი შინაარსი შეეხება მაცხოვრის ცხოვრებას. ცხადია, თუ ასეთი წიგნები მრავლათ იყო, რა ლიტერატურულ როლს ითამაშებდა! „ფუფულათი“ დააშინებდა, თუ პატარა უფროსებს გააჯავრებდა“. ნათარგმნია, თუ არა ვცდები, იაკ. გოგებაშვილის მიერ.

1880 წ. გამოცემულია ქართველ ქალების მიერ ნათარგმნი „მოთხრობანი“. აქ მოყვანილია:

1. სოფელი ტრეპი—პოლ გეიხესი.
2. ანტუან მარტიე—მისივე (ღარიბების ცხოვრებიდან)
3. მკერვალი ქალი—ვაგნერისა.

ეს წიგნი უფრო ყრმათათვის არის გამოსადეგი, ვიდრე პატარებისათვის. მაგრამ მათთვისაც, მასლის მხრივ, ყოვლად უმნიშვნელო და უხალისო წასაკითხავია.

შინაარსის შეუთვისებლობასთან ერთად აქ შეხვდებით იმდენს უცხო ქვეყნების და საკუთარ სახელებს, რომ ბავში გულს ვერაძლროს დაუდგეს მათს გარკვევით ამოკითხვას და გამოთქმას.

ამავე წელს ვახ: „ივერია“—დან ცალკე ამოიბეჭდა აკაკის: „აღექსი“, გალექსილი ზღაპარი ყმაწვილთათვის. ეს ნაწერი ბევრს წაგეკითხებათ, მეტად აღვილი შესათვისებელი და ლამაზ ლექსით წყობილი.

1881 წ. გამოიცა: „ვახაფხული“—ყრმათათვის საკითხავი წიგნი.

აქ შედის: „ბზობა“, „აღდგომა“ და ორი სხვა მოთხრობა.

1883 წ.-კი ზ. ჰიჭინაძე ცდილა ბავშვებისათვის გამოეშვა წიგნი ე. წ. „საყმაწვილო ბაღი“. აქ მოთავსებულია პიესა, მეტად მშვენიერი, რუსულიდან

გადმოკეთებული, სათაურით: „აღდგომის შაბათს“ (სურათი ბავშვების ცხოვრებიდან). შინაარსი მეტად მარტივია. მთავარი მომქმედნი არიან—დე-ძმა: ერთავად ჩხუბობენ, თუ ვინ მეტ სათამაშოებს ამტვრევს და თვითვეული სცდილობს თავის გამართლებას სხვადასხვა დასაბუთებით, როგორც, მაგ., პატარა თამარიკო: ქალები სათამაშოებს არ ამტვრევნო. აქვე შეხედებით სხვა ნათარგმნ მოთხრობებსაც და, სხვათა შორის, ნ. ლომოურის ზოგიერთ საბავშვო ლექსებს. ერთი სიტყვით, მასალების მხრივ ზოგად ხალისს წარმოადგენს ბავშვებისათვის.

მოყვანილი წიგნებიც სრულიად საკმარისია, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა იმ შინაარსსა და გემოვნებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ ჩვენ მიერ მიჩნეულ თარიღამდე, თუმცა ამ თარიღის შემდეგაც არ შეწყვეტილა, ცოტა არ იყოს, შეუფერებელ წიგნების ბეჭედად.

მაგ. მაშინ, როცა საბავშვო ჟურნალებს რამდენიმე წლის ისტორია მაინც ჰქონდა, 1897 წ. გამოვიდა წიგნი: „ბავშვების მოკეთე“ ანუ ანბანი, შედგენილი ალექს. ნათაძის მიერ. 33 გვ. უჭირავს ანბანს, დიდი შრიფტით, მერე კი დაყოფილია დარგებად, კითხვა-პასუხით.

ასეთებია:

1. სასწავლო ნივთები და სათამაშოები.
2. ხის ავეჯი და ჭურჭელი.
3. საჭმელი და სასმელი.
4. ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საცვალი.
5. იარაღი და შენობა.
6. შინაური და გარეული ცხოველები.
7. ოთხფეხი ცხოველები და ფრინველები.
8. ბალახის და ხორცისმკამელი ცხოველები.
9. შინაური, მტაცებელი და მგალობელი ფრინველები.
10. თევზები, ქვეწარმავლები და მწერები.
11. ბალახები, სოკოები და ყვავილები.
12. ჭირნახული და ბოსტნეული.
13. ხეხილი, ხეები და ჩირგვები.
14. ძვირფასი და უბრალო ლითონები, ქვები და მიწები.
15. ადამიანი, ცხოველები, მცენარენი და მიწალები.
16. დღე-ღამის ნაწილები, კვირის დღეები და წელიწადის დრონი.
17. თევები გაზაფხულისა, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრისა.
18. ზომები სიგრძისა, სიძიმის და დროსი.
19. ნაწილები სახლისა, მცენარისა და ცხოველისა.
20. ნაწილები კაცის სხეულისა.
21. ნათესაობა და თვისტომობა.
22. ადამიანები წლოვანობით და საქმიანობით.
23. ქალაქები და მდინარეები.
24. ხუთი გრძნობანი.

25. დღესასწაულები.

26. ხმები და მოძრაობა ცხოველებისა.

თითოეული მოთხრობის ბოლოში მოყვანილია რომელიმე ლოცვის სიტყვები, მაგ. ლექს „ჯეჯილი“ ბოლოში უწერია: „პური ჩვენი არსობისა“ და სხვა.

გარდა ამისა, შევხვდებით ზოგიერთ სურათებს, მეტადვე მაცხოვრის ცხოვრებიდან, მაგ. ბავშვებს როგორ ესაუბრება მაცხოვარი, აგრეთვე როცა პირველად გადასახავს, და ქვეშ უწერია: „მშვიდობა ყოველთა.“

ცხადია, ეს წიგნები ახლა საარქივოთა ან გამოცემის და ჩვენთვის ხომ არავითარი ღირებულება და მნიშვნელობა აღარ აქვს. მაგრამ თავის დროზე, ალბან, საგრძნობ როლს თამაშობდა ასეთი საბავშვო საკითხავები და სახელმძღვანელოები, როგორც სკოლასა, ისე ოჯახებში.

ამის შემდეგ მივუბრუნდით ისევ ჩვენს თარიღს, 1884 წელს.

ეს წელი შეიძლება მეტად ნაგვიანვე აღმოჩნდეს, ე. ი. აქამდე უნდა არსებულიყო ჩვენში საბავშვო წიგნები, რადგან სხვა ერებში ამ დროს საყმაწვილო ლიტერატურა განვითარებული იყო.

საბავშვო ლიტერატურის პერიოდულ ჟურნალის საძირკვლის ჩაყრა მოხდა ანდრია ლულაძის მეთაურობით, რომელმაც ყრმათ საკითხავად მიართვა: „ნობათი“. თუმცა მისი ფაქტიურად არსებობა 1884 წლიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ 1883 წლის ბოლოთვეში გამოვიდა ე. წ. სანიმუშო ნომერი. სათაური ამ სანიმუშო ნომრისა: — „ნობათი“ როზეტშია ი. ვარდის ფოთლების სახით გამოყვანილი და დაბლა კი ხატია თოვლიანი პატარა გორაკები კოშკით. დასურათებულია გ. ტატიშვილის\*) მიერ. ამ სათაურს მისდევს შემდეგი: ყრმათ საკითხავი ყოველთფორი ჟურნალი, პედაგოგიურის დამატებით მშრომელთა და აღმზრდელთათვის, — ე. ი. მათის ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო ამ ჟურნალის კითხვა ბავშვებთან. სწორედ ამ სანიმუშო ნომერშივე მოცემული, ასე ვსთქვათ, პროგრამა და მიზანი, რისთვისაც უნდა ემსახურნა ჟურნალს.

მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ოჯახისადმი „შთამომავალთა“ სასიკეთოდ, — როგორც აცხადებს რედაქტორი ლულაძე.

ასე რომ „ნობათი“ სასარგებლო და საყვარელი საკითხავი უნდა გამხდარიყო ამ მხრივ იმ ოჯახებში, სადაც „თავის მამულის საკეთილდღეოდ დედაბოძად ზნეობრივი და ბუნებითი აღზრდა ექნებოდათ“.

საინტერესოა, როგორც პირველი ცდა, როგორი იყო „ნობათის“ მასალა და როგორ შეხვდა უჩვეულ ქართველი საზოგადოება ჟურნალს, რომლის აუცილებლობა ძლიერ შეიგრძნეს.

პირველ სანიმუშო ნომერში სწორედ ის მოთხრობები და ლექსები მოთავსებული, რომელნიც არაერთხელ დაუსწავლია და დაუხეპირებია მოწაფეობის დროს მკითხველს.

\*) ეს ძველი შესანიშნავი ილუსტრატორი იყო და თითქმის წიგნი არ გამოდიოდა ისეთი, რომ შიგ მისი ნახატი არა ყოფილიყო. ამის შესახებ იხ. ჟურ. „მნათობი“ № 1.

მაგ: 1. მიპატიეება სასწავლებელში, რ. ერისთავისა:

„წამოდექით, ყმაწვილებო,  
ტანთ ჩაიციეთ საჩქადოზედ“ და სხვა.

2. ლომ-კაცი — გ. წერეთლისა.

**მოთხრობები:**

1. კაკანათი — რევიშვილისა;

2. პაატა თემურთაშვილი. (ეს ვახლავთ გმირი ირაკლი მეორისა. ნახევარი გალექსილია 16 მარცვლოვანით, ნახევარი კი პროზით).

3. გეოგრაფიული წერილები კახეთის შესახებ, კორენსპონდენციის სახით.

4. მარინე — ხალხური ლეგენდა ცახელისა და სხვ.

**შემდეგ:**

ბუნების მეცნიერება. ზოოლოგია. გამოცანები, რებუსები და სიმღერა ნოტებით:

„მაისის ვარდმან ფურჩქენილმან ბეზეკმან მწვანით მკობილმან“ და სხვა. თვითველ მოთხრობის დასაწყისს აქვს ასომთავრული, ამოკრილი და დახატული გ. ტატიშვილის მიერ.

აი, მთელი შინაარსი პირველი ნომრისა.

აქედან თქვენ დაინახავთ, რომ სანიმუშო ნომერში ვერა სკარბობს ბავშვითვის გასართობი და სასიამოვნო მხატვრული მასალა, არამედ არის უფრო მეტი დიდაქტიობა, მოწოდება სწავლისა და შრომისადმი, რაც ყოველს ადამიანს, წლოვანების-და მიუხედავად, ესაჭიროება. და თუ ეურნალი ამ ცდას სასარგებლოდ ჩაატარებდა, ცხადია, თავის მიზანსაც განხორციელებულად ჩასთვლიდა.

შრიფტი ამ სანიმუშო ნომრისა სამნაირია.

პირველ იანვრისათვის კი უკვე სამუდამო დასამკვიდრებლად „ნობათს“ შეეცვალა ყდაც და შინაარსიც.

ყდა დასურათებულია: პერსპექტივაში თოვლიანი მთები, აქეთ-იქით მალაღლი. კლდეები, რომლის მარცხენა მხარის ძირში შარა-გზაა შემის ურმით, შუა ალაგას — ხვეი წყლით; გაღმა — სოფლის სახლები; დაბლა ფერდობზე — მეცხვარე ცხვრით და ძაღლით; წყლის პირას კი — ორი პატარა ბიჭი სათევზაო ანკესებით. შემდეგ ეპიგრაფი: „ღღისით და ღამით მოყმენი ნობათს არ დაჰსცდებიანო“ — შოთა.

ხშირად ყდა გამოხატავს ეურნალის და წიგნის მიმართულებას და შინაარსსაც (ამაზე ქვევით) და ამ აღწერით დაინახავთ მთელ სოფლის სურათს თავის „ჯინჯლიანი“ ქულებით.

აღბად „ნობათი“ — ჯგუფს უნდოდა, ეს სოფლის სინოყვირე გადაეშალა ყრმათა თვალ წინ, ახალწლის შეგებებასთან ერთად.

შინაარსი ამ ნომრისა არის ასეთი ლექსი: „ჯერ შრომა — მე რე ხტომა“. ამას მოზღდეს ე.კ. გაბაშვილის „სახალწლო ფეშქაში“, რომელშიაც ყველა ბავში და მოზარდი თავის თავს დაინახავს, მეტადრე ქალაქში სასწავლებლად ჩამოსული სოფლელი ბავში, რომელიც სახალწლოდ დროების გასატარებლად უბრუნდება

თავის ოჯახს სოფელში. ყველა იცნობს ეკ. გაბაშვილს და ამ მოთხოვნის დაფასებას აქ არ გამოუვლდება მით უმეტეს, რომ ქვევით შემთხვევა მექნება კიდევ შევხვდე მას.

მეორე მოთხოვნა ისევ სოფლის ცხოვრებას ეკუთვნის ახალწლის მოგონებებიდან და სხვა.

ძალიან შორს წავეციყვინდა თვითეული ნომრის შინაარსის გარჩევა და დაფასება. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ შემდეგი ნომრებიც მაინც და მაინც ახალს არასფერს შეიცავს, თუმცა ლიტერატურის მხრივ ზოგიერთი მასალა მეტად მშვენიერია. მოთხოვნების შინაარსი აღებულია ბავშვის ცხოვრებიდან, ხშირად შეუფერებლად. მაგრამ თანდათანობით გაუმჯობესება და გამდიდრება მასლისა, როგორცა ესაქვი, თვითეულ ნომერში აუცილებლად ემატება. მაგ. დასურათება, არა ფერადებით, მაგრამ მაინც ხშირია, და ნათარგმნებიც ემატება.

ჟურნ. „ნობათ“-ში თანამშრომლობდენ, უმთავრესად ცნობილ მწერლებთან ერთად, შემთხვევითი მწერლებიც, რომელთა მოღვაწეობაც ამ ჟურნალით გათავდა. ამ დარგს შერჩა მხოლოდ რამდენიმე მწერალი, რომელნიც შემდეგშიც განაგრძობდენ საბავშვო ლიტერატურის სამსახურს. თუმცა ჟურნალს აწერია: „საყოველთეო“, მაგრამ, თუ სანიშნო ნომერს აო ჩავთვლით, გამოსულია სულ 7 ნომერი, რამდენიმე ნუმერაციით, მაგ. უკანასკნელი წიგნი სამ ნომრად: X, XI, XII, ისეთივე შინაარსით და დალაგებით, როგორც სხვა ნომრები.

მხოლოდ ბოლოში რედაქციის მიერ ასეა დასრულებული ეს უკანასკნელი წიგნი:

„ამ წიგნით ვათავებთ წარსული (sic!) 1884 წ. „ნობათ“-ს გამოცემას.

„ბევრჯერ გვიტყავს, ძალიან ბევრი დამბარკოლებელი მიზეზები დაუხვდა წინ ამ უიღბლოდ დაბადებულს ჟურნალს. საერთოდ ყველა მკითხველს შეუძლია ნათლად გაერკვიოს ეს მიზეზები (sic!), ამიტომ არ ვცდილობთ ახსნას. ჩვენ ერთს მოვიზიხოვთ: თუ ჟურნალი „ნობათ“ თავის ერთის წლის არსებობით წმინდა თავის მიზანს არ დასდგამია; თუ „ნობათ“ მიმდევარი იყო საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, თუ „ნობათი“ კიდევ შესძლებს ამ საზოგადო პირობების ასრულებას— მოვიზიხოვთ დაბმარებას.“

არ ვიცი, თქვენ ყურადღება მიაკვივით თუ არა, რომ რედაქციის ენა მეტად გაუმართავია. მაგრამ ეს არაფერი, შეიძლება ეს კორექტურული შეცდომები იყოს, მაგრამ საინტერესო მხოლოდ ის არის, რა „დაბრკოლებანი უნდა გადალობებოდა წინ“ ერთადერთ საყმაწვილო ჟურნალს, რომლის მოთხოვნილებაც „მატულობდა ცხოვრებაში, ოჯახში და სკოლებში“, და რათ უნდა „ამოიძროთ სული“, როცა მისი მიზანი და პროგრამა, ასე ესთქვეთ, მისაღები იყო მაშინდელ საზოგადოებისა, ოჯახისა, სკოლისა და მის მიერ გამოზრდილ ბავშვებისათვის?

რა საკვირველია, ამის გათვალისწინება ახლა ძალიან ძნელია, მით უმეტეს არავითარი საბუთია დატოვებული ამისა, მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება მიხედვს კაცი კანტი-კუნტად დარჩენილ დაწერილ მასალებიდან. ეს დაბრკოლება

და „სულის ამოხდომა“ დაიწყო იმ გამოლაშქრებიდან, რომელიც მიმართულაძის წინააღმდეგ ია. გოგებაშვილმა.

ჟურნ. „ნობათ“-მა დასწერა თავის ფურცლებზე ბიბლიოგრაფია ი. გოგებაშვილის წიგ. „კონა“-ზე. ესარის 1884 წელს გამოცემული საბავშვო პირველდაწყებითი მოთხრობები ბუნებისმეტყველებიდან.

საინტერესო მეტად ის არის, რომ წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „საყმაწვილო ბაღებში სახმარებელი სახელმძღვანელო“-ო. ეს „ბაღები“ მაშინ არცთუ არსებობდა, მეტადრე ასე მრავლობითი რიცხვით, და თუნდაც არსებულყოფიერ, ასეთი მასალა სრულიად უვარგისი და სასაცილო უნდა ყოფილიყო, რაც უნდ დღევანდელ თვალსაზრისიდანაც დაშორებული ყოფილიყო, იმიტომ რომ ნ წლის ასაკის ზეგით ხომ აღარ იქნებოდნენ ამ ბაღებში? ეს კი ნიშნავს სრულიად გაუგებრობას საბავშვო ბაღების პრინციპებისას. მაგრამ ახლავ გამოუვლდები ამათ, რადგანაც შემთხვევა მექნება შეეცხო ამ საბავშვო ბაღების ლიტერატურასაც.

როგორც მოგახსენეთ, ეს ბიბლიოგრაფია მაინც და მაინც ქებისა არ არის, არამედ უფრო უარყოფითი შეხედულება გამოთქმული „კონა“-ზე.

ავტორს, ე. ი. გოგებაშვილს, გულმოსულს, დაუწერია ვაზ. „დროება“-ში წერილი, სადაც, ცხადია, წუნს დასდებდა „ნობათ“-ს და მის რედაქტორს, რომელსაც შეურაცყოფა უვარგისია როგორც „ნობათ“-ის „პატიოსანს განზრახვებისა“, ისე პირადად თავისი თავისა.

ამიტომ ლულაქემ მოითხოვა სამედიატორო სასამართლო, სადაც უნდა გარჩეულიყო „ნობათ“-ში მოთავსებული ბიბლიოგრაფია და მოყთხოვა პასუხი გოგებაშვილისაგან - „რა უფლებით იხსენიებდა უპატიურად, როგორც „ნობათ“-ის სახელს, ისე მის რედაქტორს“.

ეს სამედიატორო სამართალი შემდგარა და გამტყუნებულა როგორც ლულაქემ, რომ „ბიბლიოგრაფია არ არის პრინციპიული კრიტიკა, არამედ უფრო პიროვნული კიცხვა და დამკირება“, ისე თვით გოგებაშვილიც, რადგანაც მან „იკისრა ისეთი კილო თავის საპასუხო წერილში“, მით უმეტეს, „ლულაქემს კრიტიკული წერილი შედარებით ზომიერი ყოფილა“.

აი სარჩული იმ გოგებისა, რომელსაც მოსთქვამს ლულაქემ „ნობათ“-ს უკანასკნელ ნომრებში და მოითხოვს ზნეობრივ დახმარებას და მსჯავის მკითხველისა და საზოგადოებისაგან. ამ ჟურნალის არსებობა გაგრძელდა 1885 წლის მე-3-თვემდე. მერე უკვე აღარ გამოსულა.

შეიძლება ახლა, როგორც ზეგითა ვთქვი, „ნობათ“-ს მასალას მნიშვნელობა აღარა ჰქონდეს. მაგრამ მაშინ აუცილებლივ ითამაშა დიდი როლი მეტადრე იმაში, რომ მოამხადა ნიადაგი, გააღვიძა სურვილი, რომ საბავშვო ლიტერატურა და მისი გამოშატეველი ორგანო აუცილებლივ ესაპირობა მომავალში ქართველ ხალხს, რომელზედაც უნდა აშენებულიყო შემდეგი და დღევანდელი, სულ მთლიანად დაშორებული მისგან, საბავშვო ლიტერატურა. თუმცა იმ აუარებელ მასალებით, სწორედ როგორც მასალით, შეიძლება დღესაც ისარგებლოს კარგმა საბავშვო მწერალმა.

ა. ლენინაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

06:41  
(რარიტე-  
ტი და სი-  
ტყვარი)

Dittionario Giorgiano e Italiano. Composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi, Giorgiano, Monacho di S. Basilio. Ad Uso de Missionarii della Sagra Congregatione de Propaganda Fide. Roma. Nella Stampa della Sagra Congr. de Propaganda. Fide. CID DC. XXIX.

საზოგადოების მიერ რომში, 1629

ტიტულის ფურცლის შემდეგ, რომელიც მოყვანილია აქ (იხ. სურ. გვ.), დატოვებულია კიდევ ერთი ფურცელი, რომელზედაც წარწერილია ნებაართვა ორი სხვადასხვა პირის მიერ. შემდეგ მოთავსებულია წინასიტყვაობის სახით მიმართვა პაპი ურბანოსადმი. მიმართვას ხელს აწერს აქილ ვენერო. ამ მიმართვაში საინტერესო ცნობებია იმის შესახებ, თუ როგორ მოველინა ქვეყანას პირველად რომში ეს და სხვა ქართული წიგნები. (იხ. ამის შესახებ დ. კაჩიკაშვილის წერილი: „როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი? ამავე ნომერში გვ.)

წინასიტყვაობის შემდეგ მოთავსებულია ანბანი, შემდეგ ქართულ-იტალიური ლექსიკონი (3—126 გვ.), რომელსაც მიჰყვება რიცხვითი სახელები (127—128 გვერ.) და შემდეგ მიჰყვება იტალიურ სიტყვების საძიებელი, რომელსაც უჭირავს 23 ფურცელი. ბოლოს დართული აქვს შეტომიანთა გასწორება.

ანბანი შესდგება 36 ასოსაგან; არ არის შიგ—ა. ასოების მოყვანილობა ისეთივეა, როგორც ახლა. ცოტათი განსხვავდება თანამედროვესაგან პ, კ და ჰ. ც კი სულ სხვა სახისაა. ჯერ დაბეჭდილია ქართული ასო, შემდეგ მისი დასახელება ქართულად, შემდეგ ეგ ქართული დასახელება მოყვანილია იტალიური ასოებით და ბოლოს შესაფერი იტალიური ასო. ა—ან An—ა.

ლექსიკონი შედგენილია ასე: ჯერ დაბეჭდილია ქართული სიტყვა, შემდეგ მეორე სვეტი იგივე სიტყვა დაბეჭდილია იტალიური ასოებით და მესამე სვეტში კი მოყვანილია ამ სიტყვის იტალიური თარგმანი (იხ. ამ ლექსიკონის დასაწყისი 121 გვ.). ამ რიგად ლექსიკონი შესდგება სამი სვეტისაგან. ლექსიკონში არაა მოთავსებული ის სიტყვები, რომლებიც იწყებიან ასო ჟ, ყ და ძ-ზე.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ იშვიათათ შეხვედებით ქართულ სიტყვას, რომელიც ამ ლექსიკონში დამახინჯებული არ იყოს. მოვიყვან ზოგიერთ მაგალითებს: მოზხენილი (მოწყენილი), ოკრონჯედელი (ოქრომქედელი), პტის მშობელი (ლეთისმშობელი), პკოლა (ბრძოლა), საკველტაო (საყოველთაო), შენჭიკუარ (შენ გიყვარს), სითხუა (სიტყუა), ხერბი (კერპი), ხეხილსიტკუა (კეთილსიტყუა), ხიტკელი (მკითხველი), თატზარი (თათარი), წიქნი (წიგნი), თაფზერ დაპწერი, კადასკუეცილი (გადაწყვეტილი), ზმა (ძმა), ზნობილი (ცნობილი), ზხა-

ქ ბ ა ტ უ ლ ი და იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ წმ. ბასილის (მონასტრის) ქართველი ბერის, ნიკიფორე ირბაქის დახმარებით. სარწმუნოების მქადაგებელ საზოგადოების მისიონერთა სახმარებლად. რომი. სარწმუნოების მქადაგებელ საზოგადოების სტამბა. 1629 წ.

ეს წიგნი ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი უძველესი დაბეჭდილი ქართული წიგნია. გამოცემულია კათოლიკეთა სამისიონერო წესს, ე. ი. თითქმის 300 წლის წინად.





„ ლექსი „ იბერიკო- „ ფრანსი „

Ditionario Giorgiano-Italiano

ს A

აბანო .	abáno ,	Bagno .
აბანო-ღბ .	abaróga ,	Ma che?
აბანი .	abáchi ,	Di là .
აბრეშო-ში .	abrefciómi ,	Seta .
აგეზბ .	aghebà ,	Compun <sup>t</sup>
აგზო-ზიერებელი .	aghmozenebéli	Biaistema
აგზო-სათუღეტი .	aghmosfaleti ,	Oriente .
აგზ-სათუღეტი <sup>ს</sup> .	aghmosfaletisa ,	Orientale ,
ადვილ <sup>ს</sup> . შეფაზ- რეთელი .	aduilà scfaz- ruéli ,	Incostante .
ადვილი .	aduili ,	Facile .
ადვილიდ .	aduiliid ,	Facilità .
ადი .	ádi ,	Di .
ადიდებ .	adidebà ,	Inondatione
აერა .	aêra ,	Aria .
აეტილო <sup>ს</sup> .	aetili ,	Coprire .
აუადარი .	auadári ,	Annularsi .
აუადარეზბ <sup>ს</sup> .	auadafpamò ,	Maltrattare .
აუადარეზბარე .	auadafpare ,	Maltrattato .

რო (წყარო), ვართლი ცუალი (ვარდის წყალი), ავი ზელიცადი (ავი წელიწადი), დაბეჭდვა (დაბეჭდვა, ე. ი. ბეჭდის, ნიშნის დასმა), ერტი—1, ოტხი—4, ხუტი—5, ესიი—6, შიეიტი—7, ცხარა—9, ათიერტი—11, ოწი—20, ოწიერტი—21, სამატი—30, ორმატი—40, ორმატი—50, სამოტწი—60, სამოცტვატი—70, ოცმოცი—80 და სხ.

აქედან აშკარაა, რომ ლექსიკონი შეუდგენია ისეთ კაცს, რომელსაც ქართული სიტყვების გამოთქმა არ შესძლებია. თუ მივიღებთ მხედველობაში ხშირ გრეციზმებს, მაგ. ვილანტეს—ვიგანტი, აგრეთვე ერთ ბერძნულ ფრაზას, ეპიტროპუს ტუ კრისტუ პაპა—რომელიც ვითომ ქართულადაა გასაღებული და იტალიურად ასეა თარგმნილი: vicario di Chisto è il Papa,— შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული სიტყვების შემდგენელი ბერძენი უნდა იყოს.

ამ შემთხვევაში კითხვის ნიშანი ესმის ნიკიფორე ირბაქის ვინაობას. ის ამ ლექსიკონში ქართველადაა დასახელებული და, მიხ. ღამარაშვილის სიტყვით, ვგარად ჩოლოყაშვილი ყოფილა. ლექსიკონის ქართული სიტყვები კი გვარწმუნებენ, რომ მისი ავტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვცნოთ ქართველად. შეიძლება რომელიმე ბერძენმა ქართველად გაასაღა თავი რაიმე მოსაზრებით.

ლექსიკონს დართული აქვს იტალიურ სიტყვების საძიებელი, რომელსაც იტალიურ-ქართული ლექსიკონის მაგიერობა უნდა გაეწია. საძიებელი ასეა შედგენილი: ანბანზე დალაგებულია იტალიური სიტყვები, რომელსაც ქართული თარგმნის მაგიერ თან უზის ორი ციფრი: ერთი უჭვენებს გვერდს და მეორე სტრიქონს, სადაც უნდა ვეძიოთ ამ სიტყვის ქართული მნიშვნელობა.

ასე, მაგ. დაბეჭდილია: Zuccaro 117. 18. წიგნის მე-117 გვ. ზევიდან მე-18 სტრიქონში ვპოულობთ ამ სიტყვას—Zuccaro და მის ქართულ თარგმანს—ცახარი (შაქარი).

**ქართული შრიფტი.** როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია განმარტებული, ქართული ასოები ამოუკრეფიათ იმ წერილიდან, რომელიც ნიკიფორე ირბაქის ხელით რომის პაპისათვის გაუგზავნია საქართველოს მეფეს. საკმაოდ ლამაზი ხელნაწერი შრიფტია. ნახმარია ლიგატურებიცა (ტყუპი ასოები), მაგ. მო, სა. (იხ. სიტყვა—აგმოსაულეტისა).

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქალაღზე (ვერზე) და ყდა აქვს გაკეთებული სქელი და მგარი მუყაოსაგან.

### 3. კანიშვილი.

### 3. (სოციალური მემონიკაჰანეი)

გ. მუშიშვილი „მსოფლიო ომი“, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი. 1924 წ. 120 გვ. ფასი 50 კ., ტირაჟი 2,000 ცალი.

1914—18 წლის მსოფლიო ომი ისეთი დიდი სისხლის ვალტა იყო კაცობრიობისთვის, ამას ისეთი შედეგები მოჰყვა, რომ მათი გავლენა და მნიშვნელობა საუკუნოებით დარჩება ისტორიაში. მით უფრო საჭირო იყო მისი ათი წლის თავზე მოგონება და შეფასება ომთან დაკავშირებულ საკითხებისა. ამ მიზნითაა დაწერილი ამხ. მუშიშვილის ახლახან გამოსული წიგნი „მსოფლიო ომი“. სასიამოვნოა, რომ დიდძალ ნათარგმნ ლიტერატურაში შეხვედებით ასეთ ორიგინალურ ნაწარმოებსაც. ავტორი ჯერ ახალგაზრდა მწერალია; მაგრამ მას საკმაოდ იცნობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება.

327  
(საერთაშ.  
პოლიტ.)

წიგნი იწყება გ. კ — ს წინასიტყვაობით და შემდეგ მოჰყვება: 1. — ომი ომამდე, 2 — ომი და მეორე ინტერნაციონალი, მე-3 — ომის შედეგები, მე-4 — ომი ომის შემდეგ, მე-5 — ომი ომის წინააღმდეგ, მე-6 ისტორიული დოკუმენტები: ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია; სოციალისტური ინტერნაციონალი და მისი ამოცანები. ლიტერატურა.

ავტორი ჩინებულათა აშკარავეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბუნებას და მათი ეკონომიური ინტერესების დაპირისპირებას, რომელმაც ომი გამოიწვია. შემდეგ განმარტებულია მე-2 ინტერნაციონალის პოზიცია ომამდე და ომის პერიოდში და მისი იდეური გადაგვარება. ამას მიჰყვება ომის სახარული შედეგები. აქ უხვადაა გამოყენებული ციფრობრივი მასალა და შედარებანი. შემდეგ გარჩეულია ევრსალის ზავის საფუძვლები და ახალი ომის მომამზადებელი პირობები. დასასრულ, დახასიათებულია პაციფიზმი და კომინტერნის ტაქტიკა საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად, რაც უტოპიაა კაპიტალისტურ პირობებში, და ამიტომ კომინტერნი რაზმავს მსოფლიო პროლეტარიატს კაპიტალისტური მსოფლიოს ძირბუდიანად ამოსაგდებად. „ეს იქნება უკანასკნელი ომი კაცობრიობის ცხოვრებაშიო!“ დაასკენის ავტორი.

წიგნის ბოლოში დართული ისტორიული დოკუმენტები შეიცავს ლენინის მიერ დაწერილ მანიფესტს რ. ს. დ. მ. პარტიისას და მისსავე წერილს „სოციალისტური ინტერნაციონალი და მისი ამოცანები“. ორივე დოკუმენტი დათარგმნებულია 1924 წლის ნოემბრით.

ჩვენ მხოლოდ ერთი შეცთომა შევნიშნეთ 59 გვ. თუთიას ავტორი ხმარობს რუსული СВНН-ის მნიშვნელობით, რაც არაა სწორი. უნდა იყოს ტყვია.

წიგნი კარგ თეთრ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ლამაზათ გამოცემული.

პ. ზანიშვილი.

331  
(შრომისა  
და მუშა-  
თა პროფ-  
მომძრაობ.  
ხაკითხი)

ჩეკინი. პროფესიონალურ მოძრაობის ანბანი. თბილისი. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამოცემა. გვ. 219. ფასი 1 მან. 20 კაპ.

ძეგროშო პროფლიტერატურის ბიბლიოთეკას ამ წიგნის გამოცემით ერთი საუკეთესო შრომა მოგვბატა. ჩვენ ხშირათ გვესმის სამართლიანი საჩივარი იმის შესახებ, რომ არ მოგვეპოვება შესაფერათ მომზადებული კადრი პროფმუშაკებისა, რომელთაც შეეძლოთ პროფურეების ხელმძღვანელობა საერთოდ და კერძოდ პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ პოპულიარულ ლექციების კითხვა მუშათა ფართო მასებში.

პროფმუშაკების ასეთ სიმცირეს წვეავედ განიციდიან ჩვენი კავშირები. არის შემთხვევა, როცა მასები მოითხოვენ ადგილობრივად პროფმომძრაობის შესახებ ლექციების ქართულათ კითხვას, ან პროფურეების ხელმძღვანელს, მაგრამ კავშირის საშუალება არაერთი არაა დააკმაყოფილოს მოთხოვნილება.

პროფკავშირთა საბჭოს ვადაწვევტილი იქეს მიიღოს ზომები ამ სამუშაო-რო ნაკლის მოსასპობად და გასხნას კურსები პროფმუშაკების მოსამზადებლად. გარდა იმისა, სწარმოებს ინტენსიური მუშაობა საგამომცემლო დარგში. მისი მიზანია — შექმნას პროფმუშაკისათვის სახელმძღვანელო პროფბიბლიოთეკა.

ერთერთ საუკეთესო სახელმძღვანელოს უნდა მიეწეროს პროფკავშირთა საბჭოს მიერ ახლად გამოცემული „პროფმომძრაობის ანბანი“ ამხ. ჩეკინისა. უკანასკნელის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა პროფკავშირების საკითხების გარშემო. „პროფმომძრაობის ანბანი“ ერთ საუკეთესო შრომათაგანს შეადგენს, რამდენათაც მასში სხარტათ და მოჭრილათ არის გაშუქებული პროფმომძრაობის განვითარების საფეხურები, მისი სხვა და სხვა ტიპები სხვა და სხვა ქვეყნებში, და სხვ. ჩეკინი თავდაპირველად იძლევა პროფკავშირის განმარტებას, როგორც მასიური ორგანიზაციისას. ამ რივად ამზადებს მკითხველს შემდეგი უფრო რთული ცნობების შეთვისებისათვის, გაჰყავს პარალელი პროფკავშირებსა და პოლიტიკურ პარტიას შორის და ხაზს უსვამს მათს სხვადასხვაობას ბრძოლის მნთოდებსა და ტაქტიკაში და აგრეთვე დასახულ ამოცანებში და შემდეგ გადადის პროფესიონალურ კავშირების ტიპების განხილვაზე.

ეს თავი შეიცავს სხვა და სხვა ქვეყნის: ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის პროფესიონალურ მოძრაობის დახასიატებას. მოქნილი ფორმულებით არის დალაგებული ის სხვაობა, რომელიც არსებობს ამ ქვეყნების პროფმომძრაობათა შორის, სხვაობა როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურასა, ისე ბრძოლის საშუალებათა შორის. აღსანიშნავია აგრეთვე თავი, რომელშიაც მოცემულია პროფმომძრაობის განვითარების კანონები. ეს სრულიად ახალი სიტყვია ქართულ პროფლიტერატურაში. აგრეთვე ხაზგასმელია თავი „რუსეთის პროფმომძრაობის განვითარება“

აღსანიშნავია წიგნის თარგმანი. უნდა ითქვას, რომ თარგმნას ღღეს არ ექცევა ისეთი ყურადღება, როგორისაც იგი ღირსია. ხშირია შემთხვევა, რომ თარგმნას ზღლს კიდებს ყველა, ვინც კი წერა იცის დაარ ეზარება ეს. ამით აიხ-

სნება ის გარემოება, რომ თარგმანში ქართული ენა სრულიად დამახინჯებულია, არ არის დაკული მისი ბუნება, ხასიათი, არც ეტიმოლოგია და არც სინტაქსური კანონები. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მთარგმნელი სულ ორიგინალის ტყვეობაში იმყოფება, ვერ პბედავს გაშლას, ქართულ გამოთქმებით შესაფერაო შებრუნებას.

„პროფესიონალურ მოძრაობის ანბანი“ შეადგენს თავისუფალ ფარგმანს რუსულიდან. უნდა ითქვას, რომ ორიგინალში იგი წარმოადგენს მეტად მძიმე და გრძელ პერიოდებში გაქიმულ ენით დაწერილ შრომას.

უბრალო მკითხველისათვის მისი კითხვა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს; ქართულ თარგმანში ეს ნაკლი საესებით დაძლეულია. იგი ნამდვილი, „გაუტანჯველ“ ქართული ენით არის გადმოცემული. ეს წიგნი ერთერთ საუკეთესოთა ნათარგმნ წიგნის რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოებაც, რომელსაც არ აქვს ადგილი ორიგინალში: ეს ისა, რომ საყურადღებო ადგილები, რომელიც აუცილებლათ უნდა ჩარჩეს მკითხველს გონებაში, გამოყოფილია შავი ასოებით.

„პროფმოდრაობის ანბანი“ აუცილებლათ უნდა შეიძინოს ყველამ, ვისაც კი პროფესიონალურ მუშაობის წარმოება სურს, ვინაიდან, ვიმეორებ, იგი იძლევა მრავალზრივ ცოდნას პროფმოდრაობის სხვა და სხვა საკითხების შესახებ.

წიგნი შეიცავს 216 გვერდს. ამასთან შეფარდებით ფასი 1 მ. 20 კ. მეტად მკირდე უნდა ჩათვალოს. როგორცა სჩანს, პროფკავშირთა საბჭოს მიზანი გამოცემა ხელმოსაწლომი ვახადოს მკითხველთა ფართო მასისათვის.

მიზანი უთუოდ სწორი და მისაბაძია.

მკითხველი.

ა. ლ ო ზ რ ა ზ ი ა. „პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო მოძრაობა“. ნათარგმნი რუსულიდან. საქართ. პროფკავშირ. საბჭოს გამომცემლობა № 36. გვ. 150.

**ყველასათვის** ცხადია, რომ დღევანდელ სინამდვილეში—საბჭოთა მთავრობის დროს როგორი პირობები ექმნება და ხელი შეეწყობა ყოველი ერის მშობლიურ ენაზე, სხვადასხვა დარგში, შინაარსიან ლიტერატურის გაფრცელებას.

სხვადასხვა დარგთა და საკითხთა შორის საყურადღებოა საკითხი—პროფმოდრაობისა. საერთაშორისო იქნება იგი თუ კერძოთ აღებულო, — რომელიმე ქვეყნის მშტაბით. როგორც ვხედავთ, ამ საკითხის შესახებ ბოლო ხანებში საქართველოს პროფსაბჭოს მიერ ითარგმნება და ფრცელდება სხვადასხვა ცნობილ ავტორების ნაშრომები ქართულ ენაზე.

ლოზოესკის სხვა მრავალ ნაწერთა შორის, პროფმოდრაობის შესახებ, გამოცემულია საქ. პროფ. საბჭოს მიერ წიგნაკი „პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო მოძრაობა“. ავტორი იძლევა საღ და გარკვეულ ცნობებს პროფკავშირთა საერთაშორისო მოძრაობაზე.—ეხება სხვადასხვა ჯგუფის პროფკავში-

რებს, ეხება პროფკავშირთა მოქმედებას ომამდე, ხსნის ომის გავლენას მათზე, ეხება რევოლუციონურ პროფორგანიზაციების ჩასახვას, ამსტერდამის ინტერ-ნაციონალს, წითელ პროფინტერნს, ეხება უკანასკნელი ორის თვითფულად მოქმედების გზებს და მრავ. სხვ. ამათ შესახებ მკითხველს, — რევოლუციონური-კომუნისტური ლოლიკის მიხედვით, გარკვეული აზრი და დასკვნები ეძლევა.

მთლიანად წიგნის ქართული თარგმანი კარგია, თუმცა ზოგჯერ არის დეფექტი, მაგრამ იშვიათი და მცირე რიცხოვანია. ასეთებად შეიძლება აღინიშნოს წინადადებები, როგორცაა: (28 გვ) „ხელახალი გამოცხოველება კავშირებს დაეცოთ ეკონომიური გაცხოველების—1912 და 13 წლებში“. (37 გვ) „ეს იმეგნა შეიტანეს ხელშეკრულებაში ასეთი ფორმულა“ (70 გვ.). „გარკვეულ პეტედს ასმეედ მთელ ჩვენს ტაქტიკას“. (88 გვ.) „ასეთ თანაგრძობას ჩვენ რეფორმისტების გულის გასახეთქად ხშირათ გვიწვედენ“. მიუხედავთ ამისა წიგნი კარგათაა ნათარგმნი და შინაარსიანიცაა. წიგნს ბოლოში ახლავს უცხო სიტყვათა განმარტება, რაიც საშუალებას აძლევს თვითფულ მუშას შინაარსის უკეთ გაგებაში. წიგნი შეიცავს 149 გვერდს და ღირს 6 აბაზად.

გ. კაკაბაძე.

14 იანვარი 1925 წ.

ქ. ტფილისი.

334  
(კოოპერ.) ა. შ. ერქომაიშვილი. კოოპერაცია საქართველოში. გამოცემა ს. ს. ს. რ. ცენტრალურ კოოპერატულ კავშირისა (ცეკავშირი). ტფილისი, 1923 წ. 292 გვ. ტირაჟი 2500

წიგნის პირველ თავში ავტორი ეხება კოოპერაციის მდგომარეობას საქართველოში და საერთაშორისო კოოპერატულ ალიანსს. ავტორი ეკამათება მოქ. სერვისს, რომელიც საქართველოში იყო ჩამოსული კოოპერაციის შესასწავლად და საერთაშორისო კოოპერატულ ალიანსს მოხსენებაც გაუკეთა საქართველოში კოოპერაციის მდგომარეობაზე. სერვისს მოხსენების თანახმად, კოოპერატულმა ალიანსმა პროტესტი გამოიტანა კოოპერაციის თითქოს უნუგეშო მდგომარეობაში ჩაყენებისათვის საქართველოში. ავტორს მოჰყავს მთელი რიგი ციფრებისა, რომლითაც ამტკიცებს კოოპერაციის თანდათან ზრდას უკანასკნელ წლებში. შემდეგ ავტორი ეხება სარაიონო კავშირებს, მათს იდეას; როლს, ფანანსიურ საშუალებათ; მოჰყავს ცნობები სარაიონო კავშირების საქონლის ტრიალის შესახებ სხვადასხვა წლებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორია საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობისა მთლიანად. ავტორი რიგრიგობით ეხება კოოპერაციის ნივთიერ ღონისძიებათ, საქართველოს კოოპერატულ ბანკს, მუშათა კოოპერაციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, პოლიტიკურ პარტიების დამოკიდებულებას კოოპერაციისადმი. თვითფულ ამ საკითხზე ავტორი დაწვრილებით შეჩერდება,

თითვეულ მათგანს განსაკუთრებულ თავებს უძღვნის. შემდეგ გადადის მენშევიკურ სახელმწიფოზე, უპირდაპირებს მენშევიკებისას საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებას კოოპერაციისადმი.

უკანასკნელ თავში ავტორი ეხება ყოფილ სასურსათო კომისარიატისა და კოოპერატულ ორგანოთა ურთიერთშორის დამოკიდებულებას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი კოოპერატული ლიტერატურა, საერთოდ, ღარიბია მთლიან ისტორიულ შრომებით, აგრეთვე ავტორის მიერ მოყვანილ აუარებელ მასალებს და ცნობებს, წიგნი მეტად საყურადღებოა და სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყევნილი მოყვანილი ზოგიერთი ცნობები უკვე დაძველებულია და დღეს მხოლოდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენენ.

შ — .

## კოოპერატიული ლიტერატურა



ლ ა მ ა ნ დ ე ლ ჩვენს ცხოვრებაში კოოპერაციას თვალსაჩინო ადგილი უკავია.

დღეს კოოპერაციის განვითარებისათვის ისეთი ხელშემწყობი პირობებია, რომელიც ძველად შორეულ იდეას შეადგენდა. დღეს კოოპერაცია სახელმწიფო მზრუნველობის უპირველეს საგანს შეადგენს. ამასთანავე მას აქვს დაკისრებული დიდი ვალდებულებანი—საერთო სამეურთო ცხოვრების გარდაქმნის შესახებ. კოოპერაციის განვითარება-კი დიდად დამოკიდებულია ხალხის ფართო მასაში საკოოპერაციო პრინციპების, საკოოპერაციო შეგნების გავრცელებაზე. ამიტომაც დღეს საკოოპერაციო იდეებს ავრცელებენ არამც-თუ მხოლოდ ავტაცია-პროპაგანდის, ლექციების და კურსების შემწეობით, არამედ ზოგიერთ სპეციალურ სასწავლებლებშიც-კი არის შემოღებული საგალდებულო სწავლება კოოპერაციისა.

სამწუხაროდ კოოპერაციის განვითარების საუცხოვო პირობებს მეტისმეტად ხელს უშლის ის გარემოება, რომ თითქმის არ მოიპოვება, განსაკუთრებით ქართულ ენაზე, ხეირიანი და საფუძვლიანი ლიტერატურა კოოპერაციის შესახებ. საფუძვლიანათ კოოპერაციის შესწავლა ქართულ ენაზე ყოვლად შეუძლებელია. თუმცა არც რუსულ ენაზეა მდიდარი საკოოპერაციო ლიტერატურა, მაგრამ კოოპერაციის შესწავლა ამ ენაზე უფრო შესაძლებელია. ამიტომ საკოოპერაციო ლიტერატურის განხილვის დროს ჩვენ უსათუოდ უნდა გავეცნოთ, როგორც ქართულ საკოოპერაციო, აგრეთვე რუსულ საკოოპერაციო ლიტერატურას. პირველ რიგში განვიხილავთ ქართულ ლიტერატურას.

კოოპერაციის შესასწავლად საჭიროა ვიცოდეთ: თეორია, ისტორია და პრაქტიკა კოოპერაციისა. ამის მიხედვით უნდა დაიყოს საკოოპერაციო ლიტერატურაც. მაგრამ ღარიბ ქართულ საკოოპერაციო ლიტერატურაში არ მოიპოვება თითქმის არცერთი წიგნი, რომელიც განსაკუთრებით ეხებოდეს თეორიას, ან ისტორიას და ან პრაქტიკას; მომეტებულ ნაწილად ყველა საკითხი ერთად არის განხილული და არ იძლევა მთლიან წარმოდგენას.

პირველი წიგნი კოოპერაციის შესახებ ქართულ ენაზე არის—კ. პ. კანდელაკის „კოოპერაცია“, თეორია, ისტორია და პრაქტიკა. ეს წიგნი გამოცემულია ტფილისში „შრომის“ სტამბის ამხანაგობის მიერ, 1909 წელს. წიგნი წარმოადგენს პირველ ცდას კოოპერაციის ვასაცნობად და, როგორც თვით ავტორიც ამბობს წინასიტყვაობაში, მკითხველი შეიძლება მხოლოდ დაინტერესდეს კოოპერაციით და აღძვრას სურვილი კოოპერაციის უფრო საფუძვლიანად გაცნობისა. იმ დროისთვის მართლაც ასეთი წიგნი დიდ სამახურს გაუწევდა ჩვენში კოოპერაციის განვითარებას, ვინაიდან წიგნში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სხვა და სხვა ქვეყნებში კოოპერაციის აღწერას, და იმ დროინდელი მკითხველი მართლაც დაინტერესდებოდა, რომ ამ წიგნში აღწერილ კოოპერატულ ამხანაგობათა მსგავსი შეექმნა ჩვენშიაც.

თუმცა ავტორი ამ წიგნს უწოდებს კოოპერაციის თეორიას, ისტორიას და პრაქტიკას, მაგრამ ნამდვილად ზედმიწევნით არ არის მთლიანად გაშუქებული არც თეორია, არც ისტორია და აღარც პრაქტიკა.

წიგნი შესდგება VII ნაწილისაგან. თეორიას აქვს მიკუთვნილი მხოლოდ ორი ნაწილი, სულ 18 გვერდი, და, რასაკვირველია, კოოპერაციის თეორიის განმარტება ასე მკირთ ყოვლად შეუძლებელია. ავტორი მეტისმეტად მდბაბით ჯანმარტავს სიტყვა „კოოპერაციას“ და კოოპერაციის მიზანს, და ამ განმარტებით მკითხველი მხოლოდ კოოპერაციის ანზანს თუ გაეცნობა. ვიმეორებ, ალბათ ავტორს ყავდა მხედველობაში იმდროინდელი მკითხველი, როდესაც კოოპერაციის ცოდნა სასხვათაშორისო საქმეს წარმოაუდგენდა, და ღრმად არ უევირდებოდნენ საკოოპერაციო მძირობას.

შემდეგ ავტორი ვადდის ისტორიაზე, რომელიც მოთავსებული აქვს ერთ მოზდილ ნაწილში, და შეიცავს 46 გვერდს. მაგრამ ისტორიის ნაწილი წარმოადგენს უფრო კოოპერაციის აღწერას სხვა და სხვა ქვეყნებში. ავტორი დაწვრილებით ეხება რომდელის პიონერების ისტორიას და რობერტ ოუენის ცხოვრებას და თავისი მდბაბი ერთ ბევრს გაიტაცებს. ამ მხრივ ეს წიგნი საუცხოვო მასალას წარმოადგენს ხალხის ფართო მასაში საკითხავად.

შემდეგ ავტორი უბრუნდება ისევ თეორიას და მე-IV, V-ე ნაწილში არკვევს სხვა და სხვა გეარ კოოპერაციას. საკოოპერაციო მოქრობას ჰყოფს 3 უმთავრეს დარგად: ა) მომხმარებელი საზოგადოებანი, ბ) მწარმოებელი ამხანაგობანი და ვ) საკრედიტო ამხანაგობანი. ავტორი მხოლოდ განმარტებით არ კმაყოფილდება და სხვა და სხვა გვარი კოოპერაციეების განხილვის დროს გზა-და-გზა მოჰყავს მრავალი მგალითი სხვა და სხვა ქვეყნების კოოპერატულ მოძრობიდან:

უკანასკნელი ორი ნაწილი ეხება კოოპერაციის პრაქტიკას. მაგრამ კოოპერაციის პრაქტიკად ავტორი, ალბათ, მხოლოდ ანგარიშთა წარმოებასა სთვლის. იგი მხოლოდ საზოგადო მიმოხილვას აკეთებს კოოპერატულ დაწესებულებებში ანგარიშის წარმოების შესახებ და სრულიად არ ეხება ფრიალ საკირო საკითხებს კოოპერაციის პრაქტიკისას, როგორც, მგალითად, კოოპერაციის მოწყობის წესებს, კოოპერატულ ვაქრობას, მართვა-გამგეობას და სხ. და სხ.



ამგვარად, ეს წიგნი მკითხველს აძლევს უფრო მეტ ცნობებს კოოპერაციის ისტორიიდან და კოოპერატულ მოძრაობაზე სხვა და სხვა ქვეყნებში და ნაკლებ ცნობებს — თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს წიგნი საყურადღებოა განსაკუთრებით იმ დროისათვის, როდესაც იგი გამოიცა. და დღესაც ვისაც სურს საერთო წარმოდგენა იქონიოს კოოპერაციის შესახებ, ან ვისაც უნდა გააცნოს ხალხის ფართე მასა კოოპერატულ მოძრაობას სხვა და სხვა ქვეყნებში, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ამ საქმეში. კოოპერაციის წვერებისათვის აუცილებლათ საქირაო ამ წიგნის წაკითხვა.

მეორე წიგნი კოოპერაციის შესახებ არის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ს. ავლიანის „კოოპერაცია“ (პირველდაწყებითი სახელმძღვანელო), გამოცემა საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირისა, ქ. ტფილისში 1920 წ. იმ დროს, როდესაც ეს წიგნი გამოიცა, ჩვენში კოოპერატული მოძრაობა უკვე იმდენათ განვითარდა, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო სამომხმარებლო კოოპერატივი. ადგილობრივი კოოპერატივები შეკავშირებულნი იყვნენ სარაიონო კავშირებში და საქართველოს ცენტრალურ კოოპერატულ კავშირში. რა თქმა უნდა, ამ დროისთვის უფრო მეტი მოთხოვნილება შეიქმნა კოოპერაციის შესწავლის, ერთის მხრივ და მეორე მხრივ, ცენტრალური კოოპერატული კავშირიც ხელს უწყობდა კოოპერატიული ლიტერატურის გამოცემას. ამასთანავე მრავალ ადგილას კოოპერატული კურსების მოწყობაც გაჩაღდა, სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა კოოპერაციის შესასწავლებელი კათედრა და დაიბადა ახრი საშუალო სასწავლებლებშიაც-ი შემოღოთ ამ საგნის სწავლება.

ამ გარემოებამ გამოიწვია ამ სახელმძღვანელოს გამოცემა. ეს წიგნი პირველი ცდაა კოოპერაციის შესახებ მთლიან სახელმძღვანელოს შედგენისა. როგორც ავტორიც აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ეს სახელმძღვანელო პირველ-დაწყებითია და ელემენტალურ ცნობებს იძლევა კოოპერაციის შესახებ. სახელმძღვანელო იყოფა 9 ნაწილად: პირველ ნაწილში განმარტებულია ძირითადი დებულებანი პოლიტიკური ეკონომიისა, მეორე ნაწილში — კოოპერაცია, მისი წარმოშობის მიზეზები, მისი დამოკიდებულება სოლიტიკურ პარტიებთან და პროფესიონალურ კავშირებთან, სესამე და მეოთხე ნაწილში — კოოპერატივების დაჯგუფება, მეხუთე ნაწილში — კოოპერატივების კავშირები, მეექვსე ნაწილში — კოოპერატული კანონი, მეშვიდე ნაწილში — კოოპერაციის ისტორია, მერვე ნაწილში — კოოპერატივების საერთაშორისო კავშირები და მეცხრე ნაწილში — კოოპერაციის დამოკიდებულება სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის სწორი გეგმა აქვს აღებული კოოპერაციის შესასწავლელად და ამ სახელმძღვანელოს შემწეობით მთლიანი პირველ-დაწყებითი წარმოდგენა შეიძლება იქონიოს მკითხველმა კოოპერაციაზე.

ამიტომ, ვიდრე სხვა სახელმძღვანელო არ არსებობს ქართულ ენაზე, ეს სახელმძღვანელო კარგ სამსახურს გაუწევს საშუალო სასწავლებლებში კოოპერაციის შესწავლების საქმეში. მხოლოდ დღევანდელ პირობებისათვის სრულიათ მოძველებულია მეცხრე ნაწილი, სადაც ავტორი ეხება კოოპერაციის, სახელმწიფოს,

ქალაქების და ერობათა ურთიერთ დამოკიდებულებას. თუ ეს ნაწილი შეეცთებული იქნება დღევანდელ პირობების მიხედვით, სახელმძღვანელო საშუალო სასწავლებლების და საკოოპერაციო კურსების მომენტათთვის გამოსადეგი შეიქნება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, სამწუხაროთ, არ იძლევა კოოპერაციაზე სხვა და სხვა გვარ შეხედულების შესახებ ცნობებს. ამიტომ მეორე ნაწილიც, სადაც ავტორი ეხება კოოპერაციის დამოკიდებულებას კაპიტალისტურ წესწყობილებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, პროფესიონალურ მოძრაობასთან და სოციალიზმთან, სრულიად მიუღებელია ახალ საკოოპერაციო მიმდინარეობისათვის.

**შ. გოგებაშვილი.**

374  
(სკოლის-  
გარეშე  
განათლ.)

თანამგზავრი პოლიტ-განათლებლის მუშაკისა. წიგნი № 1, 2, 3, და 4. გამომცემლობა პოლიტ-განათლებლის, მთავარმმართველი. „მნათობის“ ტფილისი — 1924 წელი.

**წიგნების** შინაარსი მრავალფეროვანია: ცირკულიარებიდან დაწყებული მეცნიერებამდე. პირველ წიგნის დასაწყისში სქემატიურათ ეხება პროლეტ. დღესასწაულების ორგანიზაციას. შენდევ, რამოდენიმე გვერდზე მოცემულია დიდი ბელადის, ანხ. ლენინის, ბიოგრაფია და ფ. მა-

ხარაძის წერილი მასზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გენიოს მასწავლებლის ღვაწლსა და მოქმედებას მეტი ადგილი უნდა დასთმობოდა ასეთ დანიშნულების წიგნში. ცოტ-ცოტათი ყველაფერი — ეს არის დღევანდელი მოთხოვნები პასუხი. აღებულ საკითხის გარშემო იმას, ვისთვისაც დანიშნულია ეს წიგნი, უნდა ჰქონოდა ცოტათ თუ ბევრათ საფუძვლიან წარმოდგენა. ყველაფრის დასახელება მიხანს ვერ მიაღწევს. ა. სლუპკოვის წერილი ზოგად ხაზებში იძლევა 9 იანვრის ისტორიულ მნიშვნელობის საფუძვლიან წარმოდგენას, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი შეგნებისა და მეფისადმი მანვე რწმენისაგან განთავისუფლებაში მდგომარეობდა. მას უკან არის საქართველოს გასაბჭოების შესახებ წერილი და ანხ. მ. ცხაკაიას წერილი — „ტრაგედია ალექსანდრეს ბაღში“. წერილები და თეზისები თებერვლის რევოლუციის, ქალთა დღესასწაულის (8 მარტი), პარიზის კომუნისა და პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ საღსა და კონსპექტურ შთაბეჭდილებასა სტოვებს.

პირველ წიგნის უკანასკნელ განყოფილებაში „პოლიტ-წრეში“ მოცემულია კითხვა-პასუხის ფორმით თითქმის ყველა საყოფადღებო პოლიტიკო-ეკონომიური კითხვების პასუხი, რასაკვირველია, მარტივით. ასეთივე მეთოდით უკვე მეორე წიგნში გრძელდება სარწმუნოების, ბუნების-მეტყველების და მსოფლიო წყობის შესახებ საუბარი. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ნათარგმნი ძლიერ მძიმეა. ლექსიკონის წვალებით გადმორთულია ახალი ტერმინები. ეს ნაკლი პოპულარულ მასიურ წიგნისათვის საბეზღისწერია.

მეორე წიგნის შემდეგს განყოფილებაში მოთავსებული შ. ა. წერილი იძ-

ლევა გერმანიის რევოლუციულზე ზოგიერთ ცნობებს და მისასრებებს. მასალების დალაგებისათვის სასარგებლო იყო მესამე წიგნში ამავე კითხვებზე დაწერილ მასალის აქვე ჩამატება. წინასწარ ვათვალისწინება აუცილებელია, მასალის შერჩევის დრო გვაქვს და ამით სტიქიურობა, შემთხვევითობა უნდა ავიცილინოთ.

მეორე წიგნის ბოლო განყოფილებაში (საინფორმაციო) მოცემულია სხვადასხვა საკირო დადგენილება-ცირკულიარება.

მესამე წიგნის შინაარსი უფრო სერიოზული და აკტუალურია. ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობაზე ყურადღების განკუთვანა დიდ დამსახურებად ჩაეთვლება პოლიტ-განათლების მთავარმმართველობას, ვინაიდან ამაზე ლიტერატურა ძვირობს, საკიროება კი დიდია. მესამე წიგნის თითქმის მესამედი პროლეტარულ ინტერნაციონალურ ახალგაზრდობის ბრძოლისა და ორგანიზაციის ისტორიას აქვს მიძღვნილი. ამას მიჰყვება სქემა და თვისებები ოქტომბრის რევოლუციის შესახებ; დეკაბრისტების მოძრაობის ძაფუძვლიანათ გაშუქებულ სურათს იძლევა მოთავსებული მასალა. ეს ადგილი ყველაზე სერიოზულ შთაბეჭდილებასა სტოვეებს. მესამე წიგნი თავდება I, II და III ინტერნაციონალებზე საუბრით. აქ გარკვეულია მათი ურთიერთობა და პრინციპი-მიზნები, რასაც თან ახლავს 21 მუხლი მე-3 ინტერნაციონალში მიღების პირობისა.

საერთოდ წიგნებში ბევრი საკითხები არის აღძრული, რის საფუძვლიანი და სერიოზული გაშუქების შესაძლებლობას არ იძლეოდა ალბად წიგნების ფორმატი და სილიდე, რისთვისაც წიგნების შინაარსი ფრაგმენტალურია, მრავალ თემების ნაფუძვლების გროვა არის მოცემული.

გაორგნული გაუმჯობესება აუცილებელია. წიგნს უნდა ჰქონდეს ცოცხალი, გამოკვეთილი მხატვრული სახე და არა იდეა, სურათით შორს მიზნედილი. წიგნები 200—300 გვერდამდეა. ასეთი კრებულების გამოკემა გრძელდება. მერე გადაეხედავთ შემდეგს.

შალვა პატარაია.

ლენინი ნ. „მემარცხენეობის“  
საქმანწილო ხენი კომუნისში.  
ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემ-  
ლობა. ტფილისი. 1924 წ. 104 გვ.  
ფასი 50 კაპ.

მ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც დავითოვა აშხ. ლენინმა, ერთ საუკეთესო განსს წარმოადგენს ზემოდ აღნიშნული წიგნი.

ეს შრომა მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ ეხება კომპარტიის ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებს, არკვევს იმ ჩარ-

ჩაოებს, რომელშიაც უნდა სწარმოებდეს რევოლუციონური ბრძოლა.

მგონი აშხ. ბუხარინი ამბობდა: „ლენინი გენიალური ოპორტუნისტი იყო-ეო“. სწორეთ „გენიალური ოპორტუნისტი“ სდგება ჩვენს წინაშე ამ წიგნით. ყოველისავე შემთხვევის გამოყენება, რასაც კი იძლევა არსებული მდგომარეობა არა ოპორტუნისტული ლაყობისა და ლეგალიზმის ფარგლებში დარჩენისათვის,

335.5  
(კომუ-  
ნიზმი)

არამედ რევოლუციონური ბრძოლის გაღრმავებისა და არალეგალურ მუშაობის გაძლიერებისათვის, — ამხ. ლენინის შეხედულება, გატარებული აღნიშნულ შრომაში.

ავტორი თავისებური სიმკაცრით, შეუბრალებლობით ააშკარავებს მეზობლებს მარჯვნივ — რევოლუციონერებს, ოპორტუნისტებს, მენშევიკებს და „მარცხნივ“ — გერმანეთის მუშათა კომუნისტური პარტიის ჩანასახს კომპარტიში ღ შემდეგ კი უკვე დამოუკიდებლათ მომქმედ პარტიას, „მემარცხენე“ კომუნისტებს ჩნგლისსა იტალიაში და სხ.

„მემარცხენეთა“ პოლიტიკური ფრაზეოლოგია უაღრესათ რევოლუციონურია. მაგრამ ამხ. ლენინი საკითხს უდგება პრაქტიკულათ და არკვევს ამ ფრაზეოლოგიის ბუნებას, ააშკარავებს მისს წვრილ-ბურჟუაზრულ ხასიათს, პრაქტიკულ უეარგისობას რევოლუციონურ ბრძოლაში.

ამ მხრივ ამხ. ლენინის შრომა „მემარცხენეობის“ კომუნისტში მდიდარ საგანძურს წარმოადგენს. იგი ტაქტიკის შემუშავების სახელმძღვანელოა რევოლუციონერისათვის.

თარგმანი დამაკმაყოფილებელია. ამხ. ლენინის თავისებური ენის თარგმნის სიძნელე დაძლეულია მთარგმნელის-მიერ. წიგნი ლამაზ ყდაშია. დაბეჭდილია სუფთათ.

№

338  
(წარმოების საქ.)

ნ. ბუხარინი. „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“ (ეკონომიური ნარკვევი.) სახელ. გამოცემლობა. ტფილისი. 1924 წ. 166 გვერდი. ღირს 80 კაპ.

თანამედროვე ეპოქის გაგებისათვის უპირველესად საჭიროა მსოფლიო მეურნეობის დღევანდელი მდგომარებისა და იმპერიალიზმის პრობლემის გაშუქება.

ომის წინა ხანში, განსაკუთრებით კი ომის პროცესში და მის შემდეგ, ბევრი ომის პროცესში და მის შემდეგ, ბევრი იწერება მსოფლიო მეურნეობისა და იმპერიალიზმის შესახებ, მაგრამ მათს შორის მეტად მცირეა დაწერილი რევოლუციონური საზომით.

ამხ. ლენინის წიგნის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლოვესი ეტაპი“ — შემდეგ ამხ. ბუხარინის წიგნი სერიოზულ ნაშრომად უნდა ჩაითვალოს. მსოფლიო მეურნეობისა და იმპერიალიზმის შესახებ.

რამდენათაც ამხ. ლენინის შრომაში იმპერიალიზმის შესახებ სკარობის პოლიტიკური მხარე, პოლიტიკური თვალსაზრისი, იმდენათ ამხ. ბუხარინის შრომაში გვხვდება ეკონომიური და სოციოლოგიური მიდგომა საკითხისადმი.

ეს ორი წიგნი თითქოს ერთმანეთს აესებს და ერთად წარმოადგენს რევოლუციის ტაქტიკითა და სტრატეგიით, თეორიით და პრაქტიკით გაშუქებულს მსოფლიო მეურნეობის და იმპერიალიზმის საკითხებს.

ავტორი იწყებს თავისს შრომას მსოფლიო მეურნეობის ცნების განმარტე-

ბით, ვადადის მსოფლიო მეურნეობის ზრდის დახასიათებაზე, არკვევს ამ მეურნეობის ორგანიზაციულათ შემაკავშირებელ ფორმებს, ეხება კაპიტალის მსოფლიო მოძრაობას, „ნაციონალურ“ მეურნეობათა შინაგან სტრუქტურას და ვადადის იმპერიალიზმზე, როგორც თანამედროვე ვითარების უმთავრეს ღერძზე.

ამხ. ბუხარინი გვეუბნება — მარქსიზმი გვასწავლის, რომ „ისტორიული მოვლენათა გრებილის თითოეული რგოლი „აუცილებელია“-ო. გამომდინარეობს აქედან თუ არა პოლიტიკური ფაქტალიზმი? ცხადია, არა. რამდენათაც ისტორიული მოვლენანი ადამიანთან ნებისყოფის გარეშე კი არ მიმდინარეობენ, არამედ ამ ნებისყოფის საშუალებით, ამდენათვე პოლიტიკური ფაქტალიზმი შეუძლებელია. ფაქტალიზტიური „მარქსიზმი“, აღნიშნავს ავტორი, მარქსის მოძღვრების კარიკატურას წარმოადგენს, ბურჟუაზიული თეორეტიკოსების მიერ დახატულსაო.

აქედან გამომდინარეობს იმ საკითხის გადაჭრაც, თუ როგორი უნდა იყოს ბრძოლის მეთოდები ბურჟუაზიული საზოგადოების დანგრევისა და სოციალისტიკურის დამყარებისათვის. აქვეა იმპერიალიზმის პრობლემის გადაჭრის გზაც.

რას ნიშნავს იმპერიალიზმის არსებობა? წარმოადგენს თუ არა იგი ობიექტიურად „აუცილებელს“ საფეხურს მეურნეობის განვითარებაში?

ამ კითხვებზე ამხ. ნ. ბუხარინი უპასუხებს, რომ თვით იმპერიალიზმის არსებობა იმას მოწმობს, რომ უკვე მხათ არის ნიდაგვი ახალი სოციალ-ეკონომიური ფორმებისათვის, რადგან იმპერიალიზმი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი ძლიერაა განვითარებული, მისი წარმოების ორგანიზაცია სიმწიფეშია შესული.

ამხ. ბუხარინი ეკამათება კ. კაუცკის პაციფისტურ თეორიას, ვითომც იმპერიალიზმი შესაძლებელია ძალადობის გარეშეც, რომ იმპერიალიზმის უარყოფა შესაძლებელია კაპიტალიზმის ფარგლებშიაც, თუ ბურჟუაზიულ ძალადობას დაუპირისპირდება პროლეტარიატის მშვიდობიანი ტენდენცია.

რას წარმოადგენს კაუცკის მოსაზრებანი? მისი მოსაზრებანი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმის განვითარება გადალახავს „ნაციონალურ“ ფარგლებს, ხდება ინტერნაციონალ ფარგლებში კაპიტალის გაშლა. ეს სპობს კონკურენციას ნაციონალურ კაპიტალისტურ ჯგუფთა შორის და იქმნება ეგრედ წოდ. მშვიდობიანი „ულტრა იმპერიალიზმი“.

ამხ. ბუხარინი არღვევს კაუცკის დებულებას. ის ამბობს — მართალია კაუცკის დებულება განყენებულათ, კაპიტალიზმის ტენდენციების მიხედვით, მაგრამ იგი შემეტარია სინამდვილეში.

სინამდვილეში გარდა ეკონომიური მიზეზების „ნაციონალური“ ერთეულთა შორის წინაღმდეგობაში თავს იჩენს სოციალ-პოლიტიკური მოსაზრებანიც. ამას გარდა, კონკურენციას არ მიეყუარათ საყოველთაო კარტელის შექმნადღ, რასაც რუდ. ჰილფერდინგიც კი აღიარებს.

ამიტომ, იმპერიალიზმი რჩება, როგორც ფინანსიური კაპიტალის საგარეო და აგრესიული პოლიტიკა, მილიტარიზმისა და მარინიზმის ბუღე, რაც გამანანადგურებულათ ევლინება კაცობრიობას.

ამდენადღე მუშათა კლასის პოზიცია იმპერიალიზმისადმი აუცილებლად უნდა იყოს წინაღმდეგობითი და შეძლებით.

ამხ. ბუხარინი ამბობს — თუ მუშათა კლასის წინააღმდეგობა სუსტი იქნა, იგი ვერ შეაჩერებს ბურჟუაზიის ძალდატანებას და ძალმომრეობას, როგორც ეს სურს კაუტსკის; თუ ის ძლიერი იქნა, არც დამკაყოფილება ამ მცირედი მონაპოვართი და დაიწყება არა ულტრაიმპერიალიზმის, არამედ არა-ანტოკონიტური საზოგადოების ხანა.

ასეთია ამხ. ბუხარინის თვალსაზრისი.

ამასთან ერთად ამხ. ბუხარინი ეზება სამეურნეო ევოლუციის ომის პროცესში. ის ამბობს, რომ ომის პროცესი იწვევს წარმოების გასახელმწიფოებრების ტენდენციას. იქმნება სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც აგრესული ძალა. აქ ბურჟუაზია არაფერს კარგავს, რადგან მეურნეობაც მისია და სახელმწიფოც, ეკონომიურადაც ისაა გაბატონებული და პოლიტიკურადაც. ხდება მაქსიმალური ცენტრალიზაცია და სახელმწიფოს მაქსიმალური ძლიერების განმტკიცება, როგორც საფუძველი საერთაშორისო კიდილში მონაწილეობისა.

ეს არის სახელმწიფოს მილიტარიზაცია. სახელმწიფო ამ შემთხვევაში ყველაფერს ომისათვის იყენებს, რომ ამით შეინარჩუნოს თავისი არსებობა და უზრუნველყოს ბურჟუაზია ბაზრებისა და გაელენის სფეროებით.

ამხ. ბუხარინის წიგნის უკანასკნელ თავს წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობისა და პროლეტარული სოციალიზმის საკითხი. ამ თავში განხილულია, თუ როგორი სახე მიიღო მსოფლიო მეურნეობამ კოლონიალური პოლიტიკისა და პროტექციონიზმის საშუალებით.

იმპერიალისტური სახელმწიფოს მუშათა კლასის პოლიტიკური კრედო ოპორტუნისტული და რეფორმისტულია, რადგან ზემოვთხრობით მიღებულ სარგებლობას, რომელსაც იღებს ბურჟუაზია კოლონიალური ვაჭრობით, უზიარებს თავის ნაციონალურ მუშათა კლასს, უკეთ, მის არისტოკრატის. ამრიგათ, ხდება მუშათა კლასის ნაწილის გადაბირება ბურჟუაზიის მხარეზე. მაგრამ ეს დროებითია. როცა იმპერიალისტური ომი ანადგურებს მუშათა კლასს, როგორც ფიზიკურათ, ისე ქონებრივით, მაშინ უკვე მუშათა არისტოკრატიაც, ზარალობს. „დაინტერესება იმპერიალისტური პოლიტიკით არაფერს წარმოადგენს შედარებით იმ ჭრილობებთან, რომელსაც მას აყენებს ომი“ (ხაზი ავტორისა.)

აქედან „იწყება იმპერიალიზმის კრიზისი და პროლეტარული სოციალიზმის აღორძინება“.

საერთოდ ამხ. ბუხარინის წიგნის უდაო ღირსებას შეადგენს მღიდარი ფაქტიური მასალის გამოყენება მოვლენათა ფართო და ღრმა ეკონომიური და ზოგადსოციალოგიური ანალიზი, გამომდინარე რევოლუციონური მარქსიზმის ძვალსაზრისიდან.

ორიოდე სიტყვა თარგმანის შესახებ. საერთოდ თარგმანი დამაკმაყოფილებელია. მას ეტყობა გამოცდილი კალმის ხელი. იგი თავისუფალია იმ შეცთობებისაგან, რომლებსაც ვხვდებით სხვა თარგმნილ შრომებში. ამით იმას არ ვამბობთ, ვითომ თარგმანს ნაკლი არა ჰქონდეს.

ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ენის თავისებურობა და სიმსუბუქე არა სწანს თარგმანში. ხშირია აგრეთვე რუსული წყობა ფრაზებისა.

47 ვვ. ვკითხულობთ: „... მ-რ ჰილფერდინგის ციფრები არაერთარ წარმოდგენას არ იძლევა ნამდვილი „ომის საერთო ხარჯების“ შესახებ, ვინაიდან ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ სახელმწიფო ძალა-უფლების მიერ გზის უშუალოდ გაწეულ ხარჯების შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს სწორედ ეს ხარჯები და ამიტომ უსარგებლო არ იქნებმ მოვიყვანოთ უფრო დეტალური ცნობები სამხედრო სესხების შესახებ“.

რა საჭიროა ორ წინადადებაში ამდენი „შესახებ“ და „ხარჯების შესახებ“!... საჭიროა, ჩვენი მთარგმნელები ყურადღებას მიაქცევდნენ თარგმანებაში ენის სიმსუბუქის და თავიებურობის დაცვას. კორექტურა კარგია. დაბეჭდილია სუფთათ და გარკვევით.

✱

**გ. ნ. გეხტმანი. საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი.** მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. გამოცემა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატ. კავშირისა — „ცეკავშირი“. ქ. ტფილისი. 1923 წ. 188 გვერდი. ფასი 1 მან. (აღნიშნული წიგნი შედგენილია სახელმწიფო პოლიტექნიკ. პროფესორის და სახელმწიფო უნივერსიტეტის დოც. პროფ. მ. ნ. გეხტმანის მიერ).

ლოს, საერთოდ, და მრავალ მასალებს გვაწვდის საქართველოს შესასწავლად ეკონომიურ-გეოგრაფიულად, მდიდარ ცნობებს იძლევა აგრეთვე სომხეთისა და ადერბეიჯანის შესახებ.

ამ წიგნში ავტორი დაწვრილებით აღნიშნავს ბუნებრივ სიმდიდრეს, მეურნეობის სხვა და სხვა დარგს, მეურნეობის ფორმებს, მოპოვებითის და გადამამუშავებითის მეურნეობის მდგომარეობას წიგნში საკმაოდ არის სტატისტიკური ცნობები და სხვადასხვა მასალები, რაც მკითხველს უადვილებს ამ მხარის შესწავლას.

ჩვენი საზოგადოებისათვის აღნიშნულ წიგნს უაღრესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ყველაზე ნაკლებათ ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას, მის ეკონომიურ დოვლათს და მის განვითარების პოტენციალურ ძალებს.

ამიტომ ეს წიგნი ფართოდ უნდა გავრცელდეს საზოგადოებაში; იგი უნდა შემოღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ საშუალო სასწავლებლებშიაც, მას უნდა იცნობდეს ამიერკავკასიის ყოველი მოქალაქე.

3. მ.

**ს ტ ო რ ი** თვის წიგნის პირველ ნაწილ- 338(4792)

ში გვაძლევს ამიერ-კავკასიის საერთო გეოგრაფიულ სურათს; შემდეგ ჩამოთვლის ამიერ-კავკასიის ტბებს, ჰეობებს და მდინარეებს; ავიწყებს მათს მოცულობას და მნიშვნელობას. საქართველოს, სომხეთის, ადერბეიჯანის ტოპოგრაფიის, ჰიდროგრაფიის და ოროგრაფიის აღწერა ქართულ ენაზე ცოტა მოიპოვება.

შემდეგ ავტორი ეკონომიურ-გეოგრაფიულ თვალსაზრისით განიხილავს თითოეულ რესპუბლიკას ცალკე (საქართველო, სომხეთი, ადერბეიჯანი). წიგნიდანა სჩანს, რომ ავტორი კარგათ იცნობს საქართვე-

338: 63

გ. ნ. გეხტმანი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. ნაწილი I. სოფლის მეურნეობის შინაგანი ფაქტორები. „ზაკნიაგა“-ს გამოცემა. ქ. ტფილისი, 1924 წელი. 174 გვერ. 90 კაპ.

**ქ** რ თ უ ლ ენაზე ძალიან იშვიათია ასეთი დასაბუთებული წიგნის გამოცემა, მხოლოდ უმეტეს სოფლის მეურნეობის დარგში. პროფესორი გეხტმანი ცდილა თავისი შრომის პირველ ნაწილში (ამავე შრომის გარკვევლად გვირდება მეორე წიგნს: „სოფლის მეურნეობის მრეწველობის გარშემო

ფაქტორები“), სადაც უმთავრესად სასოფლო მეურნეობის შინაგანი ფაქტორებია განხილული, მოკლედ ვადმოეცა მკითხველისათვის იმ აზრთა სხვა-და-სხვაობა, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა „სამიწათ-მოქმედო სახელმწიფოს“ და „სამრეწველო სახელმწიფოს“ მომხრეთა შორის, ანუ, უკეთ, თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ნერვიული ძიება მომავალ მოსალოდნელ კატასტროფიდან თავის გადაარჩენისათვის. ავტორი აკვიწებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების ეტაპებს, სხვა და სხვა სკოლების და ნათი წარმომადგენლების დასახელებით: აგრეთვე აღნიშნულია თავისებური თვისებები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მისი განსხვავება მოპოვებითი მრეწველობის სხვა დარგებისა და დამმუშავებელ მრეწველობისაგან. მოხსენებულია, თურა მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს მეურნეობის ინტენსივობის გადიდების მიზნით.

გადაქარბებულ და შემცირარ აზრად უნდა ჩაითვალოს ავტორის შეხედულება მომავალში სოფლო წარმოების არსებობის შესახებ და აგრეთვე ისა, რომ ყველას კვებას და ტანს აცმევს გლეხი და ყველა გამარჯვება ინდუსტრიალიზმისა დამოკიდებულია გლეხური ბაზისის სიდიდე-სიძლიერესაგან“-ო. ავტორს ემჩნევა სიმპატიური განწყობილება წვირლ გლეხურ მეურნეობისადმი და რწმენა ასეთი მეურნეობის გარდაუვალობისა. ავტორის დიდი ყურადღებით აქვს განხილული ურთიერთობა შრომასა და კაპიტალს შორის სოფლის მეურნეობაში.

წიგნი მდაბიო ენით არის დაწერილი და რთული საკითხები ისე მარტივით არის ვადმოცემული, რომ მისი ვაგება თამამათ შეუძლიათ ჩვენი სოფლის არასპეციალური კოდნის მქონე მეურნეებსაც. მისი ვაცნობა აუცილებელია ყველას მიერ, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. ამ წიგნიდან ისინი ბევრ ახალ ცნობებს ამოკითხავენ. სასურველია მისი მეორე ნაწილის დაჩქარებით გამოცემა.

წიგნი ვეარიან ქალაღზე დაბეკდილი და სუფთათაა გამოცემული.

აკ. ან - ლაძე.



## 4. ( ე ნ ა თ მ ე ტ ე ნ ი ა ე ა ბ ა )

მეტრეველი, ი. რუხაძე, ლ. ზუმბუარიძე, გ. ჩიქობავა, ბ. სინათლისაყენ. ანბანი მოზრდილთათვის. მეორე გამოცემა „მნათობისა“, 64 გვ. ტირაჟი 75, 000. ტფ. 1924 წ.

დინართა სალიკვიდაციო სკოლებისათვის. წიგნის პირველი ნაწილი, 3—24 გვერდი, უჭირავს ანბანს; მეორე ნაწილი უჭირავს ანბანის შემდეგ საკითხავ მასალას (27—50 გვ.). წიგნს დართული აქვს: ფორმა მოწმობისა, რომელიც უნდა მიეცეს წ.-კ. უ. სალიკვიდაციო სკოლის კურსდამთავრებულებს; მოკლე მოწოდება კურს-დამთავრებულის მიმართ; მოკლე მეთოდური დარიგებანი მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ (53—57 გვ.); ამონაწერი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების პროგრამიდან (წერა-კითხვის სწავლება, არითმეტიკის სწავლება, მეთოდური რჩევანი არითმეტიკის სწავლებისათვის) — (58—60 გვ.); გეგმა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა საქ. საბ. რესპუბლიკებში 4 სტატისტიკური ცხრილით (61—63 გვ.) და მეტრული ზომები. წიგნის კანის მეორე გვერდზე მოყვანილია წინასიტყვაობა პირველი და მეორე გამოცემისათვის. წიგნის პირველი ნაწილი დასურათებულია. წიგნში მოთავსებულია ვლ. ლენინის, ლ. ტროცკის, მ. ცხაკაიას და ფ. მხაჩარაძის სურათები, აგრეთვე ამიერ-კავკასიის რუკა.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შესაფერი მსხვილი შრიფტით და კარგ შთაბეჭდილებასა ჰგვრის მკითხველს.

შინაარსი ამ პატარა წიგნისა მრავალფეროვანია და იმავ დროს ახლობელი და გასაგები მშრომელ მასლებისათვის. მასალა კარგადაა შერჩეული და წარმოდგენს აგიტაციას მშრომელთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ასე, რომ წერა-კითხვასთან ერთად წიგნი შეასწავლის მკირეოდენ პოლიტ-განათლებასაც.

ყოველსავე ამ ღირსებასთან ერთად წიგნს აქვს ნაკლიცა. ესაა მისი მეთოდური მხარე. ჩემის აზრით, არ შეიძლება მოსწავლეებს. თუ გინდ მოზრდილებსაც, პირველსავე გაკვეთილზე მიეაწოდოთ 5-6 ასო ერთად, შევასწავლოთ კითხვაცა და წერაც. მართალია, შემდგენელნი ამბობენ, რომ ზოგიერთ გაკვეთილს შეიძლება მეტი დრო დასჭირდესო, მაგრამ 6 ასო-ბგერის კითხვისა და წერის შეგნებულთა შესწავლას არც ორი გაკვეთილი ეყოფა. კითხვაში გასაყარჯიშებლად მოცემული მასალა კი ძლიერ ცოტაა: პირველი გაკვეთილი სულ ოთხი სიტყვისაგან შესდგება (სახლი, ეს, ხის, ახალი). ექვს ასოსთვის ოთხი სიტყვა, ვიმეორებ; ძალიან ცოტაა.

რასაკვირველია, ამ სიმწიფეს ვერაფრად შეამსუბუქებს ის გარემოება, რომ

ქართულ ბეჭდვითი ნაწარმოებთა ისტორიაში უეჭველად აღსანიშნავია, რომ 1924 წელს ქართული წიგნის ტირაჟმა მიიღწია 75,000 ცალს. ქართულ გამოცემებს, არც პერიოდულს და არც ჩვეულებრივს, ჯერ არ ღირსებია ასეთი ბედი.

„სინათლისაყენ“ ანბანია მოზრდილთათვის და შედგენილია წერა-კითხვის უცოდინართა

შემდგენელი იშველიებენ ახალ მეთოდს, „მთლიან სახეთა სიტყვა-ხედითი“ მეთოდს, მაგრამ არა უცვლელად. ვინაიდან ამ მეთოდით წერა სრულიად მექანიკურიაო, ამბობენ შემდგენელი, ამიტომ შესწორება შეგვაქვს: ჩვენ კი ვაწარმოებთ მთლიან სიტყვების შეგნებითი წერას თვითეული ასო-ბგერის დასახელებით (რა თქმა უნდა, სიტყვის კონცეპტში)“ არ არსებობს ასეთი მეთოდი, გარდა წმინდა იდეოგრაფიულისა (ჩინური) და აგრეთვე წმინდა სილაბიურისა (იაპონური), რომელიც არ მიმართავდეს თვითეული ასო-ბგერის დასახელებას სიტყვის კონცეპტში.

კიდევ უფრო გაუგებარია სიტყვა — ხედვითი მეთოდის მე-4 მომენტი „წერა მთლიანი სიტყვებისა შეგნებით, თვითეული ბგერის დასახელებით (ცალ-ცალკე ბგერების გამოყოფად)“. თვითეული ბგერის დასახელება ცალკე ბგერის გამოსაყოფად! როგორ შეიძლება ეს, ვერ წარმომიდგენია. როდესაც თქვენ ამბობთ, ე — ს, ე. ი. გამოთქმაში აშორებთ ერთი-მეორეს ე და ს, ეს უკვე ბგერის გამოყოფა და უიშისოდ ყოვლად შეუძლებელია ბგერის დასახელება.

ეს ჩემი ორიოდ შენიშვნა თეორიული ხასიათისაა; მას შემოწმება ესაჭიროება პრაქტიკაზე, რაც თვით მასწავლებლების საქმეა, და სავესები ვუერთდები ავტორებს, რომელნიც ორსავე წინასიტყვაობაში მოუწოდებენ ამხ. მასწავლებლებს მიაწოდონ თავიანთი შენიშვნები იმ წიგნის შესახებ.

### პ. კანიშვილი.

49 — 8 მეთრეველი, ილ. და ჩიქობავა, ბენ. „შრომის ქვეყანა“, სახელმძღვანელო-მოზრდილთათვის, კომპლექსური მეთოდით. გამოცემლობა „მნათობი“, ტფილისი. 1924 წ. IV + 360 + VI გვ. ტირაჟი 10,000.

**მ**ამდგენელთ მიზნად დაუსახავთ დედა-ენისა და ლიტერატურის შესასწავლად ისეთი საქრესტომატიო მასალის შერჩევას, რომელიც გააღვივებს მოზრდილ მოსწავლეებში საღ რევიოლუციონურ და მოწინააღმდეგე კლასისადმი შეურიგებელ სულს. ეს საკმაოდ ძნელი ამოცანა უეჭველად დაძლეულია „შრომის ქვეყანაში“. ამ სახელმძღვანელოს მდიდარი შინაარსი

ძლიერ მრავალ-ფეროვანი და საინტერესოა. აი წიგნის მთავარი განყოფილებანი:

1, შრომის სამეფოში, 2, ბატონ-ყმობის ფაქტები, 3, დაზვიდან ფაბრიკა-ქარხნებისაკენ, 4, შრომა, 5, შრომის დაცვა საბჭოთა ქვეყნებში, 6, ბნელეთის ცხოვრებიდან, 7, ქვანახშირის მრეწველობა, 8, ნავთი და მისი მნიშვნელობა, 9, ლითონები, 10, კოპერაცია, 11, პროფესიონალური კავშირები და მათი როლი, 12, კომუნისტური პარტია, 13, პოლიტიკურ-ეკონომიური ცნობები ამიერკავკასიის შესახებ, 14, ზღვა და ხმელეთი, 15, რკინის გზის ტრანსპორტის მნიშვნელობა, 16, რისთვის გვჭირდება ჩვენ მუდმივი ლაშქარი, 17, პროლეტარული დღეები.

ყველაზე უფრო მდიდარია პირველი განყოფილება, ყველაზე ღარიბი კი — კოპერაცია. ეს სამწუხარო ნაკლია. კოპერაციას დიდი როლი აქვს დაკისრე-

სრებული საბჭოთა კავშირში. ჩენი ქვეყანა ხომ ასე მდიდარია კოოპერატივებით და ყოველივე ეს უფრო ვრცლათ უნდა ყოფილიყო გაშუქებული მოზრდილთათვის დანიშნულ სახელმძღვანელოში. ეს ნაკლი მით უფრო შესამჩნევი ხდება, რომ ქრესტომატია ერთობ მდიდარია სხვა სასარგებლო ცნობებით. შემდგენელთ თითქმის არაფერი დავიწყებიათ. გარდა იმისა, რომ წიგნში მოთავსებულია სურათები მუშების, გლეხების, ყმების და მონების ყოფა-ცხოვრებიდან, სურათები ხშირად გულშემზარავი, — აქავეა საჭირო ცნობები: სოფლის მეურნეობიდან, ინდუსტრიიდან, ბუნების-მეტყველებიდან, ისტორიიდან, საბჭოთა კანონმდებლობიდან, მუშათა მოძრაობიდან, გეოგრაფიიდან, კოსმოგრაფიიდან, და მრავალი სხვა.

ასეთია ეს ახალი სახელმძღვანელო და მისი საშუალებით გამოცდილმა მასწავლებელმა დიდ შედეგებს უნდა მიაღწიოს მოზრდილთა სკოლებში.

„შრომის ქვეყანა“ ბევრ მასალას იძლევა სხვა და სხვა კომპლექსების შესადგენად, რაც დიდ ღირსებად უნდა ჩათვალოს სასკოლო ქრისტომატიას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ვითომც წიგნში მოცემული იყოს განმზადებული კომპლექსები, როგორც ამას გვაფიქრებინებს წარწერა წიგნზე: „კომპლექსიური მეთოდით“. წინასიტყვაობაშიაც ვკითხულობთ: „სახელმძღვანელო შედგენილია კომპლექსიური მეთოდით...“ „მთელი წიგნი შესდგება კომპლექს-თემებისაგან...“, მაგრამ „ცალკე კომპლექსები საერთო სათაურით არ არის აღნიშნული...“, ვინაიდან ეს მასწავლებელს შეზღუდავდა. გარდა ამისა, „პირდაპირ შეუძლებელია საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით კომპლექსების მიწოდება რომელიმე წიგნით“.

ყოველივე ეს უსათუოდ გაუგებრობას გამოიწვევს. თუ წიგნი შედგენილია კომპლექსიური მეთოდით, — კიდევაც უნდა იყოს შიგ სწორედ ჩამოყალიბებული კომპლექსები. და თუ გამზადებული კომპლექსების მიწოდება რომელიმე წიგნით შეუძლებელია, მაშ რას იძლევა „შრომის ქვეყანა“? აშკარაა, — მხოლოდ მასალას კომპლექსებისათვის. მაშასადამე, ეს შედგენილი ყოფილა საკომპლექსო მეთოდისათვის (და არა კომპლექსიური მეთოდით). „შრომის ქვეყანა“, ისე როგორც სხვა მრავალი ქრესტომატიები, აგებულია ენციკლოპედიურ პრინციპზე და ამით არ განსხვავდება მათგან. ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობენ ისეთ სკოლებში, სადაც ცალკე საგნებს არ ასწავლიან.

მეცნიერული და საქმიანი ხასიათის ცნობები გადმოკეზულია მარტივისა და გასაგების ენით. ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს ახლავს დიაგრამები თვალსაჩინოებისათვის. წიგნი ვერაა საკმაოთ და კარგათ დასურათებული. დართული აქვს ამიერ-კავკასიის რუკა.

**პ. კანიშვილი.**

41  
(მრავალ-  
ენოვანი  
სიტყვარი)

I. „რუსულ-ქართული ტენიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“. საქართველოს ტენიკური საზოგადოების გამოცემა. ტფილისი 1920 წ. 278 გვ.  
II. ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ტენიკური სიტყვარი (ლექსიკონი). ტენიკური საზოგადოების გამოც., ტფილისი. 1921 წ. 296 გვ.

ყო საზოგადოების სატერმინოლოგია სექციამ, რომლის ნამუშევარი გამოვიდა, 1920 წლის იანვარში, „რუსულ-ქართული ტენიკური ლექსიკონის (სიტყვარის)“ სახით. ეს სიტყვარი შეიცავს 10500 სიტყვას მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიასში, გეოლოგია-მინეროლოგიასა და ტენიკა-ტენილოგიაში. ეს ტერმინები ჯერ ცალკე პირების-მიერ იყო დამუშავებული, შემდეგ, 1919 წლის თებერვლიდან, უკვე კოლექტიურად, მკაცრად თანწყობით, დარგ-დარგად, დარგების მტკიცე შეფარდებით.

ამ წიგნის მიზანია: რაც შეიძლება უფრო მოკლე და პირდაპირი გზით დააყენოს მკაცრად მეცნიერულ და თანწყობრივ ნიადაგზე ჩვენი მთლიანი მეცნიერული ენის კოლექტიური დამუშავება და გამდიდრება, დარგ-დარგად დაყოფილი, მაგრამ მტკიცედ შეფარდებული ერთმანეთთან.

ამ შეფარდებულობისა და თანწყობრობისთვის, რაზედაც დამყარებულია ამა თუ იმ ენის მთლიანობა, საჭიროა და შესაძლებელიც ზოგიერთ მოძველებულ ტერმინის შეცვლა, თვით ჩვენი ზეპირი თვლის ყველა ოცობითი სახელის ათობითად<sup>1)</sup> შეცვლამდე.

ამ სიტყვების ამოცანაა: ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეების გამეცნიერება და წინაუქმო-წმინდა ცოდნის ყველა მხარეების გახალხურება და ცხოვრებაში გამოყენება.

ჯერ-ჯერობით არსებობს ამ წიგნის მხოლოდ პირველი, პოლემიური გამოცემა, დაყოფილი ორ წიგნად: 1—რუსულ-ქართული სიტყვარი, 106-გვერდიან შესავალით, (1920 წ. ტფილისი, 278 გვ.) 2—ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული სიტყვარი, ცოტაოდან შეესებულ და უკვე უგანმარტებოდ. (ტფილისი. 1921 წ., 296 გვ.)

ვისაც ტერმინების დამუშავება ინტერესებს, უნდა აუცილებლათ გაეცნოს ამ „სიტყვარის“ ტერმინოლოგიურ თანწყობას (სისტემას), რომელიც სრულიად

<sup>1)</sup> იხ. ამავე ნომერში წერილი: „რა წიგნები გვეჭირია?“

<sup>2)</sup> იხ. ამის შესახებ „ტენიკური სიტყვარი“, 1920 წლ. შესავალი, თავი—არითმეტიკა“. აგრეთვე უფრო „ახალ სკოლისკენ“ 1924 წ. № 2-3 (ორი წერილი) და უფრო „განათლება“ 1920 წ. № 1 (ორი წერილი).

1918 წლიდან ტფილისი მოფენილია სატერმინოლოგიო კომისიების ქსელითა. ყველგან სასწრაფო კოლექტიური მუშაობა სწარმოებს ენის იმ არე-დარევის მოსასპობად, რომელიც ასეთ მძიმე მდგომარეობაში აყენებს ჩვენს დღევანდელ ყოველგვარ კულტურულ მუშაობას<sup>1)</sup> განსაკუთრებული ადგილი და პოზიცია დაიჭირა ამ მუშაობაში ერთმა ჯგუფმა (იხ. 1918 და 1919 წლის გაზეთები), შემდეგ (1919 წლიდან) საქართველოს სატენი-

ახალ მოვლენას შეადგენს არა მხოლოდ ჩვენში, არამედ დასავლეთშიაც, სადაც ის მხოლოდ ახლა იზადება. სიტყვარის ეს თანწყობა მრავალმხრივ გაშუქებულია „სიტყვარის“ 1920 წლის შესავალში<sup>3)</sup> და სამ. მის შემდეგ გამოხულ. წიგნის „ტერმინების“ განმარტებაში: 1. სოზონოვი და ვერხოვსკის „ქიმიის სახელმძღვანელო“ აგრეთვე პოლემიურ თარგმანში, ყველა მისი ურიცხვი ხაზქვეშა შენიშენით<sup>4)</sup> (ტფილისი, 1922 წ., სახელმწ. გამომც.). 2 — მეთოდურ სახელმძღვანელოში „ბუნება სკოლაში“ (ტფილისი, 1921 წ., წერა-კითხვ. საზოგად. გამოცემა) და 3 — აგრეთვე მეთოდურ სახელმძღვანელოში — „მათემატიკა პაწიებისთვის“ (ტფილისი, 1923 წ., განათლების მუშაკთა სახლის გამოცემა)<sup>5)</sup>.

ამავე საკითხის გარშემო დიდი საკამათო მასალა დაგროვილი ჩვენს ქართულ პრესაში 1928 წლიდან დღემდე.

რ. ნიკოლაძე-პოლიექტოვა.

## 5. (ხ ფ შ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი)

ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, ა. — ბუნება, ნაწილი პირველი. მე-7 გამოცემა. ტფილისი. 126 გვ. 1924. ფასი 85. ტირაჟი: 3000.

უქანასკნელი მე-7 გამოცემა უცვლელათაა გადმობეჭდილი შარშანწინდელ მე-6 გამოცემიდან.

„ბუნების“ პირველი ნაწილი შეიცავს არაორგანიულ ბუნების კურსს: ჰაერი, წყალი, დედამიწა. ამ სახელმძღვანელოს მთავარ და უდავო ღირსებას შეადგენს მასში სასტიკად დაცული და ბოლომდის გატარებული ინდუქტიური მეთოდი, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც წმინდა მეცნიერულს, ისე პედაგოგიურ მოთხოვნილებებს.

სახელმძღვანელო იწყება ჰაერის და მის შემადგენელ ნაწილების (ნახშირ-მთავა, ჟანგბადი, აზოტი) თვისებათა შესწავლით და თავდება ბუნების სხეულთა საერთო თვისებათა აღნუსხვით. ეს სახეობით ეთანხმება ინდუქტიურ მეთოდს. მხოლოდ წიგნის ამ უქანასკნელ თავს უსათუოდ შევსება ესაჭიროება. აქ დასახელებულია ბუნების სხეულთა მარტო ორი საერთო თვისება: წონა და სითბო-სიცი-

რ მ ე ნ ს, შედარებით ღარიბ, სასკოლო ლიტერატურას სამართლიანათ შეუძლია იამაყოს ისეთი კარგი სახელმძღვანელოთი, როგორც არის არ. ჩხენკელის „ბუნება“. ის ყველაზე უფრო გავრცელებული სახელმძღვანელოა ჩვენში და ეს

5. (075)

<sup>3)</sup> იქვე მოთავსებულია ევროპული ეგრე წოდებული „საერთაშორისო“ ტერმინოლოგიის გარჩევა და შეფასება.

<sup>4)</sup> ამ წიგნში მოყვანილია „სიტყვარის“ ფილოლოგიური თანწყობა, რომლის გაშუქება მხოლოდ ამ წიგნში თანამყარელი და დათანწყობებული.

<sup>5)</sup> სამივე ეს წიგნი ერთისა და იმავე მთლიანი პედაგოგიური მუშაობისთვისაა დამუშავებული.

ვისაგან დამოკიდებულება მათი მდგომარეობისა. რაც შეეხება შეუვალობას, განფენილობას და ინტრიგის, ამათს შესახებ აქ არაფერია თქმული. საჭიროა აგრეთვე სახელმძღვანელოში შეტანილ იქნეს ელემენტარული ცნობები ნივთიერებათა შენობის შესახებ (ატომისტური თეორია), რათა ვინც ოთხწლედით ასრულებს თავის განათლებას, წარმოდგენა ჰქონდეს ამ საგანზე.

ბუნების შესწავლას ავტორი ამყარებს დაკვირვებებსა, ცდებსა და ექსპერსიმენტზე. ასეთი მეთოდი, თუ მას საესეებით დაეცავთ, გულისხმობს, რომ საგნის შეთვისება უმთავრესად ლაბორატორიუმში სწარმოებს, რის გამო იითქმის საჭირო აღარაა სახლში გაკვეთილების მიცემა. ამიტომ ავტორი შეგნებულად ძუნწობს და ცდილობს სახელმძღვანელო იყოს რაც შეიძლება მოკლე. აქ ვერ დავეთანხმებით პატივეცემულ ავტორს: ლაბორატორიუმში თუ ექსპერსიაზე მოწაფეები, რამდენადაც შეიძლება, დამოუკიდებლათ უნდა მუშაობდნენ, რისთვისაც მათ ძალიან ბევრი ცნობები ესაჭიროება. და განა თვით მასწავლებლებს არა სჭირიათ დღეს ასეთი ცნობები? გარდა ამისა, საკითხის ვრცლად გაშუქება, სხვა და სხვა მოვლენებთან დაკავშირება და მიღებული შედეგების ზოგჯერ ესეთი პრაქტიკული თვალსაზრისით განხილვა, როგორიცაა, თუ გენებათ, ჰიგენა, — იწვევს არა მარტო ინტელექტუალურ ინტერესს და სასკოლო საგანი პირდაპირ ცხოვრებას უკავშირდება, რაც ფრიად სასურველია.

სახელმძღვანელო მარტივი და გასაგები ენითაა დაწერილი, მაგრამ ზოგი გამოთქმა არ ვარგა, მაგ: ჩვენს დროში „ჰაეროსტატებს თბილის ჰაერით კი არ ავსებენ“ (25 გვ.). „ბაღე ჰაეროსტატს ხელს უშლის გაზისგან ძლიერ გაფართოვდეს და, ამას გარდა, კალათი ჰკიდია,“ (იქვე). „3 მისხალ მარილს რომ დაახლოვებით 8 მისხალი ცივი წყალი დაეასხათ და ჯობით ავურიოთ, მარილი გაიხსნება, რადგან წყალი მარილით გაიჯერა (60 გვ.)“ და სხვ. სახელმძღვანელოში უფრო დახვეწილი ენაა საჭირო.

არ ვარგა კორექტურაც. სურათები 26 და 27 ყირამალა დაბეჭდილი. ფოტოგრაფიული სურათები ძლიერ ცუდათაა გამოსული, რაც ან ცუდი ქაღალდის ბრალია ან კლიშეები დაძველებულია.

ერთი სიტყვით, გამოცემის მხრით წიგნი არ არის დამაკმაყოფილებელი. უსათუოდ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოების გარეგნულ და მხატვრულ მხარეს, რასაც დიდი გავლენა აქვს ნორჩი თავობის გემოვნების განვითარებაზე.

ფასი 85კ. დიდა მე-7 გამოცემისათვის, რომელსაც ერთი ახალი კლიშეც არ მიჰმატებია.

3. კ.

ანდრია რაჭმაძე. მათემატიკურ ანალიზის კურსი.

ტომი I — შესავალი გვ. VIII—172 1920 წ. ტფილისი.

ტომი II — ინტეგრალურ აღრიცხვის კურსი. ნაწილი I — განსაზღვრული ინტეგრლები გვ. X + 220 1922 წ. ტფილისი.

**კ** რ ო ვ ა. რაჭმაძემ გრანდიოზული მიზანი დაისახა: მათემატიკურ ანალიზის კურსის გამოცემა ქართულ ენაზე. ჯერჯერობით გამოცემულია ამ კურსის შესავალი და ინტეგრალურ აღრიცხვის პირველი ნაწილი.

ეს წიგნები წარმოადგენენ პირველ ფურცლებს ქართულ სამათემატიკო ლიტერატურისას.

მათის შედგენის დროს, გარდა წმინდა მეცნიერულ ხასიათის სამუშაოსი, პატივცემულ ავტორს აწვა მძიმე ტვირთი, დაკავშირებული ქართულ ენაზე პირველ სამათემატიკო წიგნების გამოცემასთან, ქართულ სამათემატიკო ტერმინოლოგიის სრულ უქონლობის პირობებში. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს II ტომის წინასიტყვაობაში, მას თავს აწვა ორგვარი მძიმე სამუშაო: ერთის მხრივ ანალიტიკურ ნომენკლატურის გადმოქართულება და მეორეს მხრივ თვით სამათემატიკო აზროვნების ამეცყელება ქართულ ენაზე.

უნდა ითქვას, რომ დასახული მიზანი პროფ. ა. რაჭმაძემ ბრწყინვალეთ შეასრულა: მის წიგნში თქვენ გზიბლავთ ქართული სამათემატიკო ენის სიღამაზე.

თუ დღეს ქართული სამათემატიკო ენა იმდენათ დამუშავებულია, რომ მასზე არა მარტო სრულად თავისუფლათ, არამედ, ამასთან ერთად, ლამაზად და მოხდენილადაც შესაძლებელია სამათემატიკო მსჯელობის წარმოება, ეს უმთავრესათ პროფ. რაჭმაძის მუშაობის წყალობითაა.

რაც შეეხება სამათემატიკო ნომენკლატურის გადმოქართულების საქმეს, პროფ. რაჭმაძის წიგნებით მის ნაყოფიერ დამუშავებას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

წიგნების ღირსებაზე, მათი შინაარსის მხრივ, ჯერ თვით მათის ავტორის სახელი გვეუბნება.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ, რომ მათს განუშორებელ თვისებებს აზრის გარკვეულობა და მკაფიობა და პრობლემათა ყოველმხრივი და ამოწურვითი გაშუქება შეადგენენ.

პროფ. რაჭმაძის კურსი საქმათ ვრცელი და სრული კურსია და ჭეფრო თანამედროვე ფრანგულ კურსებს უახლოვდება. მთელი კურსი შეადგენს დიდ კამიტალურ შრომას.

პროფ. რაჭმაძის შრომის მნიშვნელობის ამ მხრივ ნათელსაყოფათ საქმარისია შევნიშნოთ, რომ ასეთი ფართო მასშტაბით მოფიქრებული მათემატიკურ ანალიზის კურსი ჯერ თვითონ რუსულ ორიგინალურ სამათემატიკო ლიტერატურაშიაც არ მოიპოვება.

რაც შეეხება მასალის დალაგებას და იმ მოსაზრებებს, რომლითაც ავტორი ანალიზის სხვა და სხვა თავების შედგენის დროს ხელმძღვანელობდა, ამის

შესახებ საკმარისათ ვრცლათ არის მოხსენებული ტომების წინასიტყვაობებში, და ჩვენ აქ მოგვიხდებოდა იქ ნათქვამის თითქმის განმეორება.

აღნიშნაით მაინც მოკლეთ კურსის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებებს.

შესავალში მოთავსებულ ანალიზის ძირითად ცნებების განმარტება და განხილვა ეწყობება სიმრავლეთა თეორიას, და რაზმადის შრომა ამ მხრივ საესე-ბით ენმაურება სამათემატიკო მეცნიერების ახალ ტენდენციებს, რომელნიც ამ მეცნიერების საფუძვლებს სიმრავლეთა თეორიის პრინციპებს უკავშირებენ.

შესავალი შესდგება ოთხ თავისაგან: I—ნამდვილი ცვალებადი, II—ზღვარი, — III მწკრივი და IV ფუნქცია.

I თავში ნამდვილ რიცხვის განმარტებისათვის მიღებულია Dedekind-ის თვალსაზრისი.

IV თავის დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ ფუნქციების იმ ელემენტარულ თვისებებს გარდა, რომელთაც ჩვეულებრივთ ანალიზის შესავალში განიხილავენ, აქ განხილულია აგრეთვე მწკრივით განსაზღვრული ფუნქციები, რაც ჩვეულებრივთ დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვის განყოფილებებში გადააქვთ. ასეთი სახლე, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ „ფუნქციების განხილვის დროს მიზნად ვისახავდი ფუნქციების ყოველნაირ სახის მთლიანთ ამოწურვას, რომ შემდეგში თავისუფლათ მესარგებლნა ყველა საჭირო მასალით“.

განუსაზღვრელ ინტეგრალების კურსი ძალიან სრულია სხვა მსგავს კურსებთან შედარებით.

დიდი ყურადღება მიქცეული აქვს ინტეგრაციის პრობლემის პრაქტიკულ მხარეს.

ეს კურსი შესდგება სამ თავისაგან: I—შესავალი, სადაც განხილულია ძირითადი ცნებანი და მეთოდები, II—ინტეგრაცია ალგებრული ფუნქციებისა, III—ინტეგრაცია ტრანსცენდენტული ფუნქციებისა.

II თავში მოყვანილია Abel-ის ინტეგრალების თეორია, რომელიც მათემატიკურ ანალიზის ერთ უმშვენიერეს ნაწილს წარმოადგენს. ამ თავის ზოგიერთ ნაწილების გაგებისათვის საჭიროა უმაღლეს ალგებრის ზოგიერთ სპეციალურ საკითხების ცოდნა (Galois-ს თეორია).

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. რაზმადის კურსი იშვიათის ყურადღებით და გულმოდგინეობით არის შედგენილი. მთელ კურსის მანძილზე გვხვდება მხოლოდ ორი-სამი შეცდომა, რომელთაც სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვთ.

მაკალითად, I ტომის § 89-ში განსაზღვრულია რიცხვი  $i$ . და ნათქვამია, რომ ყოველ ნებისამებრ დადებით  $E$ -თვის ისეთი ნატურალური  $N$  რიცხვი არსებობს, რომ Hadamard-ის მიმდევრობის (მიმდევრობა 63) ყოველი წევრი, რომლის ინდექსი  $N$ -ზე მეტია, მოთავსებულია  $(L-E, L+iE)$  შუალედში. ეს რომ ასე იყოს, მაშინ  $L$  იქნებოდა Hadamard-ის მიმდევრობის ზღვარი.

ნამდვილათ კი  $L$  რიცხვის განმარტებიდან გამომდინარეობს მხოლოდ, რომ ყოველ  $E$ -თვის ისეთი  $N$  არსებობს, რომ Hadamard-ის მიმდევრობის ყოველი



წვერი, რომლის ინდექსი  $N$ -ზე მეტია, იქნება ნაკლები  $L+E$ -ზე, ხოლო არ არის აუცილებლად საკირო, რომ Hadamard-ის მიმდევრობის წევრები ერთ გარკვეულ დანადგარზე დაწესებული იყვნენ ყველა მეტი  $L-E$ -ზე. აუცილებელია მხოლოდ. რომ არსებობდეს უსასრულო რიცხვი მიმდევრობის წევრთა, რომელნიც მეტნი არიან  $L-E$ -ზე.

შენიშნავთ, რომ ეს შეტოვმა სრულიად არ ავსებს თეორემის დამტკიცების შემდგომ მსვლელობას.

ასეთი შემთხვევითი ხასიათის შეტოვმები, რომელნიც საერთოთ აუცილებელი არიან ისეთ დიდ შრომისათვის, როგორც პროფ. ა. რაზმაძის კურსია, იმდენათ უმნიშვნელო და კერძო ხასიათისანი არიან, რომ ოდნეათაც ვერ შეამცირებენ პროფ. რაზმაძის შრომის მნიშვნელობას.

პირველ და მესამე ტომის შედარების დროს თქვენ არ გამოგორჩებათ შეამჩნიოთ ის შრავალი ცვლილებანი, რომელნიც განიცადა ამ ორ წიგნის შედგენის შორის განვიღო დროის მანძილზე როგორც ქართულმა სამათემატიკო ტერმინოლოგიამ, ისე საერთოდ ქართულმა სამათემატიკო მეტყველებამ.

ეს ცვლილება მაჩვენებელია იმ სწრაფ ევოლუციისა, დღეს ქართული სამათემატიკო ენა რომ განიცდის და იმ მუშაობისა ამ მხრივ პატივცემულ ავტორს რომ უწარმოებია.

დასასრულ საკიროთ ვთვლით საერთოთ აღენიშნოთ, რომ ქართულ ენაზე სამათემატიკო ანალიზის კურსის გამოცემა და მერმე ისე ფართოთ განხრახუნის გეგმით, როგორც პროფ. რაზმაძემ დაისახა მიზნად, ნამდვილ გმირულ საქმეს წარმოადგენს მის ავტორის მხრივ, რომელსაც ამ დროის განმავლობაში ისედაც მძიმე ტვირთი აწვა ტფილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო ფაკულტეტის ორგანიზაციის სახით.

და მხოლოდ პატივცემულ მეცნიერის შთაგონებულ და თავგამოდებით მუშაობას და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულს უნდა ეუბადლოდეთ იმ მშენებელ საუნჯის შემქნას, რომლიდანაც კიდევ დიდხანს პირველად ეზიარებიან სამათემატიკო ანალიზს ქართველ მათემატიკოსთა ახალნი თაობანი.

ლევან გოკიელი

## 6. (დაწართი მცენიერებაანი)

კარიკაშვილი, დ. — წიგნის ისტორია. ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 62. ტფილისი. 1903. 64 გვ.

მოყვანილია აგრეთვე, ასევე მოკლედ, ბეჭდვითი საქმის განვითარება ევროპასა და საქართველოში.

ეს პატარა წიგნი ერთად-ერთია ქართულ ენაზე. შიგ ძრიელ მოკლედ, მაგრამ სისტემატიურათ მოთხრობილია საზოგადოთ ანბანისა და წიგნის წარმოშობა-განვითარება და კერძოდ ქართული ანბანისა და წიგნის ისტორია.

655(09)

წიგნი გამოცემულია 20 წლის წინად და, რასაკვირველია, ზოგიერთი ცნობა მოძველებულია. ასე მაგ., რომში ქართული სტამბის გახსნას ავტორი მიწერს 1625 წელს. ამავე აზრისანი არიან ყველა ჩვენი მკვლევარი: ხასანა-შეილი, კეკელიძე და კიჭინაძე. მაგრამ პატივცემული ავტორი დღეს აღარ იზიარებს ამ აზრს (იხილეთ ამის შესახებ მისი წერილი ამავე ნომერში).

წიგნაკი ქარვ ქალაღღეხა დაბეჟდილი და ჩართული აქეს საჭირო სურათებიც, მაგრამ გასასყიდად აღარ იშოვება. საჭიროაა კი გეჟონდეს ქართულ ენაზე წიგნის და ბეჟდვითი საქმის უფრო ვრცელი ისტორია. მაგ. ამ საგანს ასწავლიან პოლიგრაფიულ სკოლაში, რომელიც მეორე წელიწადია რაც არსებობს და სათანადო სახელმძღვანელოები კი არ ეშოვება ქართულ ენაზე.

655 (==9)  
(09)

კიჭინაძე, ზ. — ისტორია ქართულის სტამბისა და წიგნების ბეჟდვისა. 1626—1900. გამოცემა ავტორისა. ტფილისი. 1900. 55 გვ. ფასი სამი შური.

ღებს, — ისევ ჩვენი დაჟღალავი ზ. კიჭინაძეა. მართალია, ის არ არის განსწავლული და არა აქეს შეთვისებული მეცნიერული მეთოდო კვლევისა, რის გამოც მის მიერ მოყვანილ თარიღებს და ცნობებს უსათუოდ შემოწმება სჭირია, მაგრამ მისი შრომა ამ დარგში მაინც დაუუასებელია. თეთონ მწიგნობარი და გამოცემელი, იგი ძალიან ახლოს იცნობს ქართულ ბეჟდვითი საქმეს და გვაწვდის ბევრ ძვირფას ცნობებს.

ზევითამოწერილ წიგნში მოყვანილია დაწერილებითი ცნობები რომში ქართული წიგნების ბეჟდვის შესახებ. ჩამოთვლილი და აწერილია 1629 წლიდან იქ დაბეჟდილი წიგნები. შემდეგ მოთხრობილია ქართული სტამბის დაარსება ტფილისში და ჩამოთვლილია იქ დაბეჟდილი წიგნები. ამას მიჰყვება ქართული სტამბების დაარსება რუსეთში. შემდეგ მოყვანილია მოკლე ცნობები საქართველოში სტამბებისა და ბეჟდვის გავრცელების შესახებ.

ქართული სტამბის ისტორიის ავტორი იწყებს 1625 წლიდან, თუმცა მოგეპოვება მხოლოდ 1629 წელს დაბეჟდილი წიგნი. ჯერ არც რაიმე დოკუმენტი გვაქვს იმისი, რომ 1625 წელს ქართულათ რაიმე დაბეჟდილიყოს რომში.

655.1  
(==9)

ქართული სტამბები. 1627—1916. ნიკოლოზ ლოლობერიძე ღ ზოგი ქართველთა მიღვწენი. ტფილისი. 288 გვ. ფასი ერთი მანეთი.

მის განვითარებაში. ამას მოჰყვება: პირველი ქართული სტამბა რომში და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (46—54 გვ.), ქართული სტამბის საქმე და ქართული

ქართულ სტამბისა და ბეჟდვითი საქმის ისტორია არ არის სათანადოთ შესწავლილი და გამოვკველი. ამ საკითხის შესახებ ჯერ მხოლოდ მასალები გვაქვს, რომელსაც შესწავლა და სისტემაში მოყვანა უნდა. ერთად-ერთი კაცი, რომელიც ავროებს და ჰბეჟდავს საამისო მასა-

ს წიგნის ავტორიც ზ. კიჭინაძეა და შეიცავს მის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ წერილებს. პირველ 40 გვერდზე მოთხრობილია ნიკოლოზ ლოლობერიძის ცხოვრება და მიღვწეობა ქართული მწიგნობრობისა და ბეჟდვითი საქმის განვითარებაში. პირველი ქართული სტამბა რომში და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (46—54 გვ.), ქართული სტამბის საქმე და ქართული

ასოების ჩამოსხმა რუმინეთში 1696 წ. (55—60 გვ.). რუმინელ ელახელ მესტამბეთა ამბები (60—62 გვ.), არჩილ მეფის ცნობა ქართული სტამბის შესახებ—63—64 გვ., მეფე ერეკლესგან ტფილისის სტამბის განახლება—64—69 გვ., პირველი ქართული სტამბის გახსნა რომს, 1626 წ. (?)—69—102 გვ. აქ უცვლელად მოყვანილია მისივე ქართული სტამბისა და ბექედის „ისტორიიდან“ პირველი 36 გვ., შემდეგი ნაწილი კი „ისტორიისა“ (37—55 გვ.) ავტორს უფუცვლია. მაგ. იქ ნათქვამია, რომ პირველი სტამბა ქუთაისში გაიხსნა 1785 წლებში (87 გვ.) და აქ კი, „ქართულ სტამბებში“, მოჰყავს საბუთი, რომ პატარა ლოცვანი დაუბეჭდიათ ქუთაისში 1770 წელს (103 გვ.). „ისტორიის“ დასასრული, 39 გვერიდან, აღარაა განმეორებული „ქართულ სტამბებში“ და მიჰყვება: პირველა ასოთაწყობნი და მბეჭდაენი—106—110 გვ., მეფე ვახტანგ მეექვსე—110—112 გვ., ქართული სტამბა—113—115 გვ., ქართული დაბეჭდილი წიგნები—115—122 გვ., ქართული სტამბის ცნობა თფილისში 1725 წ.—123—124 გვ., საქართველოს რუკა—124—125 გვ., სტამბის მორი საქართველოში—125—127 გვ., ქალაქის საქმე საქართველოში—127—130 გვ., საქართველოს მეფობის დროის ასოების ჩამომსხმელი ქარხანა—130 გვ., მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სტამბები—101—160 გვ., ქართული სტამბები, მესტამბენი და მათი მოღვაწეობა—160—250 გვ., ასოთაწყობთა ცხოვრება—250—268 გვ., სტამბის ფაქტორების უკოდინარობა—268—269 გვ., სტამბის შეგირდების საქმე—259—271 გვ., თათრული სტამბა საქართველოში—271—275 გვ., ლითოგრაფია საქართველოში 275—285 გვ., ქართული ასოები—235 გვ. და რატომღაც სიტყვა, წარმოთქმული ნ. ბ. ლოლობერიძის საფლავზე ნ. თალაკვაძის მიერ—286—288 გვ.

როგორც სათაურიდანა სჩანს, ავტორს ბევრი საყურადღებო ცნობები აქვს ამ წიგნში მოყვანილი, მაგრამ უსისტემოდ და არეულ-დარეული. მაგ. ქართული სტამბის დაარსების თარიღად ხან 1625 წ. მოჰყავს, ხან 1626 წ. და ხანაც 1627 წ. წიგნი დაბეჭდილია სხვადასხვა ქალაქებზე და, როგორც უკან მინაწერიდანა სჩანს, სხვადასხვა სტამბებში.

კანის პირველ გვერდზე მოთავსებულია სურათი ნიკივორ ირბახისა (ჩოლოყაშვილის), რომლის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით პირველად გამართათ რომში ქართული წიგნების ბეჭდვა.

**ქ ი კ ი ნ ა ძ ე, ზ. — ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან.** ქართული წიგნის მალაზიის 40 წლის არსებობის გამა. გამოცემა ავტორისა, ტფილისი, 1919 წ. 16 გვ. ფასი 2 მ.

**ს** პატარა წიგნაკში აწერილია ქართული ენის შევიწროებული მდგომარეობა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან და შემდეგ მოთხრობილია გრ. ჩარკვიანის მიერ წიგნის მალაზიის გახსნა ტფილისში 1878 წ.

655(=9)  
(09)

წიგნის ბოლოში კი ავტორს საქიროდ მიაჩნია გამოაცხადოს, რომ ქართული წიგნის მალაზია ტფილისში პირველად გაუხსნია არსენ კალანდაძეს 1873 წელს, მაგრამ იგი დაუთქვია მთავრობას 1874 წ. და კალანდაძეც დაუპატიმრებია.

**3. კანიშვილი**

## 7. (ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა)

- 7 (05) ხელოვნება, № 1 სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ყოველკვირული ორგანო. გამოცემა ამავე კავშირისა. ტფილისი. 1925 წ. 92 გვ., ფასი 1 მან. ტირაჟი 3000.

კლასი მოკლებულია. ჩვენი ჟურნალის მიზანი არის: დაუახლოვდეს მასას და უხელმძღვანელოს მის კულტურულ შემოქმედებითს მუშაობას. ჩვენი ჟურნალი უნდა გახდეს მთავარი ინსტრუქტორი იმ სახელოვნო წრეებისა, რომლებიც დღეს მრავლად დაარსებულია და კვლავ დაარსდება მუშათა კლუბებში“.

„ხელოვნების“ № 1 მიძღვნილია ქართულ თეატრისადმი მისი სადღესასწაულო დღის, 2 იანვრის, გამო. ამით გვინდა გავამართლოთ ის გარემოება, რომ ამ პირველ ნომრის საინტერესო შინაარსი ცალმხრივია: ის მხოლოდ თეატრის საკითხებით ამოიწურება. „ხელოვნებამ“ რომ თავისი სახელწოდება გაამართლოს უნდა აშუქებდეს ხელოვნების დარგის საკითხებს.

თანამედროვე ქართული თეატრის საკითხს ეხებიან ამ ნომერში შემდეგი ავტორები: შ. დ. — ახალი გზით, ი. გელევანიშვილი — ორი იანვარი, რ. ქალაძე — ქართული თეატრი, ს. ამაღლობელი — ჩვენი სათეატრო პოლიტიკა, თომაზ ბორელი — თეატრი და დრამატურგია.

ქართული თეატრის ისტორიას ეხება პროფ. კორნ. კეკელიძის საინტერესო წერილი: „ძველი ქართული თეატრი“, რომელშიაც მოყვანილია იმისი დოკუმენტები, რომ ქართული თეატრის ისტორია იწყება არა 1850 წლიდან, არამედ 1791 წლიდან — და უფრო ადრეც. ამავე საკითხს ეხებიან აკ. ფალავა „1925 წლის 2 იანვარი“ და ვ. გარრიკი — „ქართული თეატრი“.

ჟურნალი კარგადაა გამოცემული და გარე-კანიც ლამაზი აქვს.

დ—ი.

79  
(სპორტი)

ლორ ფეი ფანიძე და ა. ბაკრაძე. ჯოხებით ვარჯიში. სამხედრო კომისარ. სტამბა. 1922 წ. (ფასი არ არის აღნიშნული.) გვ. 86.

მასთან ჯოხებით ვარჯიში გამასწორებელ ვარჯიშობისთვისაც ადვილი გამოსა-

წიგნი მეტად კარგათ და დაფიქრებითაა შედგენილი. ტანთ-ვარჯიშობის მასწავლებელთ ეს წიგნი დიდ დახმარება გაუწევს ყოველდღიურ მუშაობაში, განსაკუთრებით, თუ სკოლაში არ არის იარაღები. ჯოხებით ვარჯიში შეიტანს მეტ სიხალისეს, მასთან ჯოხებით ვარჯიში გამასწორებელ ვარჯიშობისთვისაც ადვილი გამოსა-

ყენებელია. წიგნის გაგებისათვის და მის საშუალებით ვარჯიშის წაყვანისთვის საჭიროა წინასწარი სპეციალური მომზადება.

წიგნს დართული აქვს მოკლე თანწყობა (სისტემა). სურათებიანია. სამწუხაროთ ცუდ ქალაღზეა გამოცემული.

მიქელ პატარიძე.

**მერკვილაძე გ. ქართული მოძრავი თამაშობანი.** გამოცემა სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობასთან არსებულ სარედაქციო კოლეგიისა. წიგნი შეიცავს 84 გვერდს. ფასი არ არის აღნიშნული. ტფილისი. 1922 წელი. სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი 3.00.

2. გრძელი ბაწრით თამაშობანი, 3. ჩალიჩით, 4. ოთახის თამაშობანი, 5. თამაშობანი სიმღერით და სხვა. 6. ისტორიული თამაშობანი და სხვა. მოკლეთ და გარკვევით ახსნილი თამაშობა სიძნელეს არ წარმოადგენს გამოუცდელ მასწავლებლისთვის გამოიყენოს ეს წიგნი.

წიგნს აქვს არა მარტო პედაგოგიური მნიშვნელობა, — აქ არის ნაჩვენებო ოთხი ისტორიული თამაშიც.

სამწუხაროთ, წიგნი მეტად ცუდ ქალაღზეა გამოცემული. შრომისა და სოფლის სკოლებისთვის ეს წიგნი უსათუოდ სასარგებლო იქნება.

მიქელ პატარიძე

79

**ქართული ლიტერატურა მეტად ღირბია წიგნებით ტანვარჯიშობის დარგში.** მოძრავი თამაშობანი მერკვილაძისა დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის სკოლის მასწავლებელთ, რომელნიც მოისურვებენ მიაწოდონ ბავშვებს სასარგებლო გასართობი.

წიგნში მოთავსებულია 112 სხვადასხვანაირი თამაშობა, ათ ნაწილად გაყოფილი. მაგალითად: 1. ბურთით თამაშობანი, 2. გრძელი ბაწრით თამაშობანი, 3. ჩალიჩით, 4. ოთახის თამაშობანი, 5. თამაშობანი სიმღერით და სხვა. 6. ისტორიული თამაშობანი და სხვა. მოკლეთ და გარკვევით ახსნილი თამაშობა სიძნელეს არ წარმოადგენს გამოუცდელ მასწავლებლისთვის გამოიყენოს ეს წიგნი.

წიგნს აქვს არა მარტო პედაგოგიური მნიშვნელობა, — აქ არის ნაჩვენებო ოთხი ისტორიული თამაშიც.

სამწუხაროთ, წიგნი მეტად ცუდ ქალაღზეა გამოცემული. შრომისა და სოფლის სკოლებისთვის ეს წიგნი უსათუოდ სასარგებლო იქნება.

მიქელ პატარიძე

**8. (კ ა ზ მ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ზ ა )**

**რევოლუციონური დეკლამატორი.** სანდრო ქუჩიძის რედაქტორობით. პოლიტ-განათლებლის მთავარმმართველობის გამომცემლობა „მნათობი“. ტფილისი. 1924. 186 + VII გვერ.

**რევოლუციონური დეკლამატორი** დეკლამატორი რედაქტორის მოკლე წინასიტყვაობით იწყება, რომელშიაც, სხვათაშორის, გამოთქმულია აზრი რევოლუციონური ხელოვნების და კერძოდ პოეზიის პოპულიარიზაციის საჭიროების შესახებ ავტორის სიტყვით, „რევოლუციონური დეკლამატორი“ უნდა დარჩეს საუკეთესო იარაღად რევოლუციონური პოეზიის აგიტაციის და პროპაგანდისათვის.

დეკლამატორში მოთავსებულია ორ-ორ-სამ-სამი ლექსი რევოლუციის

8 (08)

თითქმის ყველა პოეტებისა, მათის სურათებით, ალფაბეტურის წესით. უმთავრესად, ცხადია, აღებულია ისეთი ლექსები, რომლებიც დანიშნულია დეკლამაციისათვის, და შინაარსით აღვივებს რევოლუციის იდეას. პირველ ნაწილში ქართველი პოეტებია წარმოდგენილი, მეორეში — რუსი პოეტები, მათს შორის ბრიუსოვი, გასტევი, დემიან-ბედნი, ა. ბლოკი. ცალკე გამოყოფილია პოეზია ლენინზე.

შემდეგი განყოფილება უცხოეთის პოეტებს აქვს დათმობილი. აქ წარმოდგენილია: ემილ ვერჰარენ, უიტ უიტმენ, ადა ნეერი, მაკ კეი, ლუიზა მიშელ.

აქვეა მოთავსებული რევოლუციის სიმღერები: ინტერნაციონალი, „მუშური მარსელოზი“ „თქვენ ბედით ბრძოლაში“, „ჩვენ მჭედლები ვართ“, „მებრძოლო, მწყობრად“, „მჭედლები“, „არსენა ჯორჯიაშვილი“.

ეს უკანასკნელი განყოფილება ჩვენ სხვა განყოფილებებზე არა ნაკლებ საყურადღებოდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია. სამწუხაროდ, ეს განყოფილება სრული არ არის: აქ შეიძლება კიდევ რამდენიმე პოპულიარულ რევოლუციონურ სიმღერის შეტანა. — შემდეგ განყოფილებაში, პროზაში, **ლეო ქიაჩელია** წარმოდგენილი: აქ არის მოთავსებული მადლიან „ტარიელ გოლუას“ ნაწყვეტი, „ერთობის“ სათაურით. დეკლამატორის უარყოფით მხარედ შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ სადეკლამაციო მხატვრული პროზა მხოლოდ ერთი მწერლითაა წარმოდგენილი.

უკანასკნელი განყოფილება — რევოლუციონური სატირა, რომელშიაც მოყვანილია სატირები: ს. თოდრიასი, ოპანეს თუმანიანისა და ნ. ჩიკვაძისი. ეს განყოფილებაც სუსტადაა წარმოდგენილი. მაგრამ საერთოდ დეკლამატორი უსათუოდ სასარგებლო და საყურადღებო წიგნია. მისი ფართოდ გავრცელება, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს რევოლუციონურ პოეზიის პოპულიარიზაციას.

შ — ი.

89

6. ზომღეთელი. ლექსები 1917-23 წ. ტფილისი. ავტორის გამოცემა № 1. 1924 წ. 286 გვერ.

**ი**მ პოეტებს შორის, რომელთაც ევლოშვილის შემდეგ მიხნად დაისახეს რევოლუციონურ პოეზიის ცეცხლის დანთება საქართველოს მშრომელ ხალხში ნ. ზომღეთელს სათანადო ადგილი უჭირავს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი მიეკვლია ეგრედ წოდებულ „პროლეტარულ პოეტების“ რიგებს და აქაც იგი ნაყოფიერი და დამსახურებულია. ნ. ზომღეთელის სიმღერის საგანს შეადგენს მშრომელი, დაბეჩავებული ხალხი, სოფლისა და ქალაქის მუშები.

რეაქციის რეჟიმის დროინდელი მისი ლექსები გავლენითილია მხაგრული კლასისადმი უზომო სიძულვილით და დაჩაგრულთა მოწოდება გამარჯვებისა და ბრძოლი აკენ.

ეს წიგნი, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ბიბლიოგრაფიისა ვწერთ, რევოლუციის ეკუთვნის.

აქ მოთავსებულია ლექსები, რეგოლუციის დაწყების შემდეგ დაწერილები, ე. ი. 1917-23 წლამდე, და წარმოადგენს გამარჯვებულ ხალხისადმი ხობტას, სიხარულს და მომავლის იმედს.

„ამაყურად გაღუშლია  
ფართე მკერდი ცხოვრების ველს,  
ყვავილებით შორთულია  
და სალხინოთ იწვევს ყოველს.  
დღეს ეს ველი ჩვენ გვეკუთნის,  
შრომის წმინდა მოციქულებს,  
და ზედ მერმის ცხოვრებისთვის  
ეკონაეთ ძმობის თაიგულებს“.

„საპირველმისო“, გვ. 88.

ბრძოლა, დაუღვარო სიხალისე, დაუღვროლობა და გატაცება მომავლით აი  
ნ. ზომლეთელის პოეზიის შინაარსი:

ზღვის ზვირთებს ვებრძვით სიღრმისკენ ვიწვეთ“  
აბა, მხნედ ზვირთებს მხარი და მკერდი!  
გაეპაოთ ევა, გაეკვეთოთ იგი,  
თვით ყოფნის აზრი იწვევს ჩვენს წინსვლას  
და დაჯიბრებით რიგს მისიდეგს რიგი.

„სიმღერა მარგალიტის მაძიებელთა“, გვ. 32.

ბრძოლა და მოწოდება უმთავრესი მოტივია მისი პოეზიისა, თუმცა არის გა-  
დახვევა ამ გზიდან და გადასვლა სხვა თემებზედაც. ასეთ თემაზე დაწერილ ლექსე-  
ბში აღსანიშნავია ლექსი: საქართველო—მოზაიკური სურათი, რომელიც ცოც-  
ხალი და ლამაზი სახით იძლეა საქართველოს მთლიან შინაარსს და სურათს.

პოეტის ლექსები ფორმის მხრივ არ არის გამართლებული. ამას ამტკიცებს  
მისი წიგნი. მაგრამ მან მოგვცა დიდი სული მებრძოლ პოეტისა, დიდი გატაცება  
მომავლით და რწმენა გამარჯვებისა. და ეს მხარე მისი შემოქმედებისა უაღრესათ  
ძვირფასია, რადგან ჩვენს პროლეტარიატს ჯერ კიდევ დიდი მანძილი აქვს გასა-  
ვლელი, სანამ მის წიაღში წარმოიშვებოდეს ძლიერი, თანამედროვე მოთხოვნი-  
ლებათა დამაკმაყოფილებელი პოეტი.

ს ა ნ დ რ ო ე უ ლ ი. „ქარხნის  
ტრიუმფი“ საქართ. სახალხო მეურ-  
ნეობის უმაღლეს საბჭოს გამოცე-  
მა. 1923 წ. 62 გვერ.

ს. ე უ ლ მ ა საქართველოს გასაბჭოების 89  
შემდეგ, 1921 წ., გამოსცა პირვე-  
ლი წიგნაკი „რევოლიუციის საყ-  
ვირის“ სახელწოდებით, ხოლო 1923 წ. კი  
— „ქარხნის ტრიუმფი“.

მისი პირველი წიგნი, „რევ. საყვირი“, გა-  
მოდგა მეტად სუსტი და პოეტმა ვერ მიიპყრო ყურადღება. ხსენებული წიგნი,  
„ქარხნის ტრიუმფი“, გაცილებით საინტერესოა და პოეტის წინსვლის მაჩვე-  
ნებელი. იგი შეიცავს 62 გვერდს და მოთავსებულია შიგ 26 ლექსი.

თუმცა სანოდრო ეულს არ აქვს საკუთარი გზა ახალგაზდა პროლეტარულ  
პოეზიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი თანამედროვეობას გაბედულათ უსწო-  
რებს თვალს.

„რგოლების გუნდი შრომის ჰიმნს მღერის,  
მანქანა მღერის არიას ბრძოლის“;

„ქარხნის ხმაურში შევთხზეთ სიმღერა,  
გამოვიყენეთ მანქანა ქნარათ,  
ბორბლებზე ლედის გაისმის მღერა,  
დღემდე ნამღერი ჩვენთვის არ კმარა...“

სანდრო ეული უმღერის შრომას, ქარხნებს, პროლეტარიატის ქვეყნებს, საერთოდ კომუნის სამეფოს.

მისი ლექსები—მოწოდებაა პროლეტარიატისადმი და იმ რწმენის ჩანერგვა, რომ მომავალი მხოლოდ მშრომელი ხალხისაა.

ს. ეულს ქარხნის ბორბლების ხმაურში ესმის ტკბილი მუსიკა, მშრომელის დამატკობელი; იგი აღტაცებულია შრომით და სჯერა, რომ გამარჯვებული მუშა შექმნის უმაღლეს მუსიკას, უმაღლეს ხელოვნებას. სანდრო ეული, როგორც ფანატიკოსი პოეტი მშრომელთა — ეტრფის ასეთ მომავალს და ამხადებს მის ნიადაგს.

ს. ეული, როგორც ფორმის ოსტატი, სუსტია.

ა.

89—1

**ბუბერანგი ალ.** (ა. მაშაშვილი). **ლექსები.** გამოცემა საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

**ს**ქაძატოველ ოს გასაბჭოების შემდეგ პროლეტარულ პოეტის რიგებში იმატა.

ამ გარემოებას ხელი შეუწყო—საბჭოთა მმართველობის სახელოვნო პრინციპმა, რომ მშრომელ მასებს საშუალება მიეცეს თავის წილიდან წარმოშვან პოეტები, რომელნიც უფრო შესძლებენ პროლეტარულის სულისკვეთების გამოსახვას და შექმნიან ნამდვილ შრომის და ქალაქის ჰოეზიას.

ძველი რეჟიმის დროს მდგომარეობა ამ მხრივ საშინელი იყო. ძველი რეაქციონური მთავრობა არ აქცევდა მშრომელ ხალხის სულიერ კულტურის აყვავებას არავითარ ყურადღებას და აუარებელი ნიქიერი ახალგაზრდა ილუპებოდა უნაყოფოდ, სათანადო პირობების უქონლობის გამო.

დღეს მშრომელ ხალხს ფართო სარბიელი აქვს მიცემული და, მაშასადამე, იბადება კითხვა—შეიქმნა რაიმე ღირებულება ამ დარგში? ჯერჯერობით ცოტა.

ამის მიზეზები მრავალგვარია: უმთავრესი — ახლადფეხადგმული პროლეტარიატი ვერ შექმნის ასე მცირე ხანში დიდ, მონუმენტალურ ხელოვნებას, ეს არცერთ ეპოქას არ ახსოვს და გამონაკლისი არც აქ შეიძლება.

დღეს ხდება ძიება, ახალი გზების დაპყრობა; საქარველოს ახალგაზდა პროლეტ-პოეზიაც ამ გზით მიდის.



ა. ბუმერანგი ახალგაზდა პოეტია. სულ სამიოდე წელია, რაც ასპარეზზე გამოვიდა, და უკვე დიდტანიან წიგნის გამოცემა მოასწრო.

ავტორი სრულიად ახალგაზდაა. ეს ეტყობა მის ყოველ ლექსს. მაგრამ ჩვენ მას ვერ ჩავთვლით უიმედოთა და უარსაყოფ პოეტების რიგში.

იგი უსათუოდ პოეტია და მას ექნება მომავალი, თუ უფრო მეტის სიფრთხილით მოეპყრობა ლექსს.

მის ლექსებს ატყვიდა თითქმის ყოველ ცნობილ მიმდინარობის გავლენა აქ თქვენ ნახათ: ფუტურისმს, რიალისმს, სიმბოლისმს, რომანტიზმს და სხვ. ეს უსათუოდ საფრთხილოა და ააშკარავებს ავტორის სიჩქარეს და საკუთარი გზის უქონლობას.

მის ზოგიერთ ლექსებში აღსანიშნავია ფორმისადმი ყურადღება და მიღწევებიც.

მ.

ცეცხლაძე გრიგოლ. პოეტის ყფა. ტფილისი. 1924 წ. ფასი 25 კ. ტირაჟი 1000. 32 გვ. სამხედრო კომისარიატის სტამბა.

ლით, მოულოდნელობით. მისი პოზა ყოველთვის სწრაფია, გამოხედვა დამცინავი:

„თქვენთან საქმე არა მაქვს რა,

მე ჰაერს ვყლაპაე“.

სიხარმაცე და „ობლომოვიშჩინა“ სიტყვის უმორის გილიოტინაზეა ასული, და არა მარტო სიხარმაცე! ბევრი სიმახინჯე, ფილისტერობა და „მეშინაზა“ სარკასტიულათ აცინებს გრ. ცეცხლაძეს, და მის სიცილში არის ბასრი დანის ელვაც.

სამწუხაროთ წიგნი გაორებულია. მისი ლიბრედი ლანდები ვერ არის საესე-ბით სინაზისა და ლ-სების თავიდან აცილება, რასაც თვითონვე უარყოფს წიგნის პარველ ნაწილში. წიგნი საიმედო დასაწყისია. ენახოთ, როგორ გააგრძელებს ამ რკალს პოეტი.

წიგნში 25 ლექსია და ახალი პოეზის მოყვარული იქ ნახავს სადეკლამაციო მასლას და ბგერითი პრინციპზე აშენებულ ლექსებს.

ყარბი.

**გრიგოლ** ცეცხლაძე უსათუოდ ორიგინალური პოეტია, თავის ბასრ უმორიან ლექსებით,—ნოვატორიც. ლექსი „ტფილისი“, ბგერათა ასოციაციის მიმდევრობაზე აგებული, საესეა გაბედული ხაზით და თბილი ფერებით; ის განარებსთ სიახ-

89

**ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — დ ა მ ი შ ვ ი ლ ი მ ი ხ ე ი ლ .** მოთხრობები. ტ. I და იქანე გომართლის კრიტიკული წერილი. აკაი სვანიშვილის და ივანე ვარაზაშვილის გამოც. ტფილისი. 1924 წ. 220 გვ.

უნდა ითქვას, ლარიბია. ცოტა გვეყავს ბელეტრისტები და ვინცა გვეყავს, მათაც ვერ მოუხერხებიათ დროზე გამოექვეყნებიათ თავიანთი ნაწარმოებები ცალკე წიგნებად. უამისოდ, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთებში დაფანტული ნაწერები ვერ არის მოსაწვდომი. ადამაშვილის პირველ ტომში მ მოთხრობაა მოთავსებული, ერთი-ერთმანეთზე უკეთესი შინაარსისა, სტილისა, ხელოვნურ ხერხების მიხედვით. ესენი არიან: „ჩანჭურა“, „უბატრონო“, „თავდავიწყება“, „მეჩემზე გამო“, „კურკას ქორწილი“, „ხალხის სამართალი“, „ეშმაკის ქვა“, „ტყის კაცი“. მაგრამ, როგორც ივ. გომართელიც აღნიშნავს თავის წინასიტყვაობაში, განსაკუთრებით დახვეწილია სტილი, წერის მანერა გამოკვეთილი, ასახვა გაცხოველებული და გასპეტაკებული — „ტყის კაცში“.

მ. ადამაშვილის I ტომი უსათუოდ უნდა ფართოდ იქნეს ჩვენი ბიბლიოთეკებში და სამკითხველოებში შექმნილი. ჩვენ აგრეთვე სახელმძღვანელოების შემდგენელთა ყურადღებას მივაქცევთ ამ წიგნს.

ავტორის თავდაპყერილობა, ამა-თუ იმ ტიპის დახატვაში, ობიექტივობა, ნაგრამ ღრმა თანაგრძნობა დაჩაგრულობა და გაციხება ზეზეურის სამართალისა — მდიდარს აღმზღვლობითს მასალას იძლევა ჩვენი სკოლის მოსწავლეთათვის, სხვა-და-სხვა კოპლექსისათვის.

წ. კ. უცოდინრობის ან მცირე მცოდნეთა სალიკვიდაციო პუნქტებშიაც შედარებით ასე მოკლე და ღრმა შინაარსიან მოთხრობათა კითხვას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. წიგნს წინ უძღვის ივანე გომართლის წინასიტყვაობა (140 გვერდიანი), შეიცავს 230 გვერდს, დაბეჭდილია საშუალო ღირსების ქალაქებში და ღირს 1 მ. 50 კაპ.

შეფელო.

891.54

**თ უ მ ა ნ ი ა ნ ი, ო ვ ა ნ ე ს . — რ ჩ უ ე ლ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი,** ი. გრიშაშვილის თარგმანი. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი. 1924წ. 134გვ. ფასი 50კ. ტირაჟი 2000.

**ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ მ ა** ამ მშენიერი ნათარგმანით გააცოცხლა ჩვენს შორის ოვანეს თუმანიანის თეორი აჩრდილი. ქართველ-სომეხთა დაახლოების დიდ მოციქულს, ოვანეს თუმანიანს დღემდის არ ვიცნობდით რიგიანად, როგორც არ ვიცნობთ საზოგადოდ სომეხურ მწერობას. ეს

გარემოება. რითაც არ უნდა აიხსნას, არაა ნორმალური და უნდა გამოვსაწოროთ. სომეხ ქაოთველთა უკუუნურ და დამლუპველ უთანხმოების მოსასაზრებლად აუცილებელია ამ ორ მომხმე ერთა კულტურული დაახლოება ღ მათს შორის სულეირ სიმდიდრეთა გაზიარება. ამ მიზანს ემსახურებოდა ოვანეს თუმანიანი. და მისი ნაწერების თარგმნა ქართულ ენაზე საუკეთესო პატივისცემამა, როგორც პოეტის დიდი პიროვნებისა, ისე მისი დიადი მიზნისადმი. სიყვარულით დაწერილ წინასიტყვაობას ი. გრიშაშვილი ესე ათავებს: მე ჩემი პირობა შევასრულეო. მაგრამ ასეთისავე კმაყოფილებით ის ვერ იტყვის — მე ჩემი მოვალეობა შევასრულეო, — სანამ არ გაგვაცნობს სომხის სხვა პოეტებსაც. ი. გრიშაშვილზე უკეთ, ვფიქრობ, ამას ვერაინ შევასრულებს.

გარდა წინასიტყვაობისა, რომელშიაც მთარგმნელი გვაცნობს ავტორის პიროვნებას, ამ წიგნში მოთავსებულია 8 ლექსი, 3 ლექსგანდა, 1 პოემა და 5 მოთხრობა. ამათგან საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება ლირიკული პოემა „ანუშ“, რომელშიაც მოცემულია სოფლის პრიმიტიულობა, მისი ჭირი და ლზინი. უნდა დავასახელო აგრეთვე მოთხრობა „გიქორ“ და ზღაპარი „ძალი და კატა“: საჭიროა ორივე ეს ნაწარმოები ცალკე წიგნაკებად გამოსცეს ჩვენმა საბავშვო გამომცემლობამ.

თარგმანის შესახებ რა უნდა ითქვას: გრიშაშვილის სახელი აქ ყველაფერს გვეუბნება! ნუ თუ ოვანეს თუმანიანი თავის დედა-ენაზეც ასე ნაზი და კარგაია! — იფიქრებს კაცი.

წიგნი კარგ ქალღმრთელად დაბეჭდილი, გარეკანიც ლამაზი აქვს გაკეთებული და ძლიერ კარგ გამოცემად უნდა ჩაითვალოს. წინ დართული აქვს ო. თუმანიანის სურათი და ავტოგრაფი.

3. 3.

## 9. (ისტორია და გეოგრაფია)

ძიმისტარიშვილი, ს. ი. და უჩანეიშვილი, დ. თ. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1. საქართ. სახელგამ. ტფილისი. 1925 წ. 93 გვ. ტირაჟი 12,000

ბული და ნებადართული, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო შრომის სკოლის მეორე საფეხურისთვის. როგორც სახელმძღვანელოს წინასიტყვაობიდან ირკვევა, ის შედგენილია მატერიალისტურ ან, უკეთ ვსთქვათ, მარქსისტულ მეთოდით. უნდა აღენიშნოთ, რომ ამგვარ მიდგომით საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა, თავის სიახლესთან ერთად, მეტად სასიამოვნო და სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამ სა-

1925 წელს იანერის პირველ რიცხვებში სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, ნაწ. 1, შედგენილი ს. ი. ძიმისტარიშვილისა და დ. თ. უჩანეიშვილის მიერ და განათლების კომისარიატისაგან მოწონებული და ნებადართული, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო შრომის სკოლის მეორე საფეხურისთვის. როგორც სახელმძღვანელოს წინასიტყვაობიდან ირკვევა, ის შედგენილია მატერიალისტურ ან, უკეთ ვსთქვათ, მარქსისტულ მეთოდით. უნდა აღენიშნოთ, რომ ამგვარ მიდგომით საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა, თავის სიახლესთან ერთად, მეტად სასიამოვნო და სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამ სა-

09

ხელმძღვანელოს შედგენის დროს, რასაკვირველია, მის ავტორებს, როგორც საზოგადოებრივ ახლად დაწყებულ საქმის დროს, მრავალი დაბრკოლება გადაეღობებოდა, რადგანაც საქართველოს ისტორიის მრავალი მხარე ჯერჯერობით სრულიად შესწავლელია. ამასთანავე, ჩვენში დღემდე არ არსებობს პოპულარიზულ ხასიათის საქართველოს ისტორია, რომელშიაც თავმოყრილი იყოს საისტორიო მცენიერების უკანასკნელი მოღწევანი და ამ მხრივ დაეკმაყოფილოს ფართე საზოგადოების ცნობისმოყვარეობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ვინმემ სთქვას, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესადგენად სათანადო მასალები არ არსებობდეს. მხოლოდ საჭიროა, ქართულ და უცხო წერილობითი ძეგლების შესწავლასთან ერთად, შესწავლილი იყოს თვით ის ნივთიერი ძეგლებიც, რომლებიც ამოღებულია საქართველოში ნაპოვნ სამარხებიდან და დაცულია ტფილისის მუზეუმებში. დღეს საისტორიო ძიება უმთავრესად ემყარება საარქეოლოგიო და საეთნოლოგიო მასალებს, რომლებიც მოწმობენ და ავსებენ მემბრტიანეთა მცირე ცნობებს. ამიტომ ყოველი მარქსისტი, მატერიალისტურ მიდგომით საქართველოს ისტორიის შედგენის დროს, უმთავრესად უნდა ეყრდნობოდეს ნივთიერ ძეგლებსა, რომელთა შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს ერის პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობის კლასიციტი შეფასება.

სწორედ ამისთვისაა, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოში ეს გარემოება სრულიად გათვალისწინებული არ არის და მასში არც რაიმე ნივთიერი ძეგლია მოხსენებული და არც მათი სურათები დართული. ამას-კი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მოზარდ თაობის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

ახლა ჩვენ გადავალთ თვით აღნიშნულ სახელმძღვანელოს შინაარსის განხილვაზე. შინაარსი იწყება: „პირველყოფილი ადამიანი და მისი ყოფა-ცხოვრება“ და შემდეგ პირდაპირ გადადის: „ქართველი ტომები ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე“ (გვ. 31-65.) ეს გაუგებარი და მასთან აშკარად შემეტარი ნახტომია, ჩვენის აზრით. რომელი მეთოდით არ უნდა დაიწეროს ისტორიის სახელმძღვანელო, პირველ ყოვლისა ჩამოთვლილი: და დასახელებული უნდა იყოს ისტორიის წყაროების დარგები, როგორც მაგალითად: წერილობითი, ნივთიერი და სიტყვიერი. შემდეგ აღწერილი უნდა ყოფილიყო საქართველოს დღევანდელი ფიზიკო-გეოგრაფიული მდებარეობა, მისი გეოლოგიური ცვალებადობანი და აგრეთვე მოხსენებული ყოფილიყო კავკასიაში და კერძოდ საქართველოში: ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანების არსებობის შესახებ, მათისავე დამახასიათებელ ეკონომიურ-კულტურულ მდგომარეობით. ქართველთა უძველეს ბინადრობის ადგილი და დირო მეტად განუსაზღვრელად და ბუნდოვანად არის აღნიშნული სახელმძღვანელოში, რომლის გაგება და შეთვისება არამც თუ მეორე საფეხურის მოწაფისათვის შეუძლებელია, არამედ თვით მასწავლებელსაც კი გაუჭირდება. იქვე აგრეთვე მოხსენებული არ არის, თუ რომელ ქართველ ტომებზეა საუბარი და რა სახელწოდებას ატარებდნენ ისინი ან რა გარემოება აიძულებდა მათ დაეტოვებიათ თავიანთი პირვანდელი სამშობლო და ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულიყვნენ.

საგვარეულო წესწყობილების შესახებ (გვ. 36) სახელმძღვანელოს ავტორები მოგვითხრობენ, რომ შუამდინარის მიდამოებში მოზინდრე ქართველ ტომების საზოგადო ცხოვრება საგვარეულო წესწყობილებაზე იყო დამყარებული: „გვა-რის სათავეში მამასახლისი იდგა. ამ მამასახლისებს უცხოელები, მავალ-, ასურე-ლები, მეფეებს უწოდებდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თეთი ასურე-ლების დესპოტები მეფეების სახელს ატარებდნენ. ამიტომაც ქართველი გვარის და ტომის უფროსნი მათ მეფეები ეგონათ“. ამგვარი მსჯელობა, გაუგებრობასთან ერთად, უფრო მცთარი აზროვნების შედეგი უნდა იყოს. რადგანაც, ჯერ ერთი, ასურულ წყაროების ცნობებით, ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი საზოგადო წესწყობილება უნდა ჰქონოდათ ქართველთა უძველეს ტომებს. ამიტომ დაუსა-ბუთებელია იმის გადაჭრით თქმა და სახელმძღვანელოშიაც შეტანა, რომ მათი სახელმწიფოებრივობა საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილიყო დაფუძნებული. დაუსაბუთებელია იმის ქმაც, რომ ამ ტომების მეთაურები ატარებდნენ მამასახლისის წოდებას და არა მეფისას, რომელ სახელითაც ისინი მოხსენიებული არიან ასურულ წყაროებში. რომ მართლაც ქართველთა უძველეს ტომთა წარმომადგე-ნენი ასურულ ბატონების ღირსეული მოწინააღმდეგე და მეფეებიც არ ყოფი-ლიყვნენ, გამარჯვებული ასურეთის მბრძანებლები მათ მეფეებად არ მოიხსენიებ-დნენ, როგორც დამარცხებულთა და თავიანთ მოხარკეებს, მით უმეტეს, თუ უკანა-სკნელინი უბრალო მამასახლისები. იყვნენ წინააღმდეგ ამისა, ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთის ბრძანებლები დამორჩილებულ ქვეყნების მკუეებს ამცირებდნენ და მათ უბრალო მთავრის წოდებას ანიჭებდნენ, დამარცხებულ მამასახლისებს კი არასოდეს მეფეებად არ მოიხსენიებდნენ. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში ქარ-თველთა უძველესი ტომები მოხსენიებულნი არიან ბარბაროსებად და ისიც მისი უმა-ღლეს საფეხურებზე მდგომად, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ სი-ნამდვილეს და სახელმძღვანელოში აღნიშნულ მათსავე კულტურულ შემოქმე-დებას.

ჯერ ერთი, ჩვენ ვიცით, რომ ძველ ქალდეაში 12 საუკ. ქ. წ. დიდი კულ-ტურული სამეფონი არსებობდნენ, მათ ჰქონდათ მწირობა, კანონები, გან-ვითარებული ხელოვნება, ვაჭრობა და ხელოსნობა. და ამ კულტურულ შემოქ-მედებაში, როგორც სახელმძღვანელოს ავტორები მოგვითხრობენ, აღნიშნულ ქართველ ტომებსაც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ, განსაკუთრებით „ლითონის დამუშავებით დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე.“-ო (გვ. 33). შემდეგ ნათქვამია, „რომ მეთათე-მეცხრე საუკუნეებში ქ. წ. ქართველებ-ში განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგები, აგრეთვე მესაქონლეობა, მანძულების დამუშავება და მისგან სხვადასხვა ფრიად ს.-სარგებლო იარაღთა და ნივთების კეთება. თითუღი ამ მეურნეობის დარგ-თაგანი განსაზღორული ჯგუფის ხელში იყო მოთავსებული. აი, რაზღენად ჩამოყა-ლიბებული ყოვილა ამ დროს შრომის განაწილება ქართველთა საზოგადოებაში (გვ. 34). ქართველებს ხელმეტი პროდუქტი უკეთებიათ და ფინიკიელებთან და ბერძნებთან გაჩაღებული ვაჭრობა ჰქონიათ (გვ. 35)“. ამგვარი განვითარებული

ეკონომიურ - კულტურული მდგომარეობა სრულიად არ ახასიათებს ბარბაროსობას. და ამის შემდეგ განა შესაძლებელია აღნიშნულ დროს და კულტურის მატარებელ ქართველთა უძველეს ტომებს უმეფო და ველური ტომები ეწოდოს? ამგვარ წინააღმდეგობას, ჩვენის აზრით, შრომის სკოლის პირველ საფეხურის მოწაფეც შეამჩნევს.

სახელმძღვანელოში ნათქვამია: „ფულის მოჭრა ქართველებმა უფრო გვიან ისწავლეს, ჯერჯერობით ნახულია ქართული ფული მხოლოდ პირველ საუკ. ქ. წ. (გვ. 35)“. ეს აშკარა შეცთობაა, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოში IV—II საუკ. ქ. წ. ტრიალებდა ვერცხლის ფულები, „კოლხუდა“ წოდებული. ეს ფულები დაკულია ტფილისის მუზეუმში, და მის შესახებ საკმაო ლიტერატურაც არსებობს. და თუ მაინც ავტორებს ქართულ ფულად მხოლოდ ისეთები მიაჩნიათ, რომლებზედაც ქართული წარწერები უნდა ყოფილიყო, ამგვარი ფულები ეკუთვნიან VI საუკ. ქ. შემდეგ.

სახელმძღვანელოში რამდენჯერმე მოხსენებულია, რომ „არარატის სანახებს მაშინ (X—XV საუკ. ქ. წ.) ურართუ ერქვა და იქ მცხოვრებ ქართველ ტომებს—ურართელები ანუ არარატის ქართველები (გვ. 32, 37)“. ეს საკითხი საზოგადო ისტორიაში ჯერჯერობით გამოაკვეული არ არის და, რამდენადაც ვანის მიდამოების ლუსისმულ წარწერების შინაარსიდან სჩანს, ქართველების და ურართელების ერთიდაიგივეობა არ ირკვევა და ამიტომ შეუძლებელია სახელმძღვანელოში ამგვარ პრობლემატურ საკითხის ასე გაბედულად შეტანა, რომ ქართველები და ურართელები ერთივე ერთისა და იმავე ტომისანი ყოფილიყვნენ.

ამგვარივე პრობლემატურ ხასიათისაა იმის თქმა, რომ „ქართველებისა და სომხების წინაპრები ერთს ოჯახს—იაფეთიანთა შტოს ეკუთვნოდნ“ (გვ. 45). ცნობილია, რომ აკად. ნიკ. მარის იაფეთური თეორია მეტად ცვალებადია, და ქართველ სომხთა რასიული ნათესაობა ჯერჯერობით გამოკვლეული არ არის. ამიტომ სახელმძღვანელოს ავტორები იმეორებენ ისტორიკოს ლეონტი მროველის ცნობებს, ერთ მამამთავრისაგან ქართველთა და სომხთა წარმოშობის თქმულებას.

„ქართველების გადმოსახლება ამიერ-კავკასიაში (გვ. 45)“. აქ ერთ ადგილას სრულიად გაუგებრათ სწერია, „რომ ქართველების მოძრაობა ჩრდილოეთისკენ მრავალი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. დღევანდელი სამშობლოს ამიერ და იმიერ საქართველოს—მკვიდრათ მათ ჩვენ ვხედავთ პირველ საუკ. ქ. წ. და შ. (გვ. 49)“. განა შესაძლებელია ამგვარ შეცთობის და წინააღმდეგობის დაშვება სახელმძღვანელოში, სადაც ჯერ მოხსენებულია ჰეროდოტეს (V საუკ. ქ. წ.) და ქსენოფონტეს (IV საუკ. ქ. წ.) ცნობები შავიზღვის პირას მობინადრე ქართველ ტომების შესახებ, და ამ თავის ასეთი დასკვნით დამთავრება?

პირდაპირ გაუგებარია, რომ სახელმძღვანელოს შემდგენელთ საქართველოს ისტორიის ხანა IV საუკ. ქ. წ. და თითქმის არაბთა შემოსევამდე წარმოდგენილი აქვს მეტად ბუნდოვანათ: თურნე არც სამეფო ყოფილა. აღარც მეურნეობა-დაუპაჭრობა და აღარც კულტურა. ავტორები სრულიად სდუმან ძველ კოლხეთის პოლიტიკურ-კულტურულ მნიშვნელობაზე და მის ზღვის სანაპიროებზე არსებულ ბერძნულ სავაჭრო კოლონიებზე.

აგრეთვე საჭირო იყო სახელმძღვანელოში შეტანა ზოგიერთ ბერძნულ თქმულებისა ძველ კოლხეთზე, რომ მოწაფეს წარმოდგენა ჰქონოდა, თუ როგორ ფანტასტიურ ვაეღუნას ახდენდა ის ძველ საბერძნეთზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო შედგენილია მატერიალისტურ თვალსაზრისით, ამგვარი მიდგომა სრულიად გამართლებული არ არის ძველ კოლხეთის შესახებ. მაგალითად, სახელმძღვანელოში მოხსენებული არ არის, თუ როგორ აქტიურ მონაწილეობას იღებდენ კოლხები საზოგადო ვაჭრობაში და როგორ სარგებლობდენ ინდოეთში მიმავალ დიდ სავაჭრო გზით. ჩვენ ვიცით იმავე ბერძენ ისტორიკოსებისაგან, რომ კოლხები ამზადებდენ სხვადასხვა ლითონეულისაგან ჭურჭლეულს და სამკაულებს, ტილოს ქსოვილებს, კოლხურად წოდებულს, და სელი, კანაფი, ცვილი, ხეტყე უცხოეთში გასასყიდად გაჰქონდათ. კოლხეთის ვაჭრები ინდოეთშიაც მიემგზავებოდენ ძვირფას ქვების შესასყიდად და სხ. კოლხები დახელოვნებული იყვნენ გზების მიმართულების ცოდნაში, ამას ფიცრებზე ხატავდენ (კურბესი) და თან ატარებდენ. თვით კოლხეთის მეფენი ხელს უწყობდენ ვაჭრობის განვითარებას და ყოველგვარ სიშიშროებისაგან იცავდენ მათს სამეფოზე მიმავალ დიდ სავაჭრო გზას ინდოეთისას. ამ მიზნით ყოველწლიურად იწმინდებოდა როინისა და მტკვრის აუზები, გზებზე აღმართული იყო ქვის, გზის მიმართულების მჩავენებელი, ფილაქნები, მდინარეებზე გადებული იყო მრავალი და მშვენიერი ხიდი და, სხ.

კოლხეთში მშვენიერი სავაჭრო ქალაქებიც არსებობდენ. მათს შორის ცნობილია დიოსკურია (სებასტოპოლისი), ფაზისი და მათი პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი—ქალაქი ვა-არქეოპოლისი-ნაქალაქევი. გასაოცარია, რომ სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი, ამ არქეოპოლისის შესახებ, რომლის დღევანდელი ნანგრევები აშკარად მეტყველებენ მის დიდებულ წარსულს და რომლის სიღრმეში დაფარული უნდა იყოს მისი ისტორიული თავგადასავალი. ნუ თუ მოწაფეს არავითარი წარმოდგენა არ ღნდა ჰქონდეს, როდესაც მას შემთხვევა მიეცემა იხილოს ამ ძველ ქართულ ქალაქის დიდებული ნანგრევები?

საქართველოს მეორე კულტურულ-ისტორიულ ცენტრის, მცხეთის და მის სამეფოს, შესახებაც ამავე პერიოდში (IVსაუკ. ქ. წ. — VI ქ. შემდეგ) გამოთქმულია ასეთივე ცალმხრივი და ბუნდოვანი აზრები: მცხეთის სამეფო წარმოდგენილია უბრალო სამამასახლისოდ, მოკლებული ყოველგვარ პოლიტიკურ-კულტურულ ღირებულებას. მაგრამ სახელმძღვანელოს ავტორები რომ გაცნობილი ყოფილიყვნენ ბაერნის მიერ მცხეთაში აღმოჩენილ სამარხებიდან ამოღებულ ძვირფას ნივთებს, რომლებიც ეკუთვნიან IV საუკ. ქ. წ. — II საუკ. ქ. წ. და ინახებიან საქართველოს მუზეუმში, მაშინ, მე მგონია, ძველი მცხეთის სამეფოს დახასიათება სულ სხვანაირი იქნებოდა. ეს ძვირფასი ნივთები, თავიანთ მაღალ ხელოვნებით, აშკარათ მეტყველებენ მცხეთის სამეფოს მაღალ კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობას. ამისთანავე უფრო სასურველი და შესაძლებელიც იყო სახელმძღვანელოში მცხეთის ამ ძვირფას განძეულობის სურათების მოთავსება, ვიდრე სურათების № № 11 და 12, რომელიც ყოველ მოწაფისათვის ცნობილია.

ქართველთა უძველეს სარწმუნოწარმოვე შეხედულებანი“-ში (გვ. 57-60) გამოტოვებულია ქართულ კერპთაყვანისცემა. შესაძლებელია შემდგენელმა ჰგონინათ, რომ ქართველთა წინაპრებს სარწმუნოების ეს საფენური არ განეკუთვნება. და თუ ეს ასეა ვაგებულთ, მაშინ აშკარა შეტომია. როგორც ქართულ მატიაწებებიდან, აგრეთვე უცხოელების ცნობებიდან ჩვენ ვიკითხ, რომ საქართველოში მრავალი კერპი შიიზმისგანაა, როგორც, მაგალითად: არმაზი, ზადენი, რეა, დიოსკორი, აფროდიტი და სხვა. აგრეთვე მოხსენებული არ არის ქართული წმინთთაგანის კულტი, რომელიც ქართულ წარმართობის ცოცხალი მატარებელია. ერთის სიტყვით, სახელმძღვანელოში აღნიშნული არ არის ქართველთა სარწმუნოებრივი თანდათანობითი განვითარების საფეხურები და ქრისტიანულ მოძღვრების ქართული გაგება, წმ. გიორგის კულტის სახით, რომლის ხატობა-დღეობას მრავალი მოზარდი თაობა ესწრება, და ამათვის ამსნილ-განმარტებული უნდა ყოფილიყო მისი „ღვთაებრივობის“ კუშირითი გაგება. ამასთანავე, სახელმძღვანელოში სრულიად მოხსენებული არ არის ქართულ უძველეს ხუროთმოძღვრების ძეგლები, როგორც არის, სხვათა შორის, მცხეთის ჯგერის მონასტერი, რომელსაც თავის შენეულეებით და ბარელიეფებით გაკვირებაში მოჰყავს ყოველი მნახველი. და ნუ თუ ქართველ მოწაფეს მის შესახებ არავითარ წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს?

შემდეგ, „მწერლობა და ხელოვნება“-ში ნათქვამია: „რომ ყველა იაფეტელ ტომებს მწერლობა განვითარებული ჰქონიათ. ცნობილია თავისი ლიტურგიული მწერლობით ქართველების უძველესი ქალაქი ვანი. დარჩენილია აგრეთვე იაფეტელ მოღვმის ხალხის, ხეტუნის, მრავალი ხატოვანი წარწერები“ და სხვა. (გვ. 60). მთელ ეს ამონაწერი დამყარებულია ძველ და უკვე მეცნიერების მთავრებათილეთ შეხედულებებზე. ეტყობა, რომ სახელმძღვანელოს შემდგენელნი სრულიად არ იცნობენ ახალ საისტორიო გამოკვლევებს ძველ აღმოსავლეთის შესახებ, რომ ასე ვაბედულათ მოგვითხრობენ, ვითომც სუმერიულენ, რომლებსაც ლურსმულ ანბანის გამოგონებას მიაწერენ, და ხეტები-იაფეტიდები ყოფილიყვნენ და ვანიც ქართველების ქალაქი. სახელმძღვანელოში ქართულ ანბანის წარმოშობის და ძველ მწერლობის შესახებ არაფერია ნათქვამი. ესეც მნიშვნელოვანი დეფექტია, და აეტორებს უსათუოთ უნდა აღენიშნათ, რომ ქართული უძველესი წარწერანი მოიპოვებინ VI საუკ. ქ. შ. ფულებზე, ჯგერის მონასტერზე და სხვა ნიეთიერ ძეგლებზე, რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევია და რომელთა შესახებ მოწაფეებს არავითარ წარმოდგენა ექნება.

გარდა ამისა, ვაუგებარია, თუ რა მოსაზრებით, სახელმძღვანელოში სრულიად მოხსენიებული არ არის ქართულ კულტურის ისტორიული და დღევანდელი ცენტრი, ქალაქ ტფილისი, რომლის ისტორია ისეც საქართველოს ისტორია და რომლის წარმოშობის ისტორია ისეთივე ლეგენდარულ წყვედილითაა მოკული, როგორც საზოგადოთ ყოველისავე დიდ ქალაქისა და პიროვნებისა. ქართულ და უცხო საისტორიო მწერლობაში მოიპოვება საკმაო ცნობები ტფილისის ეკონომიურ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, და მის შინაურ, წმიდა საქალაქო წესწყობილებებზე. ვანა შესაძლებელია, რომ შრომის სკოლის მეორე საფეხურის მოწა-



ფეს არავითარი წარმოდგენა ჰქონდეს თავის დედაქალაქის ისტორიულ წარსულზე და მის პოლიტიკურ-ეკონომიურ მნიშვნელობაზე? ეს გარემოება დიდ შეცთომად უნდა ჩათვალოს სახელმძღვანელოს ავტორებს მოზარდ თაობის ცნობისმოყვარეობის წინაშე.

შემდეგ, სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში IX და V საუკ. ჩაისახა ქართული სახელმწიფოებრიობა. ეს არის ძველი მესხეთი, ერუშეთი და სხვა (გვ. 67)“. ამ ბუნდოვანათ გამოთქმულ აზრსაც სქი-რია განმარტება და შესწორება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ საქართველოს ამ მხრივ ნაკლები დედაწილი მიუძღვის. წინააღმდეგ, ის უფრო ხელს უშლიდა საქართველოს გაერთიანებას და მან უფრო საქართველოს კულტურულ აღორძინებას შეუწყო ხელი.

რაც შეეხება საქართველოს კუთხეების შემოკრებას და მათს ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად გარდაქმნას, ამაში დიდი და განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის აბაზთა, დასავლეთ საქართველოს, სამეფოს.

„საგვარეულო წესწესობილების მოშლა საქართველოში და ფეოდალიზმის დასაწყისი“ (გვ. 67-78). ამ თავში საქართველოს ძველი და საშუალო საუკუნეების პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა ისეა ერთმანეთში არეული, რომ მეტად ძნელია მათი კრიტიკული განხილვა. რაც შეეხება ქართულ ფეოდალიზმის დახასიათებას, ის პირდაპირ გადმოღებულია უცხო სახელმძღვანელოებიდან. ისე გამოდის, რომ ევროპულ და ქართულ ფეოდალიზმს შორის მზგავსებასთან ერთად თითქოს არავითარი განსხვავება არ არსებობდეს. რასაკვირველია, ამგვარი აზრი აშკარა შეცთომაა. ქართული ფეოდალიზმი, თავისებურებასთან ერთად, ევროპულისაგან განსაკუთრებით იმით სხვაედებოდა, რომ სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება—მართლმსაჯულება და გადასახადის გაწერა-აკრეფის უფლება, მეფის ხელში იყო, ხოლო დასავლეთ ევროპის მეფეები ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ.

გარდა ამისა, კახეთის მთავრები სახელმძღვანელოში მოხსენებულია „ქორეპისკოპოსად“, უნდა იყოს—„ქორიკოზი“, და სხვა. ერთი სიტყვით, ამ სახელმძღვანელოს შეცთომები, რასაკვირველია, ჩვენ მიერ აქ მოკლედ მოყვანილ მცირედენ შენიშვნებით არ ამოიწურება, მასში მრავალია მცთარი მხარეები, რომელთა განხილვა მეტად შორს წაგვიყვანდა და შეუძლებელიც იყო მათი ამ მოკლე საბიბლიოგრაფიო წერილში მოთავსება.

ამასთანავე უნდა ავღნიშნოთ, რომ სახელმძღვანელო შედგენილია მეტად მშრალად და სქემატურად, რომელიც თავის შინაარსის ძნელ შესათვისებლობასთან ერთად მეტად აწლუნებს მოზარდ თაობის ცნობისმოყვარეობას. ენის მხრივაც სახელმძღვანელო შეუფერებელია შრომის სკოლის მეორე საფეხურისათვის, რადგანაც დაწერილია უფრო მაღალდარდოვან ენით და ხშირად ორაზროვან წინადადებით, ვიდრე სასაუბრო ენითა და კილოთი.

მასალების დალაგების მხრივ სახელმძღვანელოს შემდგენელი ფეხდაფეხ მისდევნ პრაქტ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“-ს I და II წიგ. და ამ მხრივ აღნიშნული სახელმძღვანელო მის მოკლე და დაულაგებელ კონს-

ბექტს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ახალის მეთოდით შედგენილ სახელმძღვანელოს. სწორედ სამწუხაროა, რომ საქართველოს ისტორიის ფაქტიური მასალები ეკონომიურ-მატერიალისტურ თვალსაზრისით ამ ახლად შედგენილ სახელმძღვანელოშიაც არ არის განხილული. ამის გარეშე დატოვებულია სწორედ ის რეალური ფაქტები და ნივთიერი ძეგლები, რომელთა განხილვა და შესწავლა სრულად გაამართლებს საქართველოს ისტორიის მარქსისტულათ შედგენილ სახელმძღვანელოს ღირებულებას.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით უნდა განვიხილოთ თვით იმ წყაროების ღირსებაც, რომლებზედაც დამყარებულია აღნიშნული სახელმძღვანელო და რომელთა უმრავლესობაც საკმაოდ მოიძველებს. მაგალითად, „Древн. извест. Греч. и Рим. писателей о Кавказе, ганиს თარგმანი, ცნობილია უფარგისად. არსებობს ამავე თხუზულების ლატიშვიის საუკეთესო მეცნიერული თარგმანი. დასახელებულია აგრეთვე პროფ. ბეცოლდის პატარა გამოკვლევა— „Ассирия и Вавилония,“ როდესაც არსებობს ტურავეის უფრო ახალი და დიდი გამოკვლევა „История Востока“ I და II ტ, ხელმოწერად შეესებულად გამოცემული 1922 წელს „Классический Восток.“ პირველყოფილ კულტურის წყაროდ დასახელებულია უკვე საკმაოდ მოძველებული გამოკვლევა ლიპერტისა, როდესაც დღეს ამ საკითხის შესახებ მოიპოვება მრავალი ახალი გამოკვლევანი, რომლებშიაც მოკვმულია მასალების ახალი გაშუქება, რაც სრულიად შეტანილი არ არის აღნიშნულ სახელმძღვანელოს პირველყოფილ კულტურის ისტორიაში.

სერ. მაკალათია.

09

მ. წერეთელი.—ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ. კ. საგანისა. კონსტანტინეპოლი, 1924 წ. 112 გვ.

ერთი ხანია, რაც ევროპის მეცნიერებში ხეთური პრობლემა აქტიურ საკითხად არის გამხდარი. საუკეთესო კუნელოვები და ინდოგერმანისტები არ იშურებენ ძალონის და ნიქს ამ პრობლემის გადასაჭრელად. ამ მოკლე ხანში ხეთური პრობლემის შესახებ ტფილისშიაც იქნა წაკითხული მოხსენება გერმანულათ ოტტო ფონ-ვეზენდონკის მიერ, რომელმაც ჩვენი სამეცნიერო წრეებიც მიიზიდა. სიმართლე რომ ვსთქვათ, მეცნიერების უნარიანობასა და გამჭრიახობას ბევრი შესძლებია. ხეთური კულტურის დარგში ბოლო ხნის აღმოჩენანი საერთო ისტორიულ და არქეოლოგიურ მეცნიერების საუკეთესო ფურცლებს შეადგენენ. მცირე აზიამი წარმოებულმა გათხრებმა მიწის წიაღიდან მზის სინათლეზე გამოიტანეს შესანიშნავი ძეგლები. და ამ ძეგლთა შესწავლამ ჩვენს წინაშე გადაშალა დიდი ორიგინალური ხეთური კულტურა, რომელიც დიდ რადიუსზე იყო გავრცელებული და რომელმაც უღუდესი როლი ითამაშა საკაცობრიო კულტურის განვითარებაში. ამ კულტურის შესა-

ხებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი; G. Contenau-ს მიერ 1922 წელს გამოცემული საბიბლიოგრაფიო მაჩვენებელი ხეთორი საციოხის შესახებ 139 გვერდიან ტომს შეადგენს.

ხეთორი პრობლემისადმი ევროპელ მეცნიერების განსაკუთრებული ინტერესი ადვილი ახასხენელია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, სხეებს რომ თავი დაეანებოთ, რომ ხეთელების სახელმწიფო იმ ბოლახზე იყო, რომელიც აზიას ევროპასთან აკავშირებდა და რომელზედაც ჯერ კიდევ პერიოდტეს დროს დიდი, ეგრედწოდებული „სამეფო შარავზა“ არსებობდა. ეს შარავზა მეტად მნიშვნელოვან საეპიკრო და კულტურულ პუნქტებს აერთებდა. ესენი იყვნენ: ეფესი (ლიდიის დედა-ქალაქი), მაზაკა (შემდეგ კვისარია კაპადოკიისა), რომელიც ყვავოდა ჯერ კიდევ XXIV საუკ. ქ. წ., კომანა. ამ გზის ჩრდილოეთის გასავალი ხეტიტუსსა (დედაქალაქი ხეთელებისა, შემდეგ პტერია, ახლა ბოლახკოი) და სინოპი იყო. აი ამ საეპიკრო გზით შეასრულეს ხეთელებმა უდიდესი კულტურული მისია ევროპის მიმართ მეორე ათასეულ წლებში ქ. წ., როგორც დაახლოებით ესევე როლი ითამაშეს შემდეგში ფინიკიელებმა პირველ ათასეულში, ზღვის შემეწეობით.

ხეთელების შესახებ ჩვენ მოგვითხრობს ეგვიპტური, ბაბილონური, ასურული, ებრაული, ბერძნული წყაროები და უმეტესად ყოვლისა ის არქეოლოგიური ნაშთები, რომლებიც მცირე აზიაში იქმნა აღმოჩენილი. ყველაზე ადრინდელი ცნობა ხეთელების შესახებ ეკუთვნის დაახლოებით 1926 წ. ქ. წ.; მისი პოლიტიკური აპოგეა XIV-XII ქ. წ. საუკუნეებზე მოდის, ხოლო მერვე საუკუნის მიწურულში (717 წ.) სარგონ II — მიერ მოსპობილ იქმნა ხეთელების უკანასკნელი სამთავრო სირიაში კარხემში, და ამის შემდეგ ხეთელების სახსენებელი ისტორიაში ისპობა. ყველასაგან ცნობილია ის „საუკუნო ხელშეკრულება მეგობრობისა“, ერთი უპირველესი საერთაშორისო დიპლომატიური ძეგლთაგანი, რომელიც ეგვიპტის ფარაოს რამზეს II და ხეთელების მეფის ხატუსის III-ის შორის დაიდვა დაახლოებით 1271 წ. ქ. წ. და რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მაშინდელ მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოები — ხეთა და ეგვიპტე იყო. აქვე მოვიყვანოთ ახლახან აღმოჩენილ ხელშეკრულებას, დადებულს ხეთის მეფის დუდხალას მიერ ამურრუს მეფე იზტარისთან 1259 წ. ქ. წ. ხეთელების მეფე სწერს: „და მეფენი, რომელნიც სწორნი(?) არიან ჩემნი, მეფე მისრისა (ეგვიპტისა), მეფე კარა-დუნისა (ბაბილონის) ქვეყნისა, მეფე ასურეთისა და მეფე ახხიაუვას (ახეიას საბერძნეთის) ქვეყნისა. თუ მეფე მისრის ქვეყნისა მზის (ხეთელების მეფის) მეგობარია, მაშინ იგი შენი მეგობარიც უნდა იყოს. მაგრამ თუ იგი მზის მტერია, მაშინ შენი მტერიც უნდა იყოს. და თუ მეფე კარა-დუნისა ქვეყნისა მზის მეგობარია, მაშინ იგი შენი მეგობარიც არის; მაგრამ თუ იგი მზის მტერია, მაშინ იგი შენი მტერიც არის. როგორც მეფე ასურეთის ქვეყნისა მზის მტერია, ისევე უნდა იყოს იგი შენი მტერი. შენი ვაჟარი არ უნდა შევიდეს ასურეთის ქვეყანაში, არც მისი ვაჟარი უნდა შემოუშვას

\*) დედანში ამ სიტყვის ამოკითხვა განძელებულია.

შენს ქვეყანაში, ვერც შენ ქვეყანაზედ უნდა გაიაროს მან. მაგრამ თუ მაინც შემოვიდა შენს ქვეყანაში, დაიჭირე და მიიყვანე მზესთან (ხეთელების მეფესთან). ეს სიტყვა შენ ფიცად უნდა დაგედევას“.

ეს ძველი საკმაოდ გვისურათებს იმ დროის ხეთელების პოლიტიკურ სიძლიერეს და მაშინდელ მსოფლიოს პოლიტიკურ დაჯგუფებებს.

ხეთური ძველების პირველი აღმოჩენა ტექსტის მოგზაურობასთან არის დაკავშირებული, რასაც XIX ს. მეორე ნახევარში წლებში ჰქონდა ადგილი. შემდეგში ხეთური ძველებით მეცნიერება გაამდიდრეს ჰამილტონმა, პერრო და გილლომმა, რაიტმა, ჰუმანმა, ჰუსტინმა, ლუშანმა, შანტრმა და ბოლო დროს ჰ. ვინკლერმა და მაკრიდი-ბეიმ 1905 — 1912 წ. ბოლახ-კოის გათხრით. ძველები უმთავრესად შემდეგ ადგილებშია ნაპოვნი: 1) ჩრდილოეთ სირიაში — ხამატ, ალექპო, კარხემიში; 2) ტავრი და ატინტავრში: მარაში, დერენდებით, კურუბელ (კომანოს ახლო), გისარლიკი; 3) ღალისის აუზში — ბოლახკოი, კესარიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იქვე იაზილკოია და ეიუქში; 4) ლიდის სანაპიროებზე, ფრაკიაში, იკონიში და 5) კაბისტროში (ერეგლი). აღმოჩენილია მრავალი ძველი, ხეთელების ხელოვნების მახასიათებელი, ციხე-კოშკები, ჰილანი-სასახლებელი და წარწერები ორი სისტემისა. წარწერების ერთი ჯგუფი სატოვანია, ეგვიპტურის მინამსავსე, უფრო მეტწილად ჩრდილოეთ სირიაში ნაპოვნი. მისი წაკითხვა, მიუხედავად მრავალი ცდებისა (სეისი და სხ.), დღემდე ვერ მოხერხდა ბილინგვების უქონლობის გამო. მეორე ჯგუფის დამწერლობა ლურსმულია, ბაბილონური და ასურული სისტემის მინამსავსე, მაგრამ ადგილობრივ ენების თავისებურებასთან შეთანხმებული. ფიქრობენ, რომ ამ სისტემის დამწერლობის ამოკითხვა წარმატებით შესძლეს მეცნიერებმა: ფ. ჰროზნმა და განსაკუთრებით ე. ფორერმა და სხ. ამ წაკითხვამ ახალი ერა შექმნა ხეთოლოგიის საკითხში.

ამ სისტემის დამწერლობის უდიდესი ნაშთები აღმოაჩინეს ცნობილმა ასუროლოგმა ჰუგო ვინკლერმა და მაკრიდი-ბეიმ ბოლახკოიში (145 კილ. ანგორიდან), სადაც ჯერ კიდევ 1893 წ. მაქს მიულერს ხეთელების დედაქალაქი ხატრუსა ეგულებოდა და რაც არქეოლოგიურმა გათხრამ (1905 წ.) ბრწყინვალედ გაამართლა. აქ აღმოჩნდა 10.000 მეტი თიხის დაფა, რომლებზედაც დაწერილი ლურსმული ტექსტები უძირფასეს ცნობებს შეიცავენ ხეთელების ქვეყნის თუ ქვეყნების შესახებ, მათს ენებზედ, ხალხებზედ, სარწმუნოებაზედ და ერთობ კულტურაზედ. გამოირკვა, რომ ეს დაფები შეადგენდა სახელმწიფო ბიბლიოთეკას და არქივს, რომელიც მეფე ხატრუსას დაუარსებია დაახლოებით 1300 წ. ქ. წ. აქ ინახებოდა ვინაწერილი ძველი საბუთები, ძველი და ახალი თხზულებები სხვა-და-სხვა ზონარისა (მაგ. გილგამეშის ეპოსის ნაწყვეტები). ამ უმად ერთი ნაწილი ამ ბიბლიოთეკისა მოთავსებულია პრუსიის სახელმწიფო მუზეუმში (ბერლინში), ხოლო მეორე ნაწილი კონსტანტინეპოლში. სწორედ ეს ბიბლიოთეკა არის დღეს ევროპულ მეცნიერებისათვის ხეთოლოგიურ კვლევა-ძიების უმთავრესი წყარო. ამ ტექსტების გამოცემა, კითხვა, თარგმნა, ენათმეცნიერული და კულტურულ-ეთნოგრაფიული კვლევა მეცნიერებმა 1915 წ. დაიწყეს.

ჩენის თანამემამულის, ასსუროლოგის მ. წერეთლის, ეს ახალი წიგნიც უმთავრესად ამ ახალ პირველ-წყაროების კვლევებზედ არის დამყარებული. მაგრამ ჩვენი ავტორი როდი ემორჩილება ბრმად ევროპელ მეცნიერების დასკვნებს. იგი კრიტიკულად უცქერის ბევრს მათგანს და მეცნიერული სიფრთხილით თავის საკუთარს შეხედულებებსაც აყენებს და ქართულ მასალებსაც იშველიებს.

ახალი მასალების მიხედვით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხეთელების სახელმწიფოში (XX — XIII ს. ქ. წ.) რვა (ზოგი თვლის ხუთს) სხვადასხვა ენა ყოფილა. ამათგან ორი უცხო (ბაბილონურ-აკადური და სუმერული) და ექვსი ადგილობრივი:

1. ხეთური ანუ კანიზის ენა — hatti-li (როგორც წარწერებშია). ეს ენა დამპყრობთა ენა უნდა ყოფილიყო და ამავე დროს ინდო-გერმანულიც; მონათესავე ლათინურისა და ბერძნულის, თან ნარევიც, რომელიც შემცველი იყო არაინდო-გერმანულ ელემენტებისაც. ჩვენი ავტორი ამ ენის არაინდო-გერმანულ ელემენტებზე გაკვირვებულად იყრდნობა და შენიშნავს, რომ, მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება — el ხეთურში იაფეტური (მარის ტერმინოლოგით) უნდა იყოს, ხეთურ. hatti-li ქარ. საშინ-ელი; ხეთური აბლატიუსი — az — შეიძლება უდრიდეს ქართულ დაბოლოებას ად(ა), და: ცად, ჩემდა, ქალაქ-ად; ხეთური ინსტრუმენტალური — il შეიძლება უკავშირდებოდეს ქართ. დაბოლოებას — ით: ჩემით, ცით, ხელ-ით.

2. ლუეური ენა — აგრეთვე ინდო-გერმანულია და მონათესავე კანიზურის. ავტორი ამ ენაშიც პოულობს იაფეტურ ელემენტებს. მაგალითად ლუეური ადგილის სახელწოდებათა დაბოლოება — ან და მას ქართულს ხორ-ანთა, გური-ანთას დაბოლოებებს აგონებს.

3. მანდელების ენა — ინდო-გერმანული, რომლის მატარებელ ხალხს ხეთაში არიული ლმერთები: მიტრა, ვარუნა, ინდრა და ნარტი შეუტანია, თუმცა ეს ხეთაებში ხეთელების პანთეონში არ შედიოდნენ. ავტორი ფიქრობს, რომ ეს სამი ენა „უეჭველად“ ინდო-გერმანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი სამი ენა არც ინდო-გერმანულია, არც სემური და არც თურანული.

ესენია: 1. ხურული ანუ ხარული ენა, რომელიც მონათესავეა მიტანის ენის, რომელიც თავის მხრივ ენათესაება ქალდურს ანუ ურარტულ-ვანის ენას. ვანურ-ურარტულს, როგორც ვიცით, ზოგიერთი მეცნიერები ქართულს უნათესავენ.

2. პროტო-ხატური ანუ ძველი ხეთური ენა. ავტორი ამბობს, რომ პროტო-ხატურშიც ზოგიერთი მოვლენები ქართულს გვაგონებენო, მაგ. ზედ-შესული სახელის წარმოება დაბოლოებით — el: პროტ.-ხატ. Zhand-el ≡ ციბლანდელი, Arin-el ≡ არინელი, შეად. ქართულ-ელი და სხვ. სიტყვები: პროტ.-ხატ. hin-u ≡ ვაიე შეადარე ქანური ბერ-ე — სუმერულად i-hil-a და სხ.

3. ბალაის ენა. ამ ენაზე მცოიე ტექსტებია ნაპოვნი. მაგრამ ნაპოვნის მიხედვითაც ჩანს, რომ ეს ენა არც ინდო-გერმანულია, არც სემური და არც თურანული. ე. ფორტრამა აზრი გამოსთქვა, რომ ბალაის ენა ქართულს უნდა

ენათესავებოდესო, მაგრამ მ. წერეთელი შენიშნაუ: „ამ ჰიპოთეზის გამართლება თუ გამტყუნება შემდეგ აღმოჩენათა თუ კვლევათაგან არის დამოკიდებული“.

ამასთანავე ავტორი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ მცირე აზიის მკვიდრი ხალხები ძველი ხეთელები, ხურრები, მიტანები, ქალდელები და სხვები ურთიერთის მონათესავე ტომები იყვნენ, რომელთაც სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა დროს ინდო-გერმანული ტომები შემოესივნენ და „რომ არის ნიშნები (და მხოლოდ ნიშნები, თუმცა ძლიერ თვალსაჩინო) იმათა, რომ ამ არაინდო-გერმანულ ხალხებს მცირე აზიისას ქართველებთან აქვს ნათესაობა ენისა და რასისა, შორეული გენეტიური ნათესაობა“.

ენების საკითხის განხილვის შემდეგ ავტორი იხილავს ხეთელების ისტორიას, კულტურას და სარწმუნოებას. ხეთური და სუმერული კულტურული ძეგლებისა და სარწმუნოებრივი ელემენტების კონვეგენცია ავტორის წინაშე სემს საკითხს, სუმერთა და მცირე აზიელთა შორეულ ერთობისა და ნათესაობის შესახებ. წამოჭრილ საკითხს ავტორი ვაბედულად უპასუხებს: „წინააღმდეგ გავრცელებულ აზრისა, ერთობის ძაფის გაბმა შესაძლებელია, ნათესაობა არსებობს, თუმცა ძლიერ შორეული და ფრიად ძნელად საკლვეი“. აქ ჩვენ გვაგონდება ავტორის აზრი სუმერული და ქართულის ნათესაობის შესახებ (იხილე მ. წერეთელი: „სუმერული და ქართული“ კრებული „გვირგვინი“, ტფ. 1912 წელ. უფრო ვრცლად: „Sumerian and Georgian“ ინგლისურ საინჟერატორო აზიურ-საზოგადოების ჟურნალში).

წიგნის უკანასკნელ თავში ავტორი კიდევ უფრო საყურადღებო საკითხს ესება: ქართული წარმართობა და ხეთური სარწმუნოება. ავტორი ქართულ სარწმუნოებას სარწმუნოებაში ხეთურ (არაინდო-გერმანულ მცირეაზიურ) ელემენტებს იკვლევს, რამდენადაც ეს მოცემულია სარწმუნოებას სარწმუნოებაში ხალხურ გარდმოცემების და ზნეჩეულებათა მიხედვით ერთის მხრით და მეორეს მხრით—ძველ ქართულ მწერლობაში. მოვიყვანო მაგალითებს. ავტორი ფიქრობს, რომ პრიტო-ხატური სახელი ელვა-ჰეჰის ღმერთისა taro შენახულია ქართულს ტარო-ში. ხეთელთა ქალღმერთი Ishara = მიწის დედოფალი იგივეა, რაც აფხაზური ავაპარა ანუ აშახარა. არმაზი იმ დახასიათებით, რომელიც მოცემულია ქართულ წყაროებში, სრულიადაც არ არის აჰურამაზდა, არამედ იგი თავისი ხასიათის მიხედვით ხეთელების ელვა-ჰეჰის ღმერთი თეშუბია. აგრეთვე ზადენს, წინააღმდეგ ნ. მარის აზრისა, ავესტის yazatan, მიტრასთან არავითარი კავშირი არ აქვს და რომ იგი ხეთელების მცენარეულობის ღმერთი Sandan, Santas-ია (ჰეიკოკონობა, მსხვერპლად შეწირვა). გაცია სირიელების მამრობითი სქესის ღვთაება ყათეა, იგივე მცირე აზიის ატრის, ხოლო გა—ქალ-ღმერთი ყათარ = ასტარტე = იშტარ-ია. აინინა, დანინა, დანანა—შეიძლება ორი სახე იყოს ერთისა და იმავე ქალ-ღმერთისა: ინინა და ნინ ანუ ნანა, რომელიც სუმერულ პანთეონში შემდეგი სახელებითაა ცნობილი: ნინინი, ინინინა, ინინანა, ნა. აგრეთვე ოთრუჯან სემელთა ღვთაების ყათინ შამაის უღრის.

ამგვარი განხილვის და კვლევის შედეგად ავტორს სხვათა შორის შემ-

დეგი დებულება მიანიხა სამართლიანად: „სწორედ მრავალჯერ და მრავალთაგან განეკიჭებული ქართული წყაროები ხშირად ნამდვილ ცნობებს გვაძლევენ ჩვენ შორეულ წარსულზედ, ძველ კულტურაზედ და საწარმართო სარწმუნოებაზედ“. ავტორი ამბობს, რომ სრულიად შეუწყნარებელია ნ. მარტის და ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს „ქართლის ცხოვრებაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ „მარტო მწიგნობრული ყბედობა“ იყოს და ქართულ წარმართობაზედ არავითარი ცნობა არ მოიპოვებოდეს. პირიქით ამ ძეგლებში „ნამდვილი საწარმართო ქართული გადმოცემანი მოიპოვებია“, მხოლოდ მკვლევარმა მკვეთრი თვალით უნდა გამოიყოს ამ ცნობებიდან ძველი ქართული ანუ ხეთურ-მცირე-აზიური საწარმართო ელემენტები, მაზღეზმისა და საქრისტიანო სარწმუნოებისაგან. რამდენად მისაღებია ავტორის შეხედულება ჩვენი ძველი წყაროების შესახებ, — ეს დიდი საკითხია. მსგავსი შეხედულება ს. კაკაბაძესაც აქვს გამოთქმული (იხ. მისი. ქართული სახელ. გენეზისის საქ. „საის. მოამბე“ ტ. I.). ყოველ შემთხვევაში საინტერესოა ავტორის მიდგომა ამ საკითხისადმი. ამჟამად ჩვენ არ შევდივართ არც იმის განხილვაში, სწორია თუ არა ავტორის დასკვნები ქართულ-ხეთურ-მცირე-აზიურ წარმართობისა ან საზოგადოდ ქართული და ხეთელების ენების კავშირის შესახებ. წიგნი თავისი შინაარსით, მრავალმხრივობით და საკითხების ორიგინალური განხილვით ფრიად საყურადღებოა და სასურველია, რომ ის ფრანგულ ან გერმანულ ენაზეც გამოიცეს.

სამწუხაროდ გამოცემის ტექნიკური მხარე, მიუხედავად კარგი შრიფტისა, სიფაქახეს ვერ დაიკეხნის. მრავალ კორექტურულ შეცდომებთან წიგნს სარჩევიც კი არ აქვს, თავი რომ დავანებოთ სახელებისა და საგნების მარჯვენა მხარეს, რაც ასეთ ნაშრომ უსათუოდ უნდა ახლდეს. სამაგიეროდ წიგნის ფასი 50 მარჩილი ანუ 1 მარკა ოქრ. = 1 ფრანკი ოქ., იაფია.

გ. ჩიტაია.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვერ

რუხაძე ლ. რედაქციისაგან . . . . .	5
-----------------------------------	---

## I. ს ა ე რ თ ო ნ ა წ ი ლ ი

ციციშვილი, ივ. ჩენი ამოცანები . . . . .	6
გორინა, ე. წიგნთა ათწილად კლასიფიკაციის შესახებ . . . . .	8
ლორთქიფანიძე, ნ. პუბლიცისტიკის ინდექსაციისათვის . . . . .	10
ბ. ბ. ხმამალა კითხვა (მეთოდისა და მასალები) . . . . .	11
რუხაძე, ლ. ქონსამკითხველოები . . . . .	18
ბროსხე, ბ. სამკითხველოს როლი საბჭოთა აღმშენებლობაში . . . . .	23
ქანიშვილი, პ. წიგნი . . . . .	24
ნიკოლაძე-პოლიევქოვა, რ. რა წიგნები გვკვირია . . . . .	26
ბაქრაძე, გ. ბიბლიოთეკონომიური ტერმინოლოგია (პროექტი) . . . . .	29

## II. წიგნისა და ბიბლიოთეკის საქმი ჩვენში.

კარიჭაშვილი, დ. როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი? . . . . .	36
ბროსხე, ბ. ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი და მათი რაოდენობა ტფილისში . . . . .	40
მუშიშვილი, გ. წიგნი საბჭოთა საქართველოში . . . . .	42
შ—ი. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობა . . . . .	47
ლეგალი. ჩენი სამხედრო ლიტერატურა . . . . .	49
კინწურაიშვილი, მ. ტფილისის ბიბლიოთეკებში . . . . .	52
ციციშვილი, ი. პირველი ქართ. ექვსკვირიანი საბიბლიოთეკო კურსები ბელოზიოროვი გ. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ანგარიში . . . . .	58
ბერულავა, გ. რა ენაზეთ დილოში . . . . .	63
რუდენკო, ბ. ძირითად ქსელის ბიბლიოთეკართა მუშაობის მოხსენებათა და დისკუსიების ჯამები . . . . .	64
	65



რუდენკო, ბ. ოქმი სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტის დეციმალისტა კოლეგიის სხდომისა . . . . .	68
--	----

### III. ჩვენი ბიბლიოთეკების აქტიური მუშაობა.

ნ - ლ. საბიბლიოთეკო მუშაობა 1-ელ ქართ. მსროლელ დივიზიაში . . . . .	70
ქ. ქ. 1-ლ ქართულ ლეგიონის აქტიურ საბიბლიოთეკო მუშაობის მოკლე მიმოხილვა . . . . .	71
ე. გ. ანგარიში საბიბლიოთეკო წრის მუშაობისა 1923 წ. ნოემბრიდან—1924 წ. მაისამდე . . . . .	73
ბრ. რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკაში . . . . .	75

### IV. შ რ მ ნ ი კ ა . . . . .

76

### V. ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ლ. დ. ტროცკის წერილი . . . . .	81
ჭანიჭვილი, პ. ქართული ბიბლიოგრაფია . . . . .	82
გორინა, ე. რა უნდა მოვითხოვოთ საბიბლიოთეკო საქმის შესასწავლად . . . . .	83
ბ. ლ. Ковалевский и Ю. А. Иванов - Меженко. Практическоес руководство по библиотековедению . . . . .	85
ბალუაშვილი, გ. Штеин. Библиотечная статистика . . . . .	87
„ . . . „Красный библиотекарь“ . . . . .	87
ბ. ლ. Добржинский. Десятичная классификация . . . . .	88
მ. მ. ჟურნალი „მნათობი“ № № 1, 2, 3, 4, 5, და 6 . . . . .	90
დილ. „დროშა“ № 24 . . . . .	92
კარიჭაშვილი, დ. ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა . . . . .	93
ჭანიჭვილი, პ. ზ. ქ. ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია . . . . .	113
დვინიაშვილი, ა. ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა . . . . .	114
ჭანიჭვილი პ. Dittionario Giorgiano e Italiano . . . . .	120

### 3. (სოციალური მეცნიერებანი).

ჭანიჭვილი პ. მუშიშვილი გ.—„მსოფლიო ომი“ . . . . .	123
ჭკეთხველი. ჩეკინი.—პროფესიონალურ მოძრაობის ანბანი . . . . .	124
კაკაბაძე გ. ლოზოვსკი.—„პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო მოძრაობა“ . . . . .	125
შ.— ა. ერქომაიშვილი.—კოოპერაცია საქართველოში . . . . .	126

გოგებაშვილი შ. კოოპერატიული ლიტერატურა . . . . .	127
პატარაია შალვა. „თანამგზავრი პოლიტიკანათლების მუშაკისა“, წიგნი № 1, 2, 3 და 4 . . . . .	130
მ. ნ. ლენინი—„მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში . . . . .	131
მ. ბუხარინი. —„მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“ . . . . .	132
ვ. მ. გ. გეხტმანი.—საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი . . . . .	135
ან— ლაძე ავ. გ. გეხტმანი.—სოფლის მეურნეობის ეკონომიკა . . . . .	136

#### 4. ( ე ნ ა თ მ მ ც ნ ი ე რ ე ბ ა )

კანიშვილი, პ. მეტრეველი, ი. რუხაძე, ლ. ჭუმბურიძე, გ. ჩიქობავა, ბ.— სინათლისაკენ . . . . .	137
„ მეტრეველი, ილ. და ჩიქობავა, ბენ.—„შრომის ქვეყანა“ . . . . .	138
ნიკოლაძე-პოლიფეკტოვა რ. რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი) . . . . .	140

#### 5. ( ხ უ რ ი მ ე ნ ი რ ა ზ ა ნ ი )

პ. ჭ. ჩხენკელი, ა.—ბუნება, ნაწილი I . . . . .	141
გოკიელი ლევან. ანდრია რაზმაძე.—მათემატიკური ანალიზის კურსი . . . . .	143

#### 6. ( ღ ა ნ ა რ თ ი მ ე ნ ი რ ა ზ ა ნ ი )

კანიშვილი, პ. კარიკაშვილი დ.—წიგნის ისტორია . . . . .	145
„ კიკინაძე ზ.—ისტორია ქართულის სტამბისა, და წიგნების ბეჭდვისა 1626 — 1900 წ. წ. . . . .	146
„ კიკინაძე ზ.—ქართული სტამბები. 1627—1916 წ. . . . .	146
„ კიკინაძე ზ.—ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან . . . . .	147

#### 7. ( ხ ე ლ მ ე ნ ე ბ ა ) .

ქ—ი. „ზელოვნება“ № 1 . . . . .	148
პატარიძე მიქელ. „ჯოხებით ვარჯიში“,—მერკვილაძე გ. . . . .	149
„ ქართული მოძრაეი თამაშობანი“ —ლორთქიფანიძე და ა. ბაქრაძე . . . . .	149

#### 8. ( კ ა ზ მ უ ლ ი მ ვ რ ა ლ მ ა ბ ა )

შ—ი. რევოლიუციონური დეკლამატორი. სანდრო ქურდიძის რედაქტორობით . . . . .	149
ი. ნ. ზომლეთელი.—„ლექსები“ . . . . .	151
ა. სანდრო ეული.—„ქარხნის ტრიუმფი“ . . . . .	151

ე. ალ. ბუმერანგი (ა. მაშაშვილი)—ლექსები . . . . .	152
ყარიბი. ცნცხლამე გრიგოლ—„პოეტის ყეფა“ . . . . .	153
შხეფელი. ადამაშვილი-ჯავახიშვილი მიხეილ—მოთხრობები ტ. I. . . . .	154
პ. ჯ. თუმანიანი, ოვანეს.—რჩეული ლექსები. . . . .	154

### 9. (ისტორია და გამოგრაფია).

მაკალათია, ს. ძიმისტარაშვილი, ს. ი. და უჩანეიშვილი, დ. თ.—საქართ. ისტორია, ნაწ. I. . . . .	155
გ. ჩიტაია მ. წერეთელი—ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა . . . . .	162

ჟურნალის სათაური დაბატულია მ. ჩხვიკაძის მიერ.

სოციალ-დემოკრატიული  
საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო  
ქუჩა

# მნათობი

1925 წელს

1925 წელს

გამოვა „მნათობი“-ს თორმეტი ნომერი  
და ხელისმომწოდებელთაგან გადაგზავნით ელირა-  
ბა 16 მან. ხელისმომწოდებელი ფულს იხდინან  
ოთხ განაკვეთით ოთხ-ოთხ მანათობით.

ცალკე ნომერი ელირება 2 მანათი.

1924 წელს გამოცემული

## „მნათობის“

8 ნომერი ღირს ხელისმომწოდებელთაგან 13 მანათი.

რადგან პირველი და მეორე ნომერი, დიდი ხანია, აღარ იშოვე-  
ბა, ამიტომ რედაქციას განზრახული აქვს ჰბეჭდოს ის ხელ-  
მეორეთ.

ვინც !-ლ იანვრამდის შემოიტანს 13 მანეთს, მიიღებს ყველა  
რვა ნომერს უკლებლად.

„მნათობი“ მონაწილეობას ღებულობს საქართველოს საუკეთესო  
პოეტები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები. მნათობს- ჰყავს  
საკუთარი თანამშრომლები, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთის  
დიდ ქალაქებში.

გამომცემლობა საქ. პოლ. განათლების მთავარ სამმართველოსი.  
გამომცემლობის მისამართი: თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 22.

(წიგნის მაღაზია).

მნათობის სარედაქციო კოლეგიის წევრები: 1. შიხ. კახიანი,  
2. ვალ. ბახტაძე, 3. ლენტ. რუხაძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

კოლიტგანათლების მთავარ სამართველს

# წიგნის მაღაზიები:

ცენტრალური

წიგნის მაღაზია და საწუთბები

რუსთაველის კროსკვეთი, № 22.

მაღაზია № 2 კუთხე საღმურისა და  
გოგოლის ქუჩისა

მაღაზია № 3 მადათოვის ქუჩა № 9.

## წიგნის მაღაზია

აწმდის საქართველოს ყველა საბჭოთა და  
პარტიულ ორგანიზაციებს და კერძო დაწ-  
სებულებებს, როგორც წიგნებს, აგრეთვე  
საკანცელარიო და სასწავლო ნივთებს.

მომავალ სეზონისათვის დაგზადებული ამჟს  
დიდძალი საქონელი..

## კორექტურულ შეცდომათა გასწორება

გვ.გვ.	სტრიქონი	ზევიდან	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
17		26	გარდაუქნელი	გარდამქნელი
"		37	გარემოებასაც	გარემოებასაც არ
26		15	წერტის	წერტილის
"		33	ვიგვიანებთ	ვაგვიანებთ
31		16	Kücherschrank	Bucherschank
34		2	რუქა	რუკა
"		36	Kand	Rand
35		35	Trist	Frist
"		30	Buchbider	Buchbinder
48		17/18	ელიბ. ქიანისა	ელბაქიანისა
49		35	ამუნაცია	ამუნიცია

გოკიელის ბიბლიოგრაფიაში (გვ. 143—145) რაზნაძის წიგნის შესახებ ყველგან, სადაც არის E, უნდა იყოს ბერძნული ასო ეფსელონი.